ვიქტორ ასტაფიევი

მუხლარა დეტექტივი

რომანი

თბილისი, „მერანი“ 1988 წ.

84 Гр 7—44
Ა 89

ვ. ასტაფიევის რომანი „მწუხარე დეტექტივი“ გვიხატავს თანამედროვე ცხოვრების რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, პირუთვნელად ამხელს ნაკლოვანებებსა და ნეგატიურ მოვლენებს.

თარგმნა ნუნუ ხომერიკმა

4702010200 — 94
Ა ——————— 120 — 88
М 604 (08) — 88

© გამომცემლობა „მერანი“

პირველი თავი

ლეონიდ სოშნინი გულამღვრეული ბრუნდებოდა შინ. თუმცა შორი გზა ჰქონდა გასავლელი, თითქმის ქალაქის გარეუბნამდე — რკინიგზელთა დასახლებამდე — მაგრამ ავტობუსში მაინც არ ჩაჯდა: დაე, მღრღნიდეს ეს მტკივანი ფეხი, სიარული ნერვებს დაძიმშვიდებს, თანაც, მოვიფიქრებ, რა ვქნა, რა გზას დავადგე ამიერიდანო.

კაცმა რომ თქვას, გამომცემლობა, როგორც ასეთი, ქალაქ ვეისკში არც არსებობდა. აქ მხოლოდ მისი განყოფილება დარჩენილიყო, ხოლო თვით გამომცემლობა გადაეტანათ უფრო მნიშვნელოვანსა და როგორც, ალბათ, ლიკვიდატორებს ეგონათ, მძლავრი პოლიგრაფიული ბაზის მქონე კულტურულ ცენტრში. მაგრამ „ბაზა“ იქაც ზუსტად ისეთივე გახლდათ, როგორც ვეისკში — ძველრუსულ ქალაქთა გავერანებული მემკვიდრეობა. სტამბა მდებარეობდა გამომწვარი აგურით ნაგებ რევოლუციამდელ შენობაში, რომელსაც სტრიქონებივით გასდევდა ძახილის ნიშანივით ქვემოთ მოვიწროებულ, ხოლო ზემოთ იკლიკანტურად მიგრეხილ სარკმელთა მწკრივი. ვეისკის სტამბის შენობის ნახევარი, სადაც საამწყობო საამქრო და საბეჭდი მანქანები გახლდათ მოთავსებული, კარგა ხანია სანახევროდ მიწაში ჩანქშეულიყო და თუმცა ჭერი ნეონის ლამპიონებით დაეცხრილათ, საამწყობო და საბეჭდ საამქროებში მყუდროებას ვერ იგრძნობდი, როგორც დახშულ ყურებში, აქ განუწყვეტლივ ისმოდა თითქოსდა რაღაც შენელებული მოქმედების ფეთქებადი მექანიზმის გამუდმებული ყრუ გუგუნი.

საოლქო გაზეთთან ერთად, აღნიშნულ საგამომცემლო განყოფილებას ორნახევარი ოთახი ეკავა. სიგარეტით გაბოლილ ერთ-ერთ მათგანში სკამზე ბრუნავდა, წარამარა ელსმენს ხელს ავლებდა და თუთუნს ფერფლავდა აქაური კულტურული ფრონტის ალამდართაგანი — ოქტიაბრინა პერფილიევნა სიროკვასოვა, წინ რომ მიერეკებოდა და სახელს უთქვამდა ადგილობრივ ლიტერატურას.

სიროკვასოვას თავი წამყვან ფიგურად მიაჩნდა: თუ მთელს დუნიაზე არა, აქ, ვეისკში მაინც, არ მოიძევებოდა მისი ბადალი ინტელექტუალი. იგი წერდა მიმდინარე ლიტერატურული პროცესების საანგარიშო მოხსენებებს, გაზეთის მეშვეობით მკითხველთ აუწყებდა საგამომცემლო გეგმებს, ადგილობრივ ავტორთა თხზულებებზე აქვეყნებდა რეცენზიებს, და იყო თუ არ იყო საჭირო, ერთთავად იმოწმებდა ვირგილიუსისა და დანტეს, საკონაროლას, სპინოზას, რაბლეს, ჰეგელისა

და ეკზიუპერის, კანტისა და ერენბურგის, იური ოლეშის, ტრეგუბისა და ერმილოვის ციტატებს. ბევრჯერ შეუშფოთებია ეინშტეინისა და ლუნაჩარსკის ნეშტნი, და რა თქმა უნდა, ჯეროვანი ყურადღებით მოჰკიდებია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს.

მაშ, ასე! გადაწყდა სოშნინის წიგნის ბედი! მისი მოთხრობები გამოქვეყნდა თუმც თხელტანიან, მაგრამ მაინც სადედაქალაქო ჟურნალებში; აქა-იქ მოიხსენიეს მიმოხილვითს-კრიტიკულ სტატიებში, ხუთი წელიც გაატარა „ზურგში“... და ახლა მყარად ზის საგამომცემლო გეგმაში. დარჩა მხოლოდ: რიგითი სარედაქციო სამუშაო და წიგნის მხატვრული გაფორმება.

სიროკვასოვამ ზუსტად ათ საათზე დაიბარა, თვითონ კი თორმეტზე მობრძანდა. ბნელ ტალანში სწრაფად ჩაუქროლა, სახეში თამბაქო შეაბოლა, ნათურა ვიღაცას წაულალავსო, თან, ბოდიშიო, წაიდუდუნა, ერთხანს, ბუზღუნით კარს ეჯაჯგურა, ბოლოს, როგორც იქნა, გააღო. არაქათგამოლეულმა ფარღალალა კარმა უკმაყოფილოდ დაიჭრიალა და ოთახიდან ბნელ ტალანში უღიმღამო შუქი გადმოიღვარა.

ეს მეორე კვირაა გადაუღებლივ ცრიდა: წვრილი წვიმა თოვლს ფაფად აქცევდა, ქუჩებსა და ქუჩაბანდებში გამვლელთ ფეხი უცურდებოდათ. და წარმოიდგინეთ, ამ შუა დეკემბერს მდინარეზე ყინული გალხვა.

ფეხი ყრუდ და გამუდმებით სტეხდა. ახალნაჭრილობევი მხარი ეწვოდა, დაღლილობას თავისი დაღი დაემჩნია: მთქნარება და ძილი ერეოდა. მთელი ღამეების უძილოს შვებას ისევ კალამი და ქაღალდი აგრძნობინებდა, მოურჩენელი სენია „გრაფომანობა“, ჩაეცინა... ის იყო ზეზეულად წასთვლიმა, რომ უცებ, ყრუ კედელი ბრახუნმა შეაზანზარა:

— გალია! — სივრცე გააპო სიროკვასოვას მბრძანებლურმა ძახილმა. — ერთი იმ გენიოსს მიხმე.

გალია გახლდათ მემანქანე, იგივე ბუღალტერი და იგივე საქმის მწარმოებელი! სოშნინმა ირგვლივ მიმოიხედა. ტალანში მის გარდა არავინ იყო. ჩანს, გენიოსი ის ყოფილა.

— შენ, ეი, სად ხარ? — ფეხისკვრით კარი გამოაღო მოკლედ თმაშეკრეჭილმა გალიამ და ტალანში გამოიჭყიტა. — შემოდი! გეძახიან!

სოშნინი შეიშმუშნა. ახალნაყიდი ჰალსტუხი შეისწორა, თმაზე ხელისგულები გადაისვ-გადმოისვა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: როცა ძალიან ღელავდა, მისდაუნებურად, წარამარა თმას ისწორებდა. მოაგონდა: ბალღობისას მეზობლები და დეიდა ლინა ეფერებოდნენ ხოლმე, თავზე ხელს უსვამდნენ. „მშვიდად, მშვიდად!“ — თავს შეუძახა სოშნინმა, მოკრძალებით ჩაახველა, კარი შეაღო და იკითხა:

— შეიძლება, შემოვიდე? — ყოფილი ოპერმუშაკის გაწიფული მზერა მოავლო სიროკვასოვას კაბინეტს: კუთხეში იდგა ხის ძველებური ეტაჟერი; გამოთლილ ხის შუბზე გარდიგარდმო კუზივით წამოცმული, მთელ ქალაქში ყველასთვის ნაცნობი ყვითელი, გაწუწული ქურქი, ქურქს უკან, გარანდულ, მაგრამ შეუღებავ თაროებზე განლაგებული იყო საგამომცემლო გაერთიანების მიერ დასტამბული ლიტერატურული პროდუქცია; უფრო წინა მხარეს კი ლიდერინის ყდიანი, ლაზათიანად გაფორმებული სასაჩუქრო წიგნების წყება მოჩანდა.

— გაიხადეთ, — თავი დაუქნია სიროკვასოვამ და ანიშნა ძველ, ყვითელ კარადაზე. — დასაკიდი არ აქვს, მაგრამ ლაბადა მანდ დარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდეთ. — დაჯექით. — მიუთითა მაგიდის წინ სკამზე.

სოშნინმა რომ ლაბადა გაიხადა და მითითებული ადგილი დაიკავა, ოქტიაბრინა პერფილიევნამ სადღაც ქვეშეთიდან საქაღალდე ამოაძვრინა და გაღიზიანებით მაგიდაზე დააბერტყა.

სოშნინმა ძლივს იცნო თავისი საქაღალდე, სადაც მისი მოთხრობები იყო მოთავსებული. მძიმე შემოქმედებითი გზა განვლეს ამ მოთხრობებმა, ვიდრე გამომცემლობამდე შემოაღწევდნენ. ისევ და ისევ ოპერმუშაკის მახვილ თვალს არ გამოპპარვია ჩაიდანის ნაკვალევი საქაღალდეზე... კატის ნაწოლიც, და ასე გასინჯეთ, ჩაის ლაქებიც ზედ დამჩნეოდა... სიროკვასოვას ვუნდერკინდებს — მას ხომ სამი სხვადასხვა შემოქმედებითი მუშაკისგან სამი ვაჟი ჰყავდა — ჰოდა, სიროკვასოვას ვუნდერკინდებს საქაღალდეზე გამოუსახავთ მშვიდობის მტრედი, ტანკი ვარსკვლავითურთ, და თვითმფრინავი.

მერედა რა საგანგებოდ ეძება და შეარჩია გამომცემლობაში წარსადგენი ეს ჭრელი საქაღალდე, რომელშიაც საკუთარი მოთხრობები მოათავსა. საქაღალდეს შუაში სუფთა, კეწკეწა ქაღალდი დააწება და ზედ ფერადი ფლომასტერით, გულმოდგინედ ავტორის გვარი და წიგნის სათაური წააწერა. რა ვუყოთ, ორიგინალური თუ არ იყო ეს სათაური — „სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია“ — სამაგიეროდ, მის იმდროინდელ განწყობილებას გამოხატავდა. იმხანად ჯერ კიდევ ჰქონდა საფუძველი ასე ჰგონებოდა. ეს ჰეშმარიტება ერწმუნებინა. განახლების რწმენით, სიცოცხლის, შემოქმედებითი წვის სიხარულით აღსავსემ გამომცემლობაში იმ იმედით წარადგინა ეს მოთხრობები, რომ კვლავ შეეძლო ხალხის საკეთილდღეო სამსახური. — დიახ, ასეთი რწმენა ეუფლებათ მკვდრეთით აღმდგარ, „საიქიოდან“ დაბრუნებულ ადამიანებს.

გახუნებულა ზედ დაწებებული ქათქათა ქაღალდი. ვიღაცას ფრჩხილებითაც შემოუწიწკნია, ან, იქნებ, უხარისხო წებოს ბრალია. სადღა იყო გულს ჩაღვრილი მზის შუქი და ის საზეიმო განწყობილება! მაგიდაზე ეგდო ხელიდან ხელში ნატარები, უდიერად ნათრევი ხელნაწერი

ორი რეცენზიით, რომლებიც აქაურ ლოთ მოაზროვნეთა კალამს ეკუთვნოდა და სიროკვასოვას წყალობით ფულს აკეთებდნენ. მათ არაერთხელ ენახათ მილიციაც, უფრო ხშირად კი სამედიცინო გამოსაფხიზლებელი, რომელთა საქმიანობაც ასახულიყო მის შემოქმედებაში, ახლა, ამ ჭრელ საქალალდეში რომ იმყოფებოდა. სოშნინს კარგად მოეხსენებოდა, რა ძვირად უჯდება ყოველ სიცოცხლეს, ყოველ საზოგადოებას ადამიანური დაუდევრობა, რა რა, მაგრამ ეს შეთვისებული ჰქონდა მტკიცედ. სამუდამოდ.

— ესე იგი სიცოცხლე ყველა და ყველაფერზე ძვირფასია, არა? — ტუჩი აიბზუა სიროკვასოვამ და სიგარეტი გააბოლა. კვამლში გახვეული, თან, ამ რეცენზიებს ათვალიერებდა და თანაც, გულგრილი გაუცხოებით იმეორებდა და იმეორებდა: ყველაზე ძვირფასია... ყველაზე ძვირფასია...

— ასე ვფიქრობდი ამ ხუთი წლის წინათ.

— რა თქვით? — ყური ცქვიტა სიროკვასოვამ და თავი ასწია. სოშნინმა თვალი თვალში გაუყარა. ქალს ჩამომღრალი ლოყები ჰქონდა. დაუდევრად შელურჯებული ქუთუთოები, მშრალი საღებავით შეთხუპნილი წარბწამწამითა და აქა-იქ შემხმარი შავი კოშტებით. მოხერხებულად ეცვა: შავი პულავერი, ხშირი რეცხვა რომ არ უნდა, ზედაც ჯინსის სარაფანი — არც ეს მოითხოვს დიდ რეცხვა-გაუთოებას.

— ასე ვფიქრობდი ამ ხუთი წლის წინათ, ოქტიაბრინა პერფილიევნა.

— ახლა როგორღა ფიქრობთ? რა აზრის ხართ? — ხმასა და გამომეტყველებაში გესლმა გაჟონა. თან, ხელნაწერს ისე ფურცლავდა, თითქოს კომბოსტოს ნარჩევში ურევს ხელსო. — სიცოცხლეზე გული ხომ არ გაგტეხიათ?

— ჯერ სულ მთლად არა.

— ოჰო! საინტერესოა, საინტერესო! მისასალმებელია, მისასალმებელი! ჯერ, სულ მთლად არა, ხომ?

„აღარც ახსოვს შინაარსი. დროს იგებს, რომ აქვე, სახელდახელოდ, აზრზე მოვიდეს, შიგ რა წერია. ნეტა თავს როგორ დაიძვრენს? საინტერესოა, ძალიან საინტერესო!“ სოშნინი მოლოდინით იყო განაბული და „რედაქტორშას“ უკანასკნელ ნახევარშეკითხვაზე პასუხი აღარ გაუცია.

— მე მგონი, ბევრი სალაპარაკო ჩვენ არაფერი გვაქვს. არ ღირს ამაზე დროს გაცდენა. მოთხრობები გეგმაშია. შიგადაშიგ რაღაც-რაღაცებს ჩავასწორებ, თქვენს თხზულებას ცოტას მოვარჯულებ და მხატვარს გადავცემ. ვფიქრობ, ზაფხულში ხელთ გექნებათ ნაბეჭდი პირმშო. თუ, რა თქმა უნდა, გვაღირსეს ქალალდი, არ შეგვიმცირეს გეგმა

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ, აი, რაზე მინდა გაგესაუბროთ სამომავლოდ: პრესის მონაცემებით თუ ვიმსჯელებეთ, კარგად იბეჭდებით, თუმც, არც ისე ხშირად. შემოქმედებითს მოღვაწეობას შეუპოვრად განაგრძობთ, საჭირბოროტოა თქვენი შემოქმედება მი-ლი-ციუ-რი!

— ადამიანური, ოქტიაბრინა პერფილიევნა!

— რა თქვით? ეს თქვენი ნებაა, ასე იფიქროთ, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ადამიანურობამდე და მით უმეტეს, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებამდე ჯერ კიდევ შორს ბრძანდებით. გოეთეს სიტყვით რომ ვთქვათ: „უნნერ აიხ ბარ ვი დერ ჰიმელ“ — „შორია და მიუწვდომელი, ვითარცა ზეცა“.

სოშნინს როგორღაც ვერ მოეგონებინა დიდი გერმანელი პოეტის ამ_ გვარი გამონათქვამი. ცხოვრების ორომტრიალში სიროკვასოვას გოეთე ვიღაც სხვაში არეოდა ან ეტყობა, ზუსტად ვერ გაიხსენა ციტატი.

— თქვენ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ფლობთ ფაბულას. უამისოდ კი ბოდიში და ეს თქვენი ეგრეთ წოდებული მილიციური მოთხრობები ბზეა, დაფქული ბზე. — ლიტერატურის თეორიაში შეალაჯა სიროკვასოვამ, — ხოლო პროზის რიტმი, ასე ვთქვათ, კვინტესენცია — თქვენთვის ცხრა კლიტულშია გამომწყვდეული. მოგეხსენებათ, არსებობს კიდევ ფორმა, მარადცვალებადი და განახლებადი ფორმა...

— ფორმა რაც არის, კარგად ვიცი.

— რა თქვით? — გამოცოცხლდა სიროკვასოვა. შთაგონებული ქადაგებისას თვალები მოეხუჭა, პაპიროსით დაეფერფლა მინა, რომლის ქვეშ ლამაზად გამოიყურებოდა მისი გენიალური შვილების ნახატები და დაჭმუჭვნილი პორტრეტი ოდესღაც ამ კუთხეში შემოხეტებული პოეტისა, სიმთვრალის ჟამს აქაურ სასტუმროში თავი რომ ჩამოეხრჩო და ამის წყალობით მოდურ, ლამის წმინდანად აღიარებულ პიროვნებათა შორის მოხვედრილიყო. ფერფლს დაეფარა მისი სარაფნის კალთა, სკამი, იატაკი. სარაფანიც ხომ ფერფლისფერი იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სიროკვასოვა მთლად ფერფლად ან დროის ლეშად ქცეულიყო; იგი იმ ტელევიზორის მოქმედ პირად წარმოგვიდგებოდა, კინესკოპი რომ გასცვეთია და ორი ლამპაც გაჰფუჭებია.

— მე ვთქვი: ფორმა რაც არის, კარგად ვიცი-მეთქი, მეცვა.

— მე მილიციის ფორმაზე არ გეუბნებით.

— ეჰ, ვერ ჩავწვდი თქვენს ნატიფსიტყვაობას, ბოდიშს გიხდით. — წამოდგა ლეონიდი. შეატყო რომ ცოფდებოდა — თუ საჭირო აღარ ვარ, წავალ, გაგეცლებით.

— დიახ, დიახ, შეგიძლიათ გამეცალოთ. — ცოტა არ იყოს, ნირი

წაუხდა სიროკვასოვას და უფრო საქმიანი ტონით განაგრძო, — ავანსს ბულალტერიაში გამოგიწერენ. ერთბაშად სამოც პროცენტს მიიღებთ, მაგრამ ფულის საქმეც, როგორც ყოველთვის ახლაც ვერაა მოწესრიგებული.

— გძადლობთ, ნუ წუხდებით, პენსიას ვღებულობ, მყოფნის.

— პენსია ორმოცი წლის ასაკში?

— ორმოცდაორისა გახლავართ, ოქტიაბრინა პერფილიევნა.

— მამაკაცისთვის, აბა, ეგ რა ასაკია? — და როგორც ყველა მდედრობითი სქესის მარადგაღიზიანებულმა არსებამ, სიროკვასოვამაც კუდი გააქიცინა, და თავისი გესლიანი ტონი უფრო მიმნდობ, კეთილგანწყობლურ, ნახევრადსახუმარო ტონით შესცვალა.

მაგრამ სოშნინმა არ მიიღო მისი საუბრის ეს ნირშეცვლილი ტონი. წამოდგა, საჩქაროდ დაემშვიდობა და ნახევრადბნელ ტალანში გააბიჯა.

— კარს გამოვაღებ, კისერი რომ არ მოიტეხოთ. — მიაძახა სიროკვასოვამ.

სოშნინს პასუხი არ გაუცია. პირმაღში გამოვიდა. ერთხანს ძველი ხის ჩუქურთმამოვლებულ წინფარში შეიცადა. ერთობ უღიმღამოდ გამოიყურებოდა ჭვავის თაფლაკვერივით სიძველისაგან ჩაშავებული ეს ხის მაქმანი. მერე დათბუნებული მილიციური ლაბადის საყელო აიწია, თავი მხრებში ჩარგო და გაყუჩებულ უკუნში, ქუჩის უდაბნოეთში გააბიჯა. ადგილობრივ ბარში ხმაურით შეეგებნენ ძველი „ნაცნობი კლიენტები". ჩვეულებრივად, ლაყბობა ეწყადათ, მაგრამ მან ჭიქა კონიაკი მოიკითხა, უცბად გადაჰკრა და გაეცალა მათ; პირი კი მოეფუფქა, მაგრამ გულმკერდის არეში სითბო ჩაეღვარა. ამ სითბოს ძალით, მხრებში წვამ თითქოს გაუარა, ხოლო რაც შეეხება ფეხის ტკივილს, ამ ამბავს უკვე შეგუებული გახლდათ, იტანდა.

„ერთი კიდევ ხომ არ გადაჰკრას? მაგრამ არა, არაა საჭირო, — გადაწყვიტა. — დიდი ხანია არ დამილევია. მომეკიდება".

მიუყვებოდა მშობლიური ქალაქის ქუჩებს და სველი კეპის წინაფრიდან, როგორც სამსახურმა ასწავლა, თვალზუსტად ამჩნევდა, რა ხდებოდა გარშემო, რა იდგა, ვინ მიდიოდა, რა მიჰქროდა. მიჰქროდა იშვიათად. თითქოს ყველაფერი იდგა, მიდიოდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ, სიფრთხილით. ლიპ ყინულს არა მარტო მოძრაობა, თვით ცხოვრებაც დაემუხრუჭებინა, ადამიანები გარეთ ცხვირს ვერ ყოფდნენ, საკუთარ ჭერქვეშ ყოფნას ამჯობინებდნენ. თქეში დიოდა. წყალი ღელეებად კი არ მოღვარღვარებდა, არამედ რაღაც უნდილად, უნიათოდ არაორგანიზებულად მიდიოდა. ბრუნავდა, იტბორებოდა, ტბორი ტბორს უერთდებოდა, ჯურღმულში მიძვრებოდა, და ყველგან აწყდებოდა ნაგვის გროვას, ქაღალდს, პაპიროსის ნამწვავებს, ჩამპალ კოლოფებს, ქარში აფა-

რფატებულ ცელოფანს. ჩაჟანგულ ცაცხვის ხეებს, ჩარუხებულ ალვებს ყვავებისა და ჭკების გუნდები გაჰკვროდა. ქარი არხევდა მათ. ზოგიერთს ძირსაც აგდებდა, მაგრამ ისინი რაღაც ბრმად, დამძიმებულნი, კლანჭს ავლებდნენ შტოებს. რაღაც მთვლემარედ, ბებრული ყრანტალით იმაგრებდნენ თავს და თითქოს კურკა ყელზე დადგომიათო, ერთს ამოიხლიჩინებდნენ და ხმაჩაწყვეტილნი დუმდებოდნენ.

და სოშნინის ფიქრიც, ამინდისდა კვალად, მიედინებოდა მდორედ, ნელა, კი არ ჩქეფდა, კი არ მიჰქროდა, სწორედ რომ მდორედ, დუნედ მიიზლაზნებოდა. ამ ფიქრში არ ერია ოცნება. იგი შეეპყრო მხოლოდ შიშს, ერთადერთ საზრუნავს: რა იქნება ხვალ?

ერთი რამ ცხადი იყო: მილიციაში სამსახურის ვადა მოიხადა, დაამთავრა სამუდამოდ. ერთლიანდაგიანი, ნატკეპნი, ჩვეული გზით სიარული — ებრძოლე ბოროტს, დამნაშავეს, იდექ ხალხის სამშვიდობო სადარაჯოზე — ერთის დაკვრით გადაიკეტა — როგორც სარკინიგზო ჩიხი, სადაც აღიზარდა და „რკინიგზობიას“ თამაშში ბავშვობა გაატარა. დასრულდა ლიანდაგი. დასრულდა მისი შემაერთებელი ძელების წყება და იმის იქით აღარ იყო სავალი, არავითარი მიმართულება. ჩიხს მიღმა სრულიად ახალი, სხვა სივრცე იწყებოდა — ოთხივ კუთხივ თავისუფალი: აირჩიე და დაადექ, რომელ გზასაც გინდა, ან, დარჩი აქ, ამ ჩიხში, ტკეპნე ერთი და იგივე ადგილი, ჩამოჯექი ქარისგან გამომღრალ ძელზე. ჩაიძირე საკუთარ საფიქრალში, ან თუგინდ იღრიალე, რაც ძალი და ღონე გაქვს: „მივუჯდები აი ამ მაგიდას და მოვიაზრებ: რა მინდა, რა გზას დავადგე ამიერიდან.“

როგორ იცხოვროს!? მარტომ!? ძნელია უსამსახუროდ ყოფნა, თუნდაც, სახაზინო ამუნიციისა და სასადილოს, ტანსაცმლის გარეშე. სად გაირეცხოს, გამოხარშოს, გაიუთაოს, ჯამ-ჭურჭელი სად დაასუფთაოს!?.

მაგრამ, მაინც, ეს როდია მთავარი. მთავარია, როგორ იცხოვროს იმ ადამიანთა შორის, აქამდე რომ ორ ჯგუფად გაყოფილი ეგულებოდა დამნაშავეთა და უდანაშაულოთა სამყაროდ. დამნაშავე ნაცნობია და ერთსახოვანი, ხოლო ის? როგორია ის, ბრბოს სიჩრელეში, ამ გამუდმებულ ორომტრიალში. სად? რატომ? რისთვის? რა მიზნით? რა ჩვეულებებით? როგორ შეეგუება მათ? „ძმებო, წამიყვანეთ, გულის კარი გამიღეთ, თქვენთან მამყოფეთ“. — ჯერ, უნდოდა, ხუმრობით დაეძახა ეს სიტყვები, ძველებურად დაქიჩმაჩებულიყო, მაგრამ დასრულდა თამაში და აი, ცხოვრების პირისპირ აღმოჩნდა. ნეტა როგორ სწევს ცხოვრების ჭაპანს ხალხი, როგორია მათი ყოველდღიური ყოფა!..

სოშნინმა იფიქრა: ბაზარში შევივლი, ვაშლს ვიყიდიო, მაგრამ ჭიშკართან, ფანერისაგან გამოხერხილი ასოებით შედგენილი სიტყვების

ქვეშ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ — ტრიალებდა და გამ-
ვლელთ ფეხებში ებლანდებოდა მთვრალი დედაკაცი, სახელად ურნა.
შავი, უკბილო ჭუჭყიანი პირის გამო შეარქვეს ეს სახელი. ის ხომ
ქალი აღარ იყო, არამედ ამაზრზენი, გარიყული არსება, ღვინოსა და
სხვა საზიზღრობებს ბრმად, უგონოდ რომ ეტანებოდა. მას გააჩნდა
ოჯახი, ჰყავდა ქმარ-შვილი, ერთ დროს კულტურის სახლში, მორდა-
სოვის ახლოს, რკინიგზელთა თვითშემოქმედებითს გუნდშიც მღეროდა,
მაგრამ გადაჰყვა სმას, საზოგადოებრივად იზოლირებული შეიქმნა და
ახლა ქალაქ ვეისკის შემარცხვენელ ღირსშესანიშნაობად ქცეულა. მი-
ლიციას ხელი ჩაქნეული ჰქონდა, არც შინაგან საქმეთა სამმართველოს
მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტში იყო მისი ადგილი, ხალხი რომ „ვი-
რის აბანოსა“ და ნაძირალების ციხეს ეძახდა. გამოსაფხიზლებლიდანაც
ერეკებოდნენ და მოხუცთა თავშესაფარშიაც არ შეიძლებოდა მისი გა-
ჩერება, რადგან მხოლოდ შესახედავად ჰგავდა ბებერს. საზოგადოების
თავშეყრის ადგილებში უმსგავსოდ ეჭირა თავი, ყველას ეპოტინებოდა,
უტიფრად გამომწვევად ექცეოდა. ღამეს სხვენსა და სკამებზე ათენე-
ბდა. არც კვდებოდა, არც იყინებოდა.

აიდა, ჩემი მხიარული სიცილი
როგორ მოსწონდა ყველას...

ხრინწიანი ხმით ჩხაოდა ურნა და ჟვავით გაჟღენთილი გაციებული
სივრცე არ ითავისებდა ამ ხმას; ბუნება თითქოს ხელისკვრით იშორე-
ბდა, უკუაგდებდა თავის ჯილაგს. სოშნინმა ბაზარსა და ურნას გვერდი
აუქცია. ისევ ისე გალუმპული იყო ყველაფერი. რაღაც გამომატვინე-
ბელი სიცარიელე მოედინებოდა დედამიწაზე, ცაზე და ბოლო არ უჩ-
ანდა უღიმღამობას, უღიმღამო მიწას, უღიმღამო შუქს, უღიმღამო ნა-
ღველს... და უცებ, პლანეტის ამ უღიმღამო სასოწარკვეთაში გამოცო-
ცხლება — გაისმა ლაპარაკი, სიცილი, გზაჯვარედინზე შეშფოთებით
ავტომანქანამ დაიხრჭიალა.

ფართო, სატრანსპორტო წესებით შემოდგომით მოხაზულ ქუჩაზე,
უფრო სწორად, მშვიდობის პროსპექტის თეთრი პუნქტირებით მონიშ-
ნულ შუაგულ ხაზზე, სველი, კოხტად შეკრეჭილი კუდის დროდადრო
ტყლაშუნით, კისერმოღერებით, ნებიერად მოჭენაობდა თავაწეული,
უღელშემოვლებული წინწკლებიანი ცხენი. ცხენს გაეგებოდა მოძრაო-
ბის წესები და ნალების პაკაპუკით, თითქოს მოდის მიმდევარი ქალი
იმპორტულ ჩექმებს მოაპაკუნებსო, ზუსტად ნეიტრალურ ხაზზე
მოთამაშობდა. ცხენიცა და მისი აღკაზმულობაც საგანგებოდ იყო მო-
ვლილ-მორთული. პირუტყვი არავის და არაფერს ყურადღებას არ
აქცევდა. აუჩქარებლივ მოჭენაობდა.

სახეგაბრწყინებული, გაღიმებული მაყურებლები აბრაშს მოსიყვარულე თვალებით და მხიარული რეპლიკებით მიაცილებდნენ: „აუწყვეტია, ძუნწ პატრონს გამოქცევია“, „თავისი ფეხით მიდის, რომ საძეხვე ხორცად ჩაბარდეს“, „არა, გამოსაფხიზლებელში მიდის, იქ უფრო თბილა, ვიდრე საჯინიბოში“, „არაფერიც, ლავრია-კაზაკის მეუღლისკენ აუღია ეზი, რომ მისი ადგილსამყოფელი შეატყობინოს“.

ლაბადის საყელოში თავჩარგულ სოშნინსაც გაეღიმა, თვალი გააყოლა ცხენს. იგი ლუდის ქარხნისკენ მიდიოდა, იქ იმყოფებოდა იმისი თაელა. მისმა პატრონმა, ლუდის ქარხნის მესაზიდრე ლავრა კაზაკოვმა — გენერალ ბელოვის კორპუსის ძველგვარდიელმა, დიდების სამივე ორდენის, აგრეთვე სხვა მრავალი საბრძოლო მედლის მფლობელმა, ხალხმა რომ ლავრია-კაზაკი შეარქვა, „წერტებს“ სიტრო და სხვა უალკოჰოლო სასმელები ჩამოურიგა, ხოლო თვითონ საზონტიევის აბანოს ბუფეტში, ამ მუდმივ „წერტში“, თანამეინახეებთან ერთად სუფრას მიუჯდა, რათა საბრძოლო ლაშქრობათა მოგონებებით, ქალაქის თანამედროვე ცხოვრების წესის გაქილიკებით, ქალების ხუშტურიანსა და მამაკაცთა უხიაგ ხასიათზე ლაყბობით გულის ჭია გაეხარებინა. ცხენი კი, საცოდავ პირუტყვს ღია ცისქვეშ ყვავში რომ არ ეძიგძიგა, ლუდის ქარხანაში გაისტუმრა. ვეისკის მთელმა მილიციამ და არა მარტო მილიციამ, ვეისკის ყოველმა მაცხოვრებელმა კარგად იცოდა, სადაც ლუდის ქარხნის საზიდარი იდგა. ლავრია-კაზაკიც იქ ისვენებდა და მასლაათობდა. რაც შეეხება ცხენს, იგი განსწავლული გახლდათ, დამოუკიდებელი, და არ დაიკარგებოდა — გზას თავისით გაიგნებდა.

„თითქოს, რაღაც, სიმსუბუქე ვიგრძენი, გულზე მომეშვა, თითქოს კიდეც გამოიდარა, — გაიფიქრა სოშნინმა, — ეჰ, რაც არის, არის! ბედს ვერსად გაექცევი. გაჩნდი რუსეთის ამ დამპალ კუთხეში და სხვა რა გზაა, შეეგუო უნდა. მაგრამ გამომცემლობა? სიროკვასოვასთან შეხვედრა? სულელია! რას იზამ! ჯანდაბას მისი თავი და ტანი! დღეს იქნება თუ ხვალ, მოაძრობენ იქიდან, ისე, კაცმა რომ თქვას, არც ჩემი წიგნია დიდი ბედენა — რაც არ უნდა იყოს, პირველია, მიამიტური, ნაჯახირევი, ნაწამებ-მიმბაძველური. ამ ხუთი წლის მანძილზე კიდეც მოძველდა. აი, მომდევნო წიგნს მეტი გულისყურით დავამუშავებ. იქნებ, როგორმე უსიროკვასოვოდ გამოვცე, ან სულაც, მოსკოვში დავბეჭდო“.

სოშნინმა გასტრონომში იყიდა პური (ბატონი), ქილა ბულგარული კომპოტი, ბოთლი რძე და ქათამი, თუკი ქათამი ეთქმოდა ამ გასაცოდავებულ, თვალდავსებულ და ლურჯად გაფშეკილ არსებას. ფასი კი,

მოგეცათ ლხენა, ბატისა ჰქონდა. მაგრამ ამას მოევლება. ბოლოს და ბოლოს, ვერმიშელიან სუფს მოხარშავს, ცხლად შეხვრეპს და მერე, ამ მსუყე სადილით დანაყრებული, არქიმედის კანონის ძალით განქვრეტს ბატარეიდან წყლის წვეთების მონოტონურ წკაპუნსა, თუ, რასაკვირველია, მომართვა არ დავიწყნია, ძველი საათის ტაკატუკსა, ფანჯრის რაფაზე წვიმის კაკუნსა და ამ ხმათა აკომპანიმენტის ქვეშ, საათნახევარ-ორი საათის მანძილზე კითხვით გულს მოიჯერებს, მერე წაუძინებს და მთელ ღამეს მაგიდასთან — თხზვაში გაატარებს. თხზვაა თუ არა, ეგ სხვა საქმეა, მთავარი მაინც ის არის, რომ შენი წარმოსახვით შექმნილ სამყაროში იმყოფები.

სოშნინი ცხოვრობდა რკინიგზის დასახლების ახალი მიკრორაიონის მეშვიდე ნომერში, ხის ძველ, ორსართულიან სახლში, რომლის აღებაც დავიწყნოდათ, შემდეგ კი, სულაც სამუდამოდ, ხელუხლებლად დაეტოვებინათ, ცხელი წყლის, გაზისა და ჩასადენი მილების მაგისტრალისთვის მიეერთებინათ. სახლი ოცდაათიანი წლების მარტივი არქიტექტურული პროექტით იყო ნაგები, შიდაკიბით ორად გაყოფილი, შესასვლელში კარავივით წამახული კუთხით, რომელშიც ოდესღაც მინიანი ჩარჩო ყოფილიყო ჩასმული. ოდნავ შეყვითლებული შიდაკედლებითა და ნახშირივით შავი სახურავით სახლი მოკრძალებით იჭყიტებოდა და მორჩილად განრთხმულიყო მიწაზე ორ პანელიან ტორსებს შორის. ეს იყო აქაური ღირსშესანიშნაობა, საგზაო გეზნიშანი, მისი ბავშვობის დროინდელი სახსოვარი და კეთილი თავშესაფარი. თანამედროვე მიკრორაიონის მცხოვრებლები გზის გასაგნებად უთითებდნენ ახალჩამოსულებს და თვითონაც — ამ ხის პროლეტმშენებლობის ნიმუშს: „როგორც კი ყვითელ სახლს გვერდით ჩაუვლით“...

ძნელი სათქმელია, სოშნინს უყვარდა თუ ებრალებოდა მშობლიური სახლი — ალბათ, უყვარდა და ებრალებოდა კიდეც, რადგან იქ გაიზარდა და არც ერთ სხვა სახლს არ იცნობდა, მის გარდა არსად, თვით საერთო საცხოვრებელშიც კი არ უცხოვრია. მამამისი კავალერიის შემადგენლობაში იბრძოდა იმავე ბელოვის კორპუსში, რომელშიც ლავრია-კაზაკი მსახურობდა, ლავრია რიგითად, მამამისი კი ოცმეთაურად. მამა ომიდან არ დაბრუნებულა: მტრის ზურგში კავალერიის კორპუსის რეიდისას დაიღუპა. დედა ვეისკის სადგურის ტექნიკურ კანტორაში მსახურობდა, დიდ, ბრტყელ, ნახევრად ბნელ ოთახში, და ცხოვრობდა თავის დასთან ერთად იმავე სახლის მეორე სართულზე ნომერ მეოთხე ბინაში. ბინა შედგებოდა ორკვადრატულ მეტრიან პაწაწკუნა ოთახებისა და სამზარეულოსაგან. ერთ-ერთი პაწაწკუნა ოთახის ფანჯრები რკინიგზის ლიანდაგს გადაჰყურებდა, ხო-

ლო მეორე პაწაწკუნა ოთახის ფანჯრები — ეზოს. თავის დროზე ეს ბინა მიეცათ ახალდაქორწინებულ რკინიგზელთა ოჯახისათვის. დეიდამისი სოფლიდან ჩამოსულიყო მის მოსავლელად, მას ახსოვდა იგი და დედაზე უკეთ იცნობდა, რადგან ომის დროს კანტორის ყველა თანამშრომელი მწყობრად გამოჰყავდათ ხოლმე ხან ვაგონების დასაცლელად, ხან კოლმეურნეობაში მოსავლის ასაღებად და ამ მიზეზების გამო დედა იშვიათად იყო შინ. ომმა წელში გატეხა იგი. ომის დამთავრების წინ საშინლად გაცივდა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

დარჩნენ მარტო სოშნინი და დეიდა ლიპა, რომელსაც ლიონია შეცდომით, რატომღაც დეიდა ლინას ეძახდა. ჰოდა, ეს სახელი — ლინა — სამუდამოდ ჩაეჭედა მეხსიერებაში. დეიდა ლინა დის გზას გაჰყვა. ტექნიკურ კანტორაში მისი ადგილი დაიკავა. მათი უბნის ყველა პატიოსანი ადამიანი, მეზობლები ქალაქგარეთ გამოყოფილი კარტოფილის ნაკვეთებით შოულობდნენ სარჩოს. ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გაჰქონდათ თავი. ზოგჯერ, თუ რასმე ახალს იყიდნენ ან სადღესასწაულო წახემსება მოუწევდათ, მაშინ ხომ, თავის გატანაც ერთობ შეუძლებელი ხდებოდა. დეიდა არ თხოვდებოდა, არც ცდილობდა გათხოვებას, ხშირად იტყოდა ხოლმე: მე ლიონა მყავსო. ისე კი უყვარდა დროსტარება, სოფლურად წაქეიფება — ხმაურით, ყივილ-ხივილით, სიმღერებით და შუშპარით.

ვინ? რამ გამოცვალა ეს ყოვლად პატიოსანი, ალალი და ბეჩავი ქალი? დრომ? ადამიანებმა? თუ რაღაც ახალი დროის ჭირმა? უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ერთმაც, მეორემაც, მესამემაც, იმავე კანტორაში, იმავ სადგურზე მას ოთახის გატიხრულ ნაწილში საკუთარი მაგიდა დაუდგეს. მერმე კიდევ უფრო აიწია „საფეხურზე“ რკინიგზის ვეისკის განყოფილების კომერციულ განყოფილებაში გადაიყვანეს და დაიწყო დეიდა ლინამ ფულის, ღვინის, სურსათის ზიდვა. რაღაც უცხო, გაღიზიანებული მხიარულება დასჩემდა, სამსახურიდან შინ დაგვიანება დაიწყო. სახეს იღებავდა, ხელი მიჰყო კოკობზიკობას, პრანჭვა-გრეხვას. „ოჰ, ლიონკა! ლიონკა! ერთ:ხელაც იქნება, ჩავიძირები მე და შენც თან მომყვები! რა გეშველება მაშინ!“ კავალრებმა მოუხშირეს რეკვას. ლიონკა იღებს ყურმილს, არც კი მიესალმება, ჯიქურ მიახლის: „ვინ გინდა?“ — „ლიპა“ — სხვაგან მოხვდით. აქ ასეთი არავინ ცხოვრობს“. — „როგორ თუ არ ცხოვრობს?“ — „არა-მეთქი, გეუბნები!“ — დეიდა ყურმილს თათს უბარტყუნებს: „მე, მე მირეკავენ...“ — „აჰ, თქვენ დეიდა ლინა გნებავთ? ასე გეთქვათ, კი, ახლავე, გეთაყვა, მზად ვარ გემსახუროთ!“ და მა-

შინვე კი არა, დაყოვნებით, ჯერ დეიდას ხელს მოუჭერს და მერმე ყურმილს გადასცემს. დეიდა ყურმილს მჯიღში მოიმწყვდევს და მოგუდული ხმით ეუბნება: „რა გინდა?... რას მირეკავ? ხომ გითხარი, მერე-მეთქი, მოგვიანებით! როდის? როდის?“ ბიჭი კი იქვე დგას! ჰმ, სატირალიც არის და სასაცილოც, ერთსა და იმავე დროს! ქალს ასეთი საჩოთირო საქმეების არავითარი გამოცდილება არ გააჩნია და პირდაპირ მიახლის: „როდის და როცა ლიონიას სკოლაში გავისტუმრებ“.

ლიონია უკვე მოზრდილი ბიჭია, დიდგული, ყოყლოჩინა: „თუ ასეა, ახლავე წავალ სკოლაში. თქვი, რამდენი ხნით მიბრძანებ წასვლას და წავალ“. „კარგი, რა, ლიონია, ნუ იცი ეგრე!“ — და ლოყებშეფაკლული დეიდა ბიჭს სახეს არიდებს. — კანტორიდან მირეკავენ, შენ კი, ღმერთმა იცის, რა მოგელანდა“.

ბიჭი გამანადგურებელ მზერას სტყორცნის და ზიზღიანი დაცინვით აცამტვერებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაბნეული დეიდა ლინა მიღრეცილ ფლოსტებს დაუდევრად აქეთ-იქით მიყრი-მოყრის, ფეხს ფეხზე გადიკვანტილებს და ფეხის წვერებზე ისე ცელქად გაიწვართება, თითქოს კვანწია მეათეკლასელი იყოს, საზოგადო სატელეფონო ჯიხურში რომ შემძვრალა და პარტყალებს. თვალებს პრუწავს და ყელყელაობს... ბიჭს კი იატაკი აქვს გამოსაგველი. აიღებს ცოცხს და იატაკის დაგვას დაიწყებს და როგორც წესი, დეიდას მაინცდამაინც იმ ცოცხით ფეხებს გააწევინებს და თავის ადგილზე დააწყობინებს, ან კიდევ დაუწმენდავი, მყიფე, ჩხავანა ბანით წაიღიღინებს: „და-ა-ამშვიდდით, ნუ-უ ღელავთ, ალაგმეთ თქვენი ვნებანი“...

მთელი სიცოცხლე კეთილმა ქალმა ბიჭს შესწირა, მისთვის ცოცხლობს და ასე იოლად ახლა სხვას დაუთმოს!? აბა, როგორ! ის ხომ თანამედროვე ბიჭუნაა! ეგოისტი!

შინაგან საქმეთა საოლქო სამმართველოს შენობასთან, რომელიც მოპირკეთებულია რატომღაც კარპატებიდან შემოზიდული კერამიკული ფილებით, თუმცა, ეს სრულებითაც არ მატებს მას სილამაზეს, პირიქით, კიდევ უფრო ჩაუუქმურებია, ალუბლისფერი „ვოლგის“ კარს მთელი სიმძიმით გადმოყუდებული თვლემდა მძღოლი ვანკა სტრიგალოვი, რომელსაც ტყავის კურტაკი და კურდღლის ბეწვის ყურებიანი ქუდი ეხურა. საინტერესო ვინმე იყო ეს ვანკა: შეეძლო მთელი დღეღამეები ასე მჯდარიყო მანქანაში. არაფერსაც არ კითხულობდა. იჯდა ასე წყნარად, მანქანაში და რაღაცას თავისთვის დუნედ ფიქრობდა. სოშნინს, შემთხვევა ჰქონდა, რამდენჯერმე ყოფილიყო სათევზაოდ შინსახკომის მეეზოვე ძია პაშასთან და მის მეგობარ მოხუც არისტარხ

კაპუსტინთან ერთად, და მეთევზეები უხერხულობასაც კი გრძნობდნენ იმის გამო, რომ ეს ბაკენბარდებიანი ჯეელი კაცი მათს მოლოდინში მთელი დღე მანქანაში უძრავად იჯდა. „ვანია, წაიკითხე, შე კაცო, რამე — ჟურნალი, გაზეთი ან წიგნი“. — „იჰ, რა ხეირი ყრია ამ კითხვაში, რა ჭკუა აქვს ამაების კითხვას“. — წაიბუზღუნებს ვანია, ერთს გემრიელად დაამთქნარებს და კმაყოფილებით გაიზმორება.

ესეც ძია პაშა. გვის და გვის — ფხეკს და ფხეკს. აღარაა თოვლი, დამდნარა უკვე. ახლა წყალს მიდგომია ცოცხით და ალაყაფს იქით, ქუჩისკენ მიერეკება. გვა და მტვრევა-კაკუნი — აი, მისი მთავრის უმთავრესი საქმიანობა. იყო დრო, თავგადადებული მეთევზე და ჰოკეის გულშემატკივარი ბრძანდებოდა. მეეზოვე იმიტომ გახდა, რომ დალევა უყვარდა, მაგრამ მსმელი არ იყო და უნდოდა პენსია დაეზოგა, არ შემოფლანგვოდა და მეეზოვის ცოცხით ამ თავისი „წვრილმანი ხარჯებისათვის“ დამატებითი თანხა გაეჩინა. ხოლო რაც შეეხება პენსიას, იგი მეუღლის საიმედო ხელში ჰქონდა მიბარებული. ცოლი ანგარიშიანად, მაგრამ წუწუნ-წუწუნით აძლევდა „საკვირადღეო ხარჯისათვის“: „აჰა, შენ, პაშა, ხუთმანეთიანი, თევზაობისათვის“, „ესეც შენ, სამმანეთიანი, იმ შენი შეჩვენებული ჰოკეი-კოკეისთვის“...

შინსახკომში ჯერ კიდევ ინახავდნენ რამდენიმე ცხენს და ჰქონდათ პატარა საჯინიბო, რომელსაც განაგებდა ძია პაშას მეგობარი მოხუცი არისტარხ კაპუსტინი. მათ, ერთად, მშობლიური მილიციის ქვეშ მიწა გათხარეს ცხელი წყლის მილებამდე — თბოსადგურამდე, რომელიც შინსახკომის შენობაში გახლდათ გამოყვანილი. ამ მილებს დააჭარეს ფუნა, მიწა, ნეშომპალა; ზემოდან ფიქალი დააფარეს და ისეთი ჭიები მოამრავლეს, რომ თევზის სატყუარა მთელი წლის განმავლობაში გამოულევლად ჰქონდათ. ჭიებისთვის ყველა მათ აკითხავდა, თვით უფროსებიც ხშირად მოდიოდნენ ხოლმე თავიანთი მანქანებით. უფროსებთან მგზავრობა ძია პაშასა და არისტარხ კაპუსტინს არ უყვარდათ, მათთან ყოფნით ისევე იღლებოდნენ, როგორც ცოლებთან ურთიერთობისას ყოველდღიურ ცხოვრებაში, სურდათ, ბუნებაში სუმთლად თავისუფალი დარჩენილიყვნენ, დაესვენათ, სული მოეთქვათ, თავი დაეღწიათ ერთთაგანაც და მეორეთაგანაც — ცოლებისაგან, უფროსებისგან.

ბერიკაცები დილის ოთხ საათზე გამოვიდოდნენ ქუჩაში, დადგებოდნენ გზაჯვარედინზე, ჩამოეყრდნობოდნენ თავ-თავიანთ ძალაყინებს.. მალე მათ წინ მანქანა დამუხრუჭდებოდა — უფრო ხშირად, მუშამბით ან ფანერით გადახურულძარიანი მანქანა, რომელიც თითქოს შეიწოვდა მათ ასფალტიდან — ვიღაცის ხელები მოეხვეოდნენ ბერიკაცებს, აიტაცებდნენ და ხალხის გროვაში შეურევდნენ მათ. „ოო,

პაშა, პაშა! ოო, არისტაშა, არისტაშა! კიდევ ცოცხლები ხართ, თქვე ძველებო!“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან შეძახილები. და იმ წუთიდან მშობლიურ სტიქიაში მოხვედრილი ეს ნაცადი მეთევზეები სულითა და სხეულით შვებას ეძლეოდნენ, მოჰყვებოდნენ მასლაათს თავიანთებთან, თავ-თავიანთ საქმეებზე.

ძია პაშას მარჯვენა ხელის მტევანი თეთრი ნაიარევებით ჰქონდა დახაზული და ამ ნაიარევებს მეთევზეები და არა მხოლოდ მეთევზეები, ქალაქის მთელი დანარჩენი საზოგადოებრიობა უფრო მეტის მოწიწებით შეჰყურებდა, ვიდრე მის საბრძოლო ჭრილობებს.

ჩვეულებრივი მეთევზე, შეიძლება ითქვას, ფსიქოზითაა შეპყრობილი. აქეთ-იქით გარს უვლის წყალსაცავს, დაბორიალობს, იგინება, იწყევლება, იკრულვება, იგონებს, თუ როგორ თევზაობდნენ უწინ, გმობს პროგრესს, რომელმაც თევზი ამოწყვიტა, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, აქ რომ მოეხეტა და სხვა წყალსაცავს არ მიაკითხა.

ძია პაშა კი არ ეკუთვნის ასეთ მეთევზეთა რიცხვს. ამოიჩემებს ერთ ადგილს და მოთმინებით ელის ბუნების წყალობას. თუმცა ხელწამოსაკრავი მეთევზე როდია. რაც არ უნდა მოხდეს, ისე როგორ წახდება, ერთი ტომსიკა მაინც არ გაავსოს ნადავლით. ისეც მომხდარა, რომ მთელი ყუთი, ტომარა ან სახელოებგამოსკვნილი პერანგი გაუტენია თევზით. აი, მაშინ უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდა მთელი სამმართველო, განსაკუთრებით, დაბალი რანგის თანამშრომლები. ამზადებდნენ თევზის წვნიანს და იყო ერთი ამბავი. ძია პაშა არავის ტოვებდა უთევზოდ. უფრო ყაირათიანი, ბეხრეკი არისტარხ კაპუსტინი კი, როგორც ცოტა უფრო წუწურაქი კაცი, ნანადირევ თევზს ჯერ საშრობში გაახმობდა ხოლმე; მერმე დაიტენიდა ჯიბეებს, მიაკითხავდა საზონტიევის აბანოს ბუფეტს, ხმელ თევზს მაგიდაზე აკაკუნებდა და, ყოველთვის პოულობდა მოხალისე თანამეინახეს, რომელსაც ერთი სული ჰქონდა გემოზე გამოეწუწნა ეს მლაშე თევზი და ამ სიამოვნების საფასურად, მოხუც არისტარხ კაპუსტინს მუქთი ლუდით გამასპინძლებოდა.

ძია პაშაზე ერთ ახირებულ ამბავს ჰყვებოდნენ, რომლის გაგონებაზე თვითონაც კმაყოფილებით ეცინებოდა...

იდგა თავისთვის, თითქოს ხვრელს გაჰკვროდა, მაგრამ ყოველი გამვლელი საგანგებოდ ჩერდებოდა და ეკითხებოდა: „როგორ არის საქმე? მოდის, ხომ?“. ძია პაშა დუმდა. არ პასუხობდა, მაგრამ არა და არ ეშვებოდნენ. უცებ ვეღარ მოითმინა, პირში დაგუბებული ცოცხალი

ჭიები გამოაფურთხა და შეიკურთხა: „რა გამიჭირეთ საქმე. თქვენს ხელში კაცს მთელი სატყუარა გაეყინება!“.

მის ერთგულ მეკავშირე ბერიკაც არისტარხ კაპუსტინს კი ერთ გაზაფხულზე ძიების ყინი აეკვიატა — საღამოს „სვეტლოე ოზეროს“ ერთ-ერთმა შენაკადმა მოზრდილმა მდინარემ გადმოითქრიალა, ტბის ყინული მილეწ-მოლეწა და თავისი მღვრიე ტალღებით თევზი შიგ ტბის შუაგულში ჩამორეკა. ამბობენ, საღამოს პირზე, თითქმის სიბნელეში, მდინარეს თვით ნამდვილი ფარგაც მოაწყდა და ადგილობრივმა მეთევზეებმა მაგრად იჯერეს გულიო. მაგრამ გამთენიის ხანს მღვრიე წყლის ნაკადმა კვლავ იცვალა გეზი და თევზიც თან გაიყოლაო. „სვეტლოეს“ თხუთმეტი კმ სიგანე და სამოცდაათი კმ სიგრძე გააჩნია. ძია პაშა ბრაზობდა, თავის მეკავშირე არისტარხ კაპუსტინს ეჯუჯღუნებოდა: „ნუ ჯახირობ, ბერიკაცო, შენ სკამზე დაეტიე, თევზი თვითონ მოვაო!“ მაგრამ საქმეში ხართ? არისტარხ კაპუსტინს, რომელსაც ეშმაკი შეჯდომოდა, მისი სიტყვა გააჩერებდა? მთელს ამოდენა ტბას აქედან-იქიდან გარს ურბენდა.

შუადღე გადავიდა, ძია პაშას კი ისევ ისე გული მოსდიოდა არისტარხ კაპუსტინზე, ნეტა რას დარბისო. ანკესებს უშერდა. ონავარმა ქორჭილამ ზედიზედ რამდენჯერმე დაქაჩა ანკესის მკედი: წაეტანებოდა სატყუარა თევზს და მკედს ღრღნიდა. ძია პაშამ ყინულებში მოკაშკაშე კილიტები ჩაუშვა, სატყუარა თევზი შეათამაშა და ისევ ზედაპირზე ამოისროლა. წყალქვეშა სამყაროს მტაცებელი ონავრულად დაჰქრის გაზაფხულის ყინულებს შორის, შხეფებს ისვრის აქეთ-იქით და ლაყუჩებში ანკესის მკედის ნაწეწები გასჩრია, თითქოს მისი თავხედური ხახა ხელოვნური, ჩასმული მოკაშკაშე კბილებით დაემშვენებინათ.

ძია პაშა მკედის ნაწეწებს არ იშორებს: დე, ახსოვდეს ამ ოინბაზს, რა მოელის ღარიბ მეთევზეთა გაჩანაგებისათვის!

შუადღით, გარინდებული მონასტრის ალაყაფიდან, მისი ჩაქანგებული, მაგრამ მარად უკვდავი კოშკურებიდან, რომლის შესასვლელში გაკეთებულია უბრალო წარწერა: „სკოლა-ინტერნატი“, ტბასთან გამოლასლასდა ორი ბიჭუნა — ანტონი და სანკა, პირველი — ათი, მეორე, ასე თერთმეტი წლისა. „ბოლო გაკვეთილი მიატოვეს“. — გაიფიქრა ძია პაშამ, მაგრამ როდი გაკიცხა ბავშვები. — არა უშავს რა, მოესწრებიან სწავლას, კიდევ დიდხანს ივლიან სკოლაში, იქნებ, სულაც მთელი ცხოვრება! გაზაფხულის თევზაობა კი დიდი ზეიმია. ისე ჩაგივლის, მერე ვეღარც კი შეამჩნევ. მართლაც დიდი დრამის მოწმენი გახდნენ ძია პაშასთან ერთად ეს ყმაწვილები. ის იყო ანკესებს შემო-

უსხდნენ, რომ ერთ მათგანს ანკესიდან დაუსხლტა უშველებელი თევზი. სწორედ უმცროსს გაექცა თევზი და ტირილი ვერ შეიკავა. „არა უშავს, არა უშავს, ბიჭუნა, — დაძაბული ჩურჩულით ამშვიდებდა მას ძია პაშა, — სად წაგვივა, ბოლოს მაინც ჩვენი იქნება, აჰა, შენ, კანფეტი და ესეც — ჩვენს ქალაქში დამზადებული ხაშხაშიანი კრენდელი“.

ძია პაშა წინასწარ გრძნობდა ყველაფერს და ანგარიშობდა: ნაშუადღევს, მღვრიე წყალში, სადაც ტბის ბინადარი ცქიმურები პლანკტონით იკვებებიან და აგრეთვე სხვა წვრილმანი თევზუკებიც ეტანებიან მას, მდინარე კიდევ უფრო შორს გადაიწევს ტბაში, თან გაიყოლებს ლექსა და დურდოს და ნაპირთან მოაცურებს მსხვილ-მსხვილ „მტაცებლებს“. მეთევზეთა გუნდები გრუხუნით ურტყამენ ყინულზე ძალაყინებს, ჩაქუჩებით აბრაგუნებენ, გარემიდამოს ხმამაღალი ლანძღვა-გინებით აყრუებენ, და მშიშარა და მგრძნობიარე თევზუკები, აბა, როგორ გაუძლებენ ასეთ ხმაურს; ისინი „ნეიტრალურ ზონას“ აფარებენ თავს. ეს ნიშნავს, რომ ისინი მოგროვდებიან სწორედ აქ, ამ ადგილზე, სადაც ძია პაშა, ინტერნატელ ბიჭუნებთან ერთად, ალიონიდან მოთმინებით ელის მათ და ფიქრობს დიდ-დიდი თევზები თავისით მოცურდებიანო.

ეს სტრატეგიული გაანგარიშება საკვლევით მართლდება, მისი მოთმინება, თავმდაბლობა და წესიერი გამოთქმები დაჯილდოვებულია: სამი თითო კილოგრამიანი ფარგა უკვე ნაპირზე გდია და თავიანთი სპილენძისფერი გუგები მწუხრად მიუშვერიათ ცისკენ. მაგრამ ორმა მათგანმა, რა თქმა უნდა, უფრო დიდმა და ღონიერმა ფარგამ თავი აიშვა ანკესიდან. ძია პაშას უშურველ გულს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა ნორჩი მეთევზეების — ანტონისა და სანკას წარმატება: მათაც ორ-ორი ფარგა ერგოთ ნადავლად, არ უმტყუნათ თოფის ჰილზებიდან დაბოქლონებულმა უბრალო კილიტებმა. უმცროსი ბიჭუნა იცინოდა, ხტოდა, ჭახჭახებდა, წამდაუწუმ იძახდა, როგორ მოეჭიდა თევზი ანკესს, არის! ოჰ-ოჰ, როგორ ეწევაო! გულაჩუყებული ძია პაშა ამხნევებდა მას: „ხომ გეუბნებოდი, მოვა-მეთქი! შენ კი ზლუქუნი ამოუშვი! ასეა ეს ცხოვრება, შვილოსან: თევზი ანკესს ხან წამოეგება, ხან არა!“

და აი, სწორედ ამ წუთს მოხდა ყოვლად გაუთვალისწინებელი გმირული მოვლენა, რომელმაც შესძრა არა მარტო იქ, ტბაზე მყოფი მეთევზეები, არამედ მთელი ტბისპირეთის მოსახლეობა და თვით ქ. ვეისკის მკვიდრნი.

თვით სატანის მიერ შეპყრობილი თუ მეთევზეთა ალქაჯზე გადამჯდარი პაშა ერთ ადგილზე ვეღარ დადგა, ძალაყინის ბრახუნით თავ-

მობეზრებულმა ბიჭებთან გადაინაცვლა და მათთან ერთად, ძალაყინით გახვრეტილ ყინულის ლოდზე მოკალათდა. ის იყო, ჩაუშვა თავისი სახელგანთქმული კილიტა, რომ უცებ ძლიერი წყალქვეშა დარტყმა იგრძნო, შემდეგ მძლავრად შეაჯანჯღარა და ისე შეარყია, რომ ეგოდენ ცნობილმა მეთევზემ ძლივს მოახერხა თავის შეკავება და ანკესის შემაგრება. დიახ, მძლავრმა წყალქვეშა დარტყმამ მეთევზე დააბზრიალა და თავის ანკესთან ერთად ყინულის ლოდებით სავსე ტბის ტალღებში კინაღამ გადაითრია.

დიახ, უზარმაზარი ფარგა, მოგვიანებით, აფთიაქის სასწორზე რომ აწონეს და ზუსტად შვიდი კილოგრამი და 57 გრამი გამოვიდა, თოშების ღრმულში გახირულიყო, ძია პაშამ მუცელზე ზღართანი მოადინა, ყინულის ლოდებში ხელები ჩაჰყო და ვეება თევზს ლაყუჩებში ჩაებღაუჭა. „დასცხეთ!“ — შესძახა ბიჭებს და თავის ძალაყინზე ანიშნა. უფროსი ბიჭი გადახტა, დაავლო ხელი ძალაყინს, მოუქნია და ძალაყინი ჰაერშივე გაუშეშდა: „როგორ თუ დავცხო? მერე... ხელები?.“ მაშინ გამოწრთობილმა ფრონტელმა ცოფიანივით თვალები გადაუბრიალა და დაიღმუვლა: „როგორ ურტყამენ ომში?“... და საცოდავმა ბიჭმა, რომელიც უკვე ოფლში გაიწუწა, გააფთრებით დასცხო ძალაყინი.

მალე ყინულის ლოდი სისხლის წითელი ძაფებით დაიხაზა. „მარჯვნივ! მარცხნივ! თავში! შუბლზე! მკედი არ გაგიწყდეს, ფრთხილად!“ — ისმოდა ძია პაშას განკარგულებები. სისხლის ტბორში ცურავდა, როცა ძია პაშამ ეს უშველებელი თევზი წყლიდან ამოათრია და მისი აწ უკვე უსიცოცხლო სხეული ყინულიდან ნაპირზე ამოაგდო. უმალ რევმატიზმით მოკრუნჩხული ფეხებით წიხლი გაჰკრა და დავლური ჩამოუარა. მაგრამ მალე გამოერკვა და კბილის კაწკაწით ყუთში გადაუძახა. შემდეგ ბიჭებს არყიანი მათარა მიაჩეჩა ხელში და უბრძანა, გრძნობადაკარგული ხელი დაეზილათ მისთვის, ჭრილობები დაეამებინათ.

შინსახკომის ეზოში ორი დღე არ შეწყვეტილა დემონსტრაცია, რომლის ყურადღების ცენტრში გახლდათ დაბანდული ძია პაშა. იგი ხელებს ასავსავებდა, კანკალებდა, ყვიროდა, ხტოდა, მღეროდა. სოშნინი, რომელიც ამ სურათს ფანჯრიდან უყურებდა, გულწრფელად ნანობდა, რომ არ იცოდა, როგორ მოეხმარა კინოკამერა, რათა ეს დიდებული სანახაობა სამუდამოდ აღებეჭდა.

მესამე დღეს შინსახკომის სამეურნეო ნაწილის უფროსმა ძია პაშა სანიტარულ სამმართველოში გაგზავნა, სადაც მეთევზეს ბიულეტენი გაუფორმეს დიაგნოზით: „ყოფითი ტრავმა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიულეტენს არ აუნაზღაურებდნენ. ამან კი, მილიციის თანამ-

შრომლებში, გმირის დასაცავად, მთელი ალიაქოთი გამოიწვია. გაუთავებლად რეკავდნენ სანიტსამმართველოში, საოლქო ჯანსახკომში. და ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სამართალმა პური ჭამა: „საყოფაცხოვრებო“ ტრავმა „საბრძოლოდ“ გადაუკეთეს.

კომერციული განყოფილების თანამშრომლები ერთი ხელის მოსმით დააპატიმრეს და გაასამართლეს. დეიდა ლინამ თავი მოიწამლა, მაგრამ უშველეს და გასამართლების შემდგომ შრომაგასწორების ბანაკში გაგზავნეს. მართალია, სასჯელის ვადა არ მისცეს, მაგრამ ტანჯვა და სირცხვილი ბევრი გამოიარა როგორც მან, ისე ლიონიამ. სოშნინი ამ დროს უკვე შინსახკომის სპეცსკოლის მოსწავლე იყო. დეიდამ თავისი გაიტანა: „უფასო ჩაცმა-დახურვა, უფასო კვება, სამართლიანობის სადარაჯოზე ყოფნა, სიფხიზლე და მუშაობა. აბა, რა სჯობია ამას?“ გრძნობდა, ეტყობა, — მიხვდა ბოლოს სოშნინი, — რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და უნდოდა ბიჭი რაც შეიძლება მკვიდრად მოწყობილი დაეტოვებინა. სოშნინი კინაღამ გააძევეს სასწავლებლიდან, მაგრამ კანტორის მოსამსახურეებმა, მეშვიდე და მეზობელი სახლების მცხოვრებლებმა, რომელთა თვალწინ ბიჭი გაიზარდა და რაც მთავარია, მამამისის თანაპოლკელმა და მეგობარმა ლავრია-კაზაკმა უშუამდგომლეს, მხარში ამოუდგნენ. ლავრია-კაზაკმა საგანგებოდ თმა გაიკეთა, გაიპარსა, ოდეკალონი შეისხურა, ახალ კოსტიუმში გამოეწყო, მოირთო, მოიკაზმა, დიდებისა და სხვა ორდენებით მკერდი დაიმშვენა, შტიბლეტები გააკრიალა და ასე პარადულად გამოწყობილი ეახლა შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსს, რომელთანაც ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა.

ამის შემდეგ ლავრია-კაზაკმა შეაბა თავისი ერთგული ცხენი და ლიონიასთან ერთად „ტორფზე“ გაემგზავრნენ, ლინას ამბის შესატყობად.

ქალი მუხლებზე დაემხო მებრძოლი ფრონტელის წინაშე, იტირა, იქვითინა, ივიშვიშა, ხოლო დისწულმა, საზოგადოებრივი წესრიგის ამ მომავალმა დამცველმა, სახე მიიბრუნა, მსხვილ-მსხვილ კურცხლებს ყლაპავდა ჩუმად და გულში მტკიცე ფიცს სდებდა, რომ მთელ ცხოვრებას შესწირავდა დამნაშავეობასთან ბრძოლას, განსაკუთრებით, მაცთუნებლების მხილებას, ყოვლად უდანაშაულო, გულუბრყვილო ადამიანებს რომ თავგზას უბნევენ და სულს უშხამავენ.

დეიდა ლინა ამნისტიით გაანთავისუფლეს. ქიმწმენდაში დაიწყო მუშაობა. შინ თეთრეულის რეცხვით პურის ფულს შოულობდა. კუთხე-კუთხე იმალებოდა, რომ არავის დაენახა. დღისით საერთოდ არ ჩნდებოდა ხალხში, ჩურჩულით ლაპარაკობდა და როცა მოკვდა, ლიონიას მოეჩვენა, რომ იგი შინაურებსაც თვალს არიდებდა და ქიმიკა-

ტებითა და საპნით დაშმულ ხელებსაც ნახმარ, მაქმანებიან შავ წამოსასხამში ფარავდა.

დეიდა ლინა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სოშნინმა რომ სპეცსკოლა დაამთავრა და უბნის ინსპექტორად გაამწესეს შორეული ხაილოვსკის რაიონში, სადაც ცოლიც მოიყვანა.

დეიდა ლინა ცოტათი მაინც მოესწრო ლიონიას მოწყობა-დაოჯახებას. მისი პატარა სვეტას მოვლა-პატრონობას, რომელსაც შვილიშვილად თვლიდა და გარდაცვალების წინ სულ იმას დარდობდა, რომ ვერ მოასწრო ბალღი სასკოლო ასაკამდე მაინც მიეყვანა, ჯერ კიდევ მაგრად ვერ დააყენა ფეხზე, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ცოტა, ძალიან ცოტა სამსახური გაუწია.

ეჰ, ეს ყმაწვილი გმირები... კარგი იქნებოდა, მათთვის ყველაზე უფრო ჰუმანურ კონსტიტუციაში პატარა შესწორების შეტანა; ცალკე ბრძანებულება დაეშვათ მათი გაჯოხვის გამო: ყმაწვილ კაცს, საჯაროდ, ფართო მოედნის შუაგულში ყმაწვილი ქალი გაროზგავდა და პირიქით: ყმაწვილ ქალს გაროზგავდა ყმაწვილი კაცი...

ლინას გარდაცვალების შემდგომ სოშნინის პატარა, და ჯერ კიდევ შეუკავშირებელი ოჯახი გადავიდა არანაკლებ საიმედო დეიდა გრანიას, გვარად მეზენცოვას, მფარველობაში, რომელიც სოშნინს სულაც არ ერგებოდა დეიდად, მაგრამ იგი ითვლებოდა რკინიგზისპირად მცხოვრები ყველა ჩაგრულისა და ობლის გულშემატკივრად, ნათესავად, ვინც კი მეთვალყურეობას, თანაგრძნობას და შრომითს მოწყობას ითხოვდა.

დეიდა გრანია მეისრედ მუშაობდა სამანევრო გორაკსა და მის მიმდებარე ლიანდაგებზე; მეისრის ჯიხური თითქმის რკინიგზის სადგურის გასასვლელთან იდგა — მის უკანა მხარეზე. აქ იყო აშენებული და შემდეგ დიდი ხნის მიტოვებული ჩიხი ორი ხის ტუმბოთი, რომელიც ჟალტამსა და შამბნარს დაეფარა, იქვე ეყარა რამდენიმე დაჟახგული მსხვილი ბორბალი, ორღერძიანი ვაგონის ჩონჩხი, ოდესღაც ვიღაცის მიერ დაშტაბელებული, დაუხერხავი ხე-ტყე, რომელსაც დეიდა გრანია გულმოდგინედ დარაჯობდა, სანამ სულ არ დალპა და ამაოდ ელოდა პატრონის გამოცხადებას... დალპობის შემდეგ თავის პატარა ხერხუნათი პატარ-პატარა ნამორებს ხერხავდა. ბავშვები ჯოგ-ჯოგად დაეხეტებოდნენ მეისრის საგუშაგოს ირგვლივ, ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ამ ნამორებზე და რკინიგზობანას თამაშობდნენ.

დეიდა გრანია, რომელსაც არასოდეს საკუთარი შვილი არ ჰყოლია, და არც ბავშვის აღზრდის მეცნიერული უნარით გახლდათ დაჯილდოებული, საერთო სიყვარულით სარგებლობდა, რადგან გულით უყვარდა ბავშვები და გამორჩევით არავის ეპყრობოდა, არავის სცემდა, არც

არავის ლანძღავდა. ბავშვებს, როგორც დიდებს, ისე ექცეოდა, უნარი ჰქონდა, გამოეცნო მათი ავ-კარგი. მოეთვინიერებინა მათი ხასიათი, ჩაენერგა კეთილი ჩვევები, წესიერება და ამისთვის არ სჭირდებოდა არავითარი განსაკუთრებული ტალანტი; ბავშვებს ხალისით გადაჰქონ-გადმოჰქონდათ სალიანდაგო ყავარჯნები, აგებდნენ შპალებს, ჩიხებში მოუჭერდნენ ან მოუშვებდნენ ქანჩებს და მერე ფოცხით მოასწორებ-დნენ ხოლმე ლიანდაგის მიწაყრილს. „მოძრაობის მსახურნი“ სარკი-ნიგზო ალმებს აფრიალებდნენ, საყვირში ჩასძახებდნენ, ეხმარებოდ-ნენ დეიდა გრანიას ისრის ბალანსირის გადაგდებაში, სამუხრუჭე ბუ-ნიკების მოთრევა-დადგმაში, რკინიგზის ინვენტარის აღრიცხვაში... ჯი-ხურის გარშემო მიწას აფხვიერებდნენ, ზაფხულობით იქ რგავდნენ და რწყავდნენ ფრჩხილისოდენა ყვავილებს, ალისფერ ყაყაჩოებს და სი-ცხე-სიცივის ამტან ზიზილებს. სულ პაწაწკინტელა ბალღებს, რომლე-ბიც ჯერ კიდევ ჩვრებს ასველებდნენ და არ შეეძლოთ დამორჩილე-ბოდნენ რკინიგზის მკაცრ დისციპლინას და შრომას, დეიდა გრანია სამუშაოზე არ ღებულობდა, არ ჰქონდა ჯიხურში საამისო პირობები და იმიტომ.

დეიდა გრანიას ქმარი ჩიჩა მეზენცევი (საიდან და როგორ წარმო-იშვა ეგ სახელი — ჩიჩა — სოშნინს დღემდე ვერასგზით ვერ გაეგო) მეცეცხლურად მუშაობდა რკინიგზელთა კულტურის სახლში და სა-ცეცხლფარეშოდან მხოლოდ რევოლუციური ზეიმების, შობა-აღდგო-მისა და ამაღლების დღესასწაულებში ამოდიოდა; რადგანაც სწორედ ამაღლების რომელიღაც დღეს გახლდათ დაბადებული. დეიდა გრანია, დღეგამოშვებით მუშაობდა თორმეტ-თორმეტ საათს კვირის ბოლოს ორი გამოსასვლელი დღით, როგორც მოძრაობის მუშაკი, მაშასადამე, როგორც რკინიგზის პასუხისმგებელი მუშაკი. ქმართან საცეცხლფა-რეშოში დღე-ღამეში ერთხელ საჭმელი და ნახევარი ლიტრა არაყი მიჰქონდა.

ქ. ვეისკში გავრცელებული იყო ანეკდოტი ისევ იმ ლავარია-კაზა-კის მიერ: თითქოს, ჩიჩა ისე გამეცეცხლურდა, რომ ზამთარ-ზაფხული ერთმანეთში ერეოდა და თურმე ერთ პაპანაქება დღეს ადგილობრი-ვი კულტურის სახლის თვითმოქმედი ბალეტის დელეგაციამ ჩააკითხა საცეცხლფარეშოში, უთხრეს: „ჩიჩა! იცი თუ არა შენ, რომელი თვეა ?არეთ?“ „თებრალია, ხომ?“ — უპასუხნია ჩიჩას. „რის თებრალი, ძმაო, ივნისი თავდება, ივნისი მიიწურა უკვე, შენ კი ლამის შეგვწვა და მოგვხრაკო. გაიგე, ადამიანო პარტნიორები ხელში გვადნებიან“.

ლიონია, როგორც რკინიგზის დასახლების ყველა სხვა ბავშვი, მე-მანქანეობაზე ოცნებობდა, — ძმაკაცებთან ერთად კარტოფილის ნამცხ-ვარს მიირთმევდა, — ზეღ „მწარე ვაშლს“ ანუ მარილმოყრილ ხახვს

აყოლებდა, იაფფასიან მაყვლის ჩაის პირდაპირ დეიდა გრანიას სპილენძის ჩაიდნის ტუჩიდან ხვრეპდა. ერთობ მოსწონდა ჩაიდნის ტუჩიდან ამდაგვარი ხვრეპა და ეს ჩვეულება, სხვათა შორის, დღემდე შემორჩა, რის გამოც ოჯახში ხშირად უსიამოვნებაც მოსვლია.

დადგა ჯერი და რკინიგზის კულტურის სახლის ბატარეებიც გაციცდა. მილი, რომელიც კულტურისა და დასვენების პარკის შემოგარენს შავი კვამლით ავსებდა, მკაფიოდ გამოიკვეთა კულტურის სახლის კირით შეთეთრებული უკანა კედლის ფონზე; თავისმომჭრელად გამოიყურებოდა შენობის უკანა მხარე, თითქოს შრომისგან ჩონჩხად ქცეული ქალი სოჭის პლაჟზე ურცხვად გატიტვლებულაო. ირგვლივ რაღაც დაირღვა. ქ. ვეისკის პეიზაჟს რაღაც ძლიერ დამახასიათებელი დეტალი დააკლდა, მილიდან ამომავალი კვამლი ნელნელა დაწვრილდა და ბოლოს სულ გაქრა. ჩიჩა დაიწერიტა, დაეცა „საბრძოლო საგუშაგოზე", როგორც იუწყებოდა რკინიგზელთა გაზეთ „სტალინურ საგზურში" გამოქვეყნებული ცნობა, სათაურით „თავდადებული მუშაკი". ამ ცნობიდან ხალხმა შეიტყო, რომ ჩიჩა ოდესღაც წითელი პარტიზანი ყოფილიყო, საბრძოლო ორდენი და ცეცხლსაფარეშოში შრომითი წარჩინებისათვის „შრომის დამკვრელის" სამკერდე ნიშანი ჰქონდა მიღებული. ჩიჩას დასაფლავების შემდეგ დეიდა გრანია, თითქოს, ერთთავად მთვლემარე მდგომარეობაშიაო, ლასლასით დადიოდა, სპეცტანსაცმლის ჭუჭყიანი ფეხსაცმელები ეცვა. გადმოკარკლულ თვალებზე, რომლებშიც გუგები აღარც შეიმჩნეოდა, სოფლური თავსაფარი ჰქონდა ჩამოფხატული, რაც სარკინიგზო წესღებით, ყოვლად დაუშვებლად ითვლებოდა. მემანქანეები, მატარებელთა შემდგენლები, მიმბმელები და კონდუქტორები თითქოს თვალს ხუჭავდნენ ამაზე და ადამიანური მწუხარებისადმი რიდით, უშენიშვნოდ ტოვებდნენ წესის ამ დარღვევას. ნათქვამია, უიღბლო კაცს ქვა აღმართში მოეწევაო და, ერთ საბედისწერო დღეს, სამანევრო გორაკის პლატფორმაზე მოულოდნელად მოწყდა ცუდად დამაგრებული საგვერდული და დეიდა გრანიას მოხვდა თავში. ნეტა დაენახა და გაეგონა იმ ლოთსა და დოყლაპიას, ასე უნდილად რომ დაუმაგრებია მავთულით ხის მასალა პლატფორმაზე, რა წიოკი ჰქონდათ ბავშვებს ვეისკის საგზურის ამ მიყრუებულ ჩიხში; თავისი თვალით დაენახა ნეტა საბავშვო ბაღის ასაკის ყმაწვილთა თავგანწირულება, რომლებიც ცდილობდნენ როგორმე ამოეთრიათ ლიანდაგებს შორის გახირული ეს თავგასისხლიანებული ქალი; ეს რომ დაენახა, მაშინ ხომ მთელ თავის ცხოვრებას მონანიებაში გაატარებდა, თვითონაც წესიერად შეასრულებდა თავის მოვალეობას. და სხვებსაც დაარიგებდა, ნორმალურად ემუშავათ.

დასახიჩრებული გამოეწერა დეიდა გრანია საავადმყოფოდან. კისერი, ქათამივით, განზე გაშეშებოდა, მხეღეველობა გაორებოდა და ყველაფერი დაფანტულ-აალებულად ეჩვენებოდა. ცხადია, რკინიგზაზე მუშაობისთვის, ისიც, ყველაზე საპასუხისმგებლო მოძრაობის უბანზე, გამოუსადეგარი გამხდარიყო. ქმრისგან დანატოვარი დანაზოგით, რომელიც თავის ხელფასს არაფერზე ხარჯავდა, დეიდა გრანიამ რკინიგზის დაბაში პატარა სახლი იყიდა ეზოში მინაშენით. სახლი, რომლისთვისაც დეიდა გრანიას დიდი ხანია თვალი დაედგა, ჩიხის დასაწყისშივე იმყოფებოდა, სადაც ოდესღაც თვითონ მუშაობდა და ეკუთვნოდა სადგურის ხუროს, რომელიც ოცნებობდა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა იქაურობას და წასულიყო ოქროს საბადოებზე. თუნღაც მაგადანში.

დეიდა გრანიას სახლს მალე დაეტყო გამოცოცხლება: აქ გაჩნდნენ ლიანდაგზე კუდწაწყვეტილი ძაღლი ვარკა, ფრთებდალეწილი ყვავი მართა, თვალებამოცვენილი მამალი უნდერი და უკუდოდ დარჩენილი კატა ულკა.

სწორედ ომის წინა დღეებში დეიდა გრანიამ თავისი მშობლიური ვიატკის ოლქის სოფლიდან ვაგონით უშობელი ჩამოიყვანა და სთხოვა თავისი მეგობრის დისწულს, ულიმღამო, საშინაო ლექსების მთხზველს, ამ ყოვლად სიმპათიური პირუტყვისათვის რაიმე შესაფერისი სახელი დაერქმია. რკინიგზის დაბის ვიგინდარას თავში ხეირიანი სახელი არ მოსდიოდა, სულ რაღაც შეუფერებელი და უწმაწური აგონდებოდა, რის გამოც, ბოლოს და ბოლოს, უშობელს ისევ თავისი მშობლიური სოფლის სახელწოდება შერჩა: ვარაკუშკა. ამ სახელით გადავიდა ხბო ძროხობაში და ასე განვლო თავისი წილხვედრი შინაარსიანი ცხოვრება.

ომის მძიმე დღეები დეიდა ირანიას ამ ძროხამ გაატანინა. დილიდან საღამომდე სახერხიდან მოჰქონდა ხოლმე ტილოს ნაჭერში გამოკრული ყვითელი ნახერხი უშობლის საგებლად, რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით ჟალტამს აგროვებდა, მდინარე ვეისკის ნაპირზე ბალახს გლეჯდა. არავითარი სათიბი, რასაკვირველია, მას არ ჰქონია, მაგრამ ამ გზით მაინც მოახერხა პირუტყვისათვის საკმაო თივის მოპარაგება. მისი ვარაკუშკა ყოველთვის კეთილსინდისიერად იწველებოდა. პატრონს ალერსიანად ეპყრობოდა, თიფქოს ყველაფერი ესმოდა. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, ნამდვილი პატრიოტული ძროხა იყო. ნაწველის დიდ ნაწილს დეიდა გრანია მეზობელ ჰოსპიტალს აბარებდა დაჭრილებისათვის, დანარჩენს ბალღებს ასმევდა, რომლებიც ახლა ჯიხურში კი არა, მის სახლში გროვდებოდნენ ხოლმე: დეიდა გრანიას რძისთვის აკითხავდნენ აგრეთვე მეზობელი რკინიგზელე-

ბი და ევაკუირებულნი. ამ გზით ნაშოვნი ფულით დეიდა გრანია წიგნაკით კუთვნილ პურს ყიდულობდა ან მეზობელ კოლმეურნეობაში ნამჯას იძენდა, ძროხისთვის სარწყულებელი ან საბელი მოჰქონდა. ვარაკუშკას ხბო როცა ისე წამოიზარდა, რომ შესაძლებელი იყო დედისგან მისი მოშორება, დეიდა გრანიას თოკგამობმული ცხოველი ჰოსპიტალში მიჰყავდა. ომის შემდეგ როცა ჰოსპიტალი დაიხურა, რძე ერთხანს საავადმყოფოში მიჰქონდა, ბოლოს ძროხაც იქ მიიყვანა და ჩააბარა. — ფეხები აღარ ემორჩილებოდა, ხელებზე ძარღვები დაებერა, უღალატა ძალ-ღონემ დეიდა გრანიას და ის დროც დადგა, როცა თვითონაც რკინიგზის საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. ცოტა სული მოიბრუნა თუ არა, დეიდა გრანიამ ხელი მიპყო საპირფარეშოებისა და დერეფნების მოვლა-დასუფთავებას, საავადმყოფოს თეთრეულის რეცხვა-დაუთავებას და ბოლოს დარჩა კიდეც საავადმყოფოში, ბავშვთა განყოფილებაში, მომვლელად. როდის და ვის მიჰყიდა თავისი სახლი, ჩიხის დასაწყისში, თუ, სადგურის სამანევრო მოედნის გაფართოებასთან დაკავშირებით დაანგრიეს იგი, ლეონიდმა აღარ იცოდა — ამ დროს ის უკვე ხაილოვსკში მსახურობდა, გატაცებული იყო თავისი საქმით, სპორტით, ქალით, და დეიდა გრანია სრულებით აღარ ახსოვდა.

მეორე თავი

ერთხელ, ეს იყო მას შემდეგ, რაც ხაილოვსკიდან დაბრუნდა, სოშნინი მილიციის განრიგთან ერთად, რკინიგზის ხიდს გუშაგობდა, სადაც. რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით, სახალხო სეირნობა ტარდებოდა. ამ სეირნობის დღეებში ან როგორც იქ უწოდებდნენ „პიტნიკებში“ (უნდა გავიგოთ, როგორც „პიკნიკი“) მოსეირნენი აჭუჭყიანებდნენ ქალაქის შემოგარენის მოთიბულ მდელოებს, გადაყვითლებულ ტირიფნარს, წითლად აღაღანებულ შოთხვებსა და ბუჩქნარებს, თვალთათვის გასახარად რომ მოეხავერდებინათ მდ. ვეისკის ძველი ნაკალაპოტარი, აბინძურებდნენ მდინარისპირა ბუჩქნარებს, ჭრიდნენ, ამტვრევდნენ ახლომახლო ხეებსა და კოცონებად ანთებდნენ; ზოგჯერაც, ალბათ, აგზნებული აზრის წყალობით, ააბრიალებდნენ თივის ძნებს და ცეცხლის ალით ტკბებოდნენ. გარშემო ყრიდნენ ქილებს, ათასნაირ ჩვრებს, დამტვრეულ მინებს, ანაჯვიანებდნენ ქაღალდით. სახვევი კილიტებით, პოლიეთილენით, ერთი სიტყვით, იქაურობა წარმოადგენდა „ბუნების წიაღში“ კულტურულ-მასობრივი თარეშის ჩვეულებრივ სურათს.

სოშნინის მორიგეობას ცუდი პირი არ უჩანდა, სხვა, ვთქვათ, მეტალურგთა ან შახტიორთა მხიარულ რაზმებთან შედარებით, რკინიგზელები, რომლებმაც დიდი ხანია იცოდნენ თავიანთი მაღალღირსების ფასი, უფრო თავშეკავებულად იქცეოდნენ, ოჯახებად სეირნობდნენ და თუ რომელიმე ცხვირს აიბზეკდა და თავის მოვალეობას დაივიწყებდა, უმალ დააშოშმინებდნენ, აზრზე მოიყვანდნენ და მილიციას დაუმალავდნენ, რათა გამოსაფხიზლებელში არ ამოეყო თავი.

უცებ, სად იყო, სად არა, მახლობელი ტბისპირა ბუჩქნარიდან გამოვიდა ქალი, რომელსაც დაგლეჯილი ჩითის კაბა ეცვა, თავსაფრის ბოლოებში გამონასკვულ აქვიტს მოათრევდა, თმა გასჩეჩოდა, შუბლზე ჩამოსწეწოდა, წინდები კოჭებამდე ჩამოსჩაჩოდა, ტილოს ფეხსაცმელები ერთნაირად ტალახში ამოსვროდა და თვითონ ქალიც, რომელიც რაღაცით ნაცნობი ჩანდა, თავით ბოლომდე მწვანე ლაფში იყო ამოგანგლული.

— დეიდა გრანია, — მივარდა ლეონიდი, — რა დღეში ხარ? ეს რა მოგსვლია, მითხარი.

დეიდა გრანია მიწას დაასკდა და ხელები შემოხვია ლეონიდის ჩექმებს.

— უიმე, სირცხვილო, მოჯაყვავ, თავის მოჭრავ, ეს რა დამემართა!

— რა იყო, თქვი, რა ამბავია შენს თავს, რა მოხდა? — უკვე ხვდებოდა, რაშიც უნდა ყოფილიყო საქმე, მაგრამ დაჯერება მაინც უჭირდა და ანჯღრევდა დეიდა გრანიას სოშნინი.

დეიდა გრანია აქვიტზე ჩამოჯდა. მიიხედ-მოიხედა, შემოფლეთილი კაბა მკერდზე შემოიხვეტა, ჩამოჩაჩული წინდები მუხლებზე აიწია, და აქეთ-იქით თვალისცეცებით, ყოველგვარი ღრიალისა და ყვირილის გარეშე. როგორც თავის ტანჯვასთან დიდი ხნით შეგუებულმა ადამიანმა, დახშული ხმით წარმოთქვა:

— აი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, რა მიყვეს, არ ვიცი, რისთვის, თავს ლაფი დამასხეს, გამაუპატიურეს.

— ვინ? სად? — თითქოს ხმა წაუვიდაო, გაოგნებით, ჩურჩულით იკითხა სოშნინმა. — ვინ-მეთქი? სად? — ამოიკვნესა, შებარბაცდა, ადგილს მოწყდა და ბუჩქნარისაკენ გაიქცა, გზადაგზა რევოლვერის ბუდეს იხსნიდა. — დაგხვრეტთ! გაგჟუჟავთ!

თანამეწყვილე პატრული სირბილით წამოეწია სოშნინს, რის ვაივაგლახით გამოგლიჯა ხელიდან რევოლვერი, რომლის ჩახმახზე შეყენება მოდუნებული თითებით ვერასგზით ვერ მოეხერხებინა.

— რა მოგივიდა, ადამიანო? რა იყო, რა ამბავია, თქვი!

მცენარეულით დაფარულ, ლაფით ამტუტებულ მდინარის ნაკალაპოტარში, მიმტვრეულ-მომტვრეული და გადაჯეგილი მოცხარის ბუჩ-

ქებს შორის, რომლებზედაც შავ-შავად ლაპლაპებდნენ ჯერ კიდევ უმწიფარი ნაყოფები, ასე რომ წააგავდნენ დეიდა გრანიას თვალებს, ერთიერთმანეთზე გადაჭდობილ ოთხ ჯეელს ეძინა. იქვე, ტალახში ჩაზელილი დეიდა გრანიას ცხვირსახოცის აშია ამოჩრილიყო — იგი, ცხვირსახოცი, სოფელში გატარებული სიყმაწვილის დროიდან, მასაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც დეიდა ლინას — კავიანი, მუდამ ერთნაირ ლურჯარშიამოვლებული.

შემდეგ არც ერთს აღარ შეეძლო გაეხსენებინა, სად იყვნენ, ვისთან ერთად დალიეს, რა ჩაიდინეს, სად შეემთხვათ ეს ამბავი: ვისთან დალიეს, რას აკეთებდნენ? გამოძიებაზე ოთხივე ხმამაღლა ზლუქუნებდა, გვაპატიეთო, იხვეწებოდნენ. ოთხივე ერთად ქვითინებდა, როდესაც რკინიგზის რაიონის ბეკეტოვის მოსამართლემ — ყოვლად მოუსყიდველმა დედაკაცმა, რომელიც განსაკუთრებით მკაცრი იყო ძალმომრეევთა და მძარცველთა მიმართ, და ჯერ კიდევ ბავშვობიდან, ბელორუსიის ოკუპაციის პერიოდში არაერთხელ გამხდარა ძალადობისა და მძარცველობის თვითმხილველი უცხოელ დამპყრობთა თარეშის დროს, სამ დამნაშავეს, სამ ავხორც ახალგაზრდას რვა-რვა წლის მკაცრი რეჟიმის პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო მეოთხემ, რომელმაც მთელი დანაშაული თავის თანამესუფრეებს გადააბრალა, მოახერხა ხელიდან დასხლტომოდა მართლმსაჯულებას.

სასამართლოს შემდეგ დეიდა გრანია სადღაც გაქრა, მიიმალა, ეტყობა, ქუჩაში გამოჩენა რცხვენოდა.

ლეონიდი საავადმყოფოში წააწყდა მას.

სამორიგეოში ცხოვრობდა. იქ ყველაფერს ქათქათი გაუდიოდა, სასიამოვნო სამყოფი იყო, როგორც ერთ დროს, იმ კეთილმოსაგონარ მეისრის ჯიხურში. ჭურჭელი, პატარა ჩაიდანი, ფარდები... ფანჯრის რაფაზე ყვავილი „ვანკა მოკრი“ ღუოდა წითლად, იქვე პაწაწინა ნემსიწვერა ინავლებოდა. დეიდა გრანიას ლეონიდი მაგიდასთან არ მიუწვევია, უფრო ზუსტად, დიდ ტუმბოსთან. იჯდა მუხლებშუა ხელისგულებ-ჩაწყობილი, ფერწასული, ტუჩმოკუმული. იჯდა და მიშტერებოდა იატაკს.

—ცუდად მოვიქეცით, მე და შენ, ლეონიდ, — მიანათა, როგორც იქნა, უადგილოდ და რაღაც უცნაურად გაბრწყინებული თვალები. ლეონიდი ფეხაკრეფით მიუახლოვდა და გაირინდა. სრული სახელით ქალი მხოლოდ მკაცრი, მიუტევებელი გაუცხოების წუთებში მიმართავდა ხოლმე, თორემ, ჩვეულებრივ, მთელი ცხოვრება, უბრალოდ, ლიონიას ეძახდა.

— როგორ, ცუდად? არ მესმის?

— რაღა არ გესმის... დავღუპეთ ყმაწვილები, ჯეელ ბიჭებს სიცოცხლე ჩავუმწარეთ. ვერ გაუძლებენ ციხის გამოცდას, ასეთ ტანჯვას, ასეთ მკაცრ სასჯელს. თუ გაუძლეს და — დაბრუნდებიან ჭაღარა ყაძახები... ისინი ხომ, ორი მათგანი, გენკა და ვასკა, შვილების პატრონები არიან... გენკას სულაც სასამართლოს შემდეგ შეეძინა ბავშვი.

— დი-ი-და გრანია! დი-ი-და გრანია! ამ სიტყვებს როგორ ამბობ! მათ ხომ თავი მოგკვრეს, საქვეყნოდ თავსლაფი დაგასხეს, გაგაბახეს, მოგჯაყეს! ჭაღარა შეგირცხვინეს...

— მერედა რაღა ეშველება ახლა ამ საქმეს! ხომ არ მოვუკლივარ, ბოლოს და ბოლოს, როგორც ხედავ, გავუძელი! ვიკივლებდი, ვიჩხავლებდი და ის იქნებოდა! შეურაცხმყოფელია, რა თქმა უნდა, ძნელია, ძნელი... ჩემთვის განა იოლი გადასატანი იყო!? მოხდებოდა ხოლმე, საცეცხლფარეშოში რომ შევიდოდი, დამეტაკებოდა ჩიჩა, პირდაპირ იატაკზე წამომაქცევდა... მაპატიე, ასეთ საჩოთირო ამბებს რომ გიყვები, მაგრამ შენ ხომ პატარა აღარა ხარ, მილიციელი კაცი ხარ, ყოველგვარი თავმოსაჭრელი ამბავი ესმის შენს ყურებს. ვინ იცის, რა არ გინახავს, რაღა არ გაგიგონია... ჰოდა, ჩიჩას თუ არ დანებდებოდი, მოგიწყობდა ფიზკულტურას. წამოავლებდა ხელს ნიჩაბს და გარბენინებდა საცეცხლფარეშო ღუმელის გარშემო... ამ ნაძირალებმა ტალახში ამომთხვარეს, მაფურთხეს, მნერწყვეს, გამდორბლეს, გამალაფიანეს, ტლაპოში მათრიეს. გავირეცხავდი, ბოლოს და ბოლოს, დავიბანებოდი...

ამ ლაპარაკის შემდეგ ისინი გაურბოდნენ, ერიდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სანამ მოერიდები და გაექცევი ისეთ პატარა ქალაქში შეხვედრას, როგორიც ვეისკია! აქ ცხოვრება ისე ვიწრო კალაპოტში ბრუნავს, რომ სანამ ნაცნობს შეეჩეხებოდე, დიდი ხნით ადრე გრძნობ ამ შეხვედრის გარდუვალობას. ჰოდა ლეონიდს მთელი შიგნეული აეწვებოდა ხოლმე, სული დაეწიწმარიტებოდა, ერთ გუნდად შეკრული ნაღველი სუნთქვას უხუთავდა და შორიდანვე სახე დაემანჭებოდა ხოლმე მჟავე ღიმილით; ესმოდა, თუმცა, ამ ღიმილის უაზრობა და სიყალბე. უპრიანი იქნებოდა, სახიდან ჩამოერეცხა უაზრო, ბრიყვი ღიმილი, მოეკუმა ტუჩები — ეს იქნებოდა დამცველი ნიღაბიც და გასამართლებელი საბუთიც ლოყაზე დაკრული ინვენტარიზაციის ბეჭედივით ანდა სახაზინო ნიფხვის უკანა მხარეზე ლიაპისით მიწებებული სააღრიცხვო ნომერივით. მისი მზერა რომ შეეჩეხებოდა, დეიდა გრანია თვალებს დახრიდა, როგორღაც გვერდულად გაუძვრებოდა ხოლმე და ნიავსავით ჩაუქროლებდა: ძველი რკინიგზელის რუხი ბერეტი ეხურა. იმ ბერეტზე ჯერ კიდევ მთლად არ გამოხუნებულიყო გასაღებისა

და ჩაქუჩის ემბლემა; ძველი რკინიგზელის გახუნებული ფარაჯა ეცვა, წაქლერჩილ ფეხსაცმელებს მიაფლარტუნებდა. ლეონიდი ხედებოდა, რომ ყოველივე ამით ძველი მეგობრები ამარაგებდნენ დეიდა გრანიას. ამგვარი საქონელი საავადმყოფოდან, ჩვეულებისამებრ, იქ იგზავნებოდა, სადაც საჭირო აღარ იყო ფორმის ტანსაცმელი და რკინიგზის ლიანდაგიც არ დაეგოთ ჯერ.

— დილა მშვიდობისა! — შეუჩერებლივ მიაძახებდა ხოლმე დეიდა გრანია, გინდაც დილა, შუადღე, ან საღამო ყოფილიყო.

ხოშნინი გრძნობდა, რომ თუ არა მისი ბუნებრივი თავაზიანობა, დეიდა გრანია სულაც არ მიესალმებოდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში სურვილი ეუფლებოდა გამოსდევნებოდა დეიდა გრანიას და მთელი ხალხის გასაგონად დაეძახა: „დეიდა გრანია! მაპატიე, დეიდა გრანია! მოვვიტევე ჩვენ!“... მაგრამ მას, გაშეშებულს ტროტუარში ყუამდე ჩაჭედებული ლურსმანივით, ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო.

„დილა მშვიდობისა! კარგად ბრძანდებოდეთ!“ — წაიფრუტუნებდა ხუმრობით, თითქოს „შტეპსელ და ტარაპუნკას“ ბაძავსო და იმ წუთს ეზიზღებოდა თავისთავიც, ეს დაუდგრომელი უკრაინელი საესტრადო იუმორისტებიც, საერთოდ, ყოველგვარი იუმორი, სატირა, ლიტერატურა, თავისი სამსახური, მთელი ქვეყანა და პრინციპში, ყველაფერი, აძქვეყნად.

:

მან იცოდა, რომ სხვა ათას მიუწვდომელ საგნებსა და მოვლენებთან ერთად მის წინაშე იდგა ამოცანა: უნდა შეეცნო დღემდე შეუცნობელი და მიუწვდომელი, ჯერ კიდევ აქამდე ამოუხსნელი და გაუგონარი საგანი, რომელსაც რუსული ხასიათი, ამაღლებულად, ლიტერატურულთან მიახლოებით რომ ვთქვათ, რუსული სული ჰქვია... უნდა დაიწყო ყველაზე უახლოესი ადამიანებიდან, რომლებსაც რატომღაც, თანდათან ჩამოშორდა: დეიდა ლინა, დეიდა გრანია, საკუთარი მეუღლე ბავშვითურთ, სასწავლებლის მეგობრები, თანაკლასელები, სკოლის ამხანაგები, რომლებთანაც ერთ მერხზე მჯდარა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დაუმტკიცო შენს თავს და ნაფიქრი თეთრ ქაღალდზე გადაიტანო, მასზე კი, მადლობა ღმერთს, გამჭვირვალე წყალივით, ყველაფერი ნათლად აღბეჭდილი, დედიშობილა მოჩანს, მოუქნელ ბარძაყის ძვლებამდე, დაფარულ სიმახინჯეებამდე. ტვინით უნდა შეაღწიო, გამოქექო ყოველი დეტალი, ქვეშეცნეულად ამოხსნა ის, რასაც სოშნინი გუმანით სცნობდა; რაც ამოძრავებდა მის შემოქმედებას, და რაც მისი მთავრის უმთავრესი საიდუმლო იყო. როგორ გგონიათ, არაა ადვილი საქმე! და რამდენი სიმამაცე და ძალაა საჭირო,

რომ მთელი ცხოვრება განუწყვეტლივ „იაზროვნო და იტანჯო“, მცირე პაუზისა და შვებულების გარეშე, ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თავისთავს მაინც უთხრას, რის გამო არიან რუსი ადამიანები მარად ასეთი გულმოწყალენი პატიმართა და ტყვეთა მიმართ და ამავე დროს ხშირად — ესოდენ გულღრძონი თავისთავისა და მეზობლის — ომისა და შრომის ინვალიდთა მიმართ. მზად არიან უკანასკნელი ლუკმა მისცენ მსჯავრდადებულს, სისხლისმწოველ ჯალათსა და პარაზიტს, დაიცვან, ხელიდან გამოგლიჯონ მილიციას ხელებგადაგრეხილი ხულიგანი, რომელიც ის იყო, ხალხის თვალწინ პარპაშობდა, და სძულდეთ თანამეინახე მხოლოდ იმისთვის, რომ მას დაავიწყდა ტუალეტში ელექტროშუქის გამორთვა, და სინათლისათვის ბრძოლა ისეთ ზიზღამდე მივიდეს, რომ ავადმყოფს ჭიქა წყალიც არ მიაწოდოს, საერთოდ, ფეხი არ შეადგას მის ოთახში.

ნებივრად, თავხედურად კეთილად პარპაშებენ დამნაშავენი ასეთ გულმოწყალე ხალხში. დიახ, ოდითგანვე ასე უცხოვრიათ მათ რუსეთში.

22 წლის კეთილმა ჭაბუკმა, რომელსაც ახალგაზრდულ ყავახანაში მაგარი სასმელი გადაუხუხავს და ქუჩაში სასეირნოდ გამოსულა, ერთბაშად სამ კაცს გამოღადრა ყელი. იმ დღეს სოშნინი ცენტრალურ რაიონში მორიგეობდა, მკვლელს ცხელ ნაკვალევზე მიუსწრო, ფეხდაფეხ დაედევნა სამორიგეო მანქანით, აჩქარებდა მძღოლს. მაგრამ ჭაბუკ ყასაბს თითქოს არაფერი ჩაუდენიაო, დამალვა აზრადაც არ მოსვლია, იდგა არხეინად, კინოთეატრ „ოქტომბერთან“ და უზრუნველად ლოკავდა ნაყინს — თითქოს გულს იგრილებსო მძიმე სამუშაოს შემდეგ. ჩაუცვამს კანარისფერი, ან უფრო ზუსტად, თუთიყუშისფერი კურტაკი, რომელსაც სისხლის ზოლები ზედვე ამჩნევია. „სისხლი!“ — გაიფიქრა სოშნინმა, — „კურტაკზე სისხლიანი ხელი შეუწმენდავს, დაკეცილი დანა უბეში შეუნახავს“. მოქალაქეები დაჰფუსფუსებდნენ, გვერდს უვლიდნენ სისხლით გათხუპნულ „არტისტს“. იგი კი ზიზღნარევი, დამცინავი ღიმილით უკანასკნელად მოლოკავს ნაყინს, კულტურულად დაისვენებს. ნაყინის ჭიქა ბოლომდე ცარიელდება, ჩარჩენილ სიტკბოს ჩხირით ამოტიკნის და მერე, ყოველგვარი არჩევის გარეშე, როგორც გული უკარნახებს, კიდევ ვიღაცას დანას ჩასცემს მუცელში.

ქუჩისკენ ზურგშექცეული, პატარა სარკინიგზო ჭრელ მოაჯირზე მიყრდნობილი ორი ლაწირაკი ნაყინს მიირთმევს. ნუგბარეულის მოყვარულნი რაღაცაზე ხარხარებენ, გამვლელ-გამომვლელს აბუჩად იგდებენ, გოგონებს ერჩიან და იმის მიხედვით, თუ როგორ იზნიქებოდნენ მათ ზურგზე კურტაკები, როგორ სხლტებოდნენ ქუდის წინფრებ-

ზე მიმაგრებული ფოჩები, შეგეძლოთ გამოგეცნოთ, რა უზრუნველად გრძნობდნენ თავს.

ყაბაბს ყველაფერი ფეხზე ჰკიდია, მას პირდაპირ სასიკვდილოდ, დაუნანებლად უნდა დაჰკრა. ისე უნდა დაეცეს, კედელს საფეთქელი შეახეთქოს, ეს თუ ხალხის ბრბოში გაატარე, ან თვითონ, ან მისი ძმაბიჭები ზურგში დანას გაგიყრიან.

სოშნინი გაქანებული მანქანიდან გადმოხტა, მოაჯირს გადაევლო, „კანარის ჩიტი“ კედელს გააკრა. მძღოლმა ორ უქნარას საყელოში ხელი ჩაავლო და მოაჯირიდან კისრისტეხით გადმოითრია, საკანალიზაციო მილებს მიაჭყლიტა, ამასობაში დახმარებამაც მოუსწრო — მილიციამ ბანდიტები, სადაც ჯერ არს, იქ წაასხა. მოქალაქენი აკივკივდნენ, გროვა-გროვად შეიყარნენ, ლანძღვა-გინებით მილიციელები ალყაში მოიქციეს, არ ანებებდნენ, საწყენი მიეყენებინათ „საცოდავი ბიჭებისათვის“. „ნახეთ ერთი, რას სჩადიან ეს ქვეწარმავლები! — სისინებდნენ ისინი. ერთ სახეგამქისებელ კაცს მილიციელისთვის პიჯაკში ხელი ჩაევლო და ანჯღრევდა. ინვალიდის ჯოხი მოემარჯვებინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურტყამდა ტროტუარს, „უჰ! ეს ქოფაკები, ვითომ მილიციაა, ერთი დამიხედეთ ამ ჩვენს მფარველებს. ესენი ხალხის თვალწინ რომ ასე იქცევიან, წარმოიდგინეთ, რას გიზამენ იქ. უყურეთ, რა მშვენიერი ბიჭია, ხუჭუჭთმიანი. რა ტყუილა ურტყამენ ეს მხეცები. კედელზე თავი მიარტყმევინა ამ ნადირმა“.

სოშნინი უსიტყვოდ, მოთმინებით ყლაპავდა ამ ლანძღვა-გინებას, მაგრამ შოფერმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ მილიციაში მსახურობდა, ვერ მოითმინა და ბრბოს მიაძახა: „ერთი თქვენ ხელში ჩაუვარდებოდეთ .მაგ თმახუჭუჭა ბიჭს, მაშინ გიჩვენებთ სეირს. ენასაც დაგიმოკლებენ და სიცოცხლესაც“...

მილიციის განყოფილებაში, სწორედ იმ დროს, კედლებს ღებავდა კარგა ხანია „დამსახურებულ დასვენებაზე“ გასული, მაგრამ დამატებითი შემოსავლის მისაღებად საზღვაო ფეხოსანთა ყოფილი ათმეთაური, რომელსაც თავის დროზე უფრო მეტი ფაშისტი მოეკლა, ვიდრე პაპამისს, პორტელ მეთევზეს, ძალაყინით თევზი ჰყავდა დახოცილი.

„უჰ, შე გველის წიწილო, შენ დახოცე ამდენი ადამიანი?“ — დაღლილი ხმით კითხა მან „კანარის ჩიტს“.

„მაგათი სიფათი არ დამიჯდა ჭკუაში“, — უზრუნველად გაუღიმა პასუხად.

მოხუცმა მეომარმა ვეღარ მოითმინა, სტაცა მკვლელს ხელი კისერში და იატაკზე დაახეთქა, ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან „გმირი ვაჟკაცი“, რომელიც მთელი უბნის გასაგონად გაჰყვიროდა: „მეტკინა! უფ-

ლება არ გაქვს ასე მომექცე! გამიშვი! გამიშვი, გამიშვიიი!". მერე კი მამა აბრამის ბატკანივით შეჰყურებდა გამომძიებელს: „ნუთუ დამხვრეტენ, ან სახრჩობელაზე ჩამომკიდებენ?! მე ხომ არ მინდოდა ასე მომხდარიყო".

მესამე თავი

„კმარა, კმარა! რაც იყო, იყო! რაც არის, არის!" — ხელი ჩაიქნია სოშნინმა და განდევნა მოძალებული პირქუში მოგონებები, განსაკუთრებით რომ მოეძალებოდნენ ხოლმე ამისთანა ავდარში. სითბოს წინათგრძნობით მოიბუზა, მხრები აიჩეჩა, თითქოს წვეთები ან მტვერი რამ შეიბერტყაო, ისე ჩამოიშორა ფიქრი, სახეზე ხელი ჩამოისვა და ნაბიჯს აუჩქარა. მართალია, ბინაში ორთქლის გათბობა ჰქონდა, მაგრამ ერთი პრეისტორიული ხანის ქურაც გააჩნდა, და არც ეგ იყო ურიგო. ურიგო კი არა, საჭირო, ყოვლად კეთილი აგრეგატია — ქურა. დროდადრო შეშასაც წააშველებდა, რომელსაც ძველი მეგობრობის ნიშნად, შემოდგომობით, ლავრია-კაზაკი ურმიდან ჩამოუყრიდა ხოლმე. „ახლავე ღუმელს ავაბრიალებთ, წვნიანს მოვხარშავთ, ზედაც მაგარ ჩაის დავაყოლებთ, და გავაჩანჩალებთ ამ უღიმღამო წუთისოფელს, საზიზღარ ამინდს, როგორმე მოვუვლით მხრებში ამ წყეულ ტკივილს. ცხოვრებას, მაინც არა უშავს რა, ვერ დაემდურები; ხან ასეა, ხან ისე. ისეა, როგორც თევზაობაში: ხან წამოეგება ანკესს თევზი, ხან მოტყუებული რჩები"... სოშნინს გაეღიმა, ეზოში რომ ცოცხით ხელში ძია პაშას ჰკიდა თვალი... გზაზე კი ამაყად მობაკუნობდა ლავრია-კაზაკის ცხენი... რაღაც ჰანგიც კი წამოუსტვინა ფილმიდან „ძიებას აწარმოებენ ყოვლისმცოდნენი", და წაიღიღინა არათუ მილიციის მუშაკებს შორის, სამოქალაქო მოსახლეობაშიც ეგზომ პოპულარული სიმღერის ტექსტი: „თუ სადღაც, რაღაც, რატომღაც, ვინმეს"... — რითაც, როგორც შემდგომ გამოირკვა, გაუღიზიანებია სამი კაცისგან შემდგარი კამპანია, მათ სახლში კიბის ქვეშ რომ შეუუჟულიყვნენ ღვინის დასალევად და ბოთლი ცენტრალური გათბობის ბატარეაზე შემოედგათ გასათბობად. „რაშია საქმე? რა სულ სამ-სამად დადიან? რით უნდა აიხსნას ამ რიცხვის ესოდენი აქტუალობა?"

სადგურის ახალი საცხოვრებელი ბინებიდან აქ შემოხეტებულიყვნენ, შემოკედლებოდნენ ამ მოფარებულ კუნჭულს ნომერ მეშვიდე კეთილსახლის აშმორებულ კიბის ქვეშ. აქ ღორებივით ანაგვიანებდნენ ყველაფერს, ღავღავებდნენ, ჩხუბობდნენ და ასე გასინჯეთ, ზოგი ღამესაც ათევდა, ამ ჟანგიან ბატარეასთან მიჭუჭკული. სადაც მშვიდად

მოქონავდა ორთქლი, რის გამოც რაფა ჩამომპალიყო და იატაკიც დათხლოსილიყო ბატარეის ქვეშ. სოშნინმა იცნო ერთ-ერთი მათგანი — ფეხბურთის გუნდის „ლოკომოტივის“ მოთამაშე, რომელიც ჯერ აქაურ გუნდში გამოდიოდა, შემდეგ კი, სადედაქალაქო გუნდში გადაინაცვლა. ხოლო მას შემდეგ, როცა დაეცა დედაქალაქის „ლოკომოტივი“ და უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში გადმოყირავდა, ერთმა თანამემამულემ ურჩია, დაბრუნებულიყო შინ და მშობლიურ ქალაქში დაეგვირგვინებინა სპორტული კარიერა. „ლიოშ, ერთი ამ კიბესაც მიხედე, თუ კაცი ხარ. ერთი ამ კიბის ქვეშაც დაამყარე წესრიგი, მოგვაშორე ეს შფოთისთავები,სიცოცხლე მოგვაძულეს პირდაპირ“, ემუდარებოდნენ მეზობლები და მათ შორის ყველაზე მეტს ბებია ტუტიშიხა წუწუნებდა.

მაგრამ სოშნინს სამსახურშიაც მობეზრდა მაწანწალების დევნა და აღარ უნდოდა ზედმეტად აშლოდა ნერვები, ძალით წამოგებოდა დანას, მაგრამ რას იზამ! ხალხი ითხოვს! გინდა, არ გინდა უნდა დაიფრინო ეს ლოთიშვილები, მეტი გზა არაა. „მაგრამ სადღეისოდ ეს ვიკმაროთ, თავს რაც გადამხდა“, გადაწყვიტა ლეონიდმა და სწორედ რომ დროზე მოაგონდა ციხის ნაცნობი დალაქის სიტყვები: „ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ“... და ის იყო, ძლივს აითრია ხეიბარი ფეხი და კიბის სახელურზე დაყრდნობილი ხელით, ბალღობის დროიდან გამოყოლილი ჩვევის წყალობით, ნახევარი კიბე აიფრინა, რომ კიბის ქვემოდან შემოესმა: „შენ ეი, ჩიტუნავ! ჰილ ედუარდ! შენ რა, გამარჯობა ჯიბეში დაგრჩა?“ — „არაფერს ვხედავ, არაფერი მესმის!“ — დეკლამაციურად ჩაილაპარაკა თავისთვის, სოშნინმა და ხეიბარი ფეხის ფხაკუნით სვლა განაგრძო, რომ ბარემ დროულად შეეღწია და თავი შეეფარებინა საკუთარ ბინაში; მაგრამ ერთი ნაბიჯი ძლივს გადადგა, რომ დადევნებული ნაბიჯების ხმა შემოესმა — იგი ხომ მშობლიური სახლის თითოეულ საფეხურს ისევე სცნობდა, როგორც ვირტუოზი პიანისტი იშვიათი როიალის ხმას.

ჯიუტად ჭრაჭუნობდნენ საფეხურები, ჭრაჭუნობდნენ, ინჯღრეოდნენ და მას ესმოდა, ზურგით გრძნობდა... ხოლო ზურგი ჭეშმარიტ მილიციელს, მოგეხსენებათ, ისეთივე მგრძნობიარე, „თვალებიანი“ უნდა ჰქონდეს, როგორც ბავშვთა სახლის აღსაზრდელს.

ჰოდა ამასობაში წამოეწია კიდეც და შინ შესასვლელი გზა გადაუღობა ჭაბუკმა, რომელსაც მშვენიერი, გრუზა შავი ქოჩორი ამშვენებდა და ტანთ ემოსა საყელოსა და კალთებზე გუცულური ორნამენტებით შემოქარგული, გულისპირშეხსნილი ჯუბა.

— შენ გეკითხებიან, ფიზკულტურელო, გამარჯობა სად დაკარგე?

დუბლიონკიანი „კავალერი“, რომელიც იდაყვებით მოაჯირს დას-

წოლოდა და გამოღანილებულ თვალებში დაწითლებული — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადრე შემოდგომაზე უმზეობით შემღრალი, ობმოკიდებულ-ყოლოსფერი ძარღვები ამობუშტვოდა, ყბიდან ყბაში უმწეოდ დაასორსიალებდა და უნდილად ცოხნიდა გამოფშუკულ საღეჭ რეზინას. ნომერ მეშვიდე სახლის მოაჯირი კი, მოგეხსენებათ, განუწყვეტელი მსვლელობისთვის კი არა, არამედ პატარა, ტანმორჩილი, ჩია ხალხისთვის იყო გათვალისწინებული. დეიდა ლინას რომ კრძალავდნენ, ამ გამოჩარხულ-ჩუქურთმებიანი მესრების თავზე კუბოს ისე მაღლა ეწეოდნენ, რომ განსვენებული თავისი წაწვეტილი ცხვირით კინაღამ ჭერის ამოღუნულ ფიცარს წამოეგო. ლეონიდს ფეხისტკივილისაგან სახე მოებრიცა ამ საშინელი სურათის წარმოსახვაზე, რომელიც, სხვათა შორის, სრულიად უადგილოდ ამოუტივტივდა ხსოვნის წიაღში.

— გაუ, გაუ, გულად არწივებს! — ლმობიერად და, თითქოს, მათი გულისმოსაგებად შესძახა სოშნინმა, თუმცა, პრაქტიკით, ძალიან კარგად იცოდა, რომ სწორედ ამ ტონით არ უნდა მიემართა ისედაც საჩხუბრად წამოქოჩრილი „სტუმრებისათვის"; მაგრამ ეს ოხერი ფეხი ისე დაეღალა და სტეხდა, თან ისე უნდოდა ჩქარა გასცლოდა მათ, მისულიყო შინ, თავისთავთან მარტო დარჩენილიყო, როგორმე სტომაქი გამოეძღო, მერმე წამოწოლილიყო, ცოტა შვება ეგრძნო და სულის სიმშვიდე ეპოვნა როგორმე...

— ვინაა შენი გულადი არწივები? — რისხვით მიაშტერდა მოაჯირზე გადაწოლილი „კავალერი" და საღეჭი რეზინა გადმოაფურთხა. — რატომ უხეშობ, ჰა, თქვი, რატომ უხეშობ? — მოდური დუბლიონკა გადაიღელა, რითაც კიდევ უფრო მხარბეჭიანი და წარმოსადეგი გამოჩნდა.

„საინტერესოა. საიდან იგდო ხელთ ეს ძვირფასი ტყავი, რაღაც ქალის ჯუბას ჰგავს! ვინ იცის, რა ცეცხლის ფასი ღირს?" — ამის გაფიქრებით სოშნინს უნდოდა როგორმე თავი შეეკავებინა, არ აჰყოლოდა გულისთქმას.

— აბა, პირუტყვო, ბოდიში მოიხადე ახლავე, — გამოალაჯა კიბის ქვემოდან ფეხბურთელმა, — სულ გათავხედდი, ხო იცი, შენ! ხალხს ველარ სცნობ!

ფეხბურთელს გვერდში ედგა რაღაც მაცთურად მოღიმარე მამაკაცი, რომელსაც არც მამაკაცობა ეტყობოდა, არც ყმაწვილკაცობა, სახით ბებერი ეთქმოდა, ტანად მოზარდს ჰგავდა, დედას, ჩანს, უდღეური ეშვა, ცხოვრებას ბავშვთა სახლს და სკოლას ზრდა-განვითარება შეებორკა და წაეხდინა უკვე. ბაცი ლურჯი შარფი მოეხვია და თავადაც ბაცლურჯად ციაგებდა, სისხლი სულ არ ეტყობოდა; გარეგნუ-

ლად სრულებით არ ჰგავდა ახლახან ნანსენებ „კანარის ჩიტს“, მაგრამ მაინც რაღაცით, შორეულად მოგაგონებდათ იმ მკვლელს, — იქნებ: თევზივით დამუწული ტუჩებით, რაღაც მოუაზრებელი და ამის გამო მით უფრო საშიშარი, შურისმაძიებლური ძალაუფლების შეგრძნებით. სილურჯემორეული გაკრეჭილი თავით სოშნინი მიხვდა, რომ იგი პატიმართა ბანაკიდან ახალგამოსული იყო. დიდი ხანია აღარ ევლო თავის ნებაზე. ეტყობა, კაი ხანია არ უყლაპია ასე ხარბად... ჩანს, თანამეინახეებზე მეტი ყლურწა და მათზე ადრე მიქლიავებულა. ბარაკის წარმოების ყმაწვილია, ბავშვობაში ცუდად ნაკვები, ჭიამკვდარა, მაგრამ, როგორც მისი ნაოჭასხმული ფართო პირის ფარგასავით დაკრეჭილი კბილები მეტყველებს, უკიდურესი ფსიქოპატია. უბეში ნაღდად ბებუთი უდევს. სახეზე წამით არ უქრება უსიცოცხლო, თევზისებური ღიმილი; ცალი ხელი, გაუაზრებლად, კურტაკის ჯიბეში ჩაიყო, ხოლო მეორე ხელით, სისხლის წყურვილის წინასწარი ყინით შეპყრობილი, შარფს ნერვიულად ატოკებს... ქუჩის ამ სამ ნაძირალას შორის, ეს ყველაზე დაუნდობელი, საშიში ტიპია.

„მშვიდად, ნუ ღელავ“. — უკარნახა თავის თავს სოშნინმა. — სიმშვიდეა საჭირო! საქმეს ნავთის სუნი უდის...“

— რას იზამ, მაპატიეთ, ბიჭებო, თუ რამე შემეშალა და გაწყენინეთ!

— რას ქვია, „რას იზამ“? — ეს ბაკენბარდებიანი, გუცულების დედაკაცურ ჯუბიანი „კავალერი“ თავისი გრუზა ქოჩრით, ბატონკაცური, დამცინავი ღიმილით სოშნინს აგონებდა სხვის ხარჯზე განებივრებული, მაყურებელთა და მოცეკვავე ქალების მიერ გაყვანიზებულ თანამედროვე ვარიეტეს მომღერალს. გონებრივად და სქესობრივად გადამწიფებული ეს ქალ-გოგოები დაპროწიალობდნენ იმ ვარიეტეებში, თანამედროვე მოდის უკანასკნელი სტადიის მიხედვით კოლგოტკებში გამოწყობილნი, და ესეც ბორკავდა მათს შემოქმედებითს შესაძლებლობებს და თუ არა ჩვენი მკაცრი ზნეობრივი მოთხოვნები, ისინი ამ სამოსელს უმალ მოიშვლეპდნენ, რითაც შეეძლოთ კიდევ უფრო მაღლა და დაუზოგავად ექნიათ შვლის ჩლიქები, გრძელი წვივები და კიდევ უფრო სხარტად წამოესახათ პატრიოტული ცეკვა, სახელწოდებით: „ჩვენი საჩუქარი ბამის მშენებლებს“, და მომღერალიც, თავისი „ვაჟკაცური“ ბანით, თანდათან ხმის წაწვრილებით და სხეულის შესაბამისი მოძრაობით აკოკლოზინებდა სიმღერას: „შე-ე-ე-ნ, ჩ-ჩ-ე-ე-მო მე-ლო-ო-ო-დი-ავ...“

ჭკუასუსტთა შორის თავ-ფეხიანად სათაყვანებელ ხატად ქცეული სოლისტისდარად, დუბლიონკიან „კავალერს“ ჩანს, კიბეზე, ცხარე

შეგრძნებების პოვნა ეწადა, სხვა ყველაფერი, როგორც ჩანს, მისთვის მხოლოდ გასართობად ქცეულიყო ცხოვრებაში. ხოლო მისი გრუზა, შნოიანი ქოჩორი გმირი ჰუსარისა და პოეტის — დავიდოვის შეურაცხმყოფელ პლაგიატს წარმოსახავდა. მოდური ჯუბა ლაქიანი ორნამენტებით, ველვეტის დაჭმუჭნული შარვალი, გამომწვევად აბრჭყვიალებული თითბრის ღილით, ზედ ჭიპზე რომ ებჯინებოდა, მოწითალო ჟანგისფერ პულავერში ჩატანებული გაძინძგული მოჰერის შარფი, კისერს მქრქალ ჩრდილს რომ აყენებდა გამოქარული არყის ხის ქერქივით... ყველაფერ ამაში გამოსჭვივოდა ერთობ ნაადრევი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთენთილობა, სულიერი დაწრეტა, გადამღერება-წამბაძველობა და მოუვლელობა.“ ყველაფერი სახის მოუვლელობით, სახის გავერანებით იწყება“. — მოაგონდა ხაილოვსკის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ალექსი დემიდის ძე ახლიუსტინის, ამ ყოვლად ზნეკეთილი ადამიანის სიტყვები. ადამიანისა, რომელიც, ვინ იცის, როდის, რატომ, რა მიზეზით მოხვედრილიყო მილიციაში სამუშაოდ.

— ბოდიში მოიხადე, გესმის, როგორც წესი და რიგია: სწრაფად, მკაფიოდ, დამაჯერებლად!

„ხომ არ წავუშალოთ ეს ეგზოტიკური სიფათი?“ — გაუელვა სოშნინს. ბადურაში რძიანი ბოთლი უდევს, ქილა კომპოტი... თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, სისაძაგლე სისაძაგლის წილ, განა ასე არ არის? ასეა! ასე! მაგრამ ასე ხომ შორს წავალთ?.. ამ დამპლისთვის რძეც დაგენანება, წიწილაც ცოდვაა, საწყალი, ჯერ თავისუფლებაც არ უნახავს, მისი ნორჩი, ინკუბატორული სხეული ხორციელ სიცოცხლეს ჯერ არც შედგომია, და მისი უმანკოება განა ასეთ გათახსირებულ სიფათს უნდა შეეწიროს?!“.

სოშნინმა შესძლო წუთით განრიდებულიყო, თავი ხელში აეყვანა, შეეკავებინა დაწყებული თრთოლვა. ნახევრად შებრუნებული იდგა, ეინძლო დროზე შეენიშნა, თუ ბიჭი თავს დაესხმოდა: ხედვის არეში ჰყოლოდა. იდგა და ელოდა, რა მოხდებოდა. ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთელი აინტერესებდა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოცდაათს გადაცილებული იყო და დრო იყო, ბოლოს და ბოლოს, კაცად ეგრძნო თავი და ჭკუაში ჩავარდნილიყო; მეორეც, იმიტომ, რომ მას კარგად უნდა სცოდნოდა, ვინ იყო სოშნინი. მაგრამ ფეხბურთელს დაბადებიდან არ დაჰყოლოდა მეხსიერება. მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნების გამო ისე გახეთქილიყო ღვინოში, რომ სოშნინს კი არა, ვგონებ მშობელ დედასაც ვერ იცნობდა; ვინ იცის, ეგებ სოშნინიც ჰყავდა ნანახი მილიციელის ფორმაში, მილიციელის ფორმა კი მო-

გეხსენებათ, ერთბაშად სცვლის ადამიანის გარეგნობას, მისდამი დამოკიდებულებას.

ფეხბურთელის ავად მზირალ სახეს წამით დაბნეულობამ გადაურბინა. ადამიანი, რომელსაც კაცობრიობისათვის ვერ ეპატიებინა, რომ „ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში გადმოაყირავეს, მოსკოვის გარეუბან ჩერკიზოვოში მიაბრძანეს: იქ, მართალია, მშვენიერი სტადიონია, სადაც ათასი კაცისგან მხოლოდ ორასამდე გულშემატკივარი იყრის თავს. და ისინიც ვრცელ ტრიბუნებზე ჩუმად არაყს შეექცევიან... ესეც შენი ერბო და ჯილდოები, პატივი და დიდება! და ყველაზე უმადური საფეხბურთო საამქრო: „მცველი“, საბანკო სიტყვათმთხზველობის ლექსიკონიდან მას, ალბათ ყველაზე უკეთ მოერგება „სტოპორ-სტოპორილო“, „კაილო-რუბილა“, „სეკაჩ“, „კლოუნ“, „ობუხ“, მაგრამ ყველაზე მეტად, მაინც, უთუოდ, „ნაგაზი“: კარებში რომ გაჩაჩხულა და არ უშვებს, ზედ წვივებზე ბუცებით ურტყამს პატიოსან, გაბედულ თავდამსხმელებს, ტრუსებსა და მაისურებს აფხრეწს, მიწაზე წამოაქცევს და წაქცეული „მოწინააღმდეგის“ კვნესა ველურ სიხარულს რომ ანიჭებს.

— კარგი, კარგი! — აჩქარებდა ფეხბურთელი, რომელიც თვალებმოწკურული, დამამცირებელი შემოხედვით ლამობდა აზრზე მოეყვანა, დაეშინებინა „მოწინააღმდეგე“. — ნუ მოძვრები-მეთქი აფსაიდში, თორემ გაგიტანე გოლი სიფათში!

— იქნებ, ამ მოდურ ჰალსტუხზე ჩამოგვეკონწიალებინა, ჰა, რას იტყვით? — რჩევის ტონით მიმართა თანამესუფრეებს „კავალერმა“ და თან თითით, ზიზღით გადმოაგდო სოშნინის ჰალსტუხი მისი ნახმარი ფორმის საწვიმარი ლაბადის ბორტებზე. ძველი, ჩამომპალი კიბის, კირით მოთხუპნულ-დაკაწრული სახლის კედლების ფონზე გამოშიერილ ლურსმნებსა და ბოკონებს შორის ამოგდებული ჰალსტუხი და მისი პატრონი რაღაც სასაცილოდ და სულელურად ჩანდნენ. ასე გამოჩნდებოდა, აქ, ამ მშრომელთა ბინაში პეტრო-დვარეცის ფუფუნებით მოწყობილი სასახლიდან შემოტანილი ოქროს კანდელაბრი.

— იქნებ აჯობოს დამშვიდდეთ, ბიჭებო? არ გინდათ! — ამბობდა ჯერ კიდევ თავშეკავებით, და ცოტა არ იყოს, მუდარის ხმით სოშნინი და ცდილობდა ლაიკის ჰალსტუხი ისევ ისე საწვიმარი ლაბადის ბორტებშიგნით ჩაებრუნებინა თითებით, რომელთაც უკვე კანკალი მოსდებოდა.

— რაო, რაო? რა არ გვინდაო?

— არ გვინდა-მეთქი, ეს ბრექის გამოდება. ხომ არ აჯობებს, მოვეშვათ-მეთქი ბრექს. — სოშნინმა თვალი ჰკიდა: როგორ გაიღო

ამ დროს მარჯვნივ, კიბის ჩასასვლელთან კარი, რომელმაც ნამწვის, ნაგვის, მტვრისა და ჭუჭყის გროვა გამოიყოლა. კარებში გამოჩნდა ბებია ტუტიშიხას მრგვალი ცხვირი და მრგვალი თვალი, წამით რომ აენთო. სოშნინმა თვალი დაუბრიალა და დედაბერმაც მყისვე მიიხუ-რა კარი.

— რაო, რაო, რა ბრძანე? — კიბეზე რამდენიმე საფეხურით ამო-იზიდა სამართლიანი მრისხანებით აღშფოთებული ფეხბურთელი. — უჰ, შე აფსაიდნიკო, შე ქაფოსანო, მე შენ გიჩვენებ სეირს...

კოლონიიდან ახალგამოსული ტიპი კი, სახეზე მაცთური ღიმილი რომ დასთამაშებდა, თუმცა რაღაცნაირი შეშფოთებით, სინანულით აქიცინებდა თავს და ბუტბუტებდა: „შენს თავს დააბრალე, რაც ახლა მოგივა. ბოდიში მოგეხადა, არ გერჩივნა?..“ თან, ცალი ხელით, ფეხბურთელის ზურგს უკან მოაჯირს მოჰყვებოდა, ხოლო მეორე ხე-ლით, მის ზურგს მოფარებული, ცდილობდა ფრანის გულისპირი შე-ეხსნა და დანა ეშვლიპა.

„საიდან ჩაისახა ყოველივე ეს ამათში? საიდან? სამივე ხომ ჩვე-ნი დაბელია? მშრომელი ოჯახებიდან გახლავან. დიდი ხანი არაა, სა-მივე საბავშვო ბაღში რომ დადიოდა და მღეროდა: „ცისფერი ნა-კადულიდან იბადება მდინარე, მეგობრობაც ასევე ღიმილით იბადე-ბა“... სკოლაში მღეროდნენ: „ბედნიერება — სიხარულის გაფრენა არი! ბედნიერება — მეგობრული სალამი არი!.. ბედნიერება“... უმაღ-ლეს ან პროფტექნიკურ სასწავლებელში მღეროდნენ: „მეგობარი მუ-დამ მზად არი მეგობარს ადგილი დაუთმოს კანჯოში ან საცურაო რეზინის რგოლზე“... სამი ერთზე მოდის, და საერთოდ ეს ხდება ძველთაძველ, კეთილ რუსულ ქალაქში, რომელსაც არასოდეს განუც-დია ომები, დარბევები და თავდასხმა...“

— შესდექით, ბიჭებო! — მბრძანებლურად შესძახა სოშნინმა. ბე-ბია ტუტიშიხამ ისევ გამოჰყო თავი კარებში და სოშნინმა ისევ და-უბრიალა თვალი, ყოველგვარი საშიშროებისადმი მგრძნობიარე „ფარგისთვალა“ ერთბაშად შემოტრიალდა, მაგრამ ვერაფერი საში-ში ვერ შენიშნა, ბებო ტუტიშიხამ მოასწრო კარის მიხურვა. ამასო-ში სოშნინმა ბადურა კედლის გამონაშვერზე ჩამოჰკიდა, ზურგით შებრუნდა ისე, რომ არაფერი გამოჰპარვოდა, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან თავდამსხმელთათვის თვალი ედევნებინა.

— აფერუმ, თქვენს ვაქკაცობას! მაშ, სამი ერთზე მოდიხართ, არა? ისიც, ხეიბარზე! მართლაც რომ ზღაპრული გმირები ბრძანე-ბულხართ: ილია მურომეცი, მიკულა სელიანინოვიჩი და ალიოშა პოპოვიჩი... მართლა გმირობას მაინც მოახმარდეთ ამ თქვენს ძალ-ლონეს!

— რა გმირობას?
— მუშაობას.
— რა მუშაობას?
— ტროტუარს დაასუფთავებდეთ-მეთქი ან მიწას თხრიდეთ.
— დაგვცინი, ღორო? — შეჰყვირა „კავალერმა“ და ზემოდან, გაფთრებული ნადირივით დააცხრა მსხვერპლს. სოშნინი ოდნავ წაიზნიქა და თავდამსხმელი ისეთი გაანგარიშებით გადაისროლა გვერდზე, რომ კიბიდან თან გაჰყოლოდა დანარჩენი ძმაკაცებიც. მაგრამ მან მხოლოდ ერთი, დაბადებით რაქიტული „ფარგისთვალა“ გაიყოლია. ფეხბურთელმა თავი შეიმაგრა, თუმცა კი კაიგვარიანად შებარბაცდა. რათა ხულიგნები გონს არ მოსულიყვნენ, ლეონიდმა ერთი ნახტომით ფეხბურთელს გვერდი აუარა, „კავალერს“ ორის გარტყმით ჭუჭყიან იატაკზე ზღართანი გაადენინა, „ფარგისთვალა“ ბატარეასთან მიახეთქა და შეამჩნია, რომ ქანცი მასაც ელოდა სხვადასხვა მიქსტურებისგან, ინექციისგან, ანტიბიოტიკებისგან, სხვა ათასგვარი იდიოტობისაგან, მომქანცველი მორიგეობისაგან — გაქცეული დამნაშავეების დევნისაგან, მათთან ხელჩართული ბრძოლებისაგან, ღამღამობით, ლიტერატურული შემოქმედებისაგან, თავს იჩენდა ჭრილობები — სხვისი სისხლი, თავს იჩენდა ვინმე სიროკვასოვასგან მიყენებული სულიერი ტკივილი.
ქშენით სუნთქვაშეგუებებულს ფეხბურთელი მუშტებით კიბისქვეშ მოემწყვდია და თავს კედელზე აგანგალებინებდა.
— მოდით, ჰა, დაეხმარეთ, ნაძირალებო, მეგობარს, მოდით, კეთილ ინებეთ!
— ეს რა ჩვენი მეგობარია! სადაური მეგობარია! ვის დაკარგვია! — ირწმუნებოდა „ფარგისთვალას“ ზურგს ამოფარებული „კავალერი“ და უცებ გაახსენდა: „ფარგისთვალას“ ზურგში მუჯლუგუნი წაჰკრა და ცხვარივით შებღავლა:
— გეხა, ჩასცხე, გეხა! ყელი გამოღადრე!
გეხამ მორჩილად ხელი ჩაიყო უბეში, მაგრამ სოშნინმა არ აცალა დანის ამოღება: ნერვების კვანძში ერთის დარტყმით სუნთქვა შეუკრა და როცა ის ტკივილით წელში მოიღუნა, კიდევ ერთხელ მიარტყა და ფურთხითა და ნახველით გაბინძურებულ ფანჯრის მინას მიანარცხა. „ფარგისთვალამ“ თავი ბატარეას ახალა, დაიწკმუტუნა, უკანასკნელად გაიზმორა და დაჩუტული ფერადი საჰაერო ბურთივით ლურჯად დაჭმუჭნული, იატაკზე დაეცა.
ფეხბურთელი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. მის ცემას აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ სოშნინი ისე იყო წყობიდან გამოსული, რომ თავის დაოკება არაფრით აღარ შეეძლო. თავმოკატუნებული თუ

მართლა ნაგვემი და ძალაგამოლეული ფეხბურთელი მოიქნია და ისიც „ფარგისთვალას“ გვერდით, ბატარეასთან მიაგდო. თან, აქეთ-იქით თვალს აცეცებდა და გააფთრებით ღმუოდა. „კავალერს“ აშკარად მოუსავდა, ხელებგაჩაჩხული და თვალებგადმოკარკლული იატაკზე წამომჯდარიყო და ჭუჭყიან კუთხეში იკუნჭებოდა.

— მეტს არ ვიზამ... მაპატიე, მეტს არ ვიზამ, ბიძია, ბი-ძი-კონა! — ლუღლუღებდა „კავალერი“ და სახეზე იღლიაში შემოფლეთილ ჯუბის სახელოს იფარებდა. იასამნისფერი ცხვრის ტყავი, რომელსაც ხშირი ხმარებისგან დასდებოდა ეს ფერი თუ მოდის გამო შეეღებათ ასე, თითქოს, სათამაშო დათუნიასთვის გაუხდიათო. ამის წარმოდგენამ სოშნინი გამოაფხიზლა. ამოისუნთქა ჯერ ერთხელ, მერე მეორედ, და გაოცებით შეათვალიერა რაინდი, რომელსაც სისხლიანი ნერწყვი ჩამოსდიოდა, კუთხიდან გამოათრია, თითქოს ხაფანგიდან გაბმული თაგვი გამოიყვანაო. ჯუბის საყელოში ხელი ჩააცლო, გასასვლელთან მიათრია და პანღურისკვრით ხის პარმაღს გარეთ, ქუჩაში გაისროლა.

— თვალით აღარ დამენახო, შე სალახანა!

ერთხანს ლეონიდი გაშეშებული იდგა კიბესთან: არ იცოდა, რა ექნა, სად წასულიყო. ბებია ტუტიშიხამ ისევ გამოაღო კარი.

— ასე მოუხდებათ მაგათ, თორემ დაეხეტებიან და...

— შენღა მაკლდი!

თითქოს ცნობიერება ჩაქრა, სიბნელე დასადგურდა. — ჯერ ისევ ავადაა, დასუსტებულია. ნერვები ღალატობს, სული ერყევა, წესრიგი არ ჩანს, ეს სამარცხვინო ჯილაგი შეტევაზე მოღოღავს...

ბადურა გაახსენდა. კიბეზე გამოვიდა. ისევ ისე ეკიდა ბადურა. მერე კიბის მოაჯირზე გადაიხარა, გადაიხედა. ბატარეის ქვემოთ წყლის გუბურა მოჩანდა შავად ან, იქნებ, სისხლი... რაღაც ბზინავდა. მოიაზრა — დანა! კიბეზე დაეშვა. ხანჯლის ფორმაზე გამოჩორკნილი ბლაგვი რკინა ხელში აიღო, აი, ისეთი, ბებიამისის ან სხვა წინაპრების დროს მავთულს რომ წყვეტდნენ ან სარტყლებს — ნამდვილი ფინური დანის გაკეთება ან საიდუმლოდ მისი ყიდვა „ფარგისთვალას“ ჯერ კიდევ ვერ მოესწრო.

შინ რომ დაბრუნდა, საქმე გამოიჩინა — მილიციის რკინიგზის განყოფილებაში დარეკა — ფედია ლებედა მორიგეობდა — სპეცსკოლიდან მისი თანაკლასელი, უწინდელ სამუშაოზე მისი მეწყვილე.

— ფედია, ჩხუბში მოვხვდი. ერთ რაინდს გოგრა ბატარეაზე ვახლევინე. სხვას ნუ დაუწყებენ ძებნას, ბოროტმოქმედი — მე ვარ.

— ხომ არ შეიშალე?

— ცემა მაგათთვის წამალი იყო, ფედია!

— წამალი!.. წამალი! ჰოდა, უყარე ახლა კაკალი. მაგ უნამუსოების გამო. დაგიწყებენ აქეთ-იქით თრევა-დაკითხვას.

სოშნინმა ყურმილი დადო. ხელებზე დაიხედა. ხელები ისევ ისე უკანკალებდა. ძარღვები დაწყვეტაზე ჰქონდა. ონკანის ქვეშ ხელის ბანას შეუდგა და თითქოს ძილი მოეძალა. დაღლილობის, მდგომარეობიდან გამოუვალობის წუხილი მოერია — ასე ემართებოდა მუდამ ბავშვობიდან მოკიდებული: შეურაცხყოფისას, უსამართლო დამოკიდებულების დროს, განრისხების, სულიერი ბრძოლის შემდეგ ტკივილი, აღშფოთება კი არ იპყრობდა, არამედ გამჭოლავი, ყოვლის დამთრგუნველი სევდა ეუფლებოდა. რას იზამ! თავისი ბუნებით იგი დონდლო, უხერხემლო არსება იყო, თანაც, დედაკაცების ხელში გაზრდილი. ამისთანას მილიციაში კი არ უნდა ემსახურნა, არამედ დედამისივით და მისი დეიდებივით, სადმე კანტორაში უნდა მჯდარიყო და ქვითრები ეწერეპებინა, ზედნადებები გამოეწერა, ხოლო თუ მაინცდამაინც მილიციაში სამსახური ეწადა, აეღო უნდა ცოცხი ძია პაშასავით და ეზო დაეგავა.

ან კი ვინ დაბადებულა, ამქვეყნად, მილიციისა და სამხედრო სამსახურისთვის? ქვეყნად რომ არ არსებობდნენ ბოროტება და ბოროტი ადამიანები, არც ერთი და არც მეორე საჭირო აღარ იქნებოდა. საუკუნეობით, ყოველგვარი მილიცია, პოლიცია, საბაჟოები და სხვა მათი მსგავსი განა ადამიანთა შორის გაუგებრობის აღმოსაფხვრელად არ შემოუღიათ? ჯანსაღი გონებით რომ ხელმძღვანელობდნენ, ქვეყნიერებაზე დიდი ხანია აღარ უნდა არსებობდეს აღარც იარაღი, არც სამხედრო სამსახური, არც ძალმომრეობა. მათი არსებობა ხომ ყოველგვარ საღ განსჯას მოკლებულია. ამასობაში კი იარაღ-ურჩხული მომძლავრებულა და კატასტროფული ზღვარისთვის მიუღწევია. სამხედრო პირთა რიცხვი მთელს დუნიაზე კი არ კლებულობს, უფრო და უფრო მატულობს და ეს მაშინ, როცა ამქვეყნად იმათი დანიშნულებაც, ვისაც სამხედრო მუნდირი ჩაუცვამს, ისეთივეა, როგორც ყველა სხვა ღვთის გაჩენილი კაცისა: ხვნა. თესვა, მკა და შემოქმედება — და აი რა ხდება: მახინჯები იპარავენ, კლავენ და ბოროტების წინააღმდეგ ირაზმება ძალა, რომელსაც კეთილს მაინც ვერ უწოდებ, რადგან კეთილი ძალა მხოლოდ შემოქმედი ძალაა. ის, რაც არ თესავს, არ მკის, პურს კი მაინც მიირთმევს, და მიირთმევს პურს კარაქით, თანაც, დამნაშავეებსაც კვებავს, ასმევს, აჭმევს, იცავს, რომ არ მოიპარონ, თან, წიგნებსაც წერს, აი, ამ ძალამ დიდი ხანია დაკარგა შემოქმედი ძალის სახელის უფლება, ისევე, რო-

გორც მისმა მსახურმა კულტურამ. რამდენი წიგნი, ფილმი, პიესა იქმნება დამნაშავეობასთან ბრძოლაზე, კახპა, ლოთ, სპირტისმოყვარულ მამაკაცებსა და ქალებზე, სამიკიტნოებსა და დროსსატარებელ სხვა დაწესებულებაზე, ციხეებზე, კატორღებზე, თავზეხელაღებულ ლტოლვილებზე, მოხერხებულ მკვლელობებზე... მართალია, არსებობს წიგნი წინასწარმეტყველური სათაურით: „დანაშაული და სასჯელი“. მშვიდობისა და სიკეთის წინააღმდეგ დანაშაული დიდი ხანია ხდება. სასჯელიც შორს არ არის, ვერავითარი მილიცია ვერ შეაჩერებს მას. ატომური ომის ყველა მსურველს ხელს ვერ გადაუგრეხ, სატუსაღოში ვერ ჩასვამ, ყველა ბოროტმოქმედს ვერ „გადაპარსავ“... ისინი ერთობ ბევრნი არიან, ისინი ძალას ქმნიან, კარგად დაცულ ძალას... უკანონობამ და კანონმა, ზოგიერთი ბრძენის წარმოდგენით, დიდი ხანია გადარეცხა ჯებირები, შეერთდა და ერთ საერთო ტალღად იხუვლა: შეშფოთებულ, დაბნეულ, დასაღუპად განწირულთა წასალეკად.

ამბობენ: გაიგო, ნიშნავს, აპატიოო: მაგრამ ვის და როგორ უნდა გაუგო? ვის და როგორ აპატიო? ნამდვილი დამნაშავეები ჩვეულებრივი ორპირები და ცთუნებულნი არ არიან, თავიანთ თავს უსამართლოდ დასჯილებად რომ თვლიან, მოწყალებით კმაყოფილდებიან, ყარაულის წინაშე თრთიან და ღამღამობით დანებს ლესავენ, პოლიეთილენის პარკიდან ტუმბოებს ამზადებენ, საჭმლის ულუფას ძველ, ჟანგიან ნემსზე ცვლიან, რომლითაც სხეულს იჩხვლეტენ, რათა მასში ათასგვარი გამაბრუებელი სიბინძურე შეიშხაპუნონ, კანაფის თესლს ეწევიან გონების დასანისლავად. არა, ესენი კი არა, ნამდვილი დამნაშავეა ის მოზარდი, გარდამავალი ასაკის შრომაგასწორების ბანაკის პატიმარი, სოშნინი იქ, „ტორფზე“ რომ შეხვდა და რომლის მორალმა და ცხოვრების პროგრამამ შესძრა და შეარყია. ეს გახლდათ კოხტად გამოწყობილი, მკლავში ღონეჩამდგარი, მტკიცე ხასიათის „კანონიერი“ ქურდი, პატიოსნად რომ ელოდება პატიმრობის ვადის დამთავრებას და გამოვა თუ არა პატიმრობიდან, მყის შეუდგება თავისი ძირითადი მოვალეობის აღსრულებას: მაღაზიების ტეხვას, საწყობებისა და ბინების ძარცვას. იგი ხელიდან არ გაუშვებს „საინტერესო საქმეს“ — კბილს გაჰკრავს ნავაჭრს, გაატყავებს ინკასატორს, სულით ხორცამდე ფცქვნის არიფს; ვინ, ვინ, მაგრამ ქურდმა უმუშევრობა არ იცის. ერთხელ საკუთარი თვალით ნახა და საკუთარი ყურით მოისმინა, რა მხიარულად დასცინოდა ასეთი ქურდი დამრიგებლურ-აღმზრდელობითი ჟურნალის თანამშრო-

მელ ქალს, რომელსაც სოშნინი თან ახლდა „ტორფზე“. თითქოს მთვარიდან ჩამოვარდნილაო, ჟურნალისტ ქალს ყველაფერი აოცებდა. განსაკუთრებით სჯეროდა და აღტაცებული იყო ადამიანის ხელახალი აღზრდის იდეით, ადამიანებით, რომლებმაც თითქოს შეიგნეს თავიანთი დანაშაული და ამიერიდან მზად არიან გასწიონ წინ — სტერილურად პატიოსანი მომავალი ცხოვრებისაკენ, ჟურნალისტი ქალი გულახდილად, ინტიმურად ესაუბრება მას.

— აი, თქვენ, — მშვიდი, საქმიანი ტონით მიმართავდა ის „კანონიერ“ ქურდს, რომელმაც მშვენივრად იცოდა თავისი ფასი, — ძარცვავდით ადამიანებს, ტეხდით, ქურდავდით ბინებს.. ფიქრობდით მაშინ თქვენს მსხვერპლზე?

— უფროსო! — ირონიული სიცილით მიაჩერდა „კანონიერი“ ქურდი სოშნინს. — რატომ მამასხარავებთ? განა რით დავიმსახურე, ამგვარი ჭკუის მასწავლებელი რომ მომივლინეთ? გარწმუნებთ, მე უკეთესის ღირსი ვარ.

— უპასუხე, მიდი, უპასუხე, თორემ ჩვენ ჩავთვლით, რომ თავს იკატუნებ.

— მე თავს ვიკატუნებ? მე? ვიკატუნებ თავს? აი, ხომ ხედავთ, ისევ შეურაცხყოფას მაყენებთ, უფროსო! — და შეჩერდა, სული მოითქვა, რათა ჟურნალისტი ქალისთვის საშუალება მიეცა მისი განმარტებების ზუსტად ჩაწერა მოესწრო, და თავისი გულახდილობისთვის უფრო ფართოდ გაეღო კარი. — მე რომ მსხვერპლზე ფიქრის უნარი მქონდეს, მაშინ ექიმი, აგრონომი, კომბაინერი ვიქნებოდი და არა ქურდი! ჩაწერეთ, ქალბატონო? ასე! კიდევ ერთ ძვირფას აზრს მოგაწვდით და ისიც ჩაიწერეთ: მე რომ არ ვარსებობდე, ჩემი საქმე რომ არ არსებობდეს, ამას, — ხელი მიუშვირა სოშნინს, — იმას, იმას, იმას და იმას, — ხელი გაიშვირა საგუშაგო ჯიხურისაკენ, აბანოსკენ, გარაჟისკენ, მთელი კოლონიისკენ, — აი, ყველა ამათ ამქვეყანაზე საქმე არ ექნებოდათ გასაკეთებელი და შიმშილით დაიხოცებოდნენ. ისინი მე საკუთარ თვალის ჩინზე მეტად უნდა მიფრთხილდებოდნენ, დღედაღამ უნდა ლოცულობდნენ, რომ მე ქურდობაზე ხელი არ ავიღო, არ გამოვსწორდე.

აქ ყველაფერი გარკვეულია. იგი მთელი თავისი არსებით დგას ჩვენს წინაშე. მის გარდაქმნასა და ხელმეორედ აღზრდაზე დროს არ დაზოგავენ. ისიც ისე მოიქცევა, თითქოს, მართლაც გარდაიქმნა, ხელახლა აღიზარდა. მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ იმ პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა საქციელი, ამას წინათ, ვეისკში, მათ მიერვე აშენებული, ჩასაბარებლად გამზადებული საცხოვრებელი სახლი რომ გაანადგურეს? თვითონ გაიარეს აქ პრაქტიკა, იშ-

რომეს და მერე საკუთარი შრომის ნაყოფი თვითონვე მოსპეს. ამასწინათ სოშნინმა წაიკითხა, რომ ინგლისში სულაც მთელი ქალაქი გაუნადგურებიათ ასე, გამშვარტლული სამრეწველო ბირმინჰემის ახლოს აუშენებიათ თანამგზავრი ქალაქი, სადაც ჰაერიც უკეთესი იყო და ცხოვრებაც უკეთ შეიძლებოდა. აი, სწორედ ასეთ ქალაქს ანგრევენ მცხოვრებლები და არა მარტო ახალგაზრდები! შეკითხვაზე, თუ რატომ სჩადიან ამას? — ისინი ერთხმად უპასუხებენ: არ ვიცი!

მეოთხე თავი

სოშნინი ბევრს, ხარბად კითხულობდა. კითხულობდა განურჩევლად, უსისტემოდ — სკოლაში, შემდეგ კითხულობდა იმას, რასაც სკოლაში არ ასწავლიდნენ, „ეკლეზიასტემდეც“ მივიდა და ოჰ, საშინელებავ! ეს რომ შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ გაიგოს, რა დღეს დააწევენ: გერმანული კითხვაც ისწავლა და ნიცშემდეც კი მივიდა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ როცა ვინმეს და რამეს უარყოფ, მით უფრო, სახელოვან ფილოსოფოსს და ამასთანავე დიდებულ პოეტს, ჯერ, აუცილებელია, იცნობდე მას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი უარყოფა ან მისი იდეოლოგიისა და მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა, ბრმად ჯაჯგური კი არა, არამედ ხელშესახებად, საბუთიანად ჭიდილი. განა ტყუილა როდი ამბობს ერთი რუსი მეცნიერი: „რისიმე ძიება. იქნება ეს ალბათობის თეორია თუ სოკო, მოუმზადებლად, გაუსინჯავად, შეუძლებელია“. ნიცშე კი სწორედ ის მოაზროვნეა, რომელიც ტლანქად, მაგრამ პირდაპირ თვალში მოგახლის ჭეშმარიტებას, ადამიანის ბუნების ბოროტებას. ნიცშემ და დოსტოევსკიმ თითქმის სტომაქამდე გააშიშვლეს ადამიანი, გამოაჩინეს მისი სიბინძურე, მიაღწიეს იმ ადგილამდე, სადაც კაცი ყარს, სადაც თავს იყრის ამაზრზენი სუნი და ნაზი, ადამიანური კანისა და მოდური ტანსაცმლის შიგნით თავისავის მჭამელ ცხოველს საზიზღარი ეშვები ეზრდება. რაც შეეხება ლიდ რუსეთს, ადამიანის სახის მქონე მხეცი უბრალოდ მხეცი კი არ არის, არამედ მეტწილად, მორჩილებით, უპასუხისმგებლობით, დაუდეგრობით აღჭურვილი სულიერია, რომელსაც სწყურია რჩეულთა შორის იყოს, უფრო ზუსტად, თავის თავს თვითონვე რაცხს რჩეულთა შორის რათა უკეთესად, თავის მახლობლებზე მაძღრისად იცხოვროს, როგორმე გამოეყოს მათ, უფრო ხშირად — იცხოვროს, მდინარის დინებას მიჰყვებაო.

ამ ერთი თვის წინათ, ნოემბრის ჟმურტ ამინდში, სასაფლაოზე მიცვალებული მიასვენეს. შინ, როგორც წესი და რიგია, შვილებმა და ნათესავებმა გამოიტირეს, გულის მოსაოხებლად გადაჰკრეს, სასაფლაოზეც დაუმატეს — ნესტის, სიცივის, მწუხარების გასაქარვებლად. შემდეგ, სამარეში ხუთი ცარიელი ბოთლი აღმოჩნდა, ორიც — შინნახადით სავსე, ისე, როგორც მიღებულია ახლა — თავმოსაწონებლად, მაღალი ხელფასის მქონე მუშაკთა შორის: თავის გამოსაჩენად არა მარტო მდიდრულად გაატარონ თავისუფალი დრო, არამედ მზად არიან, დასაფლავებითაც გააკვირვონ ყველა: სამარესთან დასტობით ფულსაც კი დასწვავენ, ეგების საიქიოს მიმავალს ბოთლით ღვინოც თან დაადევნონ, რათა საწყალობელმა იმქვეყნად გული გადააყოლოს. ბოთლები მგლოვიარე შვილებმა ჩააყარეს ორმოში, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, მშობლის მიწაში ჩასვენება კი დაავიწყდათ. კუბოს სახურავი ჩაუშვეს, დამარხეს, ქვიშით ამოავსეს საფლავი, რომელიღაც შთამომავალი ახალ ტალახიან ბორცვზე კიდეც გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდა, წაიტირა, ცოკოლის დროებითი პირამიდაც მოხაზეს და ქელეხზე გაეშურნენ.

გავიდა რამდენიმე დღე, რამდენი — აღარავის ახსოვდა, საწყალობელი მიცვალებული იწვა ქაღალდის ყვავილებში, ახალ კოსტუმში გამოწყობილი, შუბლზე წმინდა გვირგვინით, ჩალურჯებულ თითებში ახალთახალ ცხვირსახოცჩაჩრილი,. წვიმისგან ჩამორეცხილი, წყალი ნაკადულებად უშხაპუნებდა. მხოლოდ მაშინ, როცა ირგვლივ ჩამომსხდარმა ყვავებმა დაიწყეს გარშემო ყრანტალი და ადგილის ამორჩევა, თუ საიდან შედგომოდნენ საქმეს. სასაფლაოს დარაჯმა გამახვილებული ყნოსვითა და სმენით იგრძნო, რომ რაღაც ავის მომასწავებელი რამ ხდებოდა.

ეს რაა? ისევ ის გულისამაჩვილებელი, ფართო, სივრცეული რუსული ხასიათი? გაუგებრობაა, თუ, ბუნებისგან გადახვევა, ავადმყოფური, ნეგატიური მოვლენა? მაშინ ხმას რატომ არ იღებდნენ ამის გამო? რატომ თავიანთ მასწავლებლებთან ვერ პოულობდნენ ამის პასუხს, და ნიცშესა, დოსტოევსკისა და სხვა განსვენებულთაგან, ისიც, ჩუმად, უნდა ეძებნათ ბოროტების მიზეზები? სკოლაში ყვავილებს ფურცლავდნენ, ბუტკოს, მტვრიანას არჩევდნენ, არკვევდნენ, რომელი ნაწილი რომელს ამტვერიანებს, ექსკურსიებზე პეპლებს ხოცავდნენ, შორთხვს ტოტებს ამტვრევდნენ დაყნოსავდნენ, გოგონებს უმღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ის კი, არამზადა, ქურდი, ბანდიტი, მოძალადე, სადისტი სადღაც იქვე ახლოს, ვიღაცის მუცელში ან რომელიღაც სხვა ბნელ ადგილას მიმალული, მოთმინებით ელოდა თავის მომენტს; მოევლინა ქვეყანას, სწოვდა დედის თბილ რძეს, საფენებს ასველებდა, დადიოდა საბავშვო ბაღში...

დაამთავრა სკოლა, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, გახდა მეცნიერი, ინჟინერი, მშენებელი, მუშა. მაგრამ ყოველივე ეს მასში მთავარი კი არ იყო, არამედ ზედაპირული გახლდათ, დაკერებული ნეილონის პერანგისა და ფერადი ტრუსების შიგნით, სიმწიფის ატესტატის, საწევრო ბილეთის, ქაღალდების, დოკუმენტების, მშობლებისა და პედაგოგების დარიგებების, მორალის ნორმების წიაღში სამოქმედოდ ემზადებოდა და მომენტს ელოდა ბოროტება.

და ერთხელაც ხუფი აეხადა დახუთულ მილს, შავი მურიდან როკაპივით ცოცხმომარჯვებული ამოვარდა ეშმაკი ადამიანის გამოსახულებით და დაატრიალა თავისი შავი საქმეები. ჰოდა, იმტვრიე ახლა თავი, მილიციავ — ის უკვე მომწიფებულია დანაშაულობათათვის კეთილ ადამიანებთან საბრძოლველად, შეჰკარი, გამოაცალე ხელიდან არაყი, დანა, თავაწყვეტილობა... ის უკვე ცაში დაჰქრის, თავის ცოცხზე გადამჯდარი, და რაც მოესურვება, იმას სჩადის... შენ კი თუნდაც მილიციაში რომ მსახურობ, წეს-კანონებისა და პარაგრაფების აბლაბუდაში გახვეულხარ ღილებშეკრული, გამოჯგიმული, მოქმედებაშეზღუდული. ხელი წინაფრასთან: „გთხოვთ, თქვენი საბუთები!". ის კი დაგბღავის, ლანძღვა-გინების კორიანტელით გხვდება ან ბებუთს გაგირჭობს მუცელში. არ არსებობს მისთვის არც ნორმები, არც ზნეობა, მას თვითონ დაუსაჩუქრებია თავისთავი მოქმედების თავისუფლებით, თვითონვე შეუდგენია საკუთარი მორალი და მკვეხარა ცრემლნარევი სიმღერებიც შეუთხზავს: „ისევ მოვა პარასკევი, პატიმართა ნახვის დღე, ციხე-ტაგანკა მშობლიური სახლია ჩემი".

იაპონიაშიო, წაიკითხა ერთხელ სოშნინმა, პოლიციელები ჯერ მიწაზე წამოაქცევენ გავეშებულ ლოთს, ხელბორკილს დაადებენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან მასთან ურთიერთობის გარკვევას. ქალაქი ვეისკი კი დედამიწის სხვა დასალიერში მდებარეობს. როცა იაპონიაში მზე ამოდის, ვეისკის მხარეზე — ჩადის; დღეს იქ პლუს 18-ია, ზამთრის პერიოდის ბოსტნეული კვლებში ამწვანებულა, აქ კი მინუს ორი გრადუსია, ცივი წვიმა ასხამს და ასე გგონია, მთელი საუკუნე არ გამოიდარებს.

სოშნინმა ონკანს შეუშვირა თავი, სველი თმა შეიფერთხა, ყველა მხარეზე შხეფები მიმოაბნია — მადლობა ღმერთს, შხეფების მიმობნევას არავინ გიშლის — აქაც სრული თავისუფლებაა! ონკანი დაკეტა, ქვაბი, მოსახარშად გამზადებული ქათმითურთ, ქურაზე შემოდგა. თმაზე ხელი გადაისვა, თითქოს შეენანა თავი. მერე სავარძელზე გაიჭიმა და ჭერს მიაშტერდა. ნაღველი არ ეშვებოდა. მხარში, ფეხში ტკივილი უვლიდა. „შეეძლოთ, დავესახიჩრებინე, შეეძლოთ, ბო-

ლოც მოელოთ ჩემთვის, შემჩურთავდნენ კიბის ქვეშ... ამისთანებს ხომ ყველაფერი შეუძლიათ...“

სოშნინი, ფედია ლებედასთან ერთად, ქალაქში პატრულზე იმყოფებოდნენ და აი, ღმერთმა ინება მანქანის გამტაცებელი მოევლინებინა მათთვის. ვიღაც გაოხრებული ლოთი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ის იყო, ჩამობრძანებულიყო იმიერ-პოლარეთიდან, ფულით გატენილი პორტფელით, „არიოლს“ რომ ეძახიან; გამოძღა, გაილეშა სიხარულისგან, გმირობა მოუნდა — მოაჯდა თვითმცლელ მანქანას და ჰაიდა! რკინიგზის ვაგზალთან, სადაც ყვავილნარის გარშემო უნდა შემოევლო — ყვავილნარი ღიდი ბედენა არ იყო — მოედანზე ალვის ხე მოკრეს და ახალ მოედანზე მრგვალი ყვავილნარი მოაწყვეს, შუაში ხუთიოდე ლიბანის ნაძვი ჩარგეს, რუხი ქვებით შემორაგვეს, ყვავილები დარგეს და აი ახლა ვეისკელი დიზაინერების მიერ შექმნილი ესთეტიკისათვის რამდენი ხალხი დაიღუპა: გამტაცებელმა მანქანა ვერ შეიმაგრა, მოაჯირს წამოედო, ორი კაცი დაასახიჩრა, ერთი ეზოურს მიასრისა და შიშისგან გაოგნებული და დაბრმავებული ცენტრალური ქუჩისკენ გაქროლდა, შუქნიშნებს ელვის სისწრაფით გადუარა, გზაჯვარედინზე ხორცის ნაფლეთებად აქცია ახალგაზრდა დედა და ბავშვი.

გამტაცებელს მთელი მილიცია მისდევდა. მისდევდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ცდილობდნენ გზა გადაეღობათ, ქალაქის ცენტრიდან განაპირა ქუჩებზე გაეგდოთ, სოფლის შუკებში მოემწყვდიათ, იმედი ჰქონდათ, რომ რომელიმე ღობეყორეში გაიჭედებოდა. კვალში ედგნენ სოშნინი და ფედია ლებედა. თითქოს შეაგდეს კიდეც გაცოფებული მანქანა ერთ ეზოში, გამტაცებელი სილის კვადრატში დაბზრიალდა, ნაფოტებად აქცია საბავშვო მოედანი, კიდევ კარგი, რომ ბავშვები იმ დროს ეზოში არ იყვნენ. როცა იმ ადგილიდან გარბოდა, ხელკავით მიმავალი ორი დედაბერი წააქცია. თითქოს კუნელის პეპლებიაო, ქანცგამოლეული დედაბრები ჰაერში შეფართქალდნენ და თავიანთი მსუბუქი ფრთები ტროტუარზე წყნარად დაკეცეს.

სოშნინმა, რომელიც პატრულს მეთაურობდა, გადაწყვიტა ადგილზევე დაეხვრიტა დამნაშავე.

იოლი სათქმელია: დახვრეტა! მაგრამ რა ძნელია შესასრულებლად. ცოცხალ ადამიანს უნდა ესროლო. ჩვენ ყოველ წვრილმან შემთხვევასთან დაკავშირებით ადვილად ვიტყვით ხოლმე: „მოვკლავ და ის იქნება.“ მაგრამ აი, მოკალი, თუ ბიჭი ხარ.

ქალაქში ვერა და ვერ გადაწყვიტეს ესროლათ დამნაშავისთვის —

ირგვლივ ხალხია. აი, გაიგდეს თვითმცლელი ქალაქგარეთ, განუწყვეტლად ჩასძახიან მეგაფონში: მოქალაქენო, მოერიდეთ საშიშროებას! მოქალაქენო! საჭესთან დამნაშავეა!“..

ჩაუქროლეს ბორცვს, უკან ჩამოიტოვეს ქალაქის ბოლო სვეტი. მიუახლოვდნენ ქალაქგარე ახალ სასაფლაოს. გახედეს — ოი, საშინელებავ!.. სასაფლაოს ზედიზედ ოთხი სამგლოვიარო პროცესია უახლოვდება. ერთ მათგანს უამრავი ხალხი მიჰყვება — რომელიღაც ცნობილ პიროვნებას კრძალავენ. სასაფლაოდან ხუთ კილომეტრზე ღიდი სამშენებლო მოედანია, რა უბედურების დატრიალება შეეძლო აქ გამტაცებელს — გაფიქრებაც კი შესძრავს ადამიანს. ის კი გაცოფებული, უმატებს სისწრაფეს, ქალაქგარე სივრცეში ასი კილომეტრის სისწრაფით მიაქანებს თვითმცლელს.

— ესროლე! ესროლე!

ფედია ლებედა მოტოციკლის ნავში იჯდა, ხელები თავისუფალი ჰქონდა, თანაც, ნაწილის საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა. მორჩილად ამოიღო ბუდიდან პისტოლეტი, სასხლეტი შეაყენა და ოითქოს ვერ გაიგო, ვისთვის უბრძანეს ესროლა, თვითმცლელს ბორბლებში მოარტყა ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე ტყვია, რეჭინას ალი მოედო, ბოლი აუშვა. მანქანა აგრუხუნდა, შეირყა, სიჩქარეს უკლო, სოშნინმა ტუჩზე იკბინა, მოტოციკლის გაზს ბოლომდე დააჭირა.

ისინი თვითმცლელს უახლოვდებოდნენ. უკან ჩამოიტოვეს. ფედია ლებედამ პისტოლეტი აღმართა, მაგრამ იქვე უძლურად დაუშვა ხელი.

— შეაჩერე! — უყვიროდა ის. — შეაჩერე, მტარვალო! ახალმშენებლობასთან გზას გადაღობავენ — იქ საგუშაგოა!..

სოშნინმა თავისი მეწყვილის ტუჩების მოძრაობით გამოიცნო, თითქოს ლოცვაო, უკანასკნელი იმედი — საქმე უსისხლოდ დამთავრებულიყო.

— მერე სასაფლაო?! — ტუჩების მოძრაობითვე მიხვდა ფედია ლებედა სოშნინის პასუხს.

ფედია ლებედას სახე გაუთეთრდა, თითქოს, საწერი ქაღალდია, რომელსაც ჯერ გრაფომანის ხელი არ შეხებია, თითქოს მძიმე გირიაო, ისე სწევდა მაღლა თავის პისტოლეტს. ნიკაპი უკანკალებდა, პირი ნერწყვით ევსებოდა.

— ვცადო... ვცადო...

— დრო არა გვაქვს! — სოშნინმა გააფთრებით გაუტია მოტოციკლს, რათა თვითმცლელისთვის გაესწრო.

გამტაცებელი მარცხნივ შესვლის საშუალებას არ აძლევდა მათ.

მკვეთრი ბიძგებით გ'ხას ულობავდა მოტოციკლს და აიძულებდა განზე გასულიყო, რომელიც კინალამ რამდენჯერმე გადაბრუნდა და იძულებული გახდა მარჯვნიდან მიეგრძელოდა. მანქანის კაბინას როცა გაუსწორდა, მიხვდა რომ სიტყვას არავითარი ძალა აღარ ჰქონდა, მეგაფონი არც გახსენებიათ, ორივემ ერთად მიაძახა:

— შეჩერდით! შეჩერდით! გესვრით!..

მოგრუხუნე მანქანა ყალყზე შემდგარი [illegible]ინია მათკენ. მოტოციკლს რკინის ფეხსადგამი დააჯახა. სოშნინი შოფერი ასი იყო მაგრამ მოხდა რაღაც აუსსნელი რამ — ცდილობდა დაეჭირა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ შესძლო მოტოციკლის პედალი მარცხენა ფეხქვეშ მოეგდო, ყურებს ზუზუნი გაჰქონდა, ცასა და მიწას სიწითლე ედებოდა, სამგლოვიარო პროცესიის მონაწილენი თითქოს წინ გარბოდნენ და სადღაც ქრებოდნენ.

— ესროლეთ! ესროლეთ! რაღას უყურებთ!

ფედია ლებედამ ორი გასროლით მოკლა დამნაშავე. მანქანამ გრუხუნით კიდევ რამდენიმე მანძილი გაიქროლა დაცხრილული ბორბლებით და კიუვეტში წაყო ცხვირი. როცა ეცემოდა მოტოციკლთან ერთად, სოშნინმა თვალი მოჰკრა, როგორ გადმოგორდა ჯიუტ-იდიოტური, ოდნავ მფეთქავი კეფიდან ბურთულსაკისრებივით ლეკერტი. ისევ ლეკერტი. უფრო სწრაფად, უფრო ხშირად და ხშირად, თითქოს, კონვეიერზე მოედინებაო — იგი წითელ ძაფად შემოეხვია კისერს, მხრებს, ჯინსის ახალ კურტაკს, რაღაცით დატენილ ჯიბეებს, შესაძლოა, დედისადმი ან საყვარელი გოგონასადმი წერილებით. ქურთუკზე ჯერ ისევ მოჩანდა ხანძრისაგან ადამიანთა გადარჩენისათვის მიღებული მბრწყინავი ნიშანი.

კურტაკი, ჯიბეები, საჯდომის საზურგეზე გადაგდებული ჯიუტი თავი იელინთებოდა, მძიმდებოდა, ერთ ფერში იღებებოდა.

კრუნჩხვებატანილი სოშნინი მიწაზე დაეცა, წითელი სისველე ყელში მოაწვა. მოკუნტული, კრუნჩხვისგან დაბრეცილი, იგი სასწრაფო მანქანაში დახვრეტილ გამტაცებლის გვერდით იწვა და ესმოდა, რკინის იატაკზე მათი საკაცეების ერთობლივ ხრიგინში ყურებს როგორ ახმებოდა მათი შერეული სისხლი.

რკინიგზის საავადმყოფოს ფრიად გამოცდილმა ქირურგმა, მშობლიურ რკინიგზელთა დაბის მკვიდრმა, რომელიც შეუპოვრად სამეგზე სწავლობდა, თუმცა ხუთოსნის ნიჭით გახლდათ დაჯილდოვებული, გრიშუხა პერეტიაგინმა, მოასწრო, ოდესღაც, ექიმად გაფორმებული-

ყო: იგი ჭაღარამორეული, ზოზინა, მშვიდი და როგორც სოშნინს მოეჩვენა, რამდენადმე დამყოლი ნების კაცი იყო.

— ფეხი ცარიელ ტყავსა და ძარღვზეღაა ჩამოკიდებული. მოვკვეთოთ თუ გადავარჩინოთ? რას გვიბრძანებთ, მოქალაქე უფროსო?

— ეცადეთ, ექიმო! — შეევედრა სოშნინი და გულის მოსაგებად დაუმატა: — ჩემთან არ დაგეკარგება, გრიშუხა. — და რათა ექიმის გაკვირვებულ მზერაზე საბოლოოდ პასუხი გაეცა, კიდევ დასძინა: — მეც ხომ თქვენიანი ვარ. რკინიგზელთა დაბელი დეიდა ლინას დისწული.

— აა, — გამოცოცხლდა ექიმი. — ლიოშკა, არა? მე კი გიყურებ, გიყურებ და ვერ გამომირკვევია, საიდან მეცნობოდი... რაკი რკინიგზელთა დაბელი ხარ, თანაც, ჩვენებური, ვიატკური სისხლის, მარტოოდენ ძარღვებიც საკმარისია.. მე კი გიყურებ, თითქოს ნაცნობი სახე გაქვს, გესმის?.. — ბუტბუტებდა გრიშუხა და მედდას და მომვლელ ქალს რაღაცას ხელებით ანიშნებდა. — მაშ, არ დაგეკარგებაო, ამბობ, ხომ? საცა დამინახავ, და შინ აღარ ვამიშვებ. ხომ, ჰე-ჰე-ჰე!

გრიშუხა ქირურგს რატომღაც სოშნინისთვის ნარკოზი არ მიუცია. ჰიქა სუფთა სპირტით გაუვსეს. ექიმმა შეიცადა, სანამ პაციენტს მკვდარივით არ მოაქცევდა სასმელი, ცოტა კიდევ წაილაყბა აქეთურსა და იქეთურზე და საქმეს შეუდგა. ოპერაციის დროს სოშნინს კიდევ მოუტანეს მენზურა. იგი ცივზე ცივ წყაროს წყალივით ეწაფებოდა სპირტს. შეუჩვევლობის გამო სასა დაუწვა, და დიდხანს ყელი ამოხაპული ჰქონდა.

საავადმყოფოს შემოვლის დროს თავისთავისა და თავისი პროფესიული ოსტატობით კმაყოფილი ძმაკაცურად იცინოდა.

— მე, ფრონტულად მიგკერ-მოგკერე. ბახ-ტრახ, ცხელ ნაკვალევზე. შეხორცდა! გაიგე? აბა. ჩვენ, ვიატკელებს, ნარკოზს ხომ არ დაგვახარჯავენ. სისხლს ხომ არ გადაგვისხამენ, ნარკოზი მავნებელია, სისხლის მარაგი ცოტა გვაქვს. ჩვენ, ვიატკელები, კი ბევრნი ვართ, გამიგე? შენ რა. სუფთა სპირტი აქამდე არ დაგილევია? აწი მე მიყურე, გაქომივიდა, ეაღა, ნაზ-სათუთი ყმაწვილი, ლამაზი, ხუჭუჭთმიანი! ჩემი ნება რომ იყოს, ასეთ კაცუნებს კისრისტეხით გამოვყრიდი ორგანოებიდან.

სოშნინი დიდხანს მიმოდიოდა აქეთ-იქით. დარდისა და მარტოობის გამო ბევრს კითხულობდა. კიდევ უფრო მაგრად დააწვა გერმანულ ენას, რაც მთავარია, ხელი მიჰყო ჯღაბნას. თავდაპირველად ახსნა-განმარტებით ბარათებს წერდა, წერდა ბევრს და ვრცლად, მერე მოკ-

ლი. პატაკის მსგავსი ქალალდი შეადგინა. განსაკუთრებით გაუჭირდა გამომძიებელ პესტერევის სახელზე ახსნა-განმარტების დაწერა.

გამომძიებელი ანტონ პესტერევი დიდად უფრთხილდებოდა მართლმსაჯულების მუშაკის ღირსებას და ეგონა, ყველას იცნობდა, ყველაფერი იცოდა ამქვეყნად და არაფერი საიდუმლო მისთვის არ არსებობდა.

— როგორ მოხდა, რომ თქვენ, მილიციელმა, უკვე ასაკოვანმა კაცმა, ახალგაზრდას, ჭაბუკს ესროლეთ, — ეუბნებოდა სოშნინს და მოწკურული თვალების სამართებლით სერავდა, აშკარად ემჩნეოდა, რომ თავის რომელიღაც უძლეველ, რკინის კერპს ბაძავდა, სიტყვებს კბილებს შორის ცრიდა. ფედია ლებედა ეშმაკურად ირიდებდა თავს ახსნა-განმარტებების მიცემას, — პატრულს ვინ მეთაურობდა? სოშნინი. ჰოდა ახლა კეთილი ინებეთ, და პასუხი აგეთ. აგვიხსენით, რა მოხდა? — ლეონიდი ერთხანს თავს იკავებდა, ცდილობდა რაღაც აეხსნა, რაღაც განემარტა პესტერევისთვის, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და იფეთქა:

— ახალგაზრდა კაი ახალგაზრდაა, მე და ჩემმა ღმერთმა; ახალგაზრდა დედა-ბავშვით! მარტო ეს რად ღირს!.. — ლეონიდმა თვალებზე ხელი მიიფარა, სახე მიიბრუნა. — მათი დაფხრეწილი სხეულები... სისხლი... ალისფერი ლაფი.. არავის დავზოგავ, მაგრამ განსაკუთრებული კმაყოფილებით სწორედ შენ დაგახლი მთელ ვაზნას!

— ფსიხო! — გადაირია გამომძიებელი. — დაგავიწყდა, სად იმყოფები? როგორ მოხვდი შენ მილიციაში?

— ფსიხად იმიტომ ვიქეცი, რომ შენ ღმერთივით გეცხოვრა! — არა, ღვიოდა, მაინც ღვიოდა სოშნინის გულში მისი ბავშვობა. ანტონ პესტერევს მხარზე ხელი მოუთათუნა. — ეს შენი მშობელი დედა არ გახლავს, ამ მიცვალებულისგან, ჩვენებურო, ხუთ თუმნად ვერ დაიძვრენ თავს — ამ სიტყვებით კარი მიუხურა საგონებელში ჩავარდნილ სამართლის მაძიებელს და იგი ისე იყო შეფიქრიანებული, რომ მაშინვე დაურეკა სოშნინს: ცდილობდა გამოერკვია, რა იგულისხმებოდა მის გადაკრულ სიტყვებში.

პესტერევი წარმოშობით ტუგოჟილინოდან იყო, მაგრამ უკვე დავიწყნოდა, რომ მისი მშობლიური სოფლიდან სულ რაღაც სამი ვერსის დაშორებით პატარა სოფელ პოლევკაში ცხოვრობდა სოშნინის სიდედრი, ევსტოლია სერგის ასული ჩაშჩინა, რომელიც მართლაც რომ ძირფესვიანად იცნობდა ყველას და ყველაფერი იცოდა. შესაძლოა, მსოფლიოს მასშტაბითა და ოლქის მასშტაბითაც კი არა, მაგრამ ხაილოვის მხარისთვის ნამდვილად ამომწურავი იყო მისი ცოდნა. აი სოშნინმა სიდედრისაგან შეიტყო, რომ ტუგოჟილინოში ოთხი წლის

წინ გარდაიცვალა გამომძიებლის დედა პესტერიხა, რომლის დაკრძალ-კაზეც შვილებმა და შვილიშვილებმა მოიყარეს თავი, რძლებიც მო-ვიდნენ, სიძეებიც, შორეული ნათესავებიც, არ მობრძანდა მხოლოდ ყველაზე გამორჩეული, ყველაზე საყვარელი უმცროსი შვილი, რომელ-მაც ფოსტით ორმოცდაათი მანეთი გამოგზავნა დასაკრძალავად, ხო-ლო ერცელ დეპეშაში თანაგრძნობას გამოთქვამდა და იტყობინებოდა: ძალიან დაკავებული ვარ საქმეებითო. სინამდვილეში კი იმ დღეებში კურორტ ბელოკურიხიდან დაბრუნებულიყო და შიშობდა, ვაითუ რო-დონს, რომელიც კურორტზე მიეღო, უსარგებლოდ ჩაევლო, განცდე-ბისაგან ნერვები არ ასწეწოდა, ამასთან მიყრუებული სოფლის ნათე-საობასთან არ განეახლებინა ნაცნობობა. ჭეშმარიტად ბნელმა ნათე-სავებმა კი ის მისი მოძულებული ხუთი თუმანი უკანვე დაუბრუნეს: და თანაც ტლანქი სოფლური პირდაპირობით ფულის გზავნილებას მიაწერეს: შენ, ეი, მყრალო და მურტალო, შხამად ამოგდინდეს ეგ შენი ფული".

საავადმყოფოდან ყავარჯნებით რომ დაბრუნდა და ცარიელ ბინა-ში შეეიდა, სოშნინი საავარძელში ჩაწვა და ძალიან ნანობდა, რომ სმას ვერ შეეჩვია — სწორედ ეს უნდოდა ახლა.

ხშირად ნახულობდა დეიდა გრანია. ურეცხავდა. ოთახს ულაგებ-და, საუმელს უხარშავდა და ბუზღუნებდა მის გასაგონად, რომ ლიო-ნია ძალიან ცოტას მოძრაობდა.

თავის მწუხარებას მოერია. ისევ ჩაეფლო წიგნებში, გულმა კვლავ ქაღალდისკენ გაუწია, გააფთრებით წერდა ახსნა-განმარტებებს! ამ, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელმა, მაგრამ მიმზიდველმა სამუშაომ ჩა-ითრია. იგი ადრეც, ჯერ კიდევ სკოლაში აიყოლია წვრილ-წვრილი ამბების წერამ — ეს იყო ჩვეულებრივი, იქნებ, თანამედროვე ახალ-გაზრდა ლიტერატორისთვის ტიპური გზაც: სასკოლო კედლის გაზე-თი, სპეცსკოლაში — მრავალტირაჟიანი გაზეთი, პატარ-პატარა წერი-ლები, კორესპონდენციები, შენიშვნები, შიგადაშიგ „მხატვრული" ფორმით დაწერილიც — სამხარეო გაზეთებში, მილიციის საუწყებო გაზეთებში, შემდეგ და შემდეგ სხვა „წვრილ-წვრილ" ჟურნალებში. „მსხვილ-მსხვილი" ჟურნალებისკენ ჯერჯერობით გული არ მიუწევდა და, მადლობა ღმერთს, თვითონაც, გაეგებოდა ამის მიზეზი.

„ხომ არ სჯობია, პაშასთან გავემგზავრო? პაშასკენ რაღაც გული მიმიწევს!" — დუნედ გაიფიქრა სოშნინმა, რადგან წინასწარვე იცოდა, რომ არსად წამსვლელი არ იყო. განძრევის თავიც არ ჰქონდა, ფოს-

ტის ამოსატანად ძალა არ შესწევდა ჩასულიყო. მაგრამ ახლა მთავარი ის იყო, რომ სურვილი აღეძრა.

პაშა — ადამიანია, უნარი შესწევს სიკეთე მიანიჭოს, გამოკვებოს მთელი ქვეყანა. სწორედ მას შეიძლება მიეუსადაგოთ პუშკინის სიტყვები: „მე რომ დედოფალი ვიყო, — ამბობს ერთი ქალწული, მთელ ქვეყნიერებაზე ერთ დიდ ლხინს მოვაწყობდი“.

პირველი საბრძოლო ნათლობის შედეგად და საერთოდ, მას შემდეგ. რაც საოჯახო ხომალდი გვერდზე გადაიხარა, შეშფოთებისა თუ სამყაროს სიცარიელის შეგრძნების, დროს გასატარებლად და განათლების შესავსებად სოშნინი ადგილობრივი პედინსტიტუტის „ფილფაკის“ დაუსწრებელ განყოფილებაზე შეჩხირულიყო გერმანული ლიტერატურის განხრით და ათობით ვეისკელთან ერთად ლერმონტოვისეულ თარგმანებს გენიალურ პირველწყაროებს უდარებდა. ისინი ხშირად აწყდებოდნენ, რასაც ეძებდნენ ე. ი. ტექსტის განსხვავებულ წაკითხვას, — მიხეილ იურის ძე. ვეისკელ მოაზროვნეთა აზრით, მაგრად ამახინჯებდა გერმანულ კულტურას. პედინსტიტუტში სოშნინმა პირველად გაიგონა სიტყვა „ცელევიკ“ („მიზნობრივი“), რომლის აზრს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, რა თქმა უნდა, პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის ტვინით დატენილ მოღვაწეთა გამოკვლევით ბოლომდე ვერა და ვერ ჩასწვდნენ. თუმცა. უნდა შევნიშნოთ, რომ „ცელევიკი“ სრული სიზუსტით გამობატავს საგნის შინაარსს — ეს ის აბიტურიენტია, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მოვლინებულია და მიღებულია შეღავათიან საფუძვლებზე, იმ მიზნით და ვალდებულებით. რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაუბრუნდეს მშობლიურ ადგილს. საიდანაც მოავლინეს, იმის თაობაზე. თუ რამდენი „ცელევიკი“, განსაკუთრებით კი „ცელევიჩკა“ უბრუნდება მშობლიურ ადგილსამყოფელს, დანამდვილებით შეუძლია გვიპასუხოს მხოლოდ ყოვლისმცოდნე სტატისტიკამ, რომელიც ამის თაობაზე ბრძნულად დუმს.

პედინსტიტუტის პაწია სტადიონზე, სადაც აქა-იქ წნელით დამაგრებული იყო ნეკერჩხლის „პოკონები“, სოშნინი „ქალაქობანას“ თამაშობდა. ამ სტადიონზე ოდესღაც საპატრიარქოს გუბურა იყო მოწყობილი, სადაც ჰიჟყინების მოშენებას მისდევდნენ. გარშემო შემოწყობილი ჰქონდა ქოთნებში ჩარგული თეთრი და ყვითელი დუმფარები და შროშანები, და გარს ერტყა ტანღონიერი ხეები. ებრძოდნენ ეკლესიის მსახურთა შუასაუკუნეობრივ სიბნელეს. მათს დრომოჭმულ გადმონაშთებს, ხეები წამოაქციეს, გუბურის წყალი, თავის ჰიჟყინებიანად, წიდით ამოავსეს, ზედ ახალმშენებლობათა ფუნდამენტიდან ამოღებული მიწა დააყარეს, მაგრამ ეს წყეული წარსული იოლად რო-

დი ნებდებოდა, ჯიუტად განაგრძობდა სიცოცხლეს, ყველაფერს ეტ-
მასნებოდა, ედებოდა, ეწებებოდა და ჯიუტად ამოდიოდა დატკეპნი-
ლი სტადიონის მიწის წიაღიდან, ჯირკის ძირებიდან, მთელ ფართობ-
ზე სიღრმისეულად და მტკიცედ აცხადებდა თავის უფლებებს. გაზა-
ფხულის მაცნეებად გზავნიდა მათ სუფთათვალება თანამედროვეობა-
ში რათა დავიწყებას არ მიცემოდა და თავისთავს ახსენებდა თანამედ-
როვეობას ჩინარისა თუ ნეკერჩხლის უკვდავების გამომხატველი შტო-
ებით, რომელთა შორის წიდამოფრქვეულ გზა-ბილიკებზე დარბოდ-
ნენ იდაყვგამოშვერილი, ჰარმონიულად განვითარებული მომავალი
პედაგოგები, ავარჯიშებდნენ სხეულს — რათა მოქნილობა შეეძინათ,
კუნთებს ძალა და აზრს სისწრაფე მომატებოდა.

რადგან სოშნინი დაკოჭლდა, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა სახ-
მელეთო თამაშებში, აზარტულად ისროდა გაშალაშინებულ ჯოხებს,
ხან წააქცევდა „ბებიას ფანჯარაში“, ხან „გველს“, ხან „ქოხს“.

ერთხელ სტადიონის კუთხეში მამაკაცური აღნაგობის დრუნ-
ცა გამოჩნდა; უსიმპატიო, დაკუნთულ-დაკუთხული, ლოყებდაბ-
რაწული. ჯანსაღი სახისა; მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა — ქერის-
ღერის ფერისა და სიმსხოსი. დრუნცა ძველმოდური ძვლის სავარ-
ცხლით კეფაზე ნაწნავს იხვევდა და თან საციგურაო ნიფხავს წელზე
ექაჩებოდა, კოფთაზე ფოლაქებს იგლეჯდა, თან, გაფართოებული ნეს-
ტოებით, მოუთმენლად კრუსუნებდა და ქშუტუნებდა. გზადაგზა,
ფეხბურთელის ნიფხვის სწორებით, სტვენა-სტვენით ღრმად ჩაისუნ-
თქა ჰაერი, სარბენ ბილიკზე გამოჯირითდა და სტარტის მოლოდინში
გაირინდა. ბიუსტჰალტერი, რომელიც გათხლაშულ მაისურაში ტანზე
მკვეთრად ესახებოდა, ზურგზე ძვლისნასკვით შეეკონჭა; ამიტომ პლას-
ტმასის შესაკრავი სტიქიურ ძალის დაწოლას ვეღარ გამკლავებოდა,
გახეთქილიყო და უმაქნისად პორწიალობდა. თავისთავად ცხადია,
მხოლოდ მაგარი ნასკვით შეიძლებოდა გულმკერდის თუჯის ცილინ-
დრებში სამ დიუმიანი ქანჩებით ჩახრახნილი ამოდენა ძალის მასის
შეკავება. ბიჭი ხარ და სინჯე! სოფლის მოწინავე მექანიზატორებმა
არაერთგზის სცადეს იმ ქანჩების მოშვება, მაგრამ ამაოდ: ჩუქურთმაც
კი ვერ მოაგლიჯეს, ვერ დაიურვეს მძლავრი, სირბილის დაწყების წინ
კიდევ უფრო გაავეშებული მექანიზმის ძალა.

— ეეჰ, თქვე ჭიაყელა ინტელიგენტებო! — დაჰყივლა დრუნცამ.
როცა ნიფხვის ფართხუნით გაუსწორდნენ აქოშინებული ახალგაზ-
რდა სპორტსმენები, თამბაქოს წევით, ღამის პაემანებითა და სტუდენ-
ტური წყალწყალა კერძებით ფერდაკარგულნი და უღიმღამონი.
დრუნცას მკერდი აუთამთამდა. დუნდულები ტრაქტორის ბორბალი-
ვით დაუტრიალდა, ორმოცდაორნომრიან კედებში ჩატენილმა მძლავ-

რმა ფეხებმა საეენიანი ნაბიჯებით მოუსვეს. მაგრამ რა მოუსვეს!... შთაგონებული სახე ჰქონდა, შემართებული, საბრძოლო გამომეტყველება! ჰოდა... მთელმა წვრილფეხობამ, მიწაზე ძლივს რომ მიალასლასებდა ფეხებს, გზა უტია: დიდი ხნის წინ დამარხულ საპატრიარქო გუბურასთან აქეთ-იქით ქინქლივით მიმოფანტა და მისგან შორს, შორს ჩამორჩა.

რის ფინიში, რა ფინიში! დრუნცამ ქარიშხალივით გადაუარა მას და ღმერთმა უწყის, სანამდე ირბენდა, სტადიონის კედელს რომ არ წაწყდომოდა. აი, ვინ იყო და რა იყო პაშა! ღმერთს გვარიც მისი ტანის შესაფერისი ებოძებინა — სილაკოვა. ვიღაც კარგად ნავარჯიშევი სპორტსმენი, სულაც სპორტის ოსტატი, ფინიშის შემდეგ თავლაფდასხმული, თავის გასამართლებლად ამბობდა: „გავასწრებდი, ღმერთმანი, გავასწრებდი ამ სტიქიურ დედაკაცს, სათვალე რომ არ გამოფლიანებოდა“. პაშა სილაკოვა კი, შემწყნარებელური ღიმილით მხარზე ხელს უთათუნებდა გამოჩენილ სპორტსმენს და სთავაზობდა: „კიდევ ხომ არ გვეცადა, ჰა?“

იქ იშვა იმხანად ეგზომ გავრცელებული საინსტიტუტო სიმღერა: „ფაფას მოგიხარშავდი, ყვავილებს მოგართმევდი, მაგრად შეგიყვარებდი, მუდამ გიერთგულებდი“, რასაც მოსდევდა მინამღერი: „სათვალე რომ არ გამოფლიანებოდა“... „მასგამძლეობას ჩავაბარებდი, ფიზმატზე შევიდოდი, მეც სიმაღლეებს დავიპყრობდი... სათვალე რომ არ გამოფლიანებოდა...“ და ა. შ. „ცელევიჩკა“ პაშა სილაკოვას საქმეები ინსტიტუტში ისე კარგად არ მისდიოდა, როგორც სტადიონზე. იგი არც პოჩინკოვოს სკოლაში გამოირჩეოდა მეცნიერების დიდი სიყვარულით და წინ ვერ უსწრებდა ვერავის, ცდილობდა, დასწეოდა მხოლოდ. მისი ადგილი იქ, საკოლმეურნეო ფერმაში იყო, საპატიო ადამიანი, შრომის დამკვრელი გახდებოდა, მრავალშვილიანი დედა... დედამისმაც ხომ მთელი თავისი ახალგაზრდობა, მთელი ცხოვრება, სილამაზე და ძალა კოლმეურნეობის ფერმას შეალია, მაგრამ როცა გაიგო, პედინსტიტუტში დამატებითი მიღება გამოცხადდაო, ქალიშვილს ასე ურჩია: „წადი, შვილო, ისწავლე, განათლდი, გამიმეცნიერდი, ბევრი ფული გექნება, ხალხში გამოხვალ და ჩემსავით მთელ ცხოვრებას ნაკელში არ გაატარებო.“

პაშა სილაკოვას ძალიან, მეტისმეტად ძალიან უნდოდა მეცნიერი გამოსულიყო, ღამეებს ათენებდა, მეცნიერებითა და ქალაქური კულტურით ლამის გამოტვინებამდე მიდიოდა, თავისი სოფლური, მრავალნაცადი გლეხური ჭკუამიხვედრილობით თანდათან ალღოს უღებდა, თუ როგორ უნდა მიეღწია თავისი მიზნისათვის: საერთო საცხოვრებელში დროგით კარტოფილს ეზიდებოდა, სოფლიდან რძე და ხორ-

ცი ჩამოჭრონდა. ოთახს ალაგებდა, ფილფაკის არისტოკრატ ქალებს ტანსაცმელსა და თეთრეულს ურეცხავდა, უუთოვებდა, ისინი კი გოძელმუსდშტუკიან სიგარეტს აპლაკუნებდნენ, კონიაკს ეძალებოდნენ. კოქტეილსა და სექსს აჭაშნიკებდნენ. იმპორტული ჯინსების უკანა მხარეზე მიკრულ წარწერებს იზეპირებდნენ, რომელთა შორის ყველაზე ძვირფასი გახლდათ „მონტანა“, პაშას ზურგს უკან ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ და აპამპულებდნენ. მადამ პესტერევამ, რომელიც ინსტიტუტში კლასიკური რუსული ლიტერატურის კურსს კითხულობდა, პაშა შინამოსამსახურედ გაიხადა.

პესტერევები ოჯახური საქმეებით თავს არ იწუხებდნენ, არ უნდოდათ ხელი გაესვარათ, ცხოვრობდნენ მაღალინტელექტუალური პიროვნების წესმოთხოვნილებათა მიხედვით: ტენისით ერთობოდნენ, ყინულკრილში ბანაობდნენ, კოლექტიურ ნადირობებში მონაწილეობდნენ, ორივე ცოლ-ქმარი გიჟურად დააქროლებდნენ საკუთარ „ვოლგას“, ცალი ხელით, ზარმაცად ამოძრავებდნენ საჭეს, მეორე ხელის იდაყვი ღია სარკმელში გადმოეკოთ ლაღად. „ვოლგის“ შალითები რატომღაც ბანჯგვლიანი არსების ტყავიდან გაემზადებინათ — პესტერევების სიტყვით. ეს ლამას ტყავი გახლდათ. როგორც მდიდარ კავკასიელებს სჩვეოდათ — უკანა სავარძლის თავზე ჭრელი ბურთი ქანაობდა; წინა მინაზე, როგორც აგრეთვე შეძლებულ, კულტურის გემოგახსნილ პირებს შეეფერებათ, პირდაფჩენილი, წითელნიფხვიანი მაიმუნი ჩამოეკონწიალებინათ; მინას მკაფიო წარწერა ამშვენებდა: „ესპანო-უერტო-კომანდოროს“.

ანტონ პესტერევი სტუდენტობაშივე დაკორწინდა ვეისკის სელის კომბინატის დირექტორის ასულზე. ანტონს [illegible] სამ სულზე ოთხ ოთახიანი ბინა ჰქონდა, ადგილობრივი [illegible] შეექმნა. სადაც საღამოობით თავს იყრიდა ვეისკის „მაღალი საზოგადოება“. ერთ-ერთი ოთახი ნესტერევებს სასტუმრო მისალებად ეჭირათ. რომელიც, ამავე დროს, სათამაშო დარბაზის ან რაღაც უზარო, ბილეშური მუზეუმის როლსაც ასრულებდა. კედლებზე აბსტრაქტული ტილოები ჩამოეკიდნათ. აქვე გამოეფინათ გრავიურები, ძვირადღირებული და ნახევრად უხამსი ჭედური ნაკეთობანი ქალღმერთის გამოსახულებით, სალვადორ დალის პიკანტური სურათების რეპროდუქციებით. საღამოობით დარბაზში ოდნავ მოგუდული ხმით, ინტიმურად გაისმოდა იაპონური რადიოჩამწერი ინსტრუმენტების მოდური სიმღერები „ოტუდოვადან“ და რა თქმა უნდა, მოდური სალონების უცილობელი კუთვნილება გახლდათ აგრეთვე მოდური პოეტები: ვისოცკი, ოკუჯავა, ნოველა მატვეევა; ინკრუსტრირებულ თაროებზე ، ევტუშენკო, ვოზნესენსკი, ახმადულინა, აპოლინერი, დოს პასოსი, სიმენესი, ლი ბო, შემ-

დეგ პიკული, სიმენონი, აპდაიკი, მათ შორის, „ბიბლიისა“ და ლოცვანის რევოლუციამდელი გამოცემები — ოქროს საკეტითურთ, „იგორის ლაშქრობის“ სასაჩუქრო გამოცემა და დალის ლექსიკონის მშვენიერი გამოცემის ოთხი ტომი.

მადამ პესტერევა თავის სტუმრებს ართობდა პაშა სილაკოვას საათვგადასავლო ეპიზოდებითა და სტუდენტთა აუდიტორიაშიც გასართობ, სასეირო სცენებს მართავდა:

— აბა, ყმაწვილო კაცო, — ძველმოდურად მიმართავდა იგი სტუდენტ ქალიშვილს, ისე, თითქოს, მამრობითი სქესის არსებაოო და კომანდა „სწორდის“ მიხედვით ამხანაგების წინაშე დააყენებდა. — რა შეგიძლიათ, თქვენ გვიამბოთ ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის საბედისწერო შეცდომებზე?

ამ კითხვაზე ცქვიტი, გამხიარულებული, თანაკურსელების კარნახით გამხნევებული, პაშა სილაკოვა ოდესღაც ნათქვამს გაიმეორებდა: — გოგოლის მისტიკური განწყობილებები, რომლებითაც ის გამსჭვალა ეკლესიის მამათა შაებნელმა, ჩამორჩენილმა ფილოსოფიამ, გოგოლი მიიყვანეს და შეუძლებელია, არ მიეყვანათ დიდი რუსი მწერალი სულიერ კრახამდე. ამ სულიერი კრახის შედეგად მან დაწვა „მკვდარი სულების“ მეორე ტომი, რომელიც, უნდა ითქვას, პირველ ტომზე უფრო სუსტი იყო, ვინაიდან ეკლესიის მსახურთა გამჩრდილელი სულისკვეთებით გახლდათ გამსჭვალული. ეკლესიის მსახურებისა, რომლებიც „ოპტინის“ უდაბნოს კატაკომბებსა და შემზარავ კუთხეკუნჭულებში, აგრეთვე ბნელეთის მებრძოლ მოციქულთა სხვა ბუნაგებში იმალებოდნენ...

— ოჰო-ჰო, ეტყობა, თქვენ წაკითხული გაქვთ მეორე ტომი, ამიტომაც ასე დაბეჯითებით უარყოფთ მას!

— არა. ყოველივე ეს ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში გვიამბო ლიტერატურის მასწავლებელმა ედა ჰენრიხის ასულმა შუტენბერგმა, ჩემი ამხანაგი გოგონები დამეხმარნენ. დამეზეპირებინა.

— მაგარი მასწავლებელია?

— კი, გამოსწორდა შემდეგ, აღადგინეს და ორდენოსანიც კი გახდა.

— ვინ იცის, იქნებ, დამსახურებული მასწავლებელიც შეიქნა, ჰა?

— კი, რავა არა! დამავიწყდა მეთქვა. დამსახურებულიც შეიქნა-მეთქი.

— და თქვენ, სოფლელ მოსწავლეებს, დამოუკიდებელი აზროვნება გამოგიმუშავდათ?

— აბა, როგორ!

მადამ პესტერევას სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამა-

შებდა, რომლითაც აუდიტორიას მოწმედ იწვევდა, ასე განაგრძობდა საჩვენებელ სპექტაკლს და მიამიტ პაშა სილაკოვას წინადადებას აძლევდა „გამოეკვლია, რას წარმოადგენდა „პუშკინის ეპოქა“. თავის ქნევით და „გზის გამკვლევი“ რეპლიკებით ეფექტური შთაბეჭდილების მოსახდენად სათანადო მიმართულებით ეწეოდა. პაშაც შთაგონებით ამხელდა მაღალ საზოგადოებას, იმ დამღუპველ ეპოქას, რომელმაც დიდი პოეტი და მოწამე თავის მორევში ჩაითრია. ლანძღავდა და აგინებდა გრაფ ბენკენდორფს, სარკასტული გამოთქმებით ათახსირებდა მეფეს, ისე აკრიტიკებდა მას, თითქოს კოლმეურნეობის კრებაზე ლოთ ბრიგადირს ამხელსო, ტლანქად, ულმობლად, და დაასკვნიდა, რომ დიდ პოეტს სხვა აღარა რჩებოდა რა, თუ არ დაღუპულიყო „კეთილშობილ ბრძოლის ველზე“. „ინტრიგებმა, სასახლის კარის ინტრიგებმა ჩააქრო შუქურა რუსული პოეზიისა“...

— აფერუმ, მაგრად შეუკურთხეთ იმ ძველებს! — ირონიული ღიმილით თავს უქნევდა მადამ პესტერევა. — რაღა დაგვრჩა, გვიბოძეთ თქვენი ჩათვლის წიგნაკი. ჩვენი ინსტიტუტის მასშტაბითაც კი ასე ამომწურავად იშვიათად თუ ვინმე აფასებს კლასიკოსების ყოფაქცევას.

ლერკა, სოშნინის მეუღლე (ამჟამად, როგორც თანამედროვე მოდა ითხოვს, ისინი განქორწინებული გახლავან, მაგრამ სასამართლოს ჯერ არ განუხილავს მათი საკითხი), პოჩინკოვოს სკოლის მაღალ კლასებში სწავლობდა პაშა სილაკოვასთან ერთად. როგორც კი შეიტყვეს, ეს ყოვლად ზნეკეთილი ადამიანი ამ ყოფაში ჰყავთო, პირიდან სულ ცოფი ჰყარეს ბაბუამისმა და მამამისმა, რომლებსაც ნახევარი რაიონი გუთნით ჰქონდათ გადახნული; მათ უფრო გრძელი სანგარი ჰქონდათ გათხრილი, ვიდრე ცოლ-ქმარ პესტერევებს თავიანთი საკურორტო და ტურისტული საგზურებით ქვეყანა მოეარათ; ამას ზედ ისიც დაერთო, რომ იმ სწავლულ ქალბატონს საწყალი გოგო შინამოსამსახურედაც გაეხადა.

— ეს რა საქციელია? რას გავს ეს? — ღრიალებდა ლერკა, ცოტა არ იყოს, თავშეუკავებელი არსება, — აქაოდა, ვითომ, ხულიგნებს იჭერენ, ლოთებს გამოსაფხიზლებელში ერეკებიან! აქ კი რა ხდება? როდის იქნება, რომ ბოლო მოეღოს ამ ახალგამოჭყლეტილი არისტოკრატების მიერ ჩვენი, სოფლელების აბუჩად აგდებას?

— ნუ ღრიალებ, თუ ღმერთი გწამს, შენ ერთი ის თქვი, გოგოს რა ვუყოთ? პაშა როგორ გადავარჩინოთ?

დასხდნენ. მოითათბირეს და გადაწყვიტეს: პაშა პროფტექნიკურ სასწავლებელში გადმოეყვანათ სასოფლო-სამეურნეო განხრით, რათა

ფართო პროფილის მექანიზატორის პროფესიას დაუფლებოდა. პაშამ ტირილი მორთო: „არ მინდა მექანიზატორობა, მე მეცნიერობა მინდა! კარგი, სხვა საშველი თუ არ არის, სკოლამდელი აღზრდის პედსასწავლებელში შემიყვანეთ, ამას მაინც ვეღარ დავძლევო?.. — იხვეწებოდა.

სოშნინმა ხელი მოჰკიდა პაშას და პირდაპირ შინ მიუყვანა პედინსტიტუტის რექტორს, ნიკოლოზ მიხეილის ძე ხახლაკოვს, ამ განთქმულ მწიგნობარს, ვის ბიბლიოთეკასაც ასე ხარბად დაეწაფა ლეონიდი მას შემდეგ, რაც პატიმრობა-გადასახლებიდან ახალდაბრუნებულს, ჯერ სამუშაო ვერ მოეძებნა; დეიდა ლინა ამ პროფესორის ოჯახში რეცხავდა და ბინას ალაგებდა.

ნიკოლოზ მიხეილის ძე შესახედავად ტიპიური პროფესორი გახლდათ — ტანმძიმე, ჭაღარა, ოდნავ წელში მოხრილი, ველვეტის ხალათი ემოსა, თუთუნს არ ეწეოდა, ღვინოს არ ეტანებოდა, მისი ოთხოთახიანი ბინა ჭერამდე სავსე იყო მტვრიანი წიგნებით, ყოველივე ამან, როგორც ლეონიდი მოელოდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პაშა სილაკოვაზე. როცა ნიკოლოზ მიხეილის ძემ აუხსნა, რომ თანამედროვე მეცნიერისათვის იგი მეტისმეტად პატიოსანი და მიამიტია, ამასთან, ისიც დასძინა, რომ დღეს სოფლის მექანიზატორს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ჰუმანიტარული დარგების მეცნიერთ, პაშამ ხელი ჩაიქნია:

— ყველა მეცნიერი ხომ არ იქნება? ვინმემ ხომ უნდა იმუშაოს. სადაა აქ ჭუჭყიანი ვედრო? — კალთა აიკაპიწა და იატაკის წმენდას შეუდგა. მერე ავეჯი, წიგნის კარადები დააკრიალა, დაქვრივებული პროფესორის ბინა დაასუფთავა, თან, ამ მუშაობისას, მთელს ამ „მეცნიერების კერაში“ გაისმოდა მისი ყვირილი: „მე! შენ! ის! — ერთადა ვართ მთელი ქვეყანა!“

პაშა პროფტექნიკურ სასწავლებელში კარგად სწავლობდა, მთელ ოლქში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი შეიქნა, ბადროს ტყორცნაში ბადალი არ ყავდა — ყველა ადგილობრივი რეკორდი მოხსნა, ის კი არა, ზონალურ შეჯიბრებებზეც იწვევდნენ და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიც მონაწილეობდა. და როცა დედაქალაქიდან დაბრუნდა, სოშნინმა ძლივს იცნო იგი. ოქროსფრად შეღებილიყო: დახუჭუჭებული ფაფარით, ყალყზე შემდგარი თმით, ჩალურჯებული თვალის უპეებით, ჯინსის კოსტიუმში გამოწყობილი, ბოიარსკის „ა ლა მუშკეტერის“ ჩექმებში მოევლინა პაშა მშობლიურ მხარეს, მშფოთვარე, მბდღვინავი, ყოვლის წამლეკავი — კბილებში გაჩრილი სიგარეტით.

— სადაც შენი თქვა, იქ ჩვენიც არ დაივიწყო! ჩვენ — სოფლელი ბოგოები ბოთე, ღვთის გლახა ფილფაკელებს რით აღარ ვჯობიხართ?

„ო-ო-ჰ, — ამოიხვნეშა სოშნინმა, —ასე თუ წავიდა საქმე, სოფელი ერთ კარგ მუშაკს კიდევ დაჰკარგავს, ხოლო ქალაქს კიდევ ერთი გათავხედებული ხეპრე შეემატება, და იმავე ნიკოლოზ მიხეილის ძისა და ლერკას მეშვეობით პაშა მშობლიური პოჩინკოვის კოლმეურნეობა „განთიადის“ ცენტრალურ ნაკვეთზე გაგზავნეს მექანიზატორად, სადაც ის მამაკაცების მხარდამხარ შრომობდა, იქვე გათხოვდა, ზედიზედ სამი ვაჟი გააჩინა, მეოთხეზე ორსულად გახლდათ. ისეთი შვილები კი არ უშობია, საკვისრო გაკვეთით ძლივს რომ ამოჰყავთ ხოლმე მუცლიდან და ენის მოჩლექით რომ წივწივებენ: „აჰ, ალერგია! აჰ, დისტროფია! აჰ, ნაადრევი ხონდროზი!“

— ჩემი ბიჭები ამაყად ივლიან დედამიწის ზურგზე, ზღვებს გაჰკვეთავენ, კოსმოსში გაფრინდებიან — და ნაზი არსება, დედა და ქალი პაშა ამოიოხრებდა: — კარგი იქნება, თუნდაც ერთი მათგანი, როგორც ნიკოლოზ მიხეილის ძე, სწავლული გამოვიდოდეს...

— არსადაც არ წაძიყვან! ალბათ, არც მე წავალ. სამიანი? სამიანი ხომ სიყალბეა, თავის მოტყუებაა და მე დიდი ხანია არ მჯერა ბაბუასი, — წაიბუტბუტა სოშნინმა, რომელიც დივან-საწოლს ვერ შორდებოდა და ესიამოვნა, რომ ხაილოვსკის მატარებელი უკვე გასულიყო. ხვალამდე აქეთკენ აღარაფერი ჩაივლის, გარდა ავტობუსისა, ავტობუსი კი სასტიკად ანჯღრევს ამისთანა ამინდში, საბრძოლო ჭრილობებმა ტეხვა იცის და უნდა მოერიდოს ავტობუსით მგზავრობას. აი, ხვალ, ზეგ, მხნეობას მოიკრებს და ესტუმრება პაშას, ვინ იცის, იქნებ, სიმამრ-სიდედრამდეც ჩააღწიოს. — პოჩინკიდან პოლევკამდე დიდი მანძილი აღარაა. უნდა დაურეკოს ლერკას, რა ხანია, არ გაუგონია მისი ხმა, ის, ცხადია, მაშინვე მიხვდება, რომ რაღაც მოხდა.

ჰოდა, ამასაც ითმენს!

ამრიგად, რაზე შევჩერდით? ცხოვრების წინააღმდეგობებზე? რატომ ურტყამენ ადამიანები ერთმანეთს? რა უბრალო კითხვაა. პასუხიც ერთობ მარტივია: „ხოში აქვთ და ურტყამენ“.

ხაილოვსკის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ალექსი დემიდის ძე ახლიუსტინი, მოაზროვნე და მებრძოლი კაცი, ბრძანდებოდა: „დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ადამიანთა ნახევარი მზადაა დაარღვიოს წესრიგი, მეორე ნახევარი კი უკრძალავს დაარღვიოს. ამრიგად: ჯერჯერობით წონასწორობა სუფევს! შემდგომში შეიძლება სულაც ისეთი სიტუაცია შეიქმნეს, როცა ეს ბალანსი დაირღვევა“...

„არა, ლერკას მაინც უნდა დავურეკო! ნეტა რა მოუვიდა? რაშია საქმე? — ხელი, რომელზედაც საათი ეკეთა, სოშნინმა შუქისკენ მიაბრუნა, დიდი ხნის გაუწმენდავი ფანჯრიდან, რომელსაც მუცელგამობერილი „გარდეროპი“ ეფარებოდა, ძლივს გაარჩია, — ხუთის ნახევარი.

ლერკა ექვსზე ათავებს მუშაობას, სანამ საბავშვო ბაღში სვეტას წამოსაყვანად შეივლის, მაღაზიებს შემოირბენს, რვა საათამდე აზრი არ აქვს მასთან დარეკვას. შეიძლება სამსახურშიც დავურეკო, მაგრამ იქ მხოლოდ ქალები არიან! თეთრ, ქათქათა აფთიაქში თეთრი უსაქმურობისაგან წელგაწყვეტილნი, წამლების სუნისგან ხორცითა და გონებით გაბრუებულნი. აბუტბუტდებიან, აერევათ ჭკუა დედაკაცებს: „შენი რეკავს!“ „ფული დასჭირვებია!“ „ალერსი მოენატრა, ალბათ“...

„ღვიძლი შვილი გაახსენდა!“.

„ეეჰ, ქალებო, ქალებო! ნეტავ უთქვენოდ ცხოვრება შეიძლებოდეს! და წამოვა ლექსი... ისე, თავისუფლად, როგორც მაიაკოვსკისთან...“

თვალს მოსვენებას არ აძლევდა, გონებას უშფოთებდა ეს უსარმახარი მძორი — „გარდეროპი“, უკვდავი საბაკევიჩის ფიგურას რომ აგონებდა. უკანასკნელად სწორედ ამ „გარდეროპის“ გამო წაიჩხუბნენ და დაშორდნენ ერთმანეთს. უფრო ზუსტად, იმ ოცდაათი სანტიმეტრის გამო, რომლითაც ლერკას უნდოდა ფანჯრიდან გამოეწია, რათა ოთახში მეტი სინათლე შემოსულიყო. ქმარმა კარგად იცოდა, რატომაც ეზიზღებოდა ცოლს ძველი ბინა, ძველი სახლი, ძველი ავეჯი, განსაკუთრებით კი ეს ყოვლად უწყინარი „გარდეროპი“... ო, როგორ ოცნებობდა მის მოსპობაზე, უნდოდა ადგილი გამოეცვალა მისთვის, გულში სჯეროდა: რომ გადაადგილებისას იგი გარმონივით დაიშლებოდა. ჰოდა, მაშინ საშუალება მიეცემოდა ღუმელში შეეყარა მისი ფიცრები. ამიტომ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, ხოლო წინააღმდეგობის გაწევას რა შედეგიც მოსდევს. ძალიან კარგად იცოდა თავისი სამსახურიდან.

ჰოდა, აი, იფეთქა ჩხუბმა. შეიქნა ერთი გნიასი, გაწევ-გამოწევა, ყვირილი, აყალმაყალი, ცრემლთა ფრქვევა, და ერთ ამგვარ ავდრიან საღამოს ლერკამ დაავლო ხელი ბალღს და ფარმაცევტული ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში გაიქცა. ეს უკვე მეორე გაქცევა იყო.

როგორც აფთიაქის გამგე, უფრო საფიქრებელია, ლეონიდის ძველი ძმაკაცის, სიყრმის ამხანაგის ვალოდია გორიაჩევის წყალობით, როგორც გაჭირვებაში ჩავარდნილი ბავშვიანი დედა, იგი სასტუმროს ტიპის შენობის ცხრა კვმ. ფართობის ოთახში გადაიყვანეს. სადაც ცხოვრების ყველა პირობა არსებობს: ტუალეტი, პირსაბანი, ონკანი, ცოცხი, პატარა დივან-საწოლი, მაგიდა და ტელევიზორი, მას კი აქ დარჩა გაშლილი სივრცე, იგი მეფობს თავის ბინაში, ნეტარებს თავისუფლებით და „გარდეროპიც“ კლდესავით დგას. „დგას! და იდგმება ასე!“ — როგორც პეტრე დიდმა რუსეთზე, ისე ზეიმურად წარმოსთქვა სოშნინმა თავის „გარდეროპზე“.

ლერკაზე ფიქრი არ გამქრალა. პირიქით, უფრო ახლოს მოდგა. რო-

ცა სული შფოთავს, ისიც იქაა, როგორც აბეზარა. დედაკაცი. ცოლი. ჯვარი. უღელი. უღელი კისერზე. სალტე. მძიმე საწონი. და ამა ქვეყნის გაჯანჯლებული ცხოვრება.

მეხუთე თავი

ქ. ხაილოვსკი, სადაც სოშნინი სპეცსკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაამწესეს, საერთოდ, ტიპიური რაიცენტრია, რომლის მოსახლეობა თხუთმეტი ათას სულს შეადგენს, საკმაოდ მშვიდობიან ხალხს, ძირითადად, სოფლელებს. მრეწველობის დარგებიდან აქ არსებობს ხე-ტყის, სელის ნართისა და სოფლის მეურნეობის წარმოება. ქალაქს ზოგჯერ უსიამოვნებას აყენებდა და აშფოთებდა განაპირას მდგარი საფეიქრო ტექნიკუმი და ხე-ტყის მრეწველობის საზონათაშორისო დასასვენებელი სახლი. ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, ხაილოვსკს შესძრავდა ხოლმე თანამედროვე პროგრესის ექო. შემარყეველი ბიძგები, უმთავრესად, რკინიგზის ლიანდაგს მოყვებოდა, რომლის მახლობლად მიყუჟულიყო რევოლუციამდელი ხითნაშენი ვაგსალი. სადგური ხაილოვსკი, რვა კვანძის გზაჯვარედინით; წლის ყველა დროს ლიანდაგები გატენილი იყო მორებით, ძელებითა და ფიცრებით დატვირთული ვაგონებით — ადგილობრივი სატყეო მეურნეობის მრეწველობის პროდუქციით.

და აი, ხაილოვსკში ჩამოსვლას მოუსწირეს თანამდებობის პირებმა. ჯერ ჩამოდიოდნენ არცთუ ისე დიდი მოხელეები, თავშეკავებულნი, ენადაცულნი, შემდეგ უფრო დიდ-დიდნი მოხელენი. კ-დევ უფრო ენადაცულნი. საქმე იმით დამთავრდა, რომ მერვე ლიანდაგზე რამდენიმე ვაგონი დააყენეს, რომლებშიც, ლეიტენანტის მეთაურობით მუშა ჯარისკაცები შესაბლდნენ. სამიოდე თვეში ამ მებრძოლმა რაზმმა ხაილოვსკის ცენტრში ორსართულიანი სასტუმრო წამოაყუდა. რომელმაც ქალაქი გაამხიარულა და მას შემდეგ, რაც რაზმი გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა, უნუგეშო მწუხარებაში დარჩა ორი-სამი ქვრივი დედაკაცი...

სასტუმროში დიდი ხნის შვებულებით ჩამოსულებსა და მოვლინებულ პირებს აძლევდნენ ხოლმე ბინას. ერთხელ, როგორღაც, ხაილოვსკს გამოეცხადა ამ კუთხის მკვიდრი, გამოჩენილი კონსტრუქტორი, მრავალმუხტიანი ავტომატური საზენიტო ქვემეხის გამომგონებელი, რომელსაც ფრონტელებმა „დაი-დაი“ შეარქვეს. ამ საზენიტო იარაღისგან — რამდენიც გინდა, იფრინე, როგორც გინდა, ისე ილაღე და ირბინე — ვერსად გაფრინდები, ვერსად გაიქცევი და დაიმალები.

აი, სწორედ ამ სასტუმროს დაუკავშირდა სოშნინის თავგადასავალი, რომელმაც მას მთელ ხაილოვსკსა და ახლომახლო მიდამოში გაუთქვა სახელი. ხაილოვსკის მცხოვრებლები თავ-თავიანთ სახლებში ცხოვრობდნენ, მათი სტუმრები და ნათესავებიც, როცა შვებულებით ჩამოდიოდნენ, მათთან ცხოვრობდნენ. ხოლო რაც შეეხება სასტუმროს ნომრებს, აქ აბინავებდა ჯიბესქელი ტყის მრეწველობის სამინისტროს გაქნილი რწმუნებული, რომელიც თავს დასტრიალებდა და წარმართავდა ხაილოვსკის ხე-ტყის პროდუქციას. მცხუნვარე ზაფხულის თვეებში ჩამოდიოდა ტყის მრეწველობის სამინისტროს რევიზორი ან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წარმომადგენელი — კავკასიის მთების შვილი — მსიერი, ბარაქიანი სამხრეთული ნობათით: პამიდორით, ყვავილებით, ხილით, რათა გაბედნიეროს აქაური ბაზარი, რომელიც ჭინჭროვანსა და მოდებულ შამბნარში აღარც კი ჩანდა. ადგილობრივი პრესის გაყოყოჩებული ჟურნალისტი დილიდან საღამომდე აზანზარებდა „ლუქსის“ ნომრების ტელეფონებს სელისა და ხე-ტყის ნარჩენების გაღამუშავების მოწინავე გამოცდილებაზე მასალების შესაკრებად. პოეტები და მხატვრები, მეტწილ თაბუნებად შეკრულნი, თავს დააცხრებოდნენ ხოლმე აქაურობას. ძლივძლივობით ისტუმრებდნენ სასტუმროს ხარჯებს. სასტუმროს „საჩივრებისა და წინადადებების წიგნში“ მადლობის სიტყვებს აჭიკჭიკებდნენ და ამ წიგნს თავშესაქცევი ნახატებით ამკობდნენ. მერე ეს მოაზროვნეები ჩუმად ტოვებდნენ იქაურობას და მათი წასვლის შემდეგ დამლაგებლები ტახტებქვეშ პოულობდნენ ბურთულებიან კალმისტრებს, ლუქსის სტრიქონებით სავსე ბლოკნოტებს, ზოგჯერ პირადობის მოწმობებსა და სხვა დოკუმენტებს.

დაიწყო ახალი ხანა. ცხოვრებამ კიდევ ერთი წრე შემოხაზა, სასტუმროში აერიამულდნენ „ქიმიკოსები“. გახურდა ბანქოს თამაში: „მკითხაობაო“, „ტყვიამფრქვევიო“, „ბიბლიაო“, „მუშტუკუნიო“, „ალიანციო“, „სიზმრისაო“, „რეცხვისაო“ — და ვინ იცის, რა სახელს აღარ არქმევდნენ ბანქოს. ახმიანდნენ გიტარები, ჭყიპინებდნენ ღამ-ღამობით ქალები, გაისმა კბილთა ღრჭენა, დამსხვრეული მინის ჩხრიალი, ხანჯლების ჩახაჩუხი. „კაბელი.“ „დემონი“. „ინდოეთი“. „ბალი“. „როიალის გრიალი“. „ჩმოკ-შმოკი“. „გლაზენკო“. „ზადოკი“. „ჩოსი“. „ეჟიკი“. „კუჩერი“, „შნიფერი“ — რა სიტყვებს არ მოიგონებენ, რაღას არ გაიგონებ! მუსიკა მავთულხლართებში, ციხის ტახტებზე შექმნილი სიტყვების კორიანტელი. ტყეებში, ჭაობებში მაცხოვრებელ ადამისშვილთა შემოქმედება.

და აი, ხაილოვსკს მოევლინა დემონი! მეზობელ ოლქში ძალაყინის თავში ჩარტყმით საიქიოს გაისტუმრა ინკასატორი, „საკისრული გა-

იტაცა“ — ასე ეძახიან ამ მოვლენას — ორმოცი ათასი „ნაფხრეწი“ და პისტოლეტი. „შეიარაღებულია და ძალიან საშიში“. — ასე ერქვა კინოფილმს, რომელსაც სწორედ იმხანად უჩვენებდნენ ხე-ტყის მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლში.

არა ამ ფილმის გავლენით, არამედ უფრო ფიზიკური და სულიერი მოდუნების ასალაგმავად, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ცახცახმა აიტანა, სოშნინმა თავი დაიმორჩილა და გადაწყვიტა: „გავქაჩავ! ვინ იცის, ხაილოვსკს კიდევ როდის მოევლინება დემონი. ნამდვილი დემონი!“

სისხლის სამართლის სამძებროს საოლქო სამმართველოდან ტელეფონით უბრძანეს, ოპერატიული ჯგუფის მოსვლამდე არავითარი ღონისძიება არ მიეღო, ხოლო დამნაშავესთვის ფხიზლად ედევნებინა თვალი. მაგრამ დემონი, „მწუხარე დემონი, დევნილი სული“ — ცოტაც და, ამაღლდება ცათა შინა!.. უცებ, ცათა შინა რომ ამაღლდეს!

სოშნინმა დახვეწილი ოპერაცია ჩაიფიქრა. სწორედ ამ დროს ხაილოვსკს სპორტსმენთა ურდოები მოასკდა. დასასვენებელ სახლში, ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში, სასტუმროში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იშოვებოდა. პატარა ქალაქი ლურჯი ტრუსებით, სპორტქუდებით, უცხოური ასოებითა და წარწერებით დამშვენებული მაისურებით აჭრელდა. სხვადასხვა შეჯიბრება, ესტაფეტები, ხმაური, ზუზუნი, ქუჩებსა და მოედნებზე გამოფენილი ხალხი, სოშნინის ჩანაფიქრით, ოპერაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო! ოპერაციაში მონაწილეობისათვის მან სატყეო მეურნეობიდან ორი სახალხო რაზმელი მოიწვია, თვითონ სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა, სადილის საათებში მძარცველის ნომერში გასაშლელი ლოგინი შეატანინა და შეუსახლდა. როცა ბოროტმოქმედი ნომერში გამოცხადდა და უცხო პირი შეამჩნია, საოცრად დაიძაბა. სახეზე ფითრი მოედო — ახალგაზრდა დეტექტივმა რომელიც ამ დროს რაღაც ტექნიკურ წიგნს კითხულობდა (შესანიღბავად სწორედ ასეთი წიგნი შეარჩია), — რათა მისთვის მოსაფიქრებლად წუთიც არ მიეცა, გასაშლელი საწოლიდან ჩამოხტა და თავაზიანად წარუდგა:

— ინჟინერი ზვერევი. — გვარიც ასე ერთბაშად სწორედ შესაფერისი რომ მოაგონდა. — სასტუმროში ყველა ადგილი დაკავებულია. რას იზამ! ფიზკულტურა და სპორტი! იყავ მზად! — მზად ვარ! ბოდიშს ვიხდი, თქვენთან შემომასახლეს... — და როგორც კი მარჯვენა ხელი გაუშვირა ჩამოსართმევად, და თავის ხელში იმისი ხელი იგრძნო, მაჯა გადაუტრიალა. ბანდიტმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო,

რომ შუბლზე „მილტონი“ მიუშვირა და ელვისებურად ქვეშ მოიკ-
დო.

სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა, ჭალარა კაცმა სოშნინს შემდეგ განუმარტა მთელი ამ საქციელის სისულელე — პატარა ქალაქის მილიციელს ძაღლებიც კი სცნობენ არათუ შესახედაობით, არამედ ყნოსვითაც.

— სამბისტი გახლავართ, სპეცსკოლის ყოფილი ჩემპიონი ბოქსში.

— კი, მაგრამ, თქვენ საიდან იცით, რომ დემონი სსრ კავშირის ჩემპიონი არ გახლავთ თავისუფალ ჭიდაობაში? შესაძლოა, სპორტის ყველა სახეობაშიც კი იყოს ჩემპიონი, სხვათა შორის, ფიგურულ სრიალშიც? რა, დაწვრილებით შეისწავლე მისი ბიოგრაფია? გამოარკვიე, ვინაა, რა ძალა აქვს? როგორი რეაქცია გააჩნია? გასტროლიორია თუ პირწავარდნილი „კუჩერი“ ან „პორტიანოჩნიკი“, იქნებ, ბაკლანია“? „ტუმაკია“? თუ პირწავარდნილი გამომძალველია? ყასაბივით გაგატყავებდა, აგკუწავდა! ჰოდა, მაშინ საჭირო გახდებოდა ნაწილ-ნაწილ შენი აწყობა, რათა კუბოში ოდნავ მაინც შესაფერი შესახედაობა გქონოდა.

ასე იყო თუ ისე, ხაილოვსკს ერთბაშად მოედო სოშნინის „გმირობის“ ამბავი. ისე გამოდიოდა, რომ მან ვიღაც დამწყებ გასტროლიორს კი არ გადაუგრიხა ხელი, არამედ ორი გამოცდილი მკვლელი გაძაგრა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ არა პისტოლეტებით, არამედ ავტომატებით, ამასთან, მხოლოდ მისთვის ცნობილი ილეთით სოშნინმა მეორე სართულის ფანჯრიდან გადაისროლა, რათა ფეხებში არ გაბლანდვოდა, რის შემდეგაც მეორე ბანდიტთან ბრძოლა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ვაგზალზე და ხაილოვსკის ქუჩებში გმირ დეტექტივს ყოველი მხრიდან ესმოდა: „ის არის, ის!“ არა მარტო ტექნიკუმელი გოგოები, ჩამოსულებიც კი დაბეჯითებული ინტერესით ათვალიერებდნენ მას, მის გამომეტყველებაში რაღაც არაჩვეულებრივს პოულობდნენ, მას და მხოლოდ მას მიმართავდნენ მატარებლებისა და ავტობუსების მიმოსვლის განრიგის გასაგებად, ეკითხებოდნენ, როდის გაიხსნება ბუფეტი, როგორი ამინდი იქნება ხვალ, თან, ცდილობდნენ, ხმა დაეშაქრათ და გაშავებული წამწამებით შემოჯარული თვალი ჩაეპაუტებინათ.

სოშნინი ტელეფონით ურეკავდა და განცხადებებსაც გზავნიდა ვეისკში, სიტყვიერად და წერილობით ეხვეწებოდა უფროსებს, გადაეყვანათ სადმე სხვაგან, ხაილოვსკიდან რაც შეიძლება მოშორებით; პირდებოდნენ, მაგრამ ამასობაში ახალგაზრდა გმირს უფრო უცნაური საშიშროება შეემთხვა, ვიდრე ის შეიარაღებული ბანდიტი იყო.

ლერკა ოცდაორი წლისა ისე გახდა, რომ არც ერთ ვაჟს არ დამეგობრებია — კავალრებს აფრთხობდა მიუკარებელი, ამაყი იერით და მისი სხეულის რაღაც ზეტექნიკური აღჭურვილობით. დაკუნთული, სულ იდაყვად იყო ქცეული; მუხლებში, სახეში, ხელებში, ფეხებში, მკერდში, თითქოს გავაც კი სულ მუხლებისა და იდაყვებისგან იყო შემდგარი და ყველაფერი ეს, ერთად აღებული, რაღაც საერთო მექანიზმით მოძრაობდა, მძაფრად, გამომსახველად, რაღაც გამომწვევად, ყველაფერი ბრუნავდა, მოძრაობაში იყო მოსული, ისეთ ადგილებშიც კი, საბრუნავი რომ არა გააჩნიათ რა. ლერკა მკვეთრად, მკაფიოდ ლაპარაკობდა, ზუსტად, მოჭრით; სამყაროს ისე უყურებდა, თითქოს დიღი ხანია თავიდან ბოლომდე იცნობდა მას, სკოლაშივე ყველაფერი ამოეცნო, და საიდუმლო აღარა დარჩენოდა რა, რაც მისი ყურადღების ღირსი იქნებოდა. ყოველივე ამასთან, ლერკა პრანჭია ბრძანდებოდა. ქურდული ჟარგონით რომ ვთქვათ, კვანწაგრეხით დადიოდა. სანახევროდ გაშლილი ხელებით, თითქოს მომართული თოჯინაო. ერთიერთმანეთზე საოცარ ვარცხნილობებს იგონებდა, ზემოდურ კაბებს იცვამდა, უცნაურ თავსაკრავებს, პილოტურებს, შლაპებს ატარებდა, უკანასკნელ ხანებში ვიწრო, მოტმასნილი ჯინსები ეცვა და ხორხთან ბანასკვული, გარიბალდის ფუმფულა ყელსახვევი ეკეთა. ხაილოვსკელმა კავალრებმა ლერკას პრიმადონა შეარქვეს და ბაქანზე მის სტილში მიმოდიოდნენ, სხეულის ყველა ნაწილის მიქნევ-მოქნევით, რასაც კი ბრუნვის უნარი გააჩნდა. მაგრამ ლერკას ახლოს არ ეკარებოდნენ — „კადრები“ ისედაც საკმარისი იყო.

პრაქტიკულად, ლერკას პირველად ყურადღება მიაპყრეს ქიმიკოსებმა“, რომლებმაც ის ხაილოვსკელად მიიჩნიეს, ლერკა სწავლობდა ვეისკში, ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, გამოსასვლელ და უქმე დღეებში მშობლებთან მიემგზავრებოდა ხოლმე სოფ. პოლევკაში, რომელიც ხაილოვსკიდან ოცი კილომეტრით გახლდათ დაშორებული, ხოლო პოჩინოვკიდან— კოლმეურნეობის ცენტრალური მეურნეობიდან — ცხრა ვერსით; ერთხელ, როცა ის მშობლიურ კუთხეში წასასვლელად ავტობუსს ელოდებოდა, „ქიმიკოსებმა“ ეშმაკურად მოწყვიტეს ხალხს, „სოიუზპეჩატის“ და სატყეო-მეურნეობის ფილიალის სასადილოს შორის კედელთან მიიმწყვდიეს, და შარვლის გახდა მოუნდომეს. შარვალი კი ჯინსისა გახლდათ და თუ თვითონ არ ჩაიხდიდა, მისი ჩახდა არც ისე იოლი იყო. წინააღმდეგობის გაწევისას კი, მოგეხსენებათ, კარგა დიდი დრო და მოხერხებულობაა საჭირო. სწორედ იმ დროს სოშნინი სატყეო მეურნეობის უბნიდან ბრუნდებოდა, სადაც მთელი ღამე ხელფასის შემდეგ მთვრალი ხისმთლელების დაშოშმინებას მოუნდა. გადმოვიდა თუ არა მატარებლიდან, ქალიშვილი

ხელიდან გამოჰგლიჯა „ქიმიკოსებს“, სამორიგეო ოთახში მიიყვანა, სადაც, დასამშვიდებლად დიდხანს ასმევდნენ წყალს.

— ეს რა ხალხია გაჩერებაზე?! ჩვენები, საბჭოელები, აქაურები არიან და არავინ, არავინ არ გამომესარჩლა! ნაძირალები!.. უნამუსოები!.. ყველა სინდისგარეცხილია! — გაჰყვიროდა ისტერიკაში ჩავარდნილი ლერკა.

ცხადია, ნაძირალები არიან! მერედა ვინ უარყოფს ამას, ვინ შეედავება? გაჩერებაზე მყოფი ხალხიც და „ქიმიკოსებიც“ ნაძირალები არიან, აბა, რა არიან! ამასობაში კი პოჩინოკის ავტობუსი გავიდა და ხვალ დილამდე აღარ იქნება. რა ქნას?

უძილობა, ღამე, მადლობა ღმერთს, დასრულდა. ღონე გამოელია, მოდუნდა. ახალგაზრდა ორგანიზმი დასვენებას ითხოვს, ძილი სჭირდება — საშველი კი არაა. მილიციის თანამშრომელმა ბრიუზგინმა სამორიგეო ოთახს ჩქარა უნდა მოაშოროს ქალი, რადგან მისი ცოლი, რომელიც ას კილოგრამს იწონის, ეჭვიანობის დროს ორასკილოიანიც ხდება, ყოველ საათს ამოწმებს ქმრის ერთგულებას. ვაგზალში გრძელ მერხებზე „ქიმიკოსების“ მეგობრები და მათი მსგავსი დაღლარები ყრიან ან დაყიალობენ; ეს უკანასკნელნი ხაილოვსკის სატყეო მეურნეობაში მუშაობის დაწყების პირობებზე ფიქრობენ, ვერ გადაუწყვეტიათ: დარჩნენ აქ თუ ქვეყნის შიდარაიონებისკენ გაემგზავრონ. შეებრალა სოშნინს ლერკა, მიიპატიჟა თავის მოუწყობელ, უდიასახლისო ბინაში, რომელიც მილიციის ახალგაზრდა თანამშრომელს, სატყეო სამრეწველო მეურნეობის საერთო საცხოვრებელში გამოუყვეს. მივიდნენ თუ არა შინ, ფარაჯა იატაკზე მიაგდო, ფორმის ბუშლატი თავზე წამოიცვა, ლაბადაში გაეხვია, მიუთითა ქალიშვილს ზამბარებიან ტახტზე, მთელი ღამე არფასავით რომ უკრავდა, და მიდო თუ არა თავი სასთუმალზე, მაშინვე მოსვენების ტკბილ სამყაროში გადაეშვა. ნეტავ არ დაბრუნდებოდეს იმ სამყაროდან, რომელიც ანუგეშებს, ამშვიდებს, აშორებს მუდამ მოუსვენარი და მშფოთვარე ქვეყნისგან ამ ვიწრო ოთახში, რომლის ფანჯრებზეც მსხვილი, შავი საინვენტარიზაციო ბეჭედდასმული ყვითელი ფარდებია ჩამოფარებული, სადაც სახელმწიფოს კუთვნილ ტახტზე გადაფენილია ასეთივე საინვენტარიზაციო ბეჭედდასმული ზეწარი, კუთხეში დგას უთავსახურავო ბეჭედდაუსმელი ჩაიდანი და ტოლჩა, მიგრეხილ-მოგრეხილი სასადილო ჩანგლები, კუთხეში მიდგმული ჩემოდანი და ფანჯრის რაფაზე შემოწყობილი წიგნების წყება.

ვაჟმა ერთბაშად დაჭყეტილი თვალები მიმოატარა და გაოცებულმა ღაინახა: სახელმწიფო ტახტზე, არფასავით რომ უკრავდა, ბრტყელ, სელის ნარჩენებისგან გატენილ ბალიშზე თავჩამოცურებულ ქალიშ-

ვილს ეძინა. იგი სრულებით არ ჰგავდა იმ ქალიშვილს, როგორათაც ხალხის წინაშე თავისთავს სახავდა. თანაბარზომიერად სუნთქავდა, ოდნავ აფუებული ალისფერი ტუჩებით, ალბათ, ტლანქი სინამდვილისაგან რაღაც ძლიერ დაშორებული რამ ეზმანებოდა. ბუსუსით დაფარული ზემო ტუჩს მსუბუქი ოცნების ღიმილი დასთამაშებდა. შეუმჩნეველად უთრთოდნენ ხძირი წამწამები, ღაწვებს სიწითლე მოსდებოდა, ქალიშვილის ხელ-ფეხს არავითარი თრთოლვა არ ემჩნეოდა, მთელი სხეული ნეტარებით მოსდუნებოდა: ეს იყო მშვიდი, მიბნელობი. ღრმა ძილი. ფარდებიდან მძინარე ქალიშვილს ხალისით სავსე. თვალისმომჭრელი მზის შუქი ეფინებოდა, ეთამაშებოდა. ლერკას გაეხადა პეწენიკი ჯინსები — ეტყობა, ცეცხლფარეშებს ხე-ტყის ნარჩენები არ ენანებოდათ და როგორც ზამთარში, ისე ახურებდნენ ბატარეებს, თუმცა ჯერ შემოდგომა იყო; როგორც იტყვიან, „დედაბრის ყვავილობის“ ჟამი იწურებოდა; მზის სიმხურვალისა და ნესტიანად მოშიშინე გათბობის ბატარეებისაგან ქალიშვილს ისე დასცხომოდა, რომ პალტო იატაკზე გადმოცურებოდა, მუხლებმოხრილი ზედ ტახტის ძვიდეზე იწვა. მუხლები არც ისე წამახული ჰქონდა, როგორც სიარულისას უჩანდა, მოშიშვლებული, ოდნავ აწეული, მკვრივი კანი თეთრად უქათქათებდა, და მზის შუქჩრდილები ზედ ნახატებად ეფინებოდა.

სოშნინმა ხელი გაიშვირა, რათა სტუმარი ქალისთვის ტანსაცმელი წაეფარებინა, მაგრამ უნებურად ხელი წაჰკრა და გამოაღვიძა. შეშინებულმა ქალმა დამნაშავესავით მიმოიხედა. „სად ვარ?“ და მაშინვე ყველაფერი გაახსენდა. გაეღიმა. ტუჩებზე ხელი მოისვა და ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა, გაიზმორა:

— მშობლიური მილიციის მფარველობის ქვეშ იმედით დამძინებია! — ქერა თმა ხელით აიკუჩქუჩა, სწორედ გუშინ სატყეო სამრეწველო მეურნეობის აბანოში შამპუნით ჰქონდა დაბანილი. — აბრეშუმივითაა! — ისეთი ხმით წაილაპარაკა, თითქოს წაიქვითინაო.

ჰოდა, რას უნდა ელოდე კარგად გამოძინებული ახალგაზრდებისაგან!

მხოლოდ სისულელეს, სხვას არაფერს.

ჰოდა, სულ უფრო და უფრო ხშირად ყოვნდებოდა ლერკა სოფელსა და ქალაქს შორის სიარულში, როგორც ხემი, როგორც ქამანი, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

ის კი არა, გამოსასვლელი დღეებიც აღარ ახსოვდა — აღარ იზი-

დავდა ლერკას კვირა დღეების დაცარიელებულ პოლევკაში — მშობლიურ ჭერქვეშ გატარება. და საქმე დასრულდა ისე, როგორც სრულდება ხოლმე მსგავსი სიტუაციების დროს: ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, დანაშაულის ასაღიარებლად, პოლევკაში გამოცხადდა მშობლებთან, მისი სამსახურებრივი, მილიციური მდგომარეობის გამო სოშნინი მიჩვეული იყო სხვადასხვა ადამიანების გაცნობას, მაგრამ უფრო ხშირად, ეს ახალგაცნობილი პირები იქვე ავიწყდებოდა. აქ კი სულ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. მაგათი ჩასვლის უმალ ევსტოლია სერგეევნა ჩაშჩინამ ტუჩები წითლად შეიღება, ახალი, მკაცრი სტილის ზოლიანი კოსტიუმი ჩაიცვა, კაპრონის წინდითა და ანისისფერი ფეხსაცმელით შეიმოსა და სტუმრებს ასე შეეგება. სოშნინმა იფიქრა, რაღაც ზეიმის გამო თუ მოირთო ასეო, ან, იქნებ, ოჯახის რომელიმე წევრის დაბადების დღე თუაო... მაგრამ სულ მალე გამოირკვა — თურმე მათი ჩასვლის გამო მოკაზმულა ასე. როგორც კი ხელსაყრელი მომენტი იხელთა, დიასახლისმა სტუმარი ბოსტანში გაიხმო, სათბურები, სკა, ბანო, ჭა დაათვალიერებინა და მერე პირდაპირ აჯახა: „იმედი მაქვს, რომ ჩვენ, ინტელიგენტი ხალხი, გავუგებთ ერთმანეთს“.

სოშნინმა გარშემო ფრთხილად მიმოატარა თვალი, ეგების, ამ ბოსტანში „ინტელიგენტი ხალხი“ დავლანდოო — მაგრამ რაკიღა მათ გარდა ვერავინ შენიშნა, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ის, ლეონიდ ბიკენტის ძე სოშნინი და ევსტოლია სერგის ასული ჩაშჩინა ყოფილან „ინტელიგენტი ხალხი“. ეს სიტყვა, რატომღაც ყოველთვის ეჩოთირებოდა და მით უფრო, ამ სიტყვამ დააფრთხო და შეაშინა აქ, ბოსტანში, ამ ნახევრად მინგრეულ-მონგრეულ სოფელში. სახტად დარჩენილმა თავისთავს პირობა მისცა: როგორც არ უნდა დაეძალებინათ, არამც და არამც არ დაელია „ბუზის არაყი“ და თავისი მილიციური შოტოციკლით პირველი შემთხვევისთანავე პოლევკიდან გაექუსლა. ევსტოლია სერგეევნამ კი სტუმრის შეშფოთება და შიში სულ სხვადასხვაგვარად გაიგო და შეაფასა და ახლა უკვე ყოველგვარი ხმადაშაქრულობის გარეშე, ყოველგვარი დედაკაცური ეშმაკობისა და შეშპარაობის გარეშე ჯიქურ მიახალა, რომ მისი ქალიშვილი ერთადერთი, გამორჩეული და განუმეორებელი, განსაკუთრებული პიროვნებაა, რასაკვირველია, ის უფრო საპატიო, უკეთესი ხვედრის ღირსი იყო, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა: მან ასეთი კეთილშობილება გამოიჩინა და საერთოდ, მასზე გავრცელებული ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ნამდვილი გმირი და რაინდია და მას აბარებს...

— მერედა აქ რატომ მეუბნებით ამას, — წაიბუტბუტა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა „გმირმა და რაინდმა“. — მე მ'ხად ვარ... ვილაპარაკო მარკელ ტიხონის ძის თანდასწრებით...

— მარკელ ტიხონის ძეს ვინ რას ჰკითხავს? — გაიოცა ევსტოლია სერგეევნამ. — სულაც მუქთად ვინახავთ და ამის მადლობელიც იყოს.

ამის ლაპარაკს ვინ გაუძლებს, ამას ყურს ვინ დაუგდებს, მაგის ნაჯიქრალს ვინ მიხვდება, ვინ გაუგებს, ვინ შეისმენს... ერთი სული აქვს, შემოაჯდეს თავის სამსახურებრივ მოტოციკლს, თავქუდმოგლეჯილი (ქუდს ვინღა ჩივის!) გადაევლოს ამ ორღობეებს და მოუსვას აქედან. თუ მაინცდამაინც ჩაეძიებიან, ქუდი რა უყავიო, ქარმა მომტაცაო, ეტყვის, და ახალს გამოუწერენ. ეს სულ სხვა კლიენტია — დემონი კი არ გეგონოს! იქ ყველაფერი იოლი იყო: გაშხლართე იატაკზე ბოროტმოქმედი და შენია უკვე! მორჩა! დაგნებდა! აქ კი კისერზე თოკგამობმული მოზვერივით უკან უნდა სდიო: ევსტოლია სერგეევნა ჯერ ბოსტანში შეგიყვანს, მერე იქიდან გამოგიყვანს და გახურებულ თიხის ღუმელთან გამოგჭიმავს. ჰოდა, დგას ახლა გამოჯგიმული და გაწკეპილ, კოხტა კარტუზს ხელში უხერხულად ატრიალებს, ენა ებმის: ოი, და... ასე და ასე მოხდა... ოი, და... გთხოვთ ხელს, — უნდოდა ხუმრობით ეთქვა, ფეხსაცო, მაგრამ რას გაბედავდა!.. ჰოდა, იდგა ასე, უხერხულად, ხელში კარტუზს ატრიალებდა იმ ადამიანის მწარე განცდით, განუსაზღვრელი ვადითა და გასაჩივრების უფლების აკრძალვით რომ დაუკარგავს თავისუფლება. აფსუს, ამ ერთადერთი მილიციური თავსამკაულის გაცვეთაც კი ვერ მოასწრო, მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეგება შუბლზე ხატიც დაგაწეპონ! ჰოდა, წასულია მისი საქმე, ვის უნდა შესჩივლოს, ვინ ჰყავს გულშემატკივარი: აღარც მამა, არც დედა, აღარც დეიდა — ობოლია, სრული ობოლი. მოერიენ, დაჩაგრეს, არაფრად აღარ აგდებენ, რაღას არ ჰკადრებენ, რაღას არ უბედავენ...

ჩაშჩინების ოჯახში ევსტოლია სერგეევნა მბრძანებლობდა. სურათების, გაზეთების ამონაჭრებისა და გადმოცემების. მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას საკმაოდ ბობოქარი ახალგაზრდობა გაუტარებია — სოფლის აგიტმატარებლით წითელ თავსაკრავმოხვეული სადღა არ ყოფილა. ერთ დროს „გადახრისათვის“ ხაილოვსკის სელის სართავ. ქარხანაშიც კი გადაუსროლიათ, უფრო ზუსტად, ქარხანაში კი არა, ქარხნუკაში, როგორც პროფკავშირის წარმომადგენელი, ხოლო მორიგი გაწვევის შემდეგ ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ქოხ-ყამ-

კითხველოს, შემდეგ კლუბის გამგეთაც უმუშავნია, ყოფილა ასეთი მომენტიც — კინაღამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც დაუსახელებიათ. მაგრამ იმდროისთვის იგი უკვე შრომას გადაჩვეული გახლდათ და უფრო ხელმძღვანელი პოსტები იზიდავდა, როდესაც საშუალება გეძლევა და ვალდებულიც ხარ, ბევრი იყბედო, ხალხს ჭკუა ასწავლო, იბრძოლო, იფართიფურთო, შეუტიო, ხოლო პირადად არაფრის გაკეთება არ გევალება.

თავმდაბალმა, ყოვლად უენო სიმამრმა, მარკელ ტიხონის ძე ჩაშჩინმა კი სიძე ისე მიიღო, თითქოს ბლოკადაში დაკარგული და უკვე გაზრდილი შვილი დაბრუნებოდეს, მისთვის არაფერი ეშურებოდა: სიყვარული, თბილი გული, სხვათა თვალთათვის შეუმჩნეველი ეგრეთწოდებული გლეხური შრომის ნობათი — ყველაფერი, ყველაფერი სიძისთვის უნდოდა და ლეონიდიც, რომელსაც მამა არ ახსოვდა და თუმცა ჯანსაღ, მაგრამ მაინც ქალთა კოლექტივში იზრდებოდა, მთელი თავისი არსებით მიენდო ამ მშობლიურ ხმას. მერედა, რა ამაღლებული, ნათელი სული შეეგება, რა თავდადებული, მამაკაცური ერთგულებით დააჯილდოვა ბედმა!

სოშნინი სიმამრს მამილოს ეძახდა. მარკელ ტიხონის ძე სიხარულით აღარ იყო, მისი სული ზეიმობდა, რადგან, ჩვეულებისამებრ, სიძეები სიმამრებს სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ ხოლმე. „ისინი“ „ის“, „მათ“, „თვითონ“, „მათი“ — აი, მოკლედ, იმ ნაცვალსახელების სია, რომლითაც ის ოჯახის წევრებს მოიხსენიებდა ხოლმე. ცოლისა და ქალიშვილის სახელის ხსენებას ერიდებოდა, მით უფრო, რომ ქალიშვილს „მისეული“ სახელი კი არ შეარქვეს — მას, დიდედის ხსოვნის აღსანიშნავად უნდოდა, ევდოკია დაერქმია, — არამედ კულტურის ფეხისხმას აყოლილმა დედაკაცმა ვალერია დაარქვა. აბა, რა სახელია „ვალერია“: ასე ხომ ძროხისა და თხის მონათვლაც შეიძლება.

შფოთიანი ხასიათის, თუთუნის სუნისა და დედის გინების გამო ევსტოლია სერგეევნა ფუტკრებსაც არ უყვარდათ. მარკელ ტიხონის ძე ფუტკრების სამ ოჯახს ინახავდა — შინ, სახარჯოდ, ესეც კმაროდა. და როგორც კი ცოლი ბოსტანში გამოვიდოდა, მარკელ ტიხონის ძე საფრენს გამოაღებდა; გამოზუზუნდებოდნენ თუ არა ფუტკრები, შეშინებული დიასახლისი ან საკუჭნაოში ან კიდევ სათიეში შეიმალებოდა. აბანოში მარკელ ტიხონის ძე მარტო ბანაობდა, მეუღლეს სათიბში არ უშვებდა — დაფშვნის, თივას დაასველებს და მერე იმ გაფუებულ თივას ძროხა პირს აღარ დააკარებსო. შეშას თვითონ აპობდა, ცოლს ყურს არ უგდებდა, როცა ის ამოიოხრებდა და ავადმყოფი ვარო, დაიჩივლებდა, ცოლის სიტყვებით რომ ვთქვათ,

ტელევიზორში „გარყვნილ“ გადაცემებს (ასე ეძახდა ბალეტსა და ფიგურულ სრიალს) უმზერდა. რამდენდაც მისახვედრი იყო, ეტყობა კარგა ხანია, აღარც თავის მამაკაცურ მოვალეობას ასრულებდა. გულმოკლული დედაკაცი ეაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ქმარს და როგორც თვითონ ამბობდა, ეს ძველი აშიკი, რომელიც თურმე სხვა ქალებთან ყირაზე გადადიოდა, ღალატში არა ერთხელ გამოუჭერია.

— მე, ჩემო ლევონიდ*, ყველა საქმე გამომდის ხელიდან. დეიდა-ჩემი, ღმერთმა ნათელი მოჰფინოს, ბალღობიდან მაჩვევდა შრომას, ყოველგვარ საქმეს. იმიტომ, რომ სოფელში რაიმე ხელობის გარეშე ვერ იარსებებ. ხელების ქნევით და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ფონს ვერ გახვალ — ორატორობით ქვეყანას ვერ ააშენებ! ომში, მარშის დროს, ვის ფეხსაცმელს შეუკეთებ, ვის სამართებელს გაუფხიანებ. ვის საზიდარს გაურემონტებ, ვის ბორბალში ღერძს გამოუცვლი. ვის ხელნას, ნიჩაბს ტარს გამოუცვლი და გაულესავ, მიწურ სანგარში მორებს ჩაუსვამ, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილს გაუმაგრებ — ერთი სიტყვით, ყველაფერი მეხერხება. ფრონტზე, ლევონიდ, ლაქლაქს კაპიკის ფასი აქვს, რადგან კაცის სიცოცხლე იქ ბეწვზე ჰკიდია. კინდა დამიჯერე, გინდ ნუ დამიჯერებ, ლევონიდ, ასეულში მე ტიხონოვიჩს მეძახდნენ. იმიტომ კი არა, რომ ბებერი ვიყავი, არა — მე მამაკაცური საქმეების შუაგულში ვტრიალებდი, მხოლოდ პატივისცემისთვის მომმართავდნენ ასე. ასეულში მენდალი პირველად ჩემთვის იქნა მოცემული, ეს მაშინ, როცა მენდლები მოწინავე ხაზზე ტომრებით არ დაჰქონდათ... საერთოდ... მე, ცოტ-ცოტა სუყველაფერში ვერკვევი, ლევონიდ, ჩვენი სახელმწიფოს პატიოსანი მშრომელები ესაჭიროება და არა ჩემი დედაკაცივით მოლაყბეები. ბაქიები და მოლაქლაქეები. გამოაყრუეს სოფელი ღავღავით. ამ მოლაქლაქეების და მოლაყბეების ბრალია, რომ ჩვენი სოფლები სულ დაცალიერდა და მშრომელი კაცი სანთლით საძებარია.

როგორც კი იგრძნო, ეს ორი მამაკაცი შეკავშირდა და მათი მეგობრობა ქალთა კავშირზე მტკიცე გამოდგაო, ევსტოლია სერგეევნა შეტევაზე გადავიდა, მაგრამ სიძე მაგრად დაუხვდა: თავსაც იცავდა და სიმამრსაც.

— ევსტოლია სერგეევნა, ყველა პრეტენზია, რომელსაც თქვენ მე და მამიკოს გვიყენებთ, გთხოვთ, გამოთქვათ შინ, ოჯახში და არა მაღაზიებში და საღლაც-სადღაც, თავყრილობებზე, და საერთოდ, ძალიან გთხოვთ. ჩემი თანდასწრებით ნუ ამცირებთ მამიკოს, წინასწარ

* ორიგინალში ვმირი დიალექტზე მეტყველებს. მთარგ.

სამარეში ნუ ერეკებით მას, უმაგისოდ თქვენ ერთ კვირასაც არ ვარ-ჯიხართ.

— ვინ არის ეს — თქვენ? ვინ არიან — თქვენ? — წამოიქოჩრა ლერკა.

— შენ და დედაშენი.

— შენ რას მიკეთებ? ქმარი არა ხარ?

— დიახ, მე, ქმარი და თქვენ, ცოლები, ჯერჯერობით მამიკოს კისერზე ვსხედვართ და ისე ვატყობ, მალე შვილიშვილსაც იქ დავასკუპებთ.

მამაკაცები ერთად მიდიოდნენ ტყეში, გვიან გაზაფხულამდე საჭირო შეშას ხერხავდნენ, შინ ეზიდებოდნენ, ბალახს თიბავდნენ და თივას იმარაგებდნენ, დროდადრო, სეზონისდა კვალად, მდინარის პირას ისხდნენ, თავიანთ ანკესებთან, ან ჩქერებსა და მდინარის უბეებში მოხერგილ გოდორყურებთან და კოკოზებთან ფაცერს აგებდნენ.

— რას ჰგავს ეს? ყველა საქმეზეა, ჩემი კვიცები კი მდინარეს უდარაჯებენ! — მთელი ხმით გაჰყვიროდა ჩაშჩინა, მდინარის გალავანს რომ დაუარა ხელში საბავშვო ვედროთი, თითქოს არ შეეძლო უფრო დიდი ვედროს აწევა.

მარკელ ტიხონის ძე უსიტყვოდ წამოდგა, რიყეზე მოქუჩებული ხარახურიდან ამოარჩია და მკლავის სიგრძეზე გადაზომა წკეპლა. მერე, ეგრევე ხმის ამოუღებლივ ცოლს მიუახლოვდა და ისე გადაუტლაშუნა ზურგზე მეუღლეს, რომ იმისი ნახმევი, ვგონებ, მთელს იმ ოლქში გაისმა: მინდორში გაშვებულმა ძროხებმა ბალახის ცოხნას თავი მიანებეს, ცხვრებმა ფეხები დააბაკუნეს, ჯერ, შეშინებულნი, ერთად მოქუჩდნენ და მერე იქით-აქეთ მიმოიფანტნენ. გაოცებულმა და დაბნეულმა, ზურგგადატყავებულმა და სირსვილამოდებულმა კოლმეურნეობის კვიცმა საჩქაროდ მდინარეს მიაშურა და წყალში თავი ჩარგო — თუმცა სულაც არ წყუროდა — აქაოდა, არაფერი მესმის, არაფერი დამინახიაო.

ჩაშჩინა ჯერ გაუყუჩდა ტკივილს, თითქოს თავისთავს ყურს უგდებსო, გარესამყაროს მიყურადებიაო, მერე,როგორც იქნა, სული რომ ამოითქვა, იხრიალა:

— მომკალი, ხომ? მომკალი... — და ის იყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უნდა ეღრიალა, რომ მარკელ ტიხონის ძემ კვლავ გადაუჭირა წკეპლა.

— მე, ოთხჯერ დაჭრილს, ფეხოსანთა გვარდიაში ნამყოფს, ფაშისტები მიეკლეტია! ყუთში ათი ჯილდო მაქვს შენახული! და შენ — ასე სახალხოდ უნდა მამასხარავებდე? — ჰოპ და ჰოპ, ერთი თუ ორი,

უცხუნა და უცხუნა ზურგზე წკეპლა ჩაშჩინას, სიძის თვალწინ.

— მილიცია! — დაიყვირა ქალმა.

სოშნინმა ამასობაში კაპარჭა მოხსნა საკვეთელათი. საბრალო ქალი მდინარის პირას დასვა — მილიცია ის სამსახურის საათებშია, ახლა კი, ამ ვითარებაში, ის სიძეა, მეთევზე და როგორც ყველა სხვა საბჭოელ ადამიანს, მოქალაქეს, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული არა მარტო მუშაობის, არამედ დასვენების უფლებაც.

სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ, ძველმა ფრონტელმა, რომელიც საერთოდ წინასწარვე მუდამ ფრონტელი კაცის ინტერესებს იცავდა, როცა ევსტოლია სერგეევნასგან ქმრის თაობაზე შედგენილი განცხადება-აქტი რომ მიიღო, ის აქტი ჩაათვალიერა და ქალს ასე უთხრა:

— მე ასე ვიტყოდი, რომ აქამდეც უნდა გაელახე შენს ქმარს, შვილოსან. მე, მაგალითად, მაგისთანა ქალს შინ ერთ ღამესაც არ გავაჩერებდი, პირველსავე ღამეს მივახრჩობდი და მერე, ჩემის ნებით ციხეში წავიდოდი სასჯელის მოსახდელად.

ბავშვი, ერთადერთი და ყველასათვის საყვარელი სვეტკა, რაღაც გარკვეულ პერიოდში, ოჯახს, თითქოს, ამთლიანებდა, მაგრამ ლერკა ვერ უვლიდა ოჯახს, ვერც ბავშვს, ვერც ქმარს, ვერც თავის თავს. ანკი ოჯახს როგორ უნდა გასძღოლოდა უქნარა და ლაზღანდარა დედის გაზრდილი სოფლელი გოგო; ფაფა რომ ფაფაა, იმის მოდუღებაც არ იცოდა. მის მიერ მოდუღებული მანანის ფაფა ერთთავად ჩაკორძებული იყო და ბალღი პირს არ აკარებდა. სარეცხს გარეცხავდა და კედელზე სულ შხეფებს ისროდა, იატაკს მორეცხავდა და ადგილ-ადგილ წუმპეები იყო ჩარჩენილი. ლოგინ-საწოლის ქვეშ მუდამ მტვერი იყო დაგროვილი, აქა-იქ გაგონილ, ვითომ სასაცილო ანეკდოტებს ჰყვებოდა, ინსტიტუტის თვითმოქმედ წრეში ძალით შეეტენა, სცენიდან ხელებს იქნევდა და მაიაკოვსკის ლექსებს გაჰკიოდა.

სანამ დეიდა ლინა ცოცხალი იყო, ლერკას იგი ყოველდღიური ყოფის ჭუჭყისგან იფარავდა, თუმცა, საბრალო დედაბერს მაინც ვერ მოეგო ემანსიპირებული ქალის გული. ლერკა სულ ემდუროდა მოხუცს, ბალღს სოფლურად ზრდისო, თავისი ხელით ნაქსოვ კაპორს, ხამი შალისგან მოქსოვილ წინდებს აცმევსო, ტანს საერთო სარეცხის ვარცლში ბანსო, თავს პარსავს, მაგარი თმა ამოუვაო. ბავშვი კომპოტის წვენით გამიჭყიპა, ცარიელ კარტოფილზე ჰყავსო. თუ ჩემი თავი დავღუპე დაუფიქრებელი, ნაადრევი ქორწინებით, ბავშვი მაინც გამეზრდებოდეს განსაკუთრებული, გამორჩეულიო, როგორც, მაგალითად, სიროკვასოვას ვუნდერკინდებია, წარჩინებული ნახატებისთვის

სულ რომ აჯილდოებენო, სიმღერის გუნდში მაინც მიმაღებინა ან გიმნასტურ ვარჯიშზე მიმაყვანინა, რომ ჩემი შვილის ამბავი გაზეთებში გამოწერილი ვნახო და რადიოთი მოვისმინოო.

ქმარი ჭკუას არიგებდა: „მოეშვი ემაგ ბოდვებს, თვით მედიცინა გვიკარნახებს, ჯანმრთელობის ფასი არაფერიაო, ბავშვს ჯანმრთელობა შევუნარჩუნოთო“. — „ეს როგორ უნდა ვქნათო?“ — „როგორ და, ბალღი დეიდა ლინას დაანებე, მშვენივრად უვლისო. აბა, შემომხედე — მე არც ალერგია მჭირს, არც პნევნომია, ჯერ კბილიც არ წამომტკენიაო“. — „შენ ბუღა ხარ და ბუღასავით ცხოვრება გაწყობსო“.

ცხოვრება ჭრელია — სად რას იპოვი და სად რას დაკარგავ, წინასწარ ვერ გამოიცნობ! ერთხელ, სოშნინებმა ქალაქის აბანოს მიაკითხეს, იბანავეს, გასუფთავდნენ, სულით და ხორცით აღზევდნენ და შინ მიმავლებმა, გადაწყვიტეს, გზად ბაზარში გამოეევლოთ — სვეტკასთვის ცოტა ქიშმიში ეყიდნათ, ხოლო თავიანთთვის — მუხის კასრში დამჟავებული ვიატკური კიტრის მწნილი. ლეონიდმა იდაყვი მოხარა, მეუღლემ ტყავის ხელთათმანიანი ხელი მკლავში გაუყარა და მოდიოდნენ ასე, ჭუკჭუკით, ხმატკბილი საუბრით, საოჯახო საკითხებზე მსჯელობდნენ... ბედნიერი საბჭოთა ადამიანები კვირა დღის დამსახურებული დასვენების უფლებით სარგებლობდნენ, სხვებსაც, თანამოქალაქეებსაც, მეგობრული თვალით უმზერენ და ვერ შენიშნა სიფხიზლემოდაბნებულმა ადგილობრივი მილიციის მუშაკმა, რომ საქალაქო ბაზრის თაღებქვეშ, იქ, სადაც წარწერა იყო გაკრული: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, — გალეშილ ურნას ბუქნა გაეჩაღებინა, ცეკვავდა, მღეროდა, ყველას ფეხებში ებლანდებოდა. ტუჩები პომადით გაეთხუპნა, თმა ალისფრად შეეღება, ყურებთან და შუბლზე, კანზე საღებავის ლაქები აჩნდა. მხიარულობდა ბოროტად გახალისებული ურნა, ხალხს უფასოდ ართობდა.

ურნას დანახვაზე სოშნინს გულღვიძლში მწარე ტკივილმა დაუარა. ეს ქუჩის ლამაზმანი ბევრჯერ გამოუთრევია ვაგზლის ახლომახლოს მოწყობილი „სარეცელიდან“, გამოსაფხიზლებელში წაუთრევია. ეს იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ უშვებდნენ მას გამოსაფხიზლებელში, არაერთხელ გაუგდია ბაზრიდან, ქალაქიდანაც გაუგდია.

ურნა — ღვარძლიანი არსება გახლდათ, ღვარძლიანი და შურისმაძიებელი. მან ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა ცოლ-ქმარი.

— ოო, სალამი ლურჯთვალავ! — მიესალმა ურნა ახალგაზრდა მამაკაცს, თითქოს არც მის გვერდით მომავალი ქალი შეუმჩნევიაო, — შენ რაღაც დამივიწყე, ამ ბოლო დროს, სულ აღარ გახსოვარ! ამ ჩიტირეკიაზე გამცვალე? აი, აი, აი, რა ხართ ეს მამაკაცები! ვერაგები

ხართ, ვერაგები, დაუნდობლები! — ლერკას სახეში თუთუნი შეაფერფლა, შესჩივლა, — უყურე ერთი ამ ბოროტს, აღარც კი ახსოვს ძველი მოკეთეები! — ჩაშავებული, დამპალი ნაკბილარები გამოაჩინა და წაუმღერა: „ჩვენ რომ ნავით ვსეირნობდით“... და კიდევ: „ეჰ, იყო დრო...“

ლერკამ ქმარს იღლიიდან ხელი გამოგლიჯა, ამასობაში ხელთათმანები წასძვრა, ძირს დაუვარდა და თავპირზე ხელებაფარებული გავარდა ბაზრიდან.

— ისე მუსკასთან დაეთრეოდა, აგურის ქარხანაში, — მიაყვირა ურნამ გაქცეულ ქალს, — უყურე ერთი ამას, უყურე, კარგებითაც დაგაჯილდოებს...

შინ, შფოთიანი სცენა, ხელჩართული ომით დამთავრდა.

— ნაძირალა, — შესძახა ქალმა, — უსინდისო! — და ქმარს ლოყაში სილა სტკიცა.

ქმარმა მტკივნეული ილეთით ქალს მკლავი გადაუგრიხა და იატაკზე გაშხლართა.

— აბა ერთი თათი გაანძრიე, ნახავ, რაც მოგივა!..

— ნადირო, მკლავი ამომიგდე!

— გეყოფათ, შვილებო, დაწყნარდით, ძვირფასებო, თქვენ შემოგევლეთ, დაწყნარდით, რა მოგივიდათ. — ხან ერთს, ხან მეორეს აშოშმინებდა დეიდა ლინა.

დეიდა ლინას გარდაცვალების შემდეგ ცოლ-ქმარი სოშნინები სულ უფრო და უფრო ხშირად ტოვებდნენ სვეტას პოლეეკაში, ბებიასთან, რომელსაც სულ არ ეხერხებოდა ბავშვის მოვლა. კიდევ კარგი, შინ, ბებიას გარდა, ბაბუაც ბრძანდებოდა, რომელიც არ იძლეოდა კულტურით ბავშვის წვალების ნებას და შვილიშვილს საღ ჩვევებს უნერგავდა; ბალღს ფუტკრების შიში არ უნდა ჰქონოდა. ქილით უნდა მიეხრჩოლებინა მათთვის; ასწავლიდა ბალახისა და ყვავილის ერთმანეთისგან გარჩევას, ფიჩხის შეგროვებას, სელის დაწვნას, ხბოს მწყემსვას, ქათმის ბუდიდან კვერცხის ამოღებას; დაჰყავდა შვილიშვილი ტყეში სოკოს, კენკროვანი ხილის საკრეფად, მდინარეზე პაწაწკინტელა ვედროთი წყლის მოსატანად; ასწავლიდა ბოსტნის დაგვადასუფთავებას, გორაკიდან სრიალს, ცოცხალ ძაღლთან თამაშს, ფისოს მოფერებას, ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ნემსიწვერას მორწყვას.

დეიდა ლინას გარდაცვალებით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ამოავსებდა. მაგრამ ფიზიკის კანონის ძალით, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შევსებულიყო იგი რითიმე და აი, ამ სიცარიელეში გაღიზიანება და შავი ნაღველი უნდა ჩასახლებულიყო და ჩასახლდა კიდეც. სიბნელე ხომ შავი ნაღველის ბუდეა, ნავთსაყუდარი. სოშნინი ცოლს დასანახად ვეღარ იტანდა, ყოველი მისი მოქმედება აღიზიანებდა, თვით ისეთი წვრილმანიც კი, როგორიც გახლავთ სამზარეულო საქმიანობა, რომელსაც მამაკაცი საერთოდ ყურადღებას არც კი უნდა აქცევდეს, ან, თუ ყურადღებას მიაქცევს, მასზე აგდებით უნდა ლაპარაკობდეს. რაც შეეხება ხუმრობას, იუმორის გრძნობასა და შემწყნარებლობას, ეს თვისებები მას დეიდა ლინასა და გრანიასგან ჰქონდა შეთვისებული და ამისთვის სკოლასა და სამსახურში მას დიდად აფასებდნენ. სხვა ღირსება არცა ჰქონია.

ლერკას აცოფებდა, რომ ამ ჭვარტლიან უბანში გაზრდილი არარაობა, დღე და ღამ წიგნებს ჩასჩიჩინებდა, წიგნს ხელიდან არ უშვებდა, გერმანულ ენაზე რაღაცის წაკითხვას ცდილობდა, ამ უცხო ენაზე თითქოს ენასაც აჩირთიბირთებდა, ქაღალდზე ჩუმ-ჩუმად რაღაცას ჯღაბნიდა. „გამომიჩნდა, რაღა, ლევ ტოლსტოი ავტომატური პისტოლეტით, ქამარზე რომ ჟანგიანი ხელბორკილი ჩამოუკონწიალებია“... „ენა ჩაიწყვიტე, პრიმადონა!..“ „— ნაგავო! ნეხვო! წუპაკო! ნაძირალა! ჰო, კიდევ რას ამბობენ ის შენი მშვენიერი კლიენტები?“

გულღრძოობით ბუნებას ლერკაც ისევე დაეჯილდოვებინა, როგორც სხვა ბევრი თანამედროვე ქალი. ლიტერატურა ამტკიცებს, რომ მშვენიერი ქალი ათასობით ქალში ნაწილაკებადაა გაბნეული, სიცუდე და ეშმაკობა მუდმივად ბუდობს ყველა მათგანში. ოოჰ, რა არის ეს ლიტერატურა! ხან მოიგონებს, ხან სიმართლეს იტყვის, ამას მაინც გვეტყოდეს ადამიანებს, სად ქრება ის მშვენიერი თვისებები, რომლითაც გოგონები არიან დაჯილდოებულნი? ჰო, სად ქრება, სად, ის სანუკვარი თვისებები დედაკაცებში?

ძალიან კარგი და სწორიცაა, რომ ქრება... აბა, რა საჭიროა ერთმანეთთან ჯახირი; დატკბი სიმშვიდით, წაიკითხე წიგნები, ჩაიდანის ყელიდან მოხვრიპე ჩაი, ნება არ მისცე ადგილიდან დასძრას „გარდეროპი.“ შეგიძლია არსად წახვიდე, შინ არავინ დაპატიჟო, შეიძლება იატაკი მორეცხო ან არც მორეცხო, შეიძლება სადილი მოხარშო ან არ მოხარშო, შეიძლება ფეხშიშველმა გაიარო იატაკზე, თავზე ხელი გადაისვა, შეიძლება უსაქმურობით ქაღალდი ხაზო და ხაზო, შეშფოთებული აქეთ-იქით იყურებოდე და არავისი რიდი არ გქონდეს,

არავისი არ გრცხვენოდეს. შემოქმედებითი საიდუმლოება! ეს რაღა ოხრობაა! თავში რაღაც ჩაჩუნობს, თავის ქალას რაღაც აზრები ფხაჭნის, არ გაძინებს, გაშფოთებს. ისარგებლა რა სრული უკონტროლობით და თავისუფლებით, ერთ მშვენიერ დღეს ლეონიდმა ქაღალდზე დაწერა სიტყვა „მოთხრობა“. ჯერ, შეეშინდა: ეს ხომ ის სიტყვაა, რომელსაც ჩეხოვი და ტოლსტოი წერდნენ. მერე თანდათან შეეჩვია ამ სიტყვას. პრიმადონა აბუჩად იგდებდა, მან კი ცოდვა ჩაიდინა და გულმა შვება იგრძნო. ეშინია კიდეც და საამურ შეშფოთებასაც მოუცავს ერთსა და იმავე დროს. ეს ის შიშია, როგორც მაშინ, ლავრიაკაზაკმა ათი წლის ბიჭუნა წყალში რომ მოისროლა და მიაძახა: „თუ სიცოცხლე გინდა, გამოცურე“...

ამ ტანჯვა-წამებაში, ფარულ შემოქმედებითს მუშაობაში უნდა გადაჩეოდა ლერკას, ქალიც უნდა გადაჩეოდა მას. რა ვუყოთ მერე: ქვეყანას კიდევ ერთი მოუწყობელი ოჯახი, ერთი უმამო ბავშვი შეემატებოდა. მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა, რაც მოხდა, უბედურება ჩასაფრებოდა.

ლერკა ყველაფერში როდი ჰგავდა დედას. სადღაც, განზე, თუნდაც გარედან, ნეკნებზე აწეპებული ჰქონდა მამის გენებიც, გენები კი სოშნინს მუდამ ისე წარმოედგინა, როგორც სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ე. წ. სასადილოში ატრია-მაკარონი. იმ სასადილოს წვნიან კერძში ატრიაც ისევე იშვიათი საპოვნელია, როგორც კვებმრეწვის ყაჩაღთაგან მონარჩენი ბეღურის სკინტლისოდენა ძარღვიანი ხორცის ნაჭერი. ჰოდა, საუკუნეების მანძილზე იმ სკინტლისოდენა დაძარღვული ხორცის ნაჭერივით მთელს რუსეთს საუკუნეების მანძილზე გადმოეცემა ათასგვარი ხერხებით დანერგილი წესი და კანონი: „განსაცდელის ჟამს უთვისტომოდ ნუ მიატოვებ ადამიანს;“ და სანამ არსებობენ მარკელ ტიხონის ძე ჩაშჩინები, ეს კანონი ძალაში იქნება და ძლიერი იქნება ერი ჩვენი. ლერკამ ყოვლად წარმოუდგენელი, პირდაპირ არნახული სიმტკიცე და თავგანწირულება გამოიჩინა: ჯერ იყო და ქმარს შექანებულივით დაეტაკა, ხოლო შემდეგ სამზარეულოს ბდღვირი გაადინა: ჯამჭურჭელს ლაწალუწი გაუდიოდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, ტეხდა და ყრიდა...

გრიშუხა პერეტიაგინმა როცა ფეხი მიაკერა და მას მერე კარგა ხნის შემდეგ სოშნინმა რომ ძლივს შეღავათი იგრძნო და ცოტა გონს მოვიდა, ცოლმა, სანამ წყალს მიაწვდიდა და სუფს გადააყლაპინებდა, ქმარს ულტიმატუმი წაუყენა: „აბა, ახლა მილიციიდან — პირდაპირ შემოქმედებისაკენ“ „მერე პურს ვინღა გვაჭმევს?“ — იკითხა

ლეონიდმა —„ვინა და მე! — მჯიღი გულში ჩაირტყა ლერკამ. — ჯერ მე და მერე ჩემი მშობლები! მიუჯექი გვერდში შენს საყვარელ მამიკოს და ათხუზულე. კარტოფილი, რძე გამოულევლად გვექნება და სხვა რაღა უნდა მწერალს?“

ქმარმა ჯეროვნად შეაფასა ცოლის თავდადება და პასუხად თავისთავშიც აღმოაჩინა გრძნობა მიტევებისა. ნუთუ განსაცდელი, დიდი უბედურება უნდა გადაიტანოს ადამიანმა, რომ ეს მომენტი გახდეს ოვითაღზრდის საბაბად! ქალმა და მამაკაცმა მიუტევეს ერთმანეთს, შერიგდნენ, მაგრამ ლეონიდს სამსახურისთვის თავი არ გაუნებებია. გაიხუმრა მხოლოდ: ყველამ რომ ჩემსავით სამსახური მიატოვოს, შემოქმედებას ან „ქიმიკოსობას“ მისდიოს, წესრიგი ვიღამ დაამყაროს. მაშინ ხომ კიოსკთან მიიმწყვდევენ კი არა, პირდაპირ შუაქუჩაში, საჯაროდ ჩახდიან ხალხს შარვლებსო.

და კვლავ ის ნომერ მეშვიდე სახლის სახურავი, ასაღებად მონიშნულ, მაგრამ მადლი უფალს, დიდმასშტაბურ ნაგებობებს შორის მოქცეული სახლი რკინიგზელთა დასახლებაში იფარავს მუზის ახალგაზრდა მსახურს დელგმისა და ქარაშოტისაგან, დიახ, სწორედ ასეთ სახლებში უნდა შეაფარო თავი ქარწვიმასა და ცოლს, და ეგოისტურად ფიქრობდე, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ახალ ბინას მიიღებდე და ცოლ-შვილით იქ შესახლდებოდე, რითაც ნაწილობრივ მაინც შეგეძლება ოჯახის წინაშე ვალის მოხდა.

ამ მრუმე დღეებსა და საათებში, როგორც ბიბლიის ნებისმიერი კაბადონიდან, კითხულობდა ლეონიდი პროფესორ ნიკოლოზ მიხეილის ძე ხოხლაკოვის მიერ ნაჩუქარ წიგნს.

აი, ახლაც, გაიწვდის ხელს, თაროდან წიგნს გადმოიღებს, გადაფურცლავს და...

„ვაი, რომ თვალის ჩინმა, ჩემთვის სიცოცხლის მომნიჭებელმა, დაჰკარგა აზრი, შუქი მზისა და დაშთა ცრემლი, გოდება, ვითარცა ნუგეში და ასე ცრემლთა ფრქვევით უნდა განვვლო წუთისოფელი, რამეთუ მემცნო სურვილი თქვენი, ჩემთან დაშორებისა. ო, ვერ გავუძლებ მე ამ განსაცდელს, მწუხარება გადამიტანს მე“...

„რა ხალხს უცხოვრია, ა?!“ — კეფა მოიქექა სოშნინმა, ეს წიგნი პირველად რომ წაიკითხა.

„ნუგეშად ესღა დამრჩენია და იმით ვხარობ, რომ სიცოცხლე ჩემი თქვენ შემოგწირეთ და თქვენი სიყვარულით ვკვდები...“

მას შემდეგ მან ჩაფიქრებით კეფის ქექვას თავი ანება, შეფიქრი-

ანებულმა თავზე ხელი გადაისვა და იგრძნო, რომ მონაზვნის წერილები თავისი შეყვარებულისადმი, თანდათან ითრევდა რაღაც უჩვეულო და ამავე დროს რაღაც მიმზიდველ, მომთენთავად ტკბილ ბურანში; მხრები აიჩეჩა, თითქოს ცთუნებანი მოიგერიაო, შემპარველი ზმანებისგან განთავისუფლდა. შინაგანად ემზადება თავი დააღწიოს ბოდვას, აბდაუბდას, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ეზიარა... მაგრამ ახლა ის აღარაა; ახლა იგი თანამედროვეობის შვილია, სქელკანიანი, ძვლებითა და ძარღვებით მკვრივად ნაკერი, ორგანოებში მუშაობით გამოწრთობილი, იგი სრულებით აღარ არის თვინიერი, მორჩილების სულით გამსჭვალული. ბერული ცხოვრების წესი აწ გადალახული აქვს, დღითა და ღამით მონაზვნური ცხოვრების წესს რომ მისდევდა. დღეს იგია, ვინც ურნას ვირის აბანოში მიათრევს, ვინც დემონი გააუვნებლა, თუმცა ის გამოუცდელი აღმოჩნდა; მას საწერი ქაღალდის დასტებით ვეღარ გააკვირვებ, ის ხომ ამ საქმეშიც ცოტ-ცოტათი გაერკვა. მართალია, დასაწყისში არც ისე ძალიან, მაგრამ სიტყვის საიდუმლოს გემო გაუსინჯა, ეზიარა, ასე თუ ისე, გაუშინაურდა...

„...შევძლებ თუ არა ოდესმე, თქვენს უნახავად განვთავისუფლდე ამ ტანჯვისგან... რა ვუყოთ, იქნებ იგია ჯილდო, რომლითაც მასაჩუქრებთ თქვენ მიმართ ჩემი ნაზი სიყვარულისთვის. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია. მე დიდი ხანია გადამიწყვეტია, მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ გეთაყვანოთ და თქვენ გარდა არავის შევხვდე. და მე გარწმუნებთ, თუ არავის გახდით ღირსად თქვენის სიყვარულისა... მშვიდობით. გიყვარდეთ მუდამ და მაიძულეთ, თქვენი სიყვარულის გამო კიდევ უფრო მეტად ვიტანჯო...“

სულ უფრო და უფრო მეტად ემორჩილებოდა დამპყრობელ ვნებას, სიტყვის სტიქიურ ძალას, ნეტარებდა, სწორედ რომ ნეტარებდა სიტყვათა მაგიური მუსიკით, მისი მიამიტური ძლევამოსილებით. და მთელი არსებით განიცდიდა ამ ბალღურ ტიტინს და პირველად, შესაძლოა, პირველად, იქნებ შორეულად, მაგრამ მაინც ეზიარა ჭეშმარიტებას, რომ სიტყვათმთხზველობა წმინდა საიდუმლოა.

წიგნი შედგებოდა ხუთი წერილისგან, რომელთაც მოჰყვებოდა რომელიღაც სხვა პირის დამატებანი, წერილების პასუხი; მიბაძვანი, გალექსილი ტექსტები, ვრცელი კომენტარები. მას ჭკუა ჰყოფნიდა იმისათვის, რომ არ დაეწყო წიგნის ამ „უკანალის“ ქექვა და ამით არ ჩაექრო სულში საზეო მუსიკა, რომელმაც არა მარტო ააფორიაქა, და გაახარა, აამაღლა დედამიწაზე, ამ მეტისმეტად მოგუგუნე, მყვირალა

და მშფოთვარე თანამედროვე სამყაროზე. არ იკმარებს, თუ ვიტყვით, რომ მას რცხვენოდა, შინაგან უხერხულობას გრძნობდა, სულიერ სივიწროვესა და გრგენას განიცდიდა, თითქოს მასში შეირყა რაღაც, წინ „გარდეროპი“ ამოიზნიქა და საითაც არ უნდა გაქანდე, ან აზრით ან შარვლით წამოედები მას. ერთი წინადადება უკარგავდა მოსვენებას, მის ყმაწვილურ საფეთქელზე ერთი ძარღვი სცემდა: „მაგრამ როგორ იქნებით ბედნიერი, თუ თქვენს მკერდში კეთილშობილური გული სცემს...“

ზოგჯერ ყოფილ ოპერრწმუნებულს რაღაც შიშის მაგვარი, ან რაღაც ისეთი გრძნობა იპყრობდა, რომელიც გარინდებაში აგდებდა, ხერხემალს უშეშებდა, აიძულებდა, შეშინებულს თვალი მიმოეტარებინა ირგვლივ და ცხადლივ თუ სიზმრად მწიფდებოდა მტკიცე გადაწყვეტილება: წასულიყო, მოეძებნა ის „ფრანცუზიკი“, რომელმაც მიატოვა ქვეყნად ყველაზე ძვირფასი ქალი, მილიციური სიტლანქით მისთვის კინჩხში ხელი ჩაევლო, მიეთრია მონასტრის ჩუმ, წყნარ სენაკში და ცხვირი წაეყოფინებინა იმის თბილ მუხლებში: დააფასე, შე ქარაფშუტავ, ეს მშვენიერება, რომელთან შედარებით სხვა ყველაფერი ამქვეყნად მტვერი, ნაგავი და არარაობაა.

მეექვსე თავი

სვეტკა — სიფრიფანა, თანამედროვე ბალღი, ალერგიული, გაციებისკენ მიდრეკილი — სუსხმა დაჰკრა თუ არა, ავად შეიქმნა. იქ, სოფლად, ველურ თავისუფლებაში გალაღდა, გაკაჟდა. საბავშვო ბაღის მასწავლებელთა მზრუნველობასა და მოვლით მოიხედა, ფიზიკურად მოღონიერდა და აღარც ახსოვდა ის სასუფრო ცერემონიალი — ხატვა, ცეკვა და სიმღერები — ქალაქად, ყოველი ჭამის წინ, მშობლები რომ უმართავდნენ, რათა ორიოდ ლუკმა ჩაეყლაპა. ბავშვი დღემუდამ სუფთა ჰაერზე დახტოდა, დანავარდობდა, ძაღლს ეთამაშებოდა, ბავშვებს ეჩხუბებოდა, კუნთები დაუმსხვილდა, გაუმაგრდა, ლოყები დაებრაწა და ბებიის ყმაწვილობის დროინდელ სიმღერას რიხით მღეროდა: „დასცხეთ, კომროტებო! დასცხეთ შაშხანა, მხიარულად!“

და ისევ, ბაბუას წყნარი ღიმილის სამყაროში, ბებიას უაზრო ხორხოცსა და სიბობოქრეში ჩამოიყვანეს ავადმყოფი შვილიშვილი

სოფელ პოლევკაში. ახალგაზრდა მამიკო გზაში დაღალა აღტაცებული ბავშვის გაუთავებელმა შეკითხვებმა, ზამთრის მოახლოებით გამოწვეულმა სევდა-ნაღველმა; ფეხიც აუხირდა: მძღოლმა ავტობუსი პოჩინკის იქით აღარ დასძრა — მოსავლის აღებისას მექანიზატორებმა გზა ისე გააფუჭეს, იმ მიქვათაყრუებულ სოფლებში გავლა შეუძლებელიაო. მანქანით კი არა, იქითკენ ფეხით გავლაზეც უარს იყვნენ. სვეტასთან ხელჩაჭიდებული სოშნინი მიუყვებოდა ატალახებულ შარას. გარდიგარდმო, ფანჯრის მინებზე, დამჭკნარ კომბოსტოს ფოთლებივით მიტყეპებულიყვნენ ცნობისმოყვარე, ბებრული სიფათები — ვინ მოდის? ციდან კოსმონავტი ხომ არ დაშვებულა?

სოშნინი კარტოფილით დანაყრდა, ზედაც რძე დააყოლა და სანამ ფეჩზე მოკალათდებოდა — რათა უგზო გზის დასაძლევად ძალა მოეკრიბა, რომ ფეხით, კვლავ პოჩინკამდე ატალახებული შარა ეტოპნა და შემდეგ, ელექტრო-მატარებლით, შინამდე მიეღწია, იძულებული გახდა იქაური ჭორი და ახალი ამბები მოესმინა და სიდედრის ეს „განცხადება-აქტი“ წაეკითხა:

„ამხანაგო მილიციელო, სოშნინო ლეონიდ ბიკენტის ძევ! როგორც ყველასგან მიტოვებული, უპატრონო დედაბერი, გთხოვ მფარველობას და დახმარებას. მოგახსენებ, რომ პატიმრობიდან სოფ. ტუგოჟილინოში დაბრუნებულმა ვენიამინ ფომინმა ხუთ სოფელს ბეგარა დააკისრა, მე და არინა ტიმოფეევნას კი ნაჯახის, დანისა და სხვა ბასრი იარაღების მუქარის ქვეშ მასთან დაწოლა ანუ მეცნიერულ ენაზე — თანამეცხედრეობა გვიბრძანა. მე 50 (ორმოცდაათი) წლის ვარ, ის კი 27 (ოცდაშვიდისა). აბა, იფიქრე, მე, „კოლხოზში“ წელგაწყვეტილს, სად შემიძლია იმისი გაძღოლა. ამასთან, შინ ორი თხა და ოთხი ცხვარი მოსავლელი მყავს, კიდევ კატა, ძაღლი რექსა — ყველას დაპურება, მოვლა-პატრონობა უნდა. ის კი მაიძულებს დავწერო იმაზე, რომ არაფერი სარგებელი იმისგან მე არ მაქვს, ცარიელი ხარჯია, დამიჯდა ოჯახში, ჩემს კმაყოფაზე, მუშაობა ხომ არა და არ უნდა, ის კი არა, ამხანაგებსაც პატიჟობს, მუქთათ ჭამენ, სვამენ და ლოთობენ. მე კოლმეურნეობის ხბორებიც მოსავლელი მყავს, ეს კი თავისი ჭირვეულობით მოსვენებას არ მაძლევს. ძალიან გთხოვ, როგორმე ეს მწარე ბოლოკივით აუტანელი აბეზარა მომაცილო — სადაც გინდა, იქ წაათრიე, თუნდაც ისევ იმ თავის კოლონიაში, იძულებითი შრომის ბანაკში თუ სადღაც ჯანდაბაში და დოზანაში — იქ არის იმისი ადგილი. უწინ, ჩემამდეც ასეთი მხეცი ყოფილა: დედამ ვეღარ გაუძლო და მოკვდა, ცოლი გაექცა. კმარა! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, დავუძლურდი, დავავადმყოფდი, ის კი ეჭვიანობს და მოსვენებას არ

მაძლევს აბა, რა მაქვს მე საეჭვიანო, ძვალი და რბილი გაერთებული მაქვს, ძლივსღა დავდივარ, ყმაწვილი ხომ არ ვარ, ორმოცდაათი წელი ზურგზე მკიდია. თხუთმეტი წელია „კოლხოზში“ მუშაობით წელი გათრეული მაქვს. მთელი ღამე მჯიჯგნის, კრაოტში ბუღრაობს, კბილების კრაჭუნით რაღაცა ციხურ ბაიათებს მღერის, სახელმწიფო ელექტრო ენერგიას დაუზოგავად ხარჯავს, წარამარა შუქს რთავს. მე კი, საწყალი, თვეში სინათლის ქირას ოთხ მანეთს ვიხდი. სულ არ უფრთხილდება სახელმწიფო ელექტრო ენერგიის ხარჯვას, ფეხებზე ჰკიდია, ღამღამობით წამოხტება, მხეცივით ღრიალებს და მიყვირის. ღამეში სამ-ოთხჯერ შინიდან გავრბივარ, შარა-შარა დავეხეტები. აბა, ვის უნდა მივუკაკუნო, ყველას სძინავს. შემოვიყუჩები ხოლმე ისევ ჩემ სახლში და ვუძუძგურებ, მე, ბეჩავი, ჩაცმულ-დახურული, გასაქცევად გამზადებული. ეს ჩემი ამბავი არავინ იცის, მეზობლებმაც კი არ იციან, ამ დღეში რომ ვარ, ასეთ გარყვნილ ცხოვრებას რომ ვეწევი. ძალიან გთხოვ, წაათრიო როგორმე აქედან ეს ოხერი და ტიალი. არ გამცე, თორემ ღორივით დამკლავს. კაციჭამია და სისხლისმწოველია! სოფლებს ძარცვავს, ქალებს არ ინდობს.

ამის განცხადებას მაბედვინებს შენი დედილო — ევსტოლია სერგეევნა ჩაშჩინა. ღმერთმა დიდი დღე მისცეს, ჩემი კარნახით დაწერა, თორემ მე ხელი მიკანკალებს და წერაც არ ვიცი!“

და ეს პირველი და მეორე შემთხვევა როდი გახლდათ დაცარიელებულ, მიტოვებულ სოფლებში. დაუვლიდა რომელიმე ავაზაკი დედაბრების ამარა დარჩენილ სოფლებს, გამოაცხადებდა ტერიტორიულ უპირატესობას და იპყრობდა დაუცველ, უპატრონო სოფლებს. თუმცა, იღებდნენ ზომებს, იჭერდნენ და კვლავ ციხეში გზავნიდნენ ამ თავზეხელაღებულ ბანდიტებს, მაგრამ „აყვანილის“ ნაცვლად სოფელს უვლინებოდა ახალი „გმირი“ და სანამ სადაც ჯერ არს, იქამდე კვლავ მიაღწევდა მსგავსი „განცხადება-აქტი“ და რომელიმე დედაბრის ჩივილი, ხდებოდა მკვლელობანი, ძარცვა, ხანძარი.

ზემორე „აქტის“ გარდა ევსტოლია სერგეევნამ სოშნინს აი კიდევ რა უამბო: სოფელ გრიშკოვოში თურმე ორი დედაბერი ცხოვრობდა, ღამღამობით იმ სოფელში მარტო იმ ორ ქოხში ენთო ნათურაო. ერთ-ერთ მათგანში ერთი ჯიუტი დედაბერი ცხოვრობდა, არაფრით რომ არ უნდოდა შვილთან, ქალაქად გადასვლა, სიბერის დღეებს სოფელში ატარებდაო. მეორე ქოხში კი მეორე დედაბერი ცხოვრობდა, ჯერ კიდევ ომის დროს დაქვრივებულიო. იმ ზამთარს დედაბრებმა

ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. დროს უფრო მხიარულად გავატარებთ, თან, შეშაც დაგვეზოგებაო; ხაილოვსკის საწარმოო არტელმა მათ მაქმანის ქსოვა დაავალა. ჰოდა, მიდი და სცადე, მაღაზიაში, საჯაროდ თქვი, აი ამ დედაბერს, ჯერ კიდევ ომის დროს რომ დაქვრივდა, საქმე აწყობილი ჰქონია, მაქმანის ქსოვით უშოვია თავისი დასამარხი ფულიო.

მიუღწევია იმ ფულიანი დედაბრის ამბავს ვენკა ფომინის ყურამდე. გადაუცურავს წყალგაღმა, შესულა ქოხში, დედაბრისთვის დანა ყელში მიუბჯენია: მოიტა ფული, თორემ ჩაგაძაღლეო. გაჯიუტებულა დედაბერი, არაფრით არ გამოტეხილა თურმე: რა მაქვს, რა უნდა მოგცეო. მაშინ ავაზაკს თავზე პირსახოცი დაუხვევია დედაბრისათვის და ბერკეტივით დაუტრიალებია — ბანაკში თუ ისწავლა წვალების ასეთი ხერხი. დედაბერს ცხვირიდან სისხლი წასკდომია, მაგრამ მაინც არ გამოტეხილა. ვენკაც რა, აქაური არ არის თუ? მიმხვდარა, სადაც ექნებოდა დედაბერს ფული შენახული. სად და ხატსუკან. აუღია და გაუტაცნია დედაბრის მთელი ავლადიდება — ას სამოცი მანეთი.

ერთი კვირა ქეიფობდა თურმე იმ ფულით ამფსონებში ვენკა ფომინი. ბეჩავმა დედაბერმა კი გამოკრა თავისი ტომსიკა და ნებაყოფლობით გადაბარგდა ხაილოვსკის უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში... ასე, სახელმწიფოს ხარჯზე, გაატარებს თავის სიცოცხლეს და დამარხავენ, ალბათ, ისევ სახელმწიფოს ხარჯზე. უპატრონოთა პირამიდას დაადგამენ.

სოფელი ტუგოჟილინო გაშენებულია ხაილოვსკის გზის მურყნარით დაფარულ ბორცვზე, ღელისპირად, რომელიც ზაფხულობით მთლიანად შრება; ტუგოჟილინოში ქოხების უმრავლესობა ჩამონგრეულა და საცოდავად გამოიყურება, მხოლოდ სახბორესთან შეიმჩნევა სიცოცხლის ფაჩუნი: მწყემსის უწმაწური გინება, ტრაქტორის უღიმღამო თახთახი, თავისთვის რაღაცას დაფუთფუთებს ორიოდ, ძვალტყავად ქცეული, გადაყრუჩუნებული დედაბერი, რომელთაც ერთმანეთისგან ვერ გაანსხვავებდით. სოშნინს მოფიქრებული ჰქონდა ორიოდე წუთით შეერბინა ტუგოჟილინოში, გათავხედებული ავაზაკი შეეშინებინა, ან, თუ აუცილებელი იქნებოდა, თან წაეყვანა და მილიციის განყოფილებისთვის ჩაებარებინა, მაგრამ ბედმა ინება, რომ ვენკა ფომინს სულ სხვა, გაუთვალისწინებელ ვითარებაში გადაჰყროდა.

რაკიღა ლეონიდი გაღვიძებას აღარ აპირებდა, სიმამრმა, მარკელ ტიხონის ძემ, ფრთხილად მოქაჩა სახელოთი და დაელოდა, სანამ სი-

ძე ძილს თავს დააღწევდა. შემდეგ კი შეატყობინა, რომ ვენკა ფომინს ტუგოქილინოში, სახბორეში დაუმწყვდევია იქაური ბებრუხანები და უბრძანებია: ნაბახურევზე თუ არყის ფულს — თუმანს არ შემიგროვებთ, ამ ხბორებთან ერთად ცეცხლს წაგიკიდებთ და დაგწვავთო.

— ოჰ, ეს სატანა! — შეუკურთხა სოშნინმა, — არსად მაგისგან მოსვენება არ არის.

შემოიცვა გახუნებული, ქარსა, წვიმასა და თევზაობებზე ნახმარი და გაცვეთილი დემისეზონის პალტო, თავზე ჩამოიფხატა დაჭმუჭნული ქუდი — სამუშაოდან თავისუფალ დროს მუდამ ასე, უბრალო სამოქალაქო ძველძვულებში გაეხვეოდა ხოლმე, — გამთოშველ ქარაშოტში, ყიამეთ ჟანტსა და ნესტში თავი ისე ობლად, მიტოვებულად იგრძნო, რომ შეჩერდა: თითქოს გადაწყვეტილება ვერ მიუღიაო, გაირინდა, მაგრამ ფიქრების გასაფანტავად თავი გაიქნია და ქუდი კიდევ უფრო ღრმად ჩამოიცვა ყურებზე. მარკელ ტიხონის ძემ, რომელიც პოლევკიდან, სვეტკასთან ერთად, გრეიდერამდე მიაცილებდა ლაფიანი, ატიტყნილი ორღობით, სიძეს უგუნებობა და დაბეჩავებული განწყობილება რომ შეატყო, გამხნევება სცადა და „ვაშკაცური“ თანადგომა შესთავაზა, მაგრამ სოშნინმა, უარის ნიშნად, ხელი აუქნია; ბალღი ხელში აიყვანა, სველ ლოყაზე აკოცა და უთხრა: გაიყინებით, შინ დაბრუნდითო. — და ჭუნჭრუხოში ჩექმების ტყაპატყუპით გაუყვა გზას. თან, წვიმის წვეტიანი წვეთებისგან თავდასაცავად, რომელშიც, დროდადრო, ფიფქიც გაკიაფდებოდა ხოლმე, პალტოს მოკლე, კუნტულა საყელო აიწია. ძილბურანი ერეოდა, მთვლემარე მიაბოტებდა. გზის შესამოკლებლად მინდორ-მინდორ და ჭანჭრობებისკენ გადაუხვია. ნაყანევში ჩადგმული ნაბიჯებით მითელავდა აქა-იქ გროვებად ჩარჩენილ ქერის მარცვლებს, რომელსაც გუნდ-გუნდად წასეოდნენ სისველით დამძიმებული ყვავები და გარეული მტრედები. სიდამპლე მორეოდა ნაწვერალს. ლპებოდა ალაგ-ალაგ ნახევრად მოუმკელი პურის ყანა. თითქოს ავადმყოფის სხეულზე შემორჩენილი ჭრილობებიაო, გახრწნილ-ჩათუთქულიყო აქა-იქ მდინარის წითელთიხოვან ფერდობებზე კომბაინერების მიერ დაუდევრად მიყრილ-მოყრილი, შემოდგომის სისველით გამოცოცხლებული ჩალა. ქარი ფთილებად წეწავდა ადგილ-ადგილ გროვებად ჩალეკილ სელის აუღებელ კომახებს. ერთმანეთში ათქვეფილი ნაყარნუყარა და ნამტვრევ-ნამუსრევ ფესვებგამორეცხილ თხმელის ხეებთან გუბურები წარმოექმნათ და პატარ-პატარა ტბებსავით ხმიანობდნენ.

ნაძვის კენწეროებსა და ლატანებზე მჭიდროდ შემომსხდარიყო ყვავების ლაშქარი. მათი სიმძიმით ჩამოზნექილიყვნენ ტოტები. ყვა-

ვებს გადაეშავებინათ მდინარის ნაყარ-ნუყარი და შამბნარი. უკმაყოფილო, მაძღარი ყრანტალით მიაცილებდნენ უდროოდ მოსულ ადამიანს: „ნეტა რას დაწანწალებენ? რატომ არ სძინავთ? გააწყალეს გული!..“ შემოძარცული, ცივი მურყნარი, მოტიტვლებული მინდვრებისა და გათოშილ ნაპირზე გაყოლებით ტირიფნარი — ალაგ-ალაგ ნაფლეთებად შემორჩენილი ფოთლებით, საკვების ეკონომიის მიზნით კუპის დასამშვიდებლად დილაადრიან გამორეკილი ხბორები მუხლამდე ჭანჭყობსა და კოლბოხებში ჩამდგარიყვნენ. თავი ჩაეღუნათ, გაქვავებულებს, მანანის ბუჩქნარით დაფარულ, სუსხით გათანგულ მინდვრების და ბორცვებისაკენ ისე გაშეშებოდათ კისერი, თითქოს რაღაცა დაუკარგიათო... არაქათი გამოლეოდათ წელში მოკაკულ ადამიანთა მოლოდინში. — ყველაფერი იყო უღიმღამო უსახური მარტობისაგან, ამქვეყნიური, მარადიული მორჩილებისაგან, შეგუებული უამინდობასა, სიცივესა და ამაოებას.

ტუგოჟილინოს სახბორესთან, რომელიც ნაკელის, თამბაქოს ფერის ჭონჭყოში ცურაობდა, ქარს მოფარებულ ადგილას, კედელთან, დაქანებული დაბალი სახურავის ქვეშ, ქალები, მეტწილად, დედაბრები, გამოფუტურებულ, შემპალ, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც თბილ მორებს ზურგით მიჰკვროდნენ. სოშნინის დანახვაზე ისინი შეშფოთდნენ, ყველამ ერთხმად ყვირილი ატეხა: „ბოროტმოქმედი! კაცის მკვლელი! მაწანწალა, მარადიული პატიმარი... დედა საიქიოს გაისტუმრა... ბავშვობიდან ასეთი აუტანელი იყო“...

სოშნინმა სახბორის სახურავზე ამოვარდნილი ფიცარი შეამჩნია. მაშინვე პალტო, პიჯაკი გაიხადა და იქვე მიაგდო, ტანზე იისფერი პულოვერის ამარა დარჩა. უსაქმურობისაგან სიმსუქნე-შეპარული ტანი დაიმორჩილა და მაღლა შეხტა. სახბორის ფინს ხელი ჩაავლო, სახურავზე ავიდა, ლარტყებს ხელის მონაცვლეობით ჩაჰყვა, მერე მრგვალი ხისგან ნაგებ ჭერზე ჩახტა, ხუთიოდე გათლილი და საჩურთავში გაყრილი, გაღუნული კოჭები გადასწია და ისკუპა შენობაში, რომელიც შესასვლელთან, ჭერქვეშ გამოკიდებული ყვითელი ნათურებით ბჟუტავდა. ნახტომი, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელი გამოუვიდა — ხეიბარი ფეხი ღრანტეზე, ცალფიცარს წამოსდო და წებოვან ჭანჭრობში ტყაპანი მოადინა. შარვალი გაესვარა. შავ, ნაფშვნეტით მოფენილ იატაკზე, რომელსაც ნაპრალებიდან შემოსული, ნიკოტინისფრად მოელვარე ჭონჭყო მოსდებოდა, ავადმყოფი ხბორები იდგნენ. მათ უაზროდ თვალი მიაპყრეს შემოსულს. ხბორები არც ბღაოდნენ, არც საჭმელს ითხოვდნენ, მხოლოდ სტომაქს შიგნით, სიღრმიდან ახველებდნენ და ამ ყრუ ხველისგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს, ბოსლის ნახევრად ჩაბნელებული სივრცე ახველებდა

ნესტიან სიცარიელეში; ეს იყო უფრო ამოგვნეშა, ყოველგვარი კვნესის, ტანჯვის გარეშე. მორჩილებით აღსავსე ამოგვნეშა — ეს ბებრუ-ლად მოხიხინე ცხოველები არავის და არაფრის მიმართ არავითარ ინ-ტერესს არ იჩენდნენ, მხოლოდ სადღაც შორს, უდაბურებაში იკარ-გებოდა ხბოს უსუსური ხმა, იკარგებოდა და იქვე ქრებოდა ამ უამინ-დობასა და უსასოობაში. გაისმა ძლივს შესამჩნევი ხრაშუნი, თითქოს ლაფნიჭამია მორის ნაქურთვნში თავის საქმიანობას შეუდგაო. სოშ-ნინი გუმანით მიხვდა, რომ ბოსლის ტიხარის დამპალ ლარტყებს ხბო ღრღნიდა. მეორე ხბოს პატარა ლარტყა ჩამოეგდო, სველი, გაჭუჭყი-ანებული ბაკიდან გადმოსულიყო და ყავარზე, რომელიც ჯერ კიდევ მთლად არ დაეფარა ჭონჭყოს, წამოწოლილიყო. ტიხარზე გადმოყუ-დებულ ხბოს მისი ყური დაეთრია და ვერ გაიგებდი, სწოვდა თუ ღე-ჭავდა. პირიდან სქელ, მოგრძო ნაკადად ლორწკი გადმოსდიოდა.

მოლიპულ ტალანში, რომლის გვერდებზე, თითქოს სანგრის ბრუსტვერებიაო, გროვა-გროვად ნაკელი მიეხვეტათ. სოშნინმა გაია-რა საკვების საამქრო, კარი გაუღო ჩაკეტილ, ორ, საშინლად დამ-ფრთხალ დედაკაცს, რომლებიც ხმამაღალი ვიშვიშით, და ვინ ვის გა-უსწრებდა, კისრისტეხით შეცვივდნენ სახბორის მოპირდაპირე მხა-რეზე, ნახევრად ღია კარში, რომლის მახლობლად, ტყის ნაკვეთიდან წინა დღით მოტანილ არყის ხის სათრეველაზე — ახალ, სურნელოვან თივის ზვინებზე — უშფოთველად ეძინა ვენკა ფომინს.

სოშნინმა სათრეველადან გადმოათრია იგი, ტანსათბურში ხელი ჩაავლო და ტლანქად შეანჯღრია. ვენკა ფომინი კარგა ხანს ვერ გამო-ერკვა, იშმუშნებოდა, თვალებს აფახულებდა, პირს ხელისგულებით იწმენდდა. ვერ გარკვეულიყო, სად იმყოფებოდა, რა მოხდა.

— ვინ მინდაო?

— მეო. შენ ვინ გინდაო?

— მე შენ გეკითხები, შენ ვინ გინდაო?

— გამო, კარში გავიდეთ და იქ ქალები აგიხსნიან, ვინაო და რაო.

— ტურისტი მობრძანებულა, დამპალი! — იღრიალა ვენკა ფო-მინმა და თივიდან ელვის უსწრაფესად დააძრო ვადაში გადატეხილი ფიწალი. ძველი ფიწალი იყო, ჟანგიანი. ორი კოტოში, რომლებსაც წითელი ძირკვებით სქლად აჰკვროდა ნაკელი, თითქოს ბერიკაცის ორი ჩაფხლოსილი კბილიაო. „ოჰ, ეს უმამაკაცოდ დარჩენილი სოფ-ლები! აქ ყველაფერი სულს ღაფავს, კი არ ცოცხლობს, უკანასკნელ წამებს ითვლის...“ — გაუელვა სოშნინს.

— გამოგფატრავ, დამპალო, — და ვენკა ფომინი მხარსზემოთ შე-მართული ფიწალით დაიძრა სოშნინისაკენ, თითქოს ბრძოლაში შაშხა-ნამომართული მეომარიაო.

— დააგდე ფიწალი, გარეწარო! — გაიწია სოშნინი ვენკა ფომინის დასახვედრად, რითაც ის დიდ საგონებელში ჩააგდო.

— ახლოს არ მოხვიდე, დამპალო, თორემ გამოგფატრავ. არ მომეკარო-მეთქი! — დამფრთხალი ბურტყუნებდა ვენკა ფომინი და ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევდა, რათა ფიწალი დაეგდო, გარეთ გავარდნილიყო და მშობლიური მინდვრებისა და წარაფებისთვის მიეცა თავი.

სოშნინმა უკანდასახევი გზა მოუჭრა ბოროტმოქმედს, კუთხეში მიიმწყვდია. ვენკა ფომინი სხეულითა და სახით ერთი ჩამოფხავებული ვინმე იყო, ნაადრევი, ღრმა ნაოჭებით სახედაღარული, თვალის უპეებში შავ-შავი ჩანალექებით; დახეთქილი ტუჩის კუთხეებში ქინაქინის ფხვნილით გამოწვეული ქაფი შეხმობოდა. ავადმყოფი, უკვე დაკარგული, საცოდავი კაცი, მაგრამ მურტალი, ბოროტი სულიერი, რომლისგანაც ყოველგვარ სიავეს უნდა ელოდე.

— დააგდე-მეთქი ფიწალი! — შესძახა სოშნინმა და ჩასავლებად გაშვერილი ხელით ვენკა ფომინისაკენ გადახტა.

ზურგით კედელსაკრულმა ვენკა ფომინმა ფიწალი ისე აღმართა, თითქოს მოწინააღმდეგეს გზას უღობავსო. სოშნინს შეეძლო სარმა გამოედო და ერთბაშად ძირს გაეშხლართა მოწინააღმდეგე, ფიწალი წაერთმია, მის მიერ დამცირებული და დაჩაგრული ადამიანების შურის საძიებლად კინკრიხოში ორი-სამი წამოედო, მერმე პოჩინკოში ავტობუსზე წაეთრია, მაგრამ სწორედ ამ დროს კარს ტალღასავით მოასკდა ნაფშვნეტარეული ნაკელის წუმპე და ჭონჭყო. სოშნინს, რომელიც მიჩვეული იყო მაგარი, მოხერხებული ფეხსაცმლის ტარებას — ხბოს ტყავის ჩექმებს, ორ, ძლიერ, ზამბარებიან ფეხს, ახლა ვიწროცხვირიანი შტიბლეტები ეცვა. უცებ კოჭლი ფეხი დაუცურდა, ავად დაეცა და ხელი ქვეშ მოჰყვა. იმწამსვე გამოცოცხლდა შრომა-გასწორების ბანაკში გახრწნილი არსების ბინძური ბუნება: თავს დააცხრეს წაქცეულს და ბოლო მოუღოს. ვენკა ფომინმა მოკლედ ჩაჰკრა ფიწალი, სოშნინმა ელვისებური მოძრაობით აირიდა გულში დარტყმა, მაგრამ ფიწალი მაინც მისწვდა მას. ჟანგიანი კოტოშები ტკაცუნით შეერჭო ცოცხალ სხეულს, მხარში, სახსარქვეშ. ვენკა ფომინი ტურასავით კბილთაღრჭიალით დააწვა ფიწალს, რომ იქვე, ყავისფერ, დამპალ ჯირკთან მიესიკვდილებია სოშნინი.

სოშნინი ერთის ნახტომით ზეწამოვარდა, ფიწალის ტარის ნარჩენს ჩაეჭიდა, ცდილობდა ხელიდან გამოეგლიჯა ის, მაგრამ ტკივილი სულს უხუთავდა.

— ხო გეუბნებოდი, არ გაბედო-მეთქი, შე დამპალო! ხო გეუბნებოდი, ნუ მეჯაჯგურები-მეთქი... — კუთხე-კუთხე იჭუჭკებოდა შეშინებული ვენკა ფომინი და გაოფლიანებულ სახესა და ტუჩებს მა-

ჯით იწმენდდა. მიმხმარი დორბლი ტუჩებზე ეფხვნებოდა, დორ-ბლის ფხვნილი დამსკდარი ბაგიდან ქერტლივით სცვიოდა და მეჩხერ, უჯიშო ჯაგარში უცვიოდა.

— ამოაძრე ფიწალი, გარეწარო! — სასოწარკვეთით შესძახა სოშ-ნინმა.

შემდეგ ყველაფერი დაყოვნებული მოქმედებით განვითარდა. ვენ-კა ფომინმა რამდენიმე სუსტი მოქნევით, რომელმაც სოშნინს თავში ელვასავით დაუარა, ფიწალი ამოგლიჯა, და ლეონიდმა დაინახა ჟანგი-ან კბილებზე სისხლის ლეკერტები, შედედებული სიბინძურე, და, შე-ბარბაცდა. ჭრილობას ხელი დააჭირა, რათა სისხლი შეეჩერებინა. შუბლით მიებჯინა კედელს, რომელსაც აგრეთვე შარდისა და გულის-ამრევი სილოსის სიმყრალე ასდიოდა. ოდნავ სული მოითქვა, ცხვირ-სახოცი ამოიღო, პულოვერში ჩატენა და ზედ მაისურის გადანახევი გადაჭიმა. ერთბაშად, სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი მხრიდან მუცელზე დაუცურდა.

— მომე ცხვირსახოცი! — არ შეუხედავს, ხელი ისე გაუშვირა სოშნინმა. ვენკა ფომინმა ხელში ჩასჩარა თავისი ნახმარი, გაძიძგნილ-გადახუნებული, დაჭმუჭნული ნაფლეთი. — ეს რა ჩაიდინე, გარეწა-რო! — ამოიგმინა სოშნინმა, ჭუჭყიანი ჩვარი ვენკა ფომინს გულის-მოსაგებად დაპოპრილ სიფათში თხლიშა და ჭრილობაზე ხელმიფა-რებული გარეთ გავარდა.

მეხბორე დედაბრებმა შორიდან რომ თვალი ჰკიდეს, სოშნინი და ვენკა ტალახში ერთად მორბოდნენ, იფიქრეს, ბანდიტი მოსაკლავად მოსდევს ამ კაცსო, და ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს. სოშნინს გადაწყვეტილი ჰქონდა სახბორესთან მიერბინა, იქ დატოვებული პი-ჯაკი და პალტო შემოეცვა, აქედან სასწრაფოდ პოლევკაში წასულიყო და მარკელ ტიხონის ძისთვის ფორანი ეთხოვა, მაგრამ მერე გადაი-ფიქრა: იქნებ, ცხენი ტყეში ჰყავთ გაშვებული ან სასილოსე ორმოს-თანო, ან იქნებ, სულაც ნაყანევში არის წაყვანილი, საძოვარზეო. ამ ამბავს რომ შეიტყობენ, ასტეხენ ერთ მოთქმასა და თავში ხელისცე-მას, მთელ სოფელს გააგებინებენო... მერე გამოუდგებიან ცხენს და-საჭერად, დაიჭერენ, ერთის ქაქანით საზიდარში შეაბამენ, ამასობაში, იქნებ საკისრული ან რკალი გაებნეთ, ორთვალას მანჭვალი გამოს-ძვრეს, ბორბალი ლაფში ჩაეფლოსო. მარკელ ტიხონის ძეს გულს შე-მოეყრება, ჩაშჩინაც აეკიდება, მეც წამოვალო. ჩვეულებისამებრ, მტრებს გამოქექავს, აღავღავდება, სვეტკას შეეშინდება, ტირილს მორთავსო... ან, ვინ იცის, იქნებ, ბალღიც თან წამოიყვანონო...

ცხვირსახოცი კი არა, მაისურაც წელზე ჩამოცურებოდა. პულოვერი მთლად სისხლით გაჟღენთოდა. ფერდები ეწვოდა. შტიბლეტებიც სისხლით ჰქონდა გავსებული. დაჭრილს სასა უშრებოდა, პირში რკინის გემო ედგა: „ნუთუ?.. ასე ადრე!.. დამთავრდა ყველაფერი!..“

— მიშველე! — ამოიხრიალა სოშნინმა.

ვენკა ფომინი ფაციფუცით მხარში ამოუდგა, ხმელ კისერზე სოშნინის მკლავი გადმოიდო, უნახავს ამ ყეყეჩს, ფოტოებზე და კინოებში, ბრძოლის ველიდან როგორ გამოჰყავთ დაჭრილი მეომრები.

— ოი, ოი, ოი, შე დამპალო, დამპალო, ისევ ჩემი სათრევი ხარ... ისევ ჩამივარდი ხელში... — ღმუოდა იგი. — განა ზედ არ მეტყობა, რა დოყლაპია ვარ, აბა, მე სად წამსვლელი ვარ, დაღუპულია, შე დამპალო, ჩემი საქმე. — ვენკა ფომინი ოფლში იწურებოდა. ოფლთან ერთად ღვარად ჩამოსდიოდა თივის ნაფშვნეტი, წვირეს ენით ილოკავდა, გამოფურთხვა ვერ მოესაზრებინა, ულაპავდა ამ სიმწარეს და, თან, მოთქმა-ვაებას განაგრძობდა.

სოშნინს ფეხი ეშლებოდა. თვალში ბინდი ჩადგომოდა. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, ცურავდა. ვენკას ჭუჭყიანი ოფლის სუნისგან, აქოთებული თივის, ნაკელის სუნისაგან, ადამიანის, ხბოს შარდის სიმყრალეში არეული გუტალინისა და პუდრის სუნისაგან გული მისდიოდა და ეს სუნი ცივ ქარში კი არ იფანტებოდა და ქრებოდა, არამედ, პირიქით, უფრო იხრწნებოდა და მძაფრდებოდა. ლეონიდს აზიდებდა.

კვირა დღე იყო. პოჩინკოვის მედპუნქტს ძველი ნალიის უშველებელი ბოქლომი ეკიდა. აქოშინებული, ერთმანეთს ხელიხელგადახვეული ბოროტმოქმედი და კანონის დამცველი სასოწარკვეთილებით შეჰყურებდნენ ბოქლომს. ვენკამ სოშნინი პარმაღზე, კედელთან დასვა, ძინძლის სუნით გაჟღენთილი თავისი ტანსათბური მზრუნველად მოახურა.

— მმმე... მმმალე... იმ დამპალს მოვძებნი... მიწიდან ამოვიღებ... თუ იმაზე არავინ არ ნადირობს... მმმე... მმმალე...

მაგრამ მედდაზე არავინ ნადირობდა, ერთი ხნიერი დედაკაცი გახლდათ და ყველა თანასწორუფლებიანი საბჭოთა ქალივით — მასაც ჰქონდა დასვენების დღით სარგებლობის უფლება: ამ დღეს ირეცხავდა, თავს უვლიდა, ოთახს ალაგებდა, ასუფთავებდა. სხვათა შორის, მედპუნქტშიც სრული წესრიგი სუფევდა, პირველი დახმარების წამლებიც მოემარაგებინა; იოდი, ბინტი, ბამბა, და ასე გასინჯეთ, სპირტიც კი. თვითონ მედდა ერთობ ქათქათა არსება გახლდათ: ზრდილი,

წესიერი, ყურადღებიანი. ნამდვილად ღირსი იყო ერთი საგაზეთო შენიშვნისა, ცხადია, დადებითისა. უსათუოდ დავწერ, როცა გამოვკეთდები! — გაიფიქრა სოშნინმა ჩვეული ირონიით — სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში თვითირონია დასჩემდა.

მედდამ გულმოდგინედ მობანა ჭრილობა. მერმე ბანდით ლაზათიანად შეუხვია და ცოტა არ იყოს, იმედიანი გუნება-განწყობილება გაუცრუა სოშნინს, რადგან მას არც ისე ცუდად წარმოედგინა თავისი მდგომარეობა.

— ოო, რა ჭუჭყიანი ჭრილობაა! ბუშტები... სისხლი ბუშტებად მოჩქეფს... პლევრაა დაზიანებული. ეს რა უქნია იმ ულმერთოს? ვინ დაგჭრათ, მაინც, ასე დაუნდობლად, ასე უღმერთოდ? ნუთუ შენ, უდღეურო! — თვალი თვალში გაუყარა მედდამ ვენკა ფომინს, რომელიც იქვე ზღურბლთან მოკეცილიყო და აბოლებდა. — ოოჰ, შე მარადიულო პატიმარო, შტატიანი პატიმარი ხარ და ეგ არის, — მოქაჩა სახელოზე, — მილიციელი დაგიჭრია, სამსახურებრივი მოვალეობის... ცუდად, ძალიან ცუდად წავა შენი საქმე! — ამბობდა მედდა და თან ტახტზე წამოწოლაში შველოდა სოშნინს. ცახცახს ატანილ ავადმყოფს ზეწარი გადააფარა და ზემოდან უკვე კარგა ხანია მოდიდან გამოსული ბალონის ლაბადა გადაახურა.

— ვინ მილიციელი?

— ვითომ არ იცი! — გამოაჯავრა მედდამ, რომელიც ავადმყოფს მხარზე ხელს უთათუნებდა და ბავშვივით ეფერებოდა.

— აბა, საიდან უნდა მცოდნოდა.

— ჩაშჩინების სიძეა, პოლევკიდან.

— ოოჰ, ეს დამპალი! — ამოიგვნეშა ვენკამ. — ტუგოჟილინოში რაღა უნდოდა? მიტირებს ყოფას... კედელთან ტ...

— დიდი ხანია კედელთან არის შენი ადგილი, გადი, გარეთ მოსწიე, უბედურო.

ხაილოვსკის საავადმყოფოდან უპასუხეს, — ბენზინი არ გვაქვსო. კვირა-დღეობით და საერთოდ, სოფელადგილებში სულაც ვალდებული არ ვართ „სასწრაფო დახმარების“ მანქანა ვგზავნოთო. თუ მაინცდამაინც აუცილებელია, თქვენ თვითონ გამონახეთ ტრანსპორტი და ავადმყოფი აქ ჩამოიყვანეთო.

ხაილოვსკი დედაქალაქის მედიდური, ქედმაღლური ტონით ელაპარაკებოდა სოფლელ მედდას. მაშინ სოშნინმა თავისკენ მოზიდა ტელეფონი. ბინაზე დაურეკა რაიგანყოფილების უფროსს, ალექსეი დემიდის ძე ახლიუსტინს სთხოვა ბენზინი და „სასწრაფოს“ ნებარ-

თვა, რათა რაც შეიძლება საჩქაროდ მოეთავსებინათ საოლქო საავადმყოფოში. ხაილოვსკელი მედიკოსები კვირა-დღის უფლებას ზეიმობდნენ და ზეიმობდნენ ერთობ აქტიურად — სათეატროდ, ან დასასვენებელ სახლებში. ამასობაში კი მისი წუთები დათვლილი იყო, როგორც ამას ამჟღავნებდა მედდის გამომეტყველება და საქციელი.

— ძალიან საშიში ჭრილობაა, ლიონია?

— ამბობენ, ძალიან საშიშიაო, ალექსეი დემიდოვიჩ!

— ქვეყანას შევძრავ!

ახლიუსტინი „სასწრაფო დახმარების“ მანქანას გამოჰყოლოდა და ვენკა ფომინის დანახვაზე პირიდან ცოფი ჰყარა.

— უჰ, შე თვითრჯულო! გარეწარო! ნაგავო! ეს რა უბედური გაუჩნდი დედაშენს? ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევ! ეს ოხრები და მუდრეგები ჩაძირავენ სახელმწიფოს...

საკაცეზე დასვენებული სოშნინი „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში მოათავსეს. მედდამ შინიდან მოტანილი საბანი გადაახურა სოშნინს. თავთით დაუჯდა. იმავე მანქანაში უნდოდა შეეჩურთათ ვენკა ფომინიც, რათა, გზად, საოლქო-საგამომძიებლო იზოლატორში დაეტოვებინათ.

— მოქალაქე უფროსო! მოქალაქე უფროსო! — ემუდარებოდა მანქანის ღია კარის ძგიდეს ჩაჭიდებული ვენკა ფომინი. — გამიგეთ, რა, გეხვეწებით, მომკლავს, მომგუდავს, საყვარელო... ხო ვიცი მაგის ამბავი, ნაღდად შეუძლია ამის გაკეთება... ახლა ჯერ... გონს არ არის მოსული...

— უყურე, ამ მურტალს! თავი როგორ ყვარებია! აბა, ლიონია! — მამობრივი მზრუნველობით მკერდზე ხელი მოუთათუნა სოშნინს ალექსეი დემიდოვიჩმა. — აბა, შენ იცი, გული არ გაიტეხო, — და ბერიკაცურად ხელები გაასავსავა. გული აუჩუყდა. ზედმეტ ფილოსოფიურ მსჯელობას მოერიდა. მიხვდა: არ იყო ამის ადგილი.

ის იყო, უნდა დაძრულიყვნენ, რომ ტალახის შხეფების სროლითა და ბათქაბუთქით მოტოციკლზე გადამჯდარი სათვალიანი მხედარი მოთახთახდა, პირდაპირ „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში შეხტა და მოუთქვა პაშა სილაკოვას ხმით:

— ოოი, ლიონია, ლეონიდ ვიკენტიევიჩ! ეს რა დღეში ხარ, საყვარელო! უხ, შე ნაძირალავ, შე მურტალო, მე შენ გიტირებ ყოფას... — ებღღვნა და დაუთათხანა ვენკა ფომინს, წამოაქცია ტალახში, გადააჯდა და მუშტები დაუშინა.

ალექსეი დემიდოვიჩმა ძლივს გამოგლიჯა ხელიდან ტალახში ამოგანგლული ვენკა ფომინი, ხელით ანიშნა: წაიყვა, სოფლსაბჭოს ჩაბარე ეგ ოხერიო. პაშა სილაკოვამ წინ დაისვა ფომინი, აქეთ-იქიდან ვეება ჩექმები შემოუჭირა. არ ვიცი, ჩექმებიდან თუ ტალახში ამოგანგლილი ბოროტმოქმედის უკანალიდან, კადრშენელებულ კინოსავით აქეთ-იქით იყრებოდა ფუნა-ტალახის ნაფლეთები. დროდადრო ვენკას პაშა სილაკოვა უჯლუგუნებდა და უჯლუგუნებდა წიხლებს.

— წადით ბარემ! — ამოიკვნესა ლეონიდმა.

ვენკა ფომინზე გაცეცხლებული პაშა სილაკოვას ლანძღვა-გინება, საკუთარი ამოგმინვა და კვნესა, სიტყვები: „წადით, ბარემ!“.. — აი, მერე რა დაამახსოვრდა ლეონიდს... ხსოვნაში ჩარჩა გრეიდერებზე და შემოდგომის წვიმებით ჩამორეცხილ ფერდობზე დამდგარი ტბორი და ჭენჭყო... მოლიპული ყინვით დაფარული ტალახიანი ღრანტეები... ჯაყჯაყით მომავალი მანქანა ამ უკაცრიელ, ყველასგან დავიწყებულ გზაზე. ავადმყოფს გონი დაეკარგა და გადავიდა ბოდვის სამყაროში... გაჭყლეტილ ვირთხას ხედავდა... ვეისკში, მორიგეობის დროს, ერთ საბლინეს მიაკითხავდა ხოლმე. ქალაქის ცენტრში იყო მოთავსებული ეს საბლინე. ცენტრი ეთქმოდა, თორემ მისი ერთი წყნარი შესახვევი გახლდათ და ამიტომ შედარებით ნაკლებად ხალხმრავალი. იქ მხიარული გოგონები მსახურობდნენ, მხიარული, ლოყებღაქღაჟა გოგონები, თავზე შვენოდათ ფუმფულა, თეთრი დოლბანდის ჩაჩი. სოშნინისთვის ერბო არ ეშურებოდათ და მისთვის პირდაპირ ცხელი ტაფიდან გადმოჰქონდათ ხოლმე ცხელი, დაბრაწული ბლინები — სწორედ ისეთი, დეიდა ლინა რომ უცხობდა ბალღობისას. მიდიან, ერთხელ, მილიციელები, მორიგე მანქანით ამ მოსახვევში და რას ხედავენ: ძველ, საძირკველგამომპალი სახლიდან საბლინესაკენ მიემართება ვეება, დიდმუცლიანი ვირთხა — ჰუსარის ულვაშებგადაგრეხილი. მძღოლმა სიჩქარეს უმატა და... გაისმა ვირთხის სასიკვდილო წივილი. საღამოს კი, იმ ადგილას ტყავის ნაფლეთიღა იყო დარჩენილი: ქალაქის სანიტრებს — ყვავებს გამოეკორტნათ მძორი. მას შემდეგ იმ საბლინესაკენ აღარც გაუხედავს სოშნინს. მის გახსენებაზე თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე ულვაშებგადაგრეხილი დიდმუცლიანი ვირთხა და გული ერეოდა. ახლა პოჩინკის გზაზეც წამოაზიდა, გულის სპაზმები მოეძალა პირღებინების გამო უფრო გაუღიზიანდა ჭრილობა, ბუშტებად მოასკდა სისხლი. გზამ ისე დაჰქანცა დაჭრილი, ისე დაასუსტა, რომ ყელამდე ჩაეფლო ფუნაგაზელილ ყვითლად მოფამფალე წუმპეში, პირს აფჩენდა, სულს ღაფავდა, ცდილობდა, ცოტა ზევით ამოზიდულიყო და სუფთა ჰაერი მოესუნთქა. მაგრამ ვირთხა, გაჭყლეტილი ვირთხა არ ეშვებოდა, ბადებდა და ბადებდა

პატარა, წუნწკლიან, გაწუწულ ვირთხებს. მანქანის ყოველ დამუხრუჭებაზე ესმოდა ვირთხის სასიკვდილო წივილი. ტიტველი, სველი ვირთხა განსაკუთრებით ხმამაღლა დაიწკმუტუნებდა ხოლმე მოსახვევში.

როგორც იქნა, ტალახიანი შარა ჩამოიტოვეს და ასფალტირებულ გზას დაადგნენ. ვირთხა გაქრა. მაგრამ ახლა თავი მოსწყდა და ეს თავი დაგორიალობდა ერთი კუთხიდან მეორეში. აი, მანქანის ბორბლებქვეშ მოჰყოლია თავი, მართალია, წივილი აღარ ესმის, მაგრამ თავი გდია ასფალტზე უსისხლო, ღია თვალებით. გზის გარდიგარდმო, ბორცვებზე შავად ჩამომსხდარან დიდრონ-დიდრონი ყვავები, ჰო, ყვავთა მთელი ლაშქარი შესევია ბორცვებს. ნისკარტებს იწმენდენ და თავის საკორტნელად ემზადებიან. ჰო, ჯერ ამოკორტნიან თვალებს, ყველასთვის საცნაურ, რუსჩრდილოელის მონაცრისფრო ლურჯ თვალებს, ბავშვობიდან რომ დაჰყოლია.

— თავი!.. ააიღეეთ თااავი... თაავი დაგااავიწყდათ, ჩეემიი თااავიიი! ააიიღეეეეთ!..

მას ეგონა, ისე ხმამაღლა ყვიროდა, ყვავებმაც გაიგონეს და ჩემს თავს მოეშვებიანო. მაგრამ იგი მხოლოდ უმწეოდ ხაოდა და ძლივს აცმაცუნებდა სისხლით დაღარულ ტუჩებს. რაღაც აწვებოდა, სწორედ იქ, სწორედ იმ ადგილას, სადაც თავი ეგულებოდა. ო, როგორ ენატრებოდა ერთი ლაღი ამოსუნთქვა, ეგრძნო, რომ თავი აქვეა, მის ტანზე, მის კისერზეა გამობმული, არ მოუგლეჯიათ და არსადაც არ წაუღიათ.

ეს რაღაა: თავის ადგილზე მილიციური ციმციმა-სატრიალა აბია, მაგრამ წითელი შუქით კი არ ანათებს, არამედ ფუნაში აზელილი ჭენჭყოსფერად ელავს და ისევ და ისევ უმწეოდ პირს აფჩენს დაჭრილი, ცხვირს იპრეხს, ნესტოებს ძგიბავს, ძარღვები აწყდება და დაბეჯითებით, ნელა, ისევ და ისევ ფუნანარევი ჭენჭყოსფერი სითხით ევსება პირი, თითქოს, გადაჭრილ კუნძს გოგირდი მოსდებიაო. პირი უშრებოდა, ენა უხმებოდა, გამოფიტული ტუჩები ერთმანეთს მისწებებოდა, შიგნეული ამოხავებოდა, სუნთქვა ეგუბებოდა, სული ეკმეოდა, ჰაერის უკმარისობისაგან იკრუნჩხებოდა, ძარღვები აწყდებოდა.

სოფლელი მედდა თავისი მსუბუქი, სიფრიფანა ტანით გადააწვა სოშნინს, მაგრამ ვერ დაიოკა კონვულსიამორეული ავადმყოფი და ეს უღონო ქალი ცრემლად იფრქვეოდა:

— ნუ, ჩემო ბიჭუნი, ნუ, ჩემო პატარა ბიჭო! — ემუდარებოდა, უყვიროდა, უჯავრდებოდა მედდა... — ნუ შფოთავ, დაწყნარდი, დამშვიდდი! მღელვარება ძლიერ გავნებს. სისხლი... სისხლისდენა დაგე-

წყება! ჩუ, გეყოფა, ჩემო პატარა ბიჭო, ჩემო ბიჭუნა... მალე სულ მალე გათავდება ეს გზა და ჩავალთ ქალაქში... ჩემო პატარა, ჩემო ბიჭანჭურა... მაინც რა ვეება ღონე გქონია, ბიჭო! ნუ, ნუ გეშინია, იცოცხლებ, გადარჩები.

მეშვიდე თავი

სოშნინმა თვალი გაახილა ოპერაციის მეორე დღეს. ოპერაცია გაუკეთა ისევ და ისევ შეუცვლელმა გრიშუხა პერეტიაგინმა, ამჯერად, დამხმარეთა სხვა ბრიგადის მონაწილეობით. იმავე ქირურგიულ პალატაში მოათავსეს, სადაც ერთ დროს ფეხმოტეხილი სოშნინი იწვა. იმავ საწოლზე დააწვინეს, ფანჯარასთან. ლეონიდმა იცოდა, რომ ფანჯრის მიღმა ბებერი ალვის ხის გამხმარი ტოტი ქანაობდა, რომელზედაც რადიომიმღების „თასი“ იყო დამაგრებული. მხიარულმა ელექტრიკოსებმა, სულაც მგონი, პირველ ხუთწლედში, ჟანგისფრად მოჩუქურთმებული კავით მაგრად ჩაჭედეს ეს რადიო-თასი. ხის ტოტი ელექტრომავთულებით მკვიდრად გადახლართ-გადმოხლართეს, ელხათურებით ჩააწიკწიკეს და ტოტიც, ეტყობა, მაშინ გახმა. ძალიან ეწადა, მაგრამ სოშნინს არ შეეძლო დაენახა ძვალივით წვრილი, გამხმარი, ნაცნობი ტოტი, თითქმის თანშეზრდილი თეთრი-თეთრი „თასით“.

ეცნო... ხელის შეხებასა და თმის, ხანდახან, შუბლზე დაწეპებული ტუჩების სუნზე... შემდეგ, ოდნავ გახელილი თვალებით შუქჩრდილებით მოცახცახე შუქში — ლერკა დაინახა. მის სასთუმალთან ჩამომჯდარიყო და კოვზით საზრდოს აწვდიდა. შორიდან, ძალიან შორიდან ისმოდა ლერკას ხმა: თვალი გაახილაო, ვიღაცას ატყობინებდა. ნუთუ მართლა გაახილა თვალი? და რომ დარწმუნებულიყო, რომ მართლა შეეძლო თვალის გახელა, აი, ეს მოქმედება — თვალის გახელა — ერთობ ძვირად, თავისთავისადმი დიდ ძალდატანებად დაუჯდა: მთელი ტანით დაიძაბა, რაც რამ ორგანიზმში სასიცოცხლო ძალისმქონე გააჩნდა, ყოველი კუნთი, რომელიც მასში ჩაჩუნობდა, ფუსფუსებდა, არსებობდა, დაიძრა, ერთ წერტილში თავი მოიყარა, მოგროვდა. ფანჯარაში ალვისხე დაინახა. ძვალივით წვრილ, გამხმარ ტოტში ჩაჭედილი თეთრ-თეთრი „თასით“, — თითქოს, დახეულ ხელთათმანიანმა ხელმა შაქრის დიდი ნატეხი გამოუწოდაო.

შემოდგომის ქარი არხევდა უსიცოცხლო ტოტზე შემორჩენილი ქერქის ანაფცქვენს. კიდევ უფრო მაღლა ჯერ კიდევ ფამფალებდნენ გაყინული ფოთლები, რომელთაც ჯერ ვერ მოესწროთ დაზრობა და ჩამოცვენა.

პატარა ჩიტი, ჩიტბატონა ბუჭყს ჩასჭიდებია, შტოს ნელა არხევს და ფოთლის ჩაკორტნას ლამობს. ჩაკორტნისას შებარბაცდება საბრალო ფოთოლი, მოსწყდება, დაეშვება და ძირს დაცემისას თუნუქის ფურცელივით ხმას გამოიღებს. ჩიტი ფრთას შემოჰკრავს, ფოთოლს ფხიზლად თვალს გააყოლებს. მერე ისევ დამშვიდდება და კვლავ განაგრძობს საზრდოს მიღებას.

„ესაა მთელი ცხოვრება! გაზაფხულის მოლოდინში საკვების ძიება და ხლაფორთი. რა სჯობია ასეთ ყოფას!“

ადამიანის მზერა რომ იგრძნო, ჩიტბატონა საკანს მოეშვა. კეკლუცად მოიღერა თავი და ბავშვივით პუტკუნა, ლიმონისფრად შეღებილი ლოყები მოატრიალა და მინის გაღმიდან დააკვირდა კაცს. მერე ისევ განაგრძო თავისი საქმიანობა. მიხვდა, რომ ის უმწეო კაცი მისთვის საშიში არ იყო.

— ჩი... ჩი... ტუ... ნი...ა! — ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა ლეონიდმა და ქვითინი წასკდა. მიხვდა, რომ ცოცხალ ჩიტს უყურებდა და ჩიტიც უყურებდა მას... ცოცხალს.

გავიდა კიდევ ერთი დღე და თვალდახუჭულმა იკითხა:

— აად ვარ?

— „ად ხარ“ და ერთს გეტყვი: დამარცხება ბოროტი ძალისა სიკეთის გამარჯვებას ნიშნავს! — ბანდით მჭიდროდ ახვეულ ყურებს მიღმა, ჯერ ისევ შორიდან მოესმა ლერკას სიტყვები.

თვალები დაახამხამა, მიმოიხედა. ცოლიდან მისკენ, ლერკადან მისკენ, ქმრისაკენ, ერთი დიდი სიმი გაბმულიყო — მავთულივით მსხვილი და ძლიერი სიმი: ისინი მჭიდროდ, საუკუნოდ შეერთებოდნენ ერთმანეთს.

მასში თანდათან გაიღვიძა ჩვეულმა იუმორმა. იუმორის თემად საოჯახო ამბები ქცეულიყო და იმ მძიმე, მსხვილი მავთულის ირგვლივ, მკვდარი სხეულიდან გამოღებულ ძარღვს რომ ჰგავდა, — იპნეოდნენ სხივისმფრქვეველი მძივის ბურთულები, კამკამა, ვით გაზაფხულზე არყის ხის გამონადენი წვენი. დასანანია, ხმა რომ არ ესმის, მაგრამ მაინც კარგია, ძვირფასია, ნათელია. რაღაც ჩაჩუნობს, ფუსფუსებს, ირჯება, იღწვის... რა ხდება? ფეხი რომ მიაკერეს, ნუთუ მას შემდეგ აქაა და არ გაუწერიათ აქედან? თუ... ისევ... ხელახლა დაასახიჩრეს?..

ააა, ტუგოჟილინო... სახბორე... ქალები... ვენკა ფომინი... „რა იყო? რა ხდება? ურტყამენ და ურტყამენ უმოწყალოდ.. ასახიჩრებენ.. როდის მოეღება ბოლო ამ ტანჯვას?.. ლეონიდს თავისთავი შეებრალა. გული აუჩვილდა. ცრემლი მოაწვა. უნდოდა სახე მიებრუნე-

ბინა, მაგრამ ვერ შეძლო, ვერ მოახერხა — მავთულხლართებითაა დაბმული, მისავათებული. ორი დღის უძინარმა ლერკამ ქმრის ლოყაზე ჩამოგორებული კურცხალი რომ შენიშნა, თვითონაც ხელები აიფარა სახეზე: ცრემლი თითებშუა მოსწვეთავდა.

— ერთხელაც იქნება, თავს წააგებ, ლიონია! კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს! — ჩურჩულებდა ლერკა, გულიანად იგინებოდა. ყურს უგდებდა ლეონიდი: „უსმენდე ყველას, უმზერდე ყველას — აი, ეს არის ბედნიერება“ — სოფელში, ღვთის, ხელმძღვანელობისა და ხალხისგან დაცლილ სოფელში, ყველასაგან მიტოვებულ, დავიწყებულ სოფელში გაძავრა ბოროტმოქმედი! გმირობა ჩაიდინა! ყველგან განა შეიძლება გმირობის გამოჩენა? მერე და რა მოიგე: კინაღამ გადაყევი!

ძლივსძლივობით ასწია ხელი და ლერკას მუხლზე დაადო. მოაგონდა მკვრივი, მრგვალი, მზენასვამი მუხლისთავები. იქ, სატყეო მეურნეობის საერთო საცხოვრებელში, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, ოდინდელი ცხოვრების ჟამს, ოდინდელ საუკუნეში: ამოიგვნეშა. მუხლისთავზე თითები მოუთათუნა. მოჭერა სცადა.

— იქ, იმ კუთხეში... შე სულელო...

— შეგჩურთავ. — უკარნახა ქალმა.

— ჰო,

— რა, ჰო! მერე... მე თქვენ გიხილეთ და დამჭკნარი გული ჩემი გაცოცხლდა!..

— ჰო, გაცოცხლდა!

— მიდი, რა! — ალერსის გუნებაზე მოდგა მკაცრი ოპერი. ლირიკაში ჩაიძირა. — ლერკამ ფანჯრისკენ მიიხედა. ცრემლი შეიმშრალა. — მართლა ჩიტია, ხო იცი! — გაიოცა. — უყურე ერთი, რა ფხიზლად იყურება, არწივივით. ყველაფერს ხედავს. ცოტა მეტი ტვინი რომ მისცა, კაცური კაცი იქნებოდა.

— ისედაც მეტისმეტად ჭკვიანი ვარ. სულ ჩემი ჭკუით მჭირს, რაც მჭირს. ჭკუა დიდი მაქვს — შარვალი მოკლე.

— ჰო, მიდი! იცრუე! რაც შეგეძლოს მეტი იცრუე! ჭკვიანებს ჟანგიანი ფიწალით როდი ფატრავენ, ჭკვიანებს და ისიც მწერლებს — ტყვიას უმიზნებენ.

— ფორმა რომ მცმოდა... ტურისტ-ინტელიგენტი ვეგონე... სართავი ჯარა რომ ჩამოუკონწიალებიათ და ხატები, აი, ისეთი. — სული მოითქვა. — ან კი სად ეჩქარება! იწექი შენთვის, შვილოსან, წყნარად და იყბედე, რამდენიც გინდა. რა ხანია. ასე გულიანად არ უსაუბრნია ცოლთან. — ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ინტელიგენტი ვეგონე-მეთქი. რატომ? რატომ და თავისუფლად შეიძლება მათი ჩეხვა და კაფვა.

— არ შეიძლება, ლეონიდ, შენთვის ამდენი მოძრაობა. ხუმრობას სხვა ძალ-ღონე სჭირდება, შენ კი აღარც ძალა გაგაჩნია და აღარც ღონე...

— ო, დედაბერო, რომ იცოდე, როგორ მომშივდა.

— აი, ეს სულ სხვა საუბარია.

გამოძვრა! როგორც იქნა, ამჯერადაც გამოძვრა! მესამე თუ მეოთხე დღეს ნათესავმაც ინახულა: საავადმყოფოს სასადილოს ლოყებ-ღაჟღაჟა, ახლადშემრგვალებულმა მზარეულმა ქალმა — ეს მან გადაუსხა სისხლი სოშნინს. ერთი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდათ.

განყოფილებაში მოაკითხა. სალამი უთხრა:

— გამარჯობათ, სხვა როგორ გიკითხოთ, ამხანაგო ლეიტენანტო?

სოშნინმა თავს ძალა დაატანა, რათა ისევ არ აქვითინებულიყო. ახალგაზრდა ქალი თავისთან იხმო.

— მოდით, აქ, ჩემთან ახლოს, ჩამოჯექით! — გული ამოუჯდა სოშნინს: „აი, ამათი ბედნიერებისათვის“... უნდა გამოვკეთდე, უნდა ვივარგო, კარგად ვიყო. ქალს თითებზე ეამბორა. ხახვის, ნივრის, ძმრის სუნი და კიდევ რაღაც ახლობლური, მშობლიური სუნი უდიოდა ამ ხელს, როგორც დეიდა ლინას, როგორც დეიდა გრანიას. უფრო მეტი ძალ-ღონე მოიკრიბა და ლოყაზეც აკოცა ქალს. ქალი, ცოტა არ იყოს, შეცბა, შეიშმუშნა. სოშნინმა შეამჩნია ეს და მოღიმარე, თვალზე ცრემლმომდგარ ლერკაზე ანიშნა. — ჩემი ცოლია. ოღონდ, როგორც ჭეშმარიტად თანამედროვე ქალი, ეჭვიანი სულაც არ არის.

თვენახევარი იწვა საავადმყოფოში სოშნინი. ერთი თვეც ბიულეტენი, და ბოლოს — ინვალიდობის ჯგუფი, ჯერჯერობით, ერთი წლის ვადით. მერე? რა იქნება მერე? მერე — დიდია საქალაქო განყოფილება და კიდევ უფრო დიდი — შინაგან საქმეთა სამინისტროს საოლქო განყოფილება — საპენსიო ასაკამდე გამოუნახავენ, ალბათ, რაიმე წყნარსა და მშვიდ სამუშაოს. მაგრამ უნდა კი ასეთი სამუშაო? ვინც ომში მზვერავად ყოფილა, — იტყვის ხოლმე ლავრია-კაზაკი, — ის ვეღარ შეეგუება სხვა ყაიდის სამსახურს. ასევე სიმშვიდეს გულს ვერ დაუდებს, ვისაც სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში უმსახურნია.

სოფელ ტუგოჟილინოში ვენკა ფომინს საჩვენებელი სასამართლო მოუწყვეს. გააღეს დიდი ხნიდან გამოკეტილი ტუგოჟილინოს კლუბი, მაგრამ იქ საშინლად ყინავდა და ფეჩებიც სანახევროდ დანგრეული აღმოჩნდა. მაშინ იფიქრეს, პოჩინკოვის სადაბო საბჭოს ცენტრალურ სადგომში გადაეტანათ სასამართლო, რადგან კულტურის სახლიც

ერთობ მოუმზადებელი იყო ამ შემთხვევისათვის: კარპატელ მოშაბა-შეებს აქამდე გაეჭიანურებინათ ჯერ კიდევ ზაფხულში დაწყებული რემონტი.

სასამართლოს დაწყებამდე აქეთ-იქით წანწალში ვენკა ფომინმა მოასწრო დაბანა-დასუფთავება, ტანისამოსის გამოცვლა, ჭამა და სმა. მისმა ქალმეგობარმა არინა ტიმოფეევნა ტარინიჩევამ იზრუნა ამისთვის. დამნაშავეს ყველაფერი აპატია, „გულისვარდს“ როგორ ვუღალატოო — სულ კუდში დასდევდა, წამდაუწუმ ჯიბეში უჩურთავდა ხან ასანთს, ხან სიგარეტს, ხანაც ჭუჭყიან ნახვევში გახვეულ კანფეტს.

სასამართლოს სხდომას უამრავი ხალხი ესწრებოდა. საიდან აღარ ჩამოვიდნენ პროცესზე დასწრების მოსურნენი. მოდიოდნენ ფეხით, ველოსიპედებით, მოტოციკლებით... საზეიმოდ გამოწყობილნი. სმეულობა გამოაცხადეს, ზოგმა გარმონიც ააჭყვიტინა. მოწყენით, მონოტონურად მცხოვრები სოფლის მოსახლეობა, თუნდაც გართობის მიზნით, მოუთმენლად მოელოდა ასეთ თავყრილობებს, სადაც შეიძლებოდა ერთმანეთთან შეხვედრა, ერთმანეთის მოკითხვა, ახალი ამბების შეტყობა.

როცა დარწმუნდა, რომ აჟიოტაჟის მიზეზი ბრძანდებოდა, ბრალდებულმა თავპატიჟი გამოიდო, თავი ღირსებით ეჭირა, ხელებს აპოტინებდა, დედაბრებს დიდის ამბით რაღაცას უმტკიცებდა. ის კი არა, მომენტი რომ იშოვა, თვით დაზარალებულსაც მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოუთათუნა, მისი ჯანმრთელობა მოიკითხა. ვენკა ფომინს არინამ უთხრა: სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდანო. კეფა მოიქექა: ნეტა ჩემთვის გაგერჭო ის ფიწალიო.

— მოკლედ, მაპატიე, რა, კაცურად! — დაასკვნა ბოლოს, ვენკა ფომინმა. — აქაური თუ იყო, ისიც არ ვიცოდი! ე დამპალი ვერიდები აქოურობას, ცოტაა აქოური.

სასამართლოს მსვლელობის დროს ვენკა ფომინს თავი საქმიანად ეჭირა, ფხიზლად თვალყურს ადევნებდა სასამართლოს მსვლელობას: არავის არაფერი შეშლოდა, ყველას ზუსტად, კოდექსებით ელაპარაკნა — დაცვასაც და ბრალდებასაც. რაკი დაინახეს, სასამართლო წარმოების საქმეში ასე ერკვეოდა ფომინი — დამსწრენი მეტის მოწიწებით უსმენდნენ. უყურე ამ რთულ მეცნიერებას როგორ დაუფლებიაო, მსჯელობდნენ დედაკაცები, ეგაა მხოლოდ სისულელით თავი წააგო.

სასამართლო დიდხანს მიმდინარეობდა. გაჯანჯლდა. მოწმედ გამოძახებულ დედაბრებს ჩვენება ერეოდათ. ვერ ლაპარაკობდნენ მწყობრად, დალაგებულად. ზოგიც არინა ტარინიჩევას დარიგებული გახლდათ: ასე და ასე ილაპარაკეო. იმას უნდოდა, როგორმე, სასჯელი

შეემსუბუქებინა ვენკა ფომინისათვის. ხმა გავრცელდა: სამ წელს აძლევენ, „ქიმიაზე“ გზავნიან, იქ კადრები სჭირდებათო.

მაგრამ იცოდა სოშნინმა: დიდ სასჯელს მიიღებდა ვენკა ფომინი— ეს უკვე მისი მესამე ნასამართლობა იყო. რა მუხლი აღარ მოუსადაგეს და სასტიკი რეჟიმის ათი წელი მისცეს. იმწამსვე გამოფხიზლდა. თითები გადაიტკაცუნა. ზურგზე პერანგი უთრთოდა. ბრალდებულს საბოლოო სიტყვა მისცეს. უარის ნიშნად, უმწეოდ ჩაიქნია ხელი. არინა ტარინიჩევამ ბადრაგს ხელი გაჰკრა, ფომინს ებდღვნა, ჩაეფსკვნა ქვითინით, ვიღაც გალეშილი ახმახი, რომელიც იქაურს არ ჰგავდა, მთელი ხმით ღრიალებდა: „შეცდომა დაუშვეს, ე არაა სწორი გამოცდა, ფიქსია! ჩერვონეცი აგკიდეს, ტო, თუმნიანი მოგაწეპეს, ათწლიანი აკადემია! რატომ? რისთვის! ერთი „კუსოჩნიკი“ რომ მიასიკვდილე, იმისთვის, ხომ? ისედაც ბევრნი ყრიან! მე ერთი და ორი მომსვლია ასეთი? ვიცი, ვიცი, სისხლის გამოდენისთვის, დანის გაყრისთვის რაც ეკუთვნის. დაამახინჯეს „ეგზამინი“... კასაცია დაწერე, გესმის? თუ არ გეშველოს, მაშინ ჰაიდა, მოკურცხლე...“

ლეონიდმა ძლივს გამოაღწია სადაბო საბჭოს დახუთული სადგომიდან. მდინარის ნაპირს გაუყვა, ნაძვნარში. იქიდან დაინახა, როგორ გამოიყვანეს ვენკა ფომინი. ბადრაგს ზურგს უკან, მიესივნენ ქალები. გასამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდნენ. პატიმარმა ხელი მოხვია ატირებულ, მორჩილ არინა ტარინიჩევას.

— ნუ გეშინია, ჩამოვალ მე, ოღონდ შენ დამელოდე, ჩამოვალ, მტრების გულის გასახეთქად, — გაძვალებულ მუშტს იღერებდა, გაჰყვიროდა ვენკა ფომინი. — ყველა მელოდეთ, ყველა! დამპალი ვიყო, თუ არ დავუმტკიცო ზოგზოგებს, რას ეწოდება თავისუფლების სიყვარული.

ლეონიდმა პაშა სილაკოვას ოჯახში ისადილა და სიდედრ-სიმამრთან არც შეუვლია, ისე, პირდაპირ გაემგზავრა ხაილოვსკს მიმავალი, თითქმის ცარიელი შემხვედრი ელექტრომატარებლით, მშობლიურ, დაჭაობებულ ადგილებს რომ მიუყვებოდა. ვაგონის სარკმლიდან გაჰყურებდა დიდი ხნიდან შეჩვეულ, ამ ნაცნობ სანახებს, ასე მშვიდობიანი, სუფთა და მოწესრიგებული რომ ჩანდა ზამთრის საფარველქვეშ. შორ მანძილზე გადაჭიმულიყო ეს ვრცელი ველი, ალაგ-ალაგ ჩარიგებული პატარა სოფლებით, მცირე ნახევარსადგურებით, პაწია საგზაო ჯიხურებით. თეთრად გაყინულ ჭაობზე შავად აზიდულიყვნენ ტიტველი ვერხვები, ჭრელი არყის ხეები. გასცქეროდა ამ სურათებს ლეონიდი და თანდათან იპყრობდა ღრმა, მაგრამ აწ უკვე მოუნელე-

ბელი, მუდმივი სევდა, ბოლო ხანს რომ დასჩემდა. არა, ვენკა ფომინისადმი სიბრალულს არ გრძნობდა იგი, მით უმეტეს, არც საზეიმო განწყობილებას ან ბოროტებას. საერთოდ, მილიციაში სამსახურმა აღკვეთა მასში დამნაშავეთა მიმართ სიბრალულის გრძნობა. გაუგებარი, აუხსნელი იყო მისთვის ეს რუსული სიბრალული, თანაგრძნობისადმი გაუნელებელი ლტოლვა, ვითომ სიკეთისადმი მიდრეკილება, მის შიგნში, „ავადმყოფი“ სულის რომელიღაც ჩრდილოვან წიაღში ჩაბუდებული, ადვილად ფეთქადი, აალებადი და მრავალმხრივ გააზრებული ბოროტება.

...ჭაბუკი, პროფტექსასწავლებლის კურსდამთავრებული მთვრალი ესტუმრა სელკომბინატის ქალთა საერთო საცხოვრებლის გოგონებს. იქ კავალერ-„ქიმიკოსები“ დახვდა, გალახეს, გააპანღურეს, მოხდა ჩხუბი. გაწევ-გამოწევა. ყბადასიებულმა, ძვალდარბილ გასწორებულმა ძლივს გამოაღწია იქიდან. ცხელ გულზე გადაწყვიტა, რომ პირველივე შემხვედრი ადამიანი მოეკლა და ეს აღმოჩნდა ყველაზე ულამაზესი ახალგაზრდა ქალი, ექვსი თვის ორსული, რომელსაც წარმატებით დაემთავრებინა მოსკოვის უნივერსიტეტი და ახლა, არდაღეგების პერიოდში, ვეისკში ჩამოსულიყო, ქმართან. „პროფტექნიკელმა“ რკინიგზის ხვიმირის ქვეშ შეაგდო, თავში ქვას უჩაჩქუნებდა და ასე წამებით მოკლა იგი. ქალმა ჯერ კიდევ მაშინვე იაზრა, მომკლავსო, ხვიმირქვეშ რომ შეაგდო და თვითონაც რომ მიჰყვა. ნუ მომკლავთ, ევედრებოდა ქალი, მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, შვილს ველოდებიო. ამ სიტყვებმა უფრო გააცოფა მკვლელი.

ციხიდან ჯეელმა ერთადერთი განცხადება გაუგზავნა ოლქის პროკურორს — კვების თაობაზე მხოლოდ: ცუდად გვკვებავენო. სასამართლოზეც მისი საბოლოო სიტყვა ამ შინაარსის იყო: ისე ვიყავი გაცოფებული, ჩემთვის სულ ერთი იყო, ვის მოვკლავდი. რა ჩემი ბრალია, თუ ასეთი კარგი ქალი შემხვდაო.

...მამა და დედა — წიგნის მოყვარე ხალხი. ბავშვებიც აღარ ეთქმოდათ, ოცდაათს იყვნენ გადაცილებული. სამი შვილი ეყოლათ, მაგრამ არ ჰქონდათ მათი მოვლის თავი, ჩაუცმელ-დაუხურავი, უპმელ-უსმელი დაუდიოდათ ბავშვები. გააჩინეს კიდევ მეოთხე. მეტისმეტად მხურვალედ უყვარდათ ერთმანეთი, ბავშვები კი მხოლოდ ხელს უშლიდნენ მათ, რაღათ უნდოდათ, მეოთხე ბავშვის ცოდვაც რომ აიკიდეს. ტოვებდნენ ჩვილს უპატრონოდ, გამოკეტილ ოთახში. ბავშვი ღონიერი დაიბადა, ენერგიულად ტიროდა, თანდათან დაუსუსტდა ხმა, ძალა გამოელია, დღედაღამ ხაოდა და ღნაოდა უღონოდ. ვეღარ მოითმინა ეს ხმა იქვე, ბარაკში, მეზობლად მცხოვრებმა ქალმა, იფიქრა, ფაფა ეჭმია ბავშვისთვის. გადაძვრა ფანჯრიდან და, ვიღასთვის უნდა

ეპმია ფაფა: ბალღს ჭიები ჭამდნენ. მისი მშობლები კი სადმე ბნელ სხვენში კი არ გასლდათ მიმალულები, თ. მ. დოსტოევსკის სახელობის საოლქო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ისხდნენ, წიგნით გატაცებულნი; იმ ადამიანის სახელობის ბიბლიოთეკაში, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა: მე ვერ ავიტან ვერც ერთ რევოლუციას, თუ ის ზიანს მიაყენებს თუნდაც ერთ ბავშვსო...

...და კიდევ. დედა და მამა წაიჩხუბნენ. დედამ მამა მიატოვა, მამამ — ბინა. წავიდა, გაერთო, გართობას გადაყვა, დათვრა, გამოიბრუჟა... და დაავიწყდათ ორთავეს შინ უპატრონოდ მიტოვებული სამი წლის ბალღი. ერთი კვირის შემდეგ, ბინა რომ შეამტვრიეს, ნახეს, ბავშვი თითებით ჩიჩქნიდა იატაკის ფიცრებს შორის მიწას და იმას ჭამდა. ასევე გაწაფულიყო ტარაკანების დაჭერაში და იმ ტარაკანებით იკვებებოდა. საბავშვო სახლში ბალღს მოუარეს, პატრონობა აღმოუჩინეს ექიმებმა; დროზე მიუსწრეს: რაქიტი, დისტროფია, გონებრივი სიჩლუნგე აღკვეთეს, მაგრამ ხელების ისეთი მოძრაობა დასჩემდა, თითქოს სივრცეში რაღაცას იჭერს, იტაცებსო და ეს ჩვეულება ვერაფრით ვერ მოაშლევინეს.

სხვადასხვანაირად აეწყობა ხოლმე კაცის ცხოვრება. ზოგი ცხოვრობს კარგად ან ცუდად, თანაზიარად ან არათანაზიარად, სწორად ან არასწორად, მღელვარედ ან მშვიდად, და აი მისი მეწყვილე სპეცსკოლიდან და სხვა მრავალ საქმეში, ფედია ლებედა ცხოვრობდა წყნარად, თავისთვის, წესიერად — არც ერთხელ არ ყოფილა დაჭრილი კი არა, უბრალოდ, განაკაწრიც. ქალაქთან ახლოს სულაც მგონი სამსართულიანი საავარაკო სახლი წამოჭიმა, ჩუქურთმებით დამშვენებული, კერამიკით მოპირკეთებული. ფერის, ფორმის, კოლორიტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საოლქო განყოფილების შენობასავით, ყოვლად უგემოვნოდ იყო ეს სამუშაო შესრულებული, მაგრამ. სამაგიეროდ, ძვირად ღირებული. ფედია ლებედას აგარაკზე მუსიკა მეფობს, ფერადი ტელევიზორი, მანქანუკა მართალია, „ზაპოროჟეცი“, მაგრამ ხომ მისია, საკუთარი — ყველაფერი იმგვარადაა, როგორც კეთილ ადამიანებს შეჰფერის, არაფერია მოპარული, მითვისებული, ყოველივე მილიციელის ღარიბული ხელფასის დანაზოგითაა შეძენილი. „უნდა შეგეძლოს ცხოვრება“. — გამომწვევად ამბობდა თამრიკო, ფედია ლებედას მეუღლე, რომელიც რესტორან „სეევერში“ მიმტანად მუშაობდა, რაც არ უნდა ითქვას, ის ხელოვნებით და მაიაკოვსკის კითხვით მაინც იყო გატაცებული. ლერკა, იქნებ, სოფელ პოლევკაში „საიმედო ზურგის“ იმედით, არ მისდევდა თამრიკოს ამ მოწოდებას, თუმცა არც მთლად ისე იყო საქმე, რომ სრულებით ანგარიში არ გაეწია, უბრალოდ, ისეთ დიდ მნიშვნე-

ლობას არ ანიჭებდა მას, როგორც ის ღარიბი ქალი, რომელსაც სოშნინი ამ სამი წლის წინ, მატარებელში შეხვდა, როდესაც ხაილოვსკიდან მშობლიურ ქალაქ ვეისკში ბრუნდებოდა. სოშნინის პირდაპირ მთელი თავით ვაგონის კედელს ჩამხობოდა, თვალშეუშრობლივ ტიროდა და ზლუქუნებდა. ცრემლებს ჯერ ცხვირსახოცით იწმენდდა, მერე, როცა მლაშე ცრემლით ცხვირსახოცი სულ გაეწუწა, მაუდის თავსაფრის ყურს იშველიებდა, რომელიც თანდათან დაბლა უცურდებოდა და აჩენდა დიდი ხნის წინათ დახვეულ მის ქერა თმას.

„მაპატიეთ, — უთხრა სოშნინს ქალმა, როცა მისმა გაკვირვებულმა, ცნობისმოყვარე მზერამ გამოაფხიზლა. ოდნავ თმა შეისწორა, სახეზე ხელი გადაისვა და დაუმატა: — დავლუპე ქმარი, ძვირფასი ადამიანი...“ და კვლავ ტირილი წასკდა. მაგრამ საშინლად უნდოდა მწუხარება ამოეთქვა და მოუყვა თავისთავად ყოვლად უბრალო, ჩვეულებრივი თავგადასავალი.

იყო ერთი ცოლ-ქმარი, რიგითი საბჭოთა მოსამსახურეები, მოკრძალებული ხელფასის, ერთობ შეკვეცილი შესაძლებლობების მქონენი. ბევრს მუშაობდნენ, უყვარდათ ერთმანეთი. სანამ შვილები, ქალ-ვაჟი შეეძინებოდათ, კინო-კინო დარბოდნენ, არ იკლებდნენ თეატრს და სხვა სანახაობებს, კვირა დღით მიდიოდნენ მდინარეზე, ზამთარში თხილამურებით დასრიალებდნენ ქალაქში, კითხულობდნენ წიგნებს — თუმცა, იქნებ არც ისე ბევრს და არც ისე „ნამდვილ საკითხავს“, მაგრამ კითხულობდნენ... უცქერდნენ ტელევიზორს, ჰოკეის გულშემატკივრობდნენ, ერთი სიტყვით, კარგად გრძნობდნენ თავს: იზრდებოდნენ ბავშვები, შრომასა და ზრუნვაში შეუმჩნევლად მიფრინავდა დრო. მაგრამ მის ყურადღებას ძალაუნებურად იზიდავდა ეზოში ჩამწკრივებული მანქანები, ქალაქგარე აგარაკები, მეგობრებსა და ნაცნობების ოჯახებში თავმოყრილი ნაირნაირი ნოხები და ხალიჩები, ბროლი, მაგნიტოფონები, მოდური ტანსაცმელი, ძვირფასი ავეჯი...

და მასაც მოუნდა ეს ყოველივე, შეუჩნდა ქმარს, უფრო ხელსაყრელ სამსახურზე ეფიქრა. ქმარი ერთხანს გაჯიუტდა. ცოლი განქორწინებით დაემუქრა, შვილებს მივატოვებო. გამწარებულმა კაცმაც, რა გზა ჰქონდა, გამოძებნა უფრო სარფიანი ადგილი და ჰაიდა — შემოაქვს და შემოაქვს ოჯახში ხელფასზევით შემოსავალი — თუ გსურს, ფერადი ტელევიზორიც იყიდეო!.. მეორედ — მდიდრული ნოხის შესაძენი ფული მოუტანა... მესამედ — აღარ დაბრუნებულა შინ და ახლა მის დაბრუნებას ხუთი წელი უნდა ელოდოს...

მის სანახავად იყო კოლონიაში, მოუტანა პირველი გადაცემა. „უცქირე შენს ქმარს — დამნაშავეს! უცქირე და დატკბი! ეს გინდო-

და და მიიღე!“ — „მუხლებზე დავეცი მის წინაშე, დავუკოცნე ფეხები, ხელები. ზურვი შემაქცია, ჩემთან ლაპარაკი არ ინღომა. არც ტირის, არც წუხს. საერთოდ, არავითარი რეაქცია არ გააჩნია. ახლოსაც არ გაიკარა ჩემი ნობათი — ერთი წელი მაინც არ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო. წამოსვლისას მომაძახა, მე მხოლოდ ბავშვები მეცოდებაო“.

ჰოდა ასე: სხვადასხვანაირად ცხოვრობენ ადამიანები.

ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა. სოშნინი უკვე პენსიაზე გახლდათ გასული. ახალი რაიონის შემსალაროში სიგნალიზაცია გაისმა. ფედია ლებედა, რომელმაც ამასობაში ჩუმად, უხმაუროდ, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებიდან ჯერ ავტოინსპექციაში, ხოლო შემდეგ არასაუწყებო დაცვაში გადაინაცვლა, ვეისკის სპეცსკოლადამთავრებული ახალგაზრდა თანამშრომლის თანხლებით გაემართა ამ საგანგაშო ძახილზე. მივიდნენ და რა იხილეს: კარს ვიღაც მამაკაცი მიდგომია და კლიტით აწვალებს. და როგორც ამას წესი მოითხოვს: „თქვენი საბუთი, მოქალაქევ!“, „ახლავე“ — გაისმა პასუხად. უცნობმა მამაკაცმა დააძრო პისტოლეტი და სამჯერ დაახალა მილიციელს.

მაშასადამე, გადარჩა, ცოცხალია ფედია ლებედა. თავს მშვენივრად გრძნობს. ახსნა-განმარტებითს ბარათში აღნიშნავს: საშიში ობიექტი არ ჩანდა, აბა, ვინ წარმოიდგენდა საქმის ასეთ შემობრუნებას, რომ იმ უტვინოს ჯიბეში იარაღი ექნებოდა. და, კაპიტნობიდან ფედია ლებედა უფროს ლეიტენანტად ჩამოაქვეითეს და ახლა განყოფილებაში მორიგეობს, მაგრამ რა შეუშლის ხელს, ისევ იმ პრინციპით იცხოვრებს: „ნუ შემეხებით, არც მე შეგეხებით“.... გავა დრო, ამ მცირე დასჯას აიტანს, როგორმე გაუძლებს. მალე მაიორი, მერე პოლკოვნიკი გახდება. იმ ახალბედა მილიციელმა კი სამუდამო წოდება მიიღო — გარდაცვლილი, იმიტომ, რომ ფედია ლებედას ფარული, მტკიცე აზრით, სულელი იყო. სოშნინმა და არა მარტო სოშნინმა წინასწარ იცოდა ამ მარტივ ადამიანთა ცხოვრების წესი. კიდევ კარგი, იგი იმ დროს დაიბადა, ომს ვერ მოესწრო, თორემ ისე წაიყვანდა საქმეს. არა ერთი და ორი ჯეელი შეეწირებოდა მის კეთილდღეობას.

„რას იზამ, ასეთია ცხოვრება“, — ალექსეი დემიდის ძე ახლიუსტინის სიღყვებით დაასკვნა ლეონიდმა; „სე ლა ვი, — ინტელექტუალურად წაიფრანგულებს სიროკვასოვა და დასძენს, — არ ემორჩილება თეორიულ ანალიზს“; „ეე, ცხოვრება დიდი ვერანა რამეა“. — ამოოხვრით იტყვის ლავრია-კაზაკი: „ცხოვრებაშიც ისეა, როგორც თევზაობაში: ხან მოვა თევზი ანკესზე, ხან არა...“ — ეს ძია პაშას ფილო-

სოფიაა, ვგონებ, სინამდვილესთან ყველაზე უფრო ახლომყოფი და რაც მთავარია, გასაგები.

ტიპი, რომელმაც ას ოცი წლის სასჯელის ვადა აიკიდა, ცხოვრება ღვთის ვედრებით და აი იქ, ტყეების მიღმა, ტორფების ჭაობებში, მშობლიური. მკაცრი რეჟიმის კოლონიის საღამოს სკოლაში წერა-კითხვის შესწავლით დაიწყო. პაშა სილაკოვა მშობლიურ სანახებში ვაჟკაცურად დააგრიალებს მოტოციკლს; სიმამრი მარკელ ტიხონის ძე, რომელიც სასამართლოს ახლოს არ გაეკარა, რათა „მღელვარებაში არ ჩავარდნილიყო"; სიდედრი, რომელიც საკაიდღეო კოსტიუმში და კაპრონის წინდებში საგანგებოდ გამოწყობილი გამოეცხადა პოჩინოკს და რომლის მთელი შესახედაობა მეტყველებდა: იმას არ ასამართლებენ და ისე არ ასამართლებენ, ვინც უნდა გაასამართლონ და როგორც უნდა გაასამართლონონ; ხალხი, რომელიც სასამართლოს მიმდინარეობას დროსგასატარებელ სპექტაკლად აღიქვამდა, — ყველა და ყველაფერი ეს ცხოვრებაა, რომელშიც „ხან მოვა თევზი ანკესზე, ხან არა". ხან მხიარულია, უზრუნველიც, ხან წარმოუდგენლად მკაცრი, მრისხანე, საოცრად რთული, ხან უბრალო, მარტივი, როგორც ელექტრომატარებლის სარკმლიდან თვალმოკრული ცაში გაბმული ფრინველთა მწკრივი, როგორც მიყუჩებული სოფლები, მთვლემარე ტყის კორომები, წყნარად რომ ეფარებიან თვალს... ძაღლი ჯიხურთან, ჯაჭვის აწყვეტას რომ ლამობს, რათა ელექტრომატარებელს გამოენთოს და დასაკბენად ეცეს.

ამ დროს კი, სასამართლოთი ქანცგამოცლილ, მძიმე გზითა და ღვინით დაშოშმინებულ ვენკა ფომინს ქალაქგარე ციხის მანქანაში ძინავს და არაფერზე ფიქრობს. უბედური ბავშვების დედ-მამა, „პროფტექნიკელი", ახალგაზრდა დედა რომ გამოასალმა სიცოცხლეს, გაქცევის ცდისას ტყვიით ხელმომტვრეული პატიმარი, რომელიც თავის სიცოცხლეზე მეტ სასჯელს მიაჩანჩალებს, ღვთის მაძიებლობაში გადავარდნილი ტუსაღი, — ყველა, ყველა ისინი, ვინც ახლა იქ, იმ სოფლებსა და ტყეების გადაღმა იყვნენ, არიან და იქნებიან, — ყოველივე ეს ცხოვრებაა, რეალობაა, ამხანაგო სოშნინო. აი, ეს უნდა გაიზიარო, უნდა ამაღლდე ცხოვრების სიმართლის გაგებაზე, თორემ რატომ და რისთვის უნდა ეტენებოდე ხუროდ, თუკი ხელში ცულის დაჭერაც არ შეგიძლია. რეალობა, ქვეყნად არსებული ყოველი ყოფიერება, სიმართლეა — თვით დედამიწა, ცა, ტყე, წყალი, სიხარული, ცრემლი, მწუხარება, სიცილი, თვითონ შენ, ხეიბარი თუ საღი ფეხებით, შენი შვილებით, შთამომავლობით. სიმართლე ადამიანის ყველაზე უფრო ბუნებრივი მდგომარეობაა, მას ვერც ამოიყვირებ, ვერც ამოიკვნესებ, ვერც ამოიქვითინებ, თუმცა ყოველ ამოძახილში, ყო-

ველ ამონაკვნესში, სიმღერაში, ტირილში იგი კვნესის, ტირის, ოხ-
რავს, იცინის, კვდება და იბადება. მაშინაც კი, როცა შენ ჩვეულები-
სამებრ თავს იტყუებ ან სხვას ატყუებ — ესეც სიმართლეა და როცა
ყველაზე საზარელი მკვლელი, ქურდი, მაიმახი, უტვინო უფროსი,
ეშმაკი და გაიძვერა მეთაური — ყველა, ყველაფერი ეს სიმართლეა,
ჭეშმარიტებაა, ზოგჯერ უსიამოვნო, ამაზრზენიც. და როცა დიდმა
პოეტმა ამოიკვნესა: „არა, არ არის ქვეყნად სიმართლე, მაგრამ სიმარ-
თლე არც ზეცაშია!“ — იგი როდი თვალთმაქცობდა. იგი ლაპარაკობ-
და უმაღლეს სამართლიანობაზე, იმ ჭეშმარიტებაზე, რომელსაც ადა-
მიანები მხოლოდ ტანჯვით გაიზიარებდნენ და რომლის სიმაღლეების
მიღწევის ცდისას ფეხი უცურდებათ, იღუპეპიან, ამსხვრევენ საკუთარ
ბედს, მთელი ერების ბედიღბალსაც კი, მაგრამ როგორც ალპინის-
ტები, მაინც არ ეშვებიან, ეჭიდებიან დამღუპველ შვეულ ლოდებს.
ჭეშმარიტების მიღწევა ადამიანური ცხოვრების უზენაესი მიზანია.
მისი მოღწევის გზაზე ადამიანი ქმნის და არ შეუძლია არ შექმნას ის
ჭეშმარიტება, რომელიც მას გამოადგება კიბედ, გზის მანათობელ
ვარსკვლავად უზეშთესი ნათლისა და შემოქმედი გონისადმი.

მაგრამ პატიმარი, რომელსაც ნახევარი ცხოვრების გზაზე ორი
ცხოვრების ვადა შემოურბენია და სულის გადარჩენაზე ლოცულობს,
მაინც ცუდი ჭეშმარიტებაა. ის სიყალბეზე მეტი ჭეშმარიტებაა.

სოშნინმა ძალ-ღონე მოიკრიბა და ლოგინიდან წამოდგა. სარკის
წინ, ხელისგულებით სახე მოისრისა — მაინც, რა მალე ამოუვიდა წვე-
რი. თუმცა, არა, ეს წვერის ბრალი არ არის, პირსაბანის სარკეში მო-
ჩანს ასე შავად, თუ სულაც ამ მძიმე მოგონებების ბრალია სახეზე ეს
ჩამუქებული ლაქები. კი, ასეა, ნამდვილად. გამომცემლობის დასა-
ლაშქრად რომ მიდიოდა, დილითვე (და არა უთენია!) საგულდაგუ-
ლოდ გაიფხიკა და გაიპუდრა. ქოჩორი წყლით დაისველა, წოლით
აწეწილი თმა დაივარცხნა, მოიწესრიგა. თავზე ხელი გადაისვა და ფოს-
ტას ჩაკითხა სადარბაზოში. ისევ ისე დახვდა, კიბის ბოლოს, დახვა-
ვებული ნაგავი: ნამწვი, მინის ნამსხვრევები, რკინის საცობები, ასანთ-
ის, სიგარეტის კოლოფები, სხვადასხვა ნაქურჩელა და ნახევი, მა-
თარები, გაჭყლეტილი ქაშაყის თავები, პურის ნატეხები და ნაფხვე-
ნები. მორიგი „სტუმარი“ შემოხეტებულიყო კიბის ქვეშ. გაზეთი გა-
ეფინა და ზედ მოკალათებულიყო. წინ ედგა ავტომატური წყლების
დანადგარიდან წამოღებული ჭიქა, გაჭყლეტილ მათარაზე — გადამ-
დნარი ყველის თხელი ანათალი, ნახევრად შემოჭმული ვაშლი, შავი
ბოთლი — იარლიყზე შავად ჩამოწუწული...

— მ-მ-მ-ე-გ-ობ-ბ-ა-რო! — მოესმა კიბის ქვემოდან, — თუ იცი, საათის რომელია?

— დილაა.

— დილა? კიდევ ერთი დილა გათენდა. გარბის დრო. ასე გარბის ცხოვრება...

ლეონიდი, გაზეთებით ხელში, საფეხურებს აუყვა. კიბეზე სიმღერა მიაცილებდა: „დილა არის ღრუბლიანიიი, სევდიანიიი, ნაღვლიანიიი“... ნომერ მეშვიდე სახლის სტუმარი, ამჯერად, მელანქოლიკი გახლდათ, მომღერალ-მელანქოლიკი.

გაზეთში მარკელ ტიხონის ძის წერილი იდო. სოშნინმა ინტერესით გახია კონვერტი.

„შუადღე მშვიდობისა! სიხარული ნუ მოგაკლოს გამჩენმა, ძვირფასო შვილო, ლიონია!

გული მატკინა შენი ავადმყოფობის ამბის შეტყობამ. ფრთები რომ მქონდეს, ღმერთმანი, ამწამ შენკენ გამოვფრინდებოდი, მაგრამ ვაი, რომ ფრთები არ მასხია. თანაც, გამიგებ, ალბათ, ეზოში დაბმული ძროხა იგივეა, რაც ზღვაში გემისთვის ღუზა — ვერ მიატოვებ, ვერ დაიძვრები. ამას გარდა, მეურნეობაც განუწყვეტლივ ყურადღებას ითხოვს, დედაბერსაც ღამით მარტო დარჩენისა ეშინია. უწინ არ ეშინოდა არაფრის: არც მღვდლის, არც ეშმაკის, არც ქმრის, მაგრამ რას იზამ: უღალატა ნერვებმა, ერთთავად სულ ომობს, შფოთობს: სოციალიზმის მტრებს ეომება, მეც სულ მეჩხუბება...“

ლეონიდმა ღიმილით ჩაათვალიერა ბარათი, რათა მერე, ძილის წინ, უფრო გულდასმით წაეკითხა.

„ხმა მოგვივიდა, ისევ უმძრახად არიანო. ძალიან დაგვაღონა ამ ამბავმა. რა ეშველება ახლა ამ საქმეს, არ ვიცი. ერთს კი გეტყვი: ჩვენ მამაკაცებს უნდა გვეცოდებოდნენ ე სულელები. აპა, რას გააწყობენ უჩვენოთ? არ მახსოვს, მოგიყევი თუ არა, ერთხელ, ორმოცდაცხრაში, ასეთი შემთხვევა დამემართა: იძულებული შევიქენი ოჯახი მიმეტოვებინა, სხვა გამოსავალი აღარ იყო და იმიტომ. მეზობელ სოფელ ტუგოჟილინოში, ერთ მშვენიერ ქვრივ დედაკაცთან გადავბარგდი. უწინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მოგვწონდა ერთმანეთი. შევუკეთე სახლი, დამტვრეული ავეჯი და სხვა ხარახურა, ჭა... მის საქონელს ვუვლიდი და ვიყავით ასე, სიამტკბილობით. ერთად ყოფნა გვიხაროდა. ჰოდა, დარჩა ჩემი დედაკაცი პირში ჩალაგამოვლებული, არაფრის მაქნისი ის არ იყო, არაფერი იმას არ ეხერხებოდა, ტრიბუნაზე შეხტომისა და ღრიალის მეტი. მოგვივარდა ფანჯრების ჩასალეწად. შევწუხდი. ჯერ, მშვიდობიანი ცხოვრების დროს რა იყო, რო ახლა, ნერვებაშლილი, რა იქნებოდა. ჩამავლო ხელი და პატიმა-

რივით წინ გამიგდო. მოვედი შინ და რას ვხედავ, დაუქცევია ოჯახი. რძემოუწველავი ძროხა მთელი სოფლის გასაგონად ბღავის, სკაში ფუტკარია აწიოკებული, ლერკას სიყვითლე დამართნია... რაღას ვიზამდი, დავრჩი. მას მერე ჩემმა ცოლმა მექალთანე შემარქვა, ადგილზე შევუსწარიო, ამბობს.

იქნებ, ერთი მაგრა მიგეტყეპა ე ჩემი გაუგონარი შვილი, ჰა, შენ რას იტყვი!? ისე მაგრა მიგეტყეპა, რომ სიკვდილამდე მწარედ ხსომებოდა... მაგრამ რას იზამ, ქალია, რაც არ უნდა იყოს. შვილის დედაა!

აბა, ხე, შენ იცი, შვილო, ერთი სული მაქვს, სანამ შენს პასუხს მივიღებდე. ჩამოდი, სვეტლანუშკა ჩამოგვიყვანე. თუგინდ ახალწლის მერე იყოს, ან, სულაც, მაშინ, როცა მოიცლი. ყოველთვის გაგვეხარდება შენი დანახვა. მალე ძროხას ხბო ეყოლება, ახალი რძე გვექნება, ხო იცი, რა მარგებელია რძე. ძალიან კი გვეცოდებით, ცუდ დღეში ხართ თქვენ, ყველანი — მართლწესრიგის დამცველები. წევხარ უპატრონოდ, შენს ბუნაგში — არც გათბობა, არც ცხელი სადილი. ეს რომ მომაგონდება, შიგანი მეწვის, წვერულვაშზე ღაპაღუპით ჩამომდის ცრემლები...“

საახალწლოდ მარკელ ტიხონის ძე საბრძოლო ჯილდოებით დამშვენებული ლურჯი კოსტიუმით მოირთვება, თაფლს მიირთმევს. მერე, გაბადრული, მეგობრული ღიმილით შეეგებება და გაუმასპინძლდება მეზობლებს. მხარზე ხელს გადაჰხვევს და წაიმღერებს: „ღარიბი ვარ, ღატაკი, არ ვუნდივარ არავის...“ ევსტოლია სერგეევნა ქედმაღლურად ქოქოლას მიაყრის. „მგელმა ერთი სიმღერა იცოდა, ისიც, სხვისი წამხედური...“ დასჭექავს და მის ხმას გადაფარავს: „ჩვენ ვართ მჭედლები, გული გვაქვს ახალგაზრდული, რადგან ბედნიერების გასაღებს ვჭედავთ!..“ „გასაღებს! გასაღებს! გასაღებს!“ — აიტაცებენ ოდესღაც მარიფათიანი ევსტოლია ჩაშჩინას მომღერალთა გუნდის ყოფილი წევრები, აწ დედაბრები, მისი ძველი დაქალები. არა, ევსტოლია მაინც სულ სხვა იყო. ახლაც კი, ხმას რომ აარაკრაკებს, სახე გაუბრწყინდება, თვალთაგან ცეცხლს აკვესებს, შუბლი, საფეთქლებიდან მოკიდებული, მიტკალივით გაუთეთრდება ხოლმე. მერმე, საომრად შემართული, მაგიდას მუშტს დაჰკრავს: „და მაინც ეს ცხოვრება ომია, ო-მი!“

დაქალები ძველებურად მიეფათილებიან: „აპა, რა, ტოლია! იმიტომაც მოიგე ამოტელა სიგელები! სულ ომით არის, ომით!“

დღესასწაული რომ არ ჩაუშხამოს, მარკელ ტიხონის ძე — ეს მო-

აზრებული კაცი — მიიყუჟება თავისთვის, კუთხეში; სადაც უწინ ხატი ეკიდა, დღეს იქ ტელევიზორი დგას, „რეკორდი“. ტელევიზორში თხელწინდებიანი, მოკლეზე მოკლე კაბიანი ფიგურული სრიალის ოსტატი გოგოები დაპროწიალობენ.

„ვაი სირცხვილო და თავის მოჭრავ! ნეტა სირცხვილით გარეთ თავს როგორ ყოფენ ამათი მშობლები. აპა, ამ გაკნაჭულმა გოგოებმა რა შვილები უნდა გააჩინონ, ამათი გაჩენილი შვილები ივარგებენ ომში? მეტი არაა ჩემი მტერი!“ — წუწუნებს მარკელ ტიხონის ძე. ევსტოლია სერგეევნა შფოთავს, ფიგურულად მოსრიალე გოგოებს თავსლაფს ასხამს: „ი ბიჭები იმაი დარაჯობენ, რო ამათ ნიფხვები ჩასძვრეთ. ამ ტრიკოებში რავარი რეზინაა, თუ იცი, გარჭობილი? სინთეტიკური, გოგო, სინთეტიკური! ან თავისით გასკდება, ან კავალერი გაუფხრიწამს...“

„ასეა ნამდვილად! — ჩაბჟირდებიან დაქალები, ყოფილი გოგოები, ახლა კი დედაბრები. — ცუდი ცხოვრება იყო უწინ, ყველაფერში ჩამორჩენილები ვიყავით, სიბნელე იყო, ახლა კი ელნათურებითაა ქვეყანა გაჩახჩახებული, ყველგან ფერადი ტელევიზორებია. ეჰ, მთავარია, ჯანი იყოს, თორემ სხვა ყველაფერი იქნება, ყველაფერს მოესწრება ადამიანი...“

დიდი ხანია მოიხარშა ქათამი. ოთახში დადგა წყალმცენარის სუნი, ან, იმ ავადმოსაგონებელი სახბორის სუნი, დღემდე რომ თან სდევს სოშნინს, იმ დღიდან რაც იქ, ტუგოჟილინოში ეგდო, ფუნანარევ წუმპეში, ვირთხაც სულ თან სდევს მას შემდეგ. როგორც კი რამეზე იღელვებს ან გადაიღლება, მაშინვე ის ვირთხა ამოუტივტივდება ტვინში, ძილში თუ ღვიძილში მოსვენებას არ აძლევს. მობობღავს ვირთხა ოღროჩოღროდ დაბებკილ ასფალტზე. ჩხავილით ზედ აცხრებიან ყვავები, თავში კორტნიან და ჯიჯგნიან.

ლეონიდმა უწადინოდ გახლიჩა ქათამი. უმადოდ წიწკნიდა ლორწოიან, თითქოსდა საპონიაო, მოხარშული ქათმის ფრთას. მერე ჩაი მოხვრიპა და რაც შეიძლებოდა, მოხერხებულად მოკალათდა მაგიდასთან. მაგრამ მორყეული იყო ის ოხერი მაგიდა და საშინლად ჭრიალებდა. რატომღაც ღამით უფრო ჭრიალებდა, ვიდრე დღისით. ავდარში მტკივანი ფეხი კიდევ უფრო ტკიოდა, მხარი ეწვოდა, სახსრები სტეხდა, ნაჭრილობევი უღიზიანდებოდა. დღეს მაინც სულ მოიშალა. ნაჭრილობევმაც თავი შეახსენა. მერედა სულ იმ ნაძირალებთან ომის წყალობით! ნეტა რა თავს იტეხდა, უიმისოდაც ერთმანეთს ჩააძაღლებდნენ ისინი!

განყოფილებიდან არავის დაურეკავს, ეტყობა, არსად გადაუხვევიათ გაცვეთილ-გამოქექილებს, არსად გადაბმიან ერთმანეთს. გადახუხეს, ალბათ, „მიქსტურა“ და სძინავთ მშვიდად, თავისთვის, არაფრის დარდი არ აწუხებთ.

სავარძელზე წამოწოლილმა ხელი გაიწვდინა ტელეფონისკენ. ხელისცეცებით აკრიფა ნომერი. პასუხად კითხვა მოესმა: „თქვენ ვინ გინდათ?“ უთხრა, ვინც უნდოდა. აშკარად გაიგონა კედელზე ბრახუნი.

— სალამი მედიცინას! დღეს საათივით მუშაობს თქვენი ავტომატი.

— ეტყობა, ჯერ ვერ მოასწრეს გათიშვა, სხვა როგორ ხარ?

— გადასარევად.

— მოხდა რამე?

— რატომ გგონია?

— აბა, ისე ხო არ დარეკავდი. დაგჭირდი, ალბათ, ისევ. ისევ ჩემი მოსავლელი გახდი, მტრისგან დასაცავი.

— მტერი ყველა ძლეულია.

— ო, აქ უკვე სახუმარო საქმე არ არის. სად? ვინ? როდის? რამდენი?

— შინ. კიბის ქვეშ. სამნი.

— მერე? აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება?

— აღარ საჭიროებენ.

— კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ერთხელ იქნება, დანას ჩაგცემენ ზურგში.

„კოკას“ ხსენებაზე უნდოდა, პასუხად „პრიმადონა“ დაეძახნა, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა, და, „ყოჩაღო“, შეიქო თავი...

— რას მიირთმევ?

— მოხარშულ ქათამს. ჰო, მართლა, მამას წერილი მივიღე.

— მეც. კიდევ, შაშხი. ღორის ხორცი შეუბოლავთ საახალწლოდ.

სოშნინმა იგრძნო: ქალს უნდოდა ეთქვა, „ჩვენთვის, საახალწლოდო“, მაგრამ შეიკავა თავი, უნდოდა, სწორედ მისგან წამოსულიყო ეგ სიტყვა. მან კი პოზა დაიჭირა. ახლოს მოუშვა მისკენ მომავალი. აბა, როგორ! თვითნასწავლი მასხარაა, თვითნაბადი. სიტყვისთვის ჯიბეში არ ჩაძვრება, ამაყია, თანამედროვე.

— შენ იცი, — უთხრა და დასძინა, — სხვათა შორის, მამა მირჩევს, მიტყუპეო.

— ჰო, ეგ აზრი ამოიკითხა თავის საყვარელ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“, „სასარგებლო რჩევების“ სერიაში. მხოლოდ ახლა არა, ცოტა ხნის მერე. ჯერ სარეცხს მოვრჩები, ცოტას მივლაგდები,

მოვემზადები. კიდევ, ალბათ ერთი გარემოება შეგვიშლის ხელს: ალარაფერი დარჩა დასალეწი. — ლერკამ ცრემლი გადაყლაპა.

ორივენი დადუმდნენ.

— ჰო, მართლა თუ რამ სასწრაფო, გადაუდებელი საქმე არა გაქვს... მე სარეცხი მაქვს, სვეტა კი არ შორდება მანქანას...

— კარგი.

— იცი, რა, მოდი, კვირაობით სვეტკა სულაც შენთან იყოლიე. არ მოგაწყენს. პირველკლასელი გოგონაა, თანამედროვე, გონიერი. ამას წინათ, ყური მოკრა, ბამზე დიდ ხელფასს იძლევიანო და გადაწყვეტილი აქვს, როგორც კი სკოლას დაამთავრებს, ბამზე წავიდეს სამუშაოდ. არტისტობაზე ოცნებობს. რომელი კლასიდან არის ნებადართული ძეწკვისა და საყურეების ტარებაო? რამდენჯერ შეიძლება შეყვარებაო? საიდან ჩნდებიან ბავშვებიო და კიდევ ბევრი ასეთი თავშესაქცევი და გასართობი უფასოდ იფრქვევა ჩვენს ბინაში. ვფიქრობ, შენი ჰონორარი ვერც აუთავდება მაგის მოთხოვნებს. ოი, გავრბივარ, გავრბივარ, გადმოვიდა სარეცხი.

— მოიცა, სად გარბიხარ სვეტკას მე რომ მიტოვებ, შენ სადღა იქნები?

— სად და პაემანზე. მეზობელი მებულდოზერე მპატიჟებს. გული მისი ალერსს ითხოვს, მეგობარს დაეძებს. სხვათა შორის, თვეში ოთხასიანია.

— მებულდოზერე მაზუთშია ამოგანგლული, შენ კი ქათქათა ხალათი უნდა გეცვას.

— მაგას მოევლება, გავაქათქათებ... ახლა ისეთი ქიმია წამოვიდა, რომ... ოი, ოი, ოი, ეკლებზე ვზივარ. სვეტკა ლამის არის ჩაძვრეს სარეცხ მანქანაში. ძაან მოუსვენარი ბავშვია, ცნობისმოყვარე.

— კარგი, კარგი, წადი, ნახვამდის.

— ნახვამდის. დამირეკე, როცა გუნებაზე იყო. გუნებაზე რომ არ იქნები, მაშინაც დამირეკე.

— კარგი.

— წაველ.

— ჰო, თუ...

— რა თუ?

— ის...

— ჰო, კარგი, მესმის, გავიგე, ღამე მშვიდობის.

— შენ კი პირიქით!

— კარგი, მესმის, ვიმუშავებ, ვეცდები.

— წარმატებას გისურვებ.

— გმადლობთ. მოიცა...

— რა იყო?

— რამდენი ხანია, არ გინახავს დეიდა გრანია?

— ააა, კავიგე! ამას წინათ ვნახე. ბავშვთა სახლში მუშაობს, ბავშვების რამერუმეებს აგროვებს.

— იქ საიდან მოხვდა?

— უბრალოდ. საავადმყოფოში იწვა საყოველთაოდ ცნობილი ალევტინა ივანოვნა გორიაჩევა — ბავშვთა სახლის დირექტორი. ჰოდა, ხელიდან ხომ არ გაუშვებდა ასეთ კადრს?

— ასე იყო და ასე არის: ვიღაც კარგავს, ვიღაც პოულობს. კარგი, ახლა, სვეტა მყავს დასაბანი, მერე უნდა დავაძინო. ისე, რომ იცოდე, შენს შეცდომებს შორის დეიდა გრანია ყველაზე დიდი შეცდომაა, გამოუსწორებელი. ამ შეცდომას არასოდეს არ გაპატიებ.

— რას იზამ, ხდება, ცხოვრება იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და გვგონია.

— თანდათან ინტელიგენტდები. თანამედროვე ინტელიგენტის პირველი დებულება: ჩვენი ნაგავი გარეთ არ უნდა გამოვიტანოთო. კარგი, ახლა, წავედი... — ამ სიტყვებზე ლერკამ დადო ყურმილი.

სოშნინს კი დიდხანს ეჭირა ხელში ყურმილი და დიდხანს ესმოდა ტელეფონის ზუმერის ხმა იმ სხვა, ხალხმრავალი, საქმით და სიხარულით სავსე სამყაროდან.

მერვე თავი

სოშნინს იმ, სხვა სამყაროსკენ გაუწია ჯულმა. გამოკერა კარი. კიბეს გადაეყუდა, კიბისქვეშ ისევ იმ ახალშემოხეტებულ უცხო „სტუმარს“ ეძინა. იქვე ეგდო დაცლილი შავი ბოთლი.

„ო, ღმერთო, რა მოსაბეზრებელია!“

ქუჩა მოყინული იყო. სახლების სახურავებიდან, შიფერის ღარებშია, მწყობრად ჩამომწკრივებულიყო ლოლუები და ყოველი მათგანის, თითოეული ამ ლოლუის ბოლოს ვარსკვლავივით ანათებდა გაყინული წვეთი. ღრუბლებშიც, ალაგ-ალაგ, ციმციმებდა ცერა ვარსკვლავები. უფრო ნათლად კიაფობდა რკინიგზის სადგურის ელნათურები, უფრო ახლოს ჩანდა ქალაქის მრავალსართულიანი შენობები. მდინარე ვეიკში ლივლივი გაჰქონდა კვერცხისგულისფრად შეორთქლილ ფანრებს. უფრო შთამბეჭდავი იყო სადგურის უკან აზიდული, იდუმალებით მოცული მთების მონახაზი.

სადგურიდან მოესმა მორიგის ხმა. მგზავრებს აფრთხილებდნენ — ლენინგრადის მიმართულებით სადგურ უნდა დაძრულიყო მატარებელი.

და სოშნინს, უცებ, სასტიკად მოუნდა გამგზავრებულიყო თვითონაც. წასულიყო აქედან შორს, ძალიან შორს, თუნდაც ქვეყნის დასალიერში. დაუყოვნებლივ გასცლოდა აქაურობას და უპირველესად, საკუთარ თავს... და კიდევ ერთხელ შეეხარბა იმათი ბედი, ვინც მიილტვოდა სადღაც, რატომღაც... რაღაც ეწოდათ იმ შორეული გზისკენ, და იქნებ, სადღაც, ვიღაც ელოდათ.

თორმეტის ნახევარზე, სადგურ ვეისკიდან მოსკოვის მიმართულებით გადიოდა გამოპრანჭული საფირმო მატარებელი „ჩრდილოეთის განთიადი". ბაქანის ალაყაფისკენ უკანა მხრით ჩამწკრივებულიყვნენ სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომობილები და მათ შორის შავი „ვოლგა", რომლის ნომერი დიდი ხანია ნაცნობი იყო სოშნინისათვის — ამ მანქანით დაატარებდნენ ქალაქის ამჟამად ცნობილ პიროვნებას — ვალოდია გორიაჩევს.

ვალოდია გორიაჩევის ბიძა რკინიგზის ვეისკის განყოფილების უფროსი გახლდათ, მკაცრი, მომთხოვნი კაცი, გამოჩენილი ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკი და საზოგადო მოღვაწე, როგორც ტრანსპორტის, ისე ქალაქისა და ხალხისათვის მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები და თაოსანი. მისი მეუღლე, ალევტინა ივანოვნა, რომ იტყვიან, ადამიანის სული და გული იყო, მაგრამ რატომღაც შვილი არ მიეცა მისთვის ბედს. და როდესაც მშობლიურ სოფელ გორიაჩევოში მრავალშვილიანი და გარდაეცვალა, ცოლ-ქმარმა დაობლებული ვალოდია წამოიყვანეს, იშვილეს. შეუყვარდათ ბიჭი, ნებივრობაში ზრდიდნენ. მაგრამ ყმაწვილი უკმეხი ხასიათისა გამოვიდა, თავგუნება და თავისნათქვამა, დამოუკიდებლობისკენ ადრიდანვე მიდრეკილი, გაუგონარი. ჰოდა ასეთ „კადრს" შინ რას გააჩერებდი. უნდა დაშვებულიყო და დაეშვა კიდეც „მთიდან". „მთა" სარკინიგზო მიწაყრილს ერქვა, რომელზეც წამომართული იყო რკინიგზის სამმართველოსა და სარკინიგზო განყოფილების თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლები. ეს სახლები იდგა თავისთვის, განყენებულად. საერთო არა ჰქონდათ რა დეიდა გრანიას ჩიხთან და იმის მუშაკაცებთან.

ჰოდა ენერგიულად, თავდაუზოგავად შრომობდა და თან ტანსაცმელს ითხუპნიდა ვალოდია გორიაჩევი. ჩამოაკითხავდა „ზემოდან" ალევტინა ივანოვნა. ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა ბალღზე, შრომითი კოლექტივისათვის მოეწყვიტა ის, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ან კი რას გახდებოდა ერთი — მთელი საზოგადოების წინააღმდეგ.

ერთხელ ვალოდია ავად გახდა. მაღალი სიცხე მისცა. საჭმელს

პირს აღარ აკარებდა, ალევტინა ივანოვნას უყვიროდა: დეიდა გრანიას გამოცხობილი ნამცხვარი და მწარე ვაშლები მომიტანე, მარტო იმას შევჭამო. რაღას იზამდა, წავიდა ალევტინა ივანოვნა, კარს მიადგა დეიდა გრანიას. „ბალღი რაღაც მწარე ვაშლებისა და გამოცხობილების ჭამას დაგიჩვევია საერთოდ, ვინღა არ გაიცნო და ვიღას არ დაუძმობილდა შენთან. ახლა, როგორც გენებოს, ისე გამოასწორე შენი დანაშაულიო“, — შეუტია, თავის მხრივ დეიდა გრანიას.

ჩავარდა საგონებელში დეიდა გრანია. უცბად ვერ მოაგონდა — რა ვაშლი, რა გამოცხობილიო! ვინ მომაქვავა მე ვაშლის ფულიო. მერე, უცებ, სახე გაუნათდა. გააახსენდა... გამოხვია პატარა ღუმელში გამოცხობილი კარტოფილები, ერთი მუჭა წვრილი ხახვი, ზედაც, ერთი მწიკვი რუხი მარილი და მიართვა ძღვნად თავის პაწია მუშაკაცს. გაიხარა ბიჭმა. თქლაფათქლუფით შესანსლა პატარა ნებიერამ მთელი ეს ულუფა. თითები სულ განგებ შეახოცა ქათქათა სუფრას. ჰოდა გამოკეთდა იმ წუთიდან. ისევ დაეშვა „მთიდან“ დეიდა გრანიას სარკინიგზო კვანძზე სათამაშოდ.

ვალოდია გორიაჩევმა სკოლა, რა თქმა უნდა, ოქროს მედალზე დაამთავრა, ასევე წარჩინებით დაასრულა ტექნიკური ინსტიტუტიც, აკადემიის რომელიღაც განყოფილებაშიც დაჰყო რადენსამე ხანს და დაიძრა ისევ მთისკენ, მაგრამ ამჯერად არა სარკინიგზო მიწაყრილის, არამედ სამშენებლო მთისკენ. სულ მალე დაეუფლა მაღალ თანამდებობას, თავი ღირსეულად ეჭირა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს პირობებში. თავკაცობდა ქალაქ ვეისკის ყველაზე მნიშვნელოვან სამშენებლო ორგანიზაციას — „ვეისკქალაქმშენის“ მრავალათასიან კოლექტივს, და თვით დაწესებულების ხელმძღვანელმა როდი უწყოდა, რამდენ უსაქმურს ინახავდა ეს მრავალათასიანი კოლექტივი.

სოშნინი ხშირად ხვდებოდა გორიაჩევს საოლქო აღმასკომში, სადაც მორიგეობდა მას შემდეგ, რაც დასახიჩრებული ფეხით საავადმყოფოდან გამოეწერა.

— ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას გისურვებ, მოქალაქე უფროსო! — ესალმებოდა ხოლმე ვალოდია გორიაჩევი სატრანსპორტო რკინიგზაზე მუშაობის ძველ თანამოსაგრეს და, თითქოს, თავის თავის ძალას სინჯავსო, მაგრად მოუჭერდა ხოლმე ხელს.

— გაუმარჯოს მომავალ „ქიმიკოსს“, — მხიარულადვე შესძახებდა სოშნინი და თავის მხრივ, ისიც ისე მაგრად მოუჭერდა ხელს, რომ ვალოდია გორიაჩევი იქვე ჩაიკეცებოდა სკამზე.

— რა „ქიმიკოსობას“ დამჩხავი! — გამწარებული იქნევდა ხელის მტევანს და ბურტყუნებდა ვალოდია გორიაჩევი. — შენ, ძმაო, ხელებში ასეთი ძალის მქონეს, მართლა ინვალიდი ხომ არ გგონია შენი თავი?

— უმაგისოდ არ ვვარგივართ, — გაეცინა სოშნინს. — ხელში ღონე თუ არ გაგაჩნია, აბა, ისე რას დაიმორჩილებ შენ ძმა დამნაშავეს. აი, შენ კი, ვგონებ, მოხვდები მართლმსაჯულების კლანჭებში, მაგ „ქიმიის“ გზით თუ ივლით, იპარავთ და იმიტომ.

— კი არ ვიპარავთ, პირიქით, ეკონომიას ვიძლევით, სახელმწიფოს მოგებას ვაძლევთ.

— კი, გავიგონე რადიოთი, — სოშნინმა ფრჩხილით რადიომიმღებზე დააკაკუნა, — „ვეისკმშენმა“ ათასი ტონა აგურის, ბეტონის, რკინისა და სხვა სამშენებლო მასალის ეკონომია გასწიაო. რაო, ეს მასალა ქუჩაში ყრია და ძალით ზედმეტს გაძლევენ, თუ რა? საიდან ეს ეკონომია?

— კი, აბა! მოგვდევენ და ძალით გვტენიან, მეტი საქმე არ აქვთ, ხო იცი! ბევრიდან რომ ცოტას აიღებ, ეს როდია ქურდობა. ეს საქმეა, ძმაო, საქმოსნობა! ეჰ, გახსოვს, ჩვენი ოქრობავშვობა? „ცხოვრების საგზური“ გახსოვს?

— მე კი მახსოვს, ოღონდ შენ არ დაგავიწყდეს.

— ჩვენ რა? სხვებთან შედარებით საბავშვო ბაღელებად ვითვლებით. შენ ციმბირი უნდა იკითხო. ბიჭები კისრულობენ მილიარდის ეკონომიას. აი — მასშტაბი!

— როგორ? მილიარდი უნდა გადაღუნონ?

— შენ რა, შეგითვისებია შენი კლიენტების ლექსიკონი. რა შუაშია „გადაღუნვა“. ციმბირელები თუ ტაიგაში მდინარეების ჩამონაზიდ ხეებს დააგროვებენ, მერე იმ ხის მასალას გამოიყენებენ — მიტოვებულ მშენებლობებს მოახმარენ, სოფლის მეურნეობის საქმეებს წარუძღვებიან და მოაწესრიგებენ, ამით ხალხმა ერთი მილიარდის მოგება კი არა, შესაძლოა, ხუთი, ათი მილიარდის მოგებაც ნახოს. ისინი კი, თავის მხრივ, ხალხს მოუბოდიშებენ: ლოთობას გადაყოლილმა ჩვენმა წინამორბედებმა ყველაფერი გაანიავეს, ჩვენ კი თქვენივე სიკეთისათვის ყველაფერი ეს დავაგროვეთ და თქვენ გიძღვენითო.

— ჩავარდნილხართ, აბა, ქერის ორმოში.

— ესეც ქერის ორმო, ესეც მუღამი. შენ ფიქრობ, „ქიმიას“ ვერ გადავურჩები?

— არ არის გამორიცხული.

— ახალი ერა იწყება. რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად ვერ მოიცლია. სულ ერა და ერა!

დედაქალაქიდან ჩამობრძანებული მორიგი „ბრწყინვალების“ გასაცილებლად მოსულიყვნენ და ისიც, „ბრწყინვალება“, ხალხის მეგობ-

რული ალერსით ნაფერები და ნასიამოვნები, შემთვრალივით დაბანცალობდა, ვერაფრით ვერ შეტეულიყო ალაყაფის ღია კარში, წარამარა გამოგოგმანდებოდა უკან, სადაც, აქედან თუ იქიდან, ეპოტინებოდა მისაშველებლად გაწვდილი მზრუნველი ხელი. არც ისე საგრძნობლად წამოზრდილი ღიპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამმართველოს თუ სამინისტროს ეს წარმომადგენელი არა უმაღლეს მეორე სართულის მოხელე იქნებოდა, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი გახლდათ ის მოვლენა, რომ მან, შეიძლება ითქვას, შესძრა ვეისკის „საზოგადოებრიობა“, დარაზმა, გარეთ გამოჰფინა და აქ, სადგურის მოედანზე გამოყარა ისინი. ვიღას არ ნახავდით აქ. ვეისკის ქალაქმშენის მთავარი ინჟინერი ვედერნიკოვიც აქ მობრძანებულიყო, პროფკავშირის გაქნილი მოლაქლაქე ხაიუსოვიც. აბა, როგორ? უმისოდ როგორ უნდა შემდგარიყო რაიმე თავყრილობა! ორიც — მოღვაწე მანდილოსანი — ტექნიკური უშიშროების განყოფილების წარმომადგენლები. დობჩინსკი და ბობჩინსკი, საკონსტრუქტორო ბიუროდან, პოლიტექის ყოფ. სტუდენტები, და სხვები, სასმისით ოდნავ შეჭიკჭიკებულნი, და შედარებით, თავშეკავებულნი.

შუბლშეკმუხვნით, ლოყებალანძული, გატანჯული სახით ოდნავ განზე იდგა ვალოდია გორიაჩევი. დროდადრო ისიც ხელს უქნევდა „ბრწყინვალებას“, ნაცოდვილარ ღიმილს ჩუქნიდა. და როდესაც უხმეს, სტუმართან ერთად, ერთი ჭიქიდან, მანაც გადაყლურწა კონიაკი. ქალმოღვაწენი აღფრთოვანებით გაიძახოდნენ: „გაამოს, ასე მტერი დაგეცალოსო“. რაც შეეხება დობჩინსკის და ბობჩინსკის, მათი უკვდავი დახასიათება დაგვიტოვა ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლმა. ასე, რომ მე ახალს ვერაფერს დავუმატებ და გენიალურ კლასიკოსს დავესესხები: „პეტრე ივანეს ძე დობჩინსკი და პეტრე ივანეს ძე ბობჩინსკი — ქალაქის მემამულენი ბრძანდებოდნენ. ორივენი იყვნენ დაბლები, ტანმოკლენი და ერთობ ცნობისმოყვარენი. ზედმიწევნით ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივეს ოდნავ წამოზრდილი ფაშვი ჰქონდა, ორივე ბევრსა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა და ლაპარაკისას პარჭყავდნენ ხელებს. დობჩინსკი ბობჩინსკიზე ოდნავ მაღალი და ოდნავ უფრო სერიოზული გახლდათ. ხოლო ბობჩინსკი უფრო უტიფარი, ვიდრე დობჩინსკი“.

ოღონდ ვეისკელ დობჩინსკისა და ბობჩინსკის, გოგოლის გმირებისაგან განსხვავებული სახელები ჰქონდათ — ერთს ერქვა ედიკა, მეორეს — ვადიკა. ამასთან, თხელი მაუდის სერთუკი კი არ ემოსათ, ეს ტექნიკური ჩინოვნიკები საზღვარგარეთული ქარგის თანამედროვე პარადულ კოსტუმებში გახლდათ გამოწყობილი. პიჯაკის საყელოს გადანაკეცზე — გადაბდღვნილი მჟრალი რძისფერი დუბლიონკის

ქვეშ — ამოყურყუმელებულიყო ცისფრად დაპენტილი ქერქეპელი, ნიშნად იმისა, რომ ფრიად განსწავლულ პიროვნებებთან გვქონდა საქმე. აჯაგრული თმის ნაცვლად დობჩინსკისა და ბობჩინსკის მხრებზე ეყარათ დაკულულებული ფაფარი, რომელსაც ღამით, ქალის „ბიგუდებით“ იხვევდნენ; მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები იყვნენ, ხახა ხელოვნური კბილებით ჰქონდათ ამოტენილი, თითები — ბეჭდუნიებით მოხატული, მანჟეტის საკინძეები — რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ოქროსი, ხოლო სამოსთან შეხამებული ჰალსტუხი — მაინცდამაინც არაბეთის ან სპარსეთის ქვეყნიდან ჩამოტანილი. დობჩინსკი და ბობჩინსკი მოხერხებული მზადყოფნით ამოდგომოდნენ „ბრწყინვალების“ ჩამრგვალებულ ღიპს, რომელიც აქეთ-იქით თანთალებდა, თითქოს, შარვლიდან გადმოვარდნას ლამობდა და თქვენ წარმოიდგინეთ, დობჩინსკისა და ბობჩინსკის გულის გასახარად, კიდეც ამოვარდებოდა ხოლმე. ქალმოღვაწენი ბაქანზე ჟრიამულითა და ყიჟინით ფეხდაფეხ დასდევდნენ და გულაჩუყებით მიშტერებოდნენ ძვირფასი სტუმრის ფრიად პატივცემული და პატივსაცემი მუცლის მოტიტვლებულ ნაწილს.

ამასობაში კი, ვაგონში შეჰქონდათ და შეჰქონდათ ნაირ-ნაირი ჭურჭელი, მარინადში ჩაწყობილი თეთრი სოკოს ქილები, გაყინული შტოშით დატენილი ტირიფის წნელის კალათები, არყის ხის ქერქისაგან შემოწნული ბოთლებით ადგილობრივი მონასტრის წარმოების ტკბილი წვენი; „ბრწყინვალებას“ კისერზე ჩამოეკონწიალებია ცაცხვის ხისგან დამზადებული სამი წყვილი სათამაშო ლაფნის ბანდური; ნაირფერად მოხატულ ხურჯინებში ჩხარაჩხური გაჰქონდათ ბოთლებს; პერგამენტის ქაღალდში სასოებით გახვეული, საეკლესიო უჯრედებიანი ბაფთით შეკონილი, სამუდამოდ მიემგზავრებოდა ვეისკიდან კიდევ ერთი ღირშესანიშნაობა: თავის დროზე სასწაულებრივად დაღუპვას გადარჩენილი ძველთუძველესი ხის ხატი.

და ამ საერთო ფერხულში ბუხუნებდა და თავისი ელვარებით ყველას თვალს უფსებდა წელამდე მოღეღილი, ქამარმიშვებული, გამომწვევად მოჩვენებითი და მთვრალი, ადგილობრივი „კალმისმებრძოლი“ — კოსტია შაიმარდანოვი, რომელსაც სოშნინი ამას წინათ, საავადმყოფოში, სადაც იგი მისი გმირობის აღსაწერად მისულიყო, ურჩევდა შემოევლო ხაილოვსკის რაიონის სოფლები და პრესაში თავისი პრინციპული და სერიოზული სიტყვა ეთქვა გავერანებული სოფლების საკეთილდღეოდ, მაგრამ ეტყობა, ამაოდ გაისარჯა: აბა, რა თავში იხლის ეს ქლესა სოფელს, რატომ, აბა, რისთვის?

მატარებელი „ჩრდილოეთის განთიადი“ მოწიწებით, მსუბუქად დაიძრა, პატივისცემით მიაგოგმანებდა სტუმარს და განაშორებდა

აქაურ სანახებს. საზეიმო ფორმაში გამოწყობილმა, ღირსების გრძნობით სავსე მედიდურმა ვაგონის გამცილებელმა აკეცა რკინის წინაფრა. ამასობაში კი „ბრწყინვალება“ ფანჯარას მოდგომოდა, სიასამურის ქუდს იქნევდა და ხალხს ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. გულაჩუყებული ქალმოღვაწენი ქვითინით მისძახოდნენ: „მობრძანდით, გელით, ნუ დაგვივიწყებთ! ხშირად გვესტუმრეთ, ხშირად, თქვენ შემოგევლეთ!..“ დობჩინსკი და ბობჩინსკი კვალარევით, ფეხდაფეხ მისდევდნენ მატარებელს, ცდილობდნენ „ბრწყინვალებას“ ხელებით მისწვდომოდნენ და მატარებელს რომ მართლაც ის სისწრაფე ჰქონოდა, რაც გოგოლის დროს იყო, ისინი, უთუოდ, ქოშინ-ქოშინით გაჰყვებოდნენ მას ბოლომდე, ისე, რომ ვერც კი შეამჩნევდნენ ამას მაგრამ დღეს მეოცე საუკუნეა. მატარებლის ბუფერები ღრჭიალით მიეხალნენ ერთმანეთს, გრიალი მოიღეს, აგუგუნდნენ ძრავები, აკივლდნენ, მიაწივლეს და ელმავალიც ადგილს მოსწყდა, გაქანდა და ობლად დატოვა დობჩინსკისა და ბობჩინსკის პაწია ფიგურები დანაგვიანებულ, უღიმღამო რკინიგზის ლიანდაგზე, თითქმის სადგურის იქით, ვაგონების ტექდათვალიერების პუნქტის მახლობლად.

სოშნინს უნდოდა გვერდი აევლო ვალოდია გორიაჩევისთვის, მაგრამ როგორც ჩანს, მან კარგა ხანია შენიშნა იგი, თავი დაუქნია და გვერდით მიჰყვა, შორს, ცის ტატნობისკენ თვალაპყრობილი. სახეზე კვლავ წითელი ლაქები აჩნდა და როგორც თვითონ ეჩვენებოდა, თავისთვის, ჩუმად იგინებოდა.

— ჩაწერე, ჩაწერე კომედიაში! — კბილებიდან გამოსცრა გორიაჩევმა. — არ დაგავიწყდეს, ფინალში მოიხსენიო, რომ მთავარი სამმართველო ამიერიდან ყველა ჩვენს მოთხოვნას პირველ რიგში დააკმაყოფილებს. ეს ბრწყინვალე „შტიმპი“ ყველა საჭირო პიროვნებას აუწყებს, რომ ვეისკში ბევრად უკეთესი დახვედრა იციან, ვიდრე, ვთქვათ, ჩებოქსარში. მას საკუთარი დუქანი არ გააჩნია. „მესაზღვრე დგას მწყემსზე“, — მღერის ხოლმე ჩემი იურკა... მაშასადამე, ბურჟუას ვერაფერს ასწავლი, შენს საკუთარ ხალხში, შენს მშობელ ქვეყანაში უნდა იქურდო, „იქიმიკოსო“, და ამიერიდან იგი ჩვენ გადმოგვიბოძებს ჩებოქსარისთვის განკუთვნილ მანქანებს, სკრეპერებს, სატვირთო ვაგონებს, დროულად მოგვაწვდის ჩვენი ტექნიკისათვის სათადარიგო ნაწილებს. ჩვენ კი შევასრულებთ საბინაო მშენებლობის გეგმას, ვადამდე ადრე ჩავაბარებთ მეფრინველეობის ფაბრიკას, წარმოებაში გავუშვებთ მეღორეობის კომპლექსს, დაბოლოს, მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობასაც მოვამთავრებთ. ყველასთვის სასარგებლო იქნება, ყველასთვის: მუშებისთვის, გლეხებისთვის, ინტელიგენციისთვის. სამაგიეროდ კი ჩებოქსარში საყვედურებს აფრენენ

გეგმის შეუსრულებლობისათვის. მავანსა და მავანს თანამდებობიდან გადმოაყირავებენ და ფუჰ, დასწყევლის ეშმაკი! — ფეხებთან დაიფურთხა ვალოდია გორიაჩევმა.—როდის მოეღება ბოლო ამას, ან მოეღება კი? — ყმაწვილობიდანვე, მიუსედავად ალექტინა ივანოვნას ჭიფხვა-ჩიჩინისა, ვალოდია გორიაჩევმა ბოლომდე ვერა და ვერ შეითვისა სოლიდურობა და წესიერ საზოგადოებაში ღირსებით თავდაჭერის ჩვევები. ალექტინა ივანოვნა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ვალოდიკოსთან ატარებდა, მის ყოველ უკუღმართ და უწმაწურ გამონათქვამზე გულზე იტაცებდა ხოლმე ხელს და ყველას არწმუნებდა, რომ ის, ბიძამისივით, ხელმძღვანელმა სამუშაომ გააფუჭა, აკადემიის შემდეგ ხომ საერთოდ ვერაფერს გააგებინებ, თუმცა რას არ ვაკეთებ იმისათვის, რომ დავიცვა ჩემი ბადიში იურიკოს უმანკო და სპეტაკი სული მამის უხამსი გავლენისგანო.

ვალოდია გორიაჩევმა „ვოლგის“ კარი გამოაღო და სოშნინი, თავის დაქნევით, მიიპატიჟა.

— დაჯექი, მოქალაქე უფროსო, შინ მიგიყვან. და მერე გაიხსენე ეს, ციხეში, ჩემთვის გადმოსაცემ მოსაკითხს რომ მოიტანენ, უბრძანე, ურიგოდ გადმომცენ.

— გმადლობთ, ვალოდია, მე ფეხით გავუყვები.

— შენ ხომ ფეხი გტკივა?

— ფეხი რაა, როცა ვუყურებ, ფოტოაპარატწამოკიდებული კოსტია შაიმარდანოვი მანქანიდან მანქანისკენ როგორ გარბი-გამორბის და უხმობს: „აბა, წავედით, ბიჭებო, წავედით! სასუსნავი ისევ ისეა, ხელუხლებლად, მაგიდებზე დახვავებული! ბოლოს და ბოლოს, გაუსაღებელი ხომ არ უნდა დარჩეს ეს ამოტელა ხორაგი!“ ჰმ, რისი ფეხი...

— უჰ, ის გაიძვერა! — შაიმარდანოვის ხსენებაზე შუბლი მოეჭმუხნა ვალოდია გორიაჩევს და მანქანის ღია კარს ჩამოყრდნობილმა, ცოტა არ იყოს, ტრაბახით თქვა, — ჩვენ რესტორანში აღარ ვღებულობთ, ახლა მონასტრის სატრაპეზოში ვმასპინძლობთ სტუმრებს! სვიის ბურახი გინდა, ჩემო ბატონო, ხმიადი, კასრის კომბოსტოს მწნილი, სოკო თუ, ტბის ცქიმურას ნახარში... ხომ ხედავ, რა დონეზე ვიღწვით პროგრესისა და გეგმის შესრულებისათვის! — მიიჯახუნა კარი დაქანცულმა უფროსმა და გაქროლდა მანქანით, რათა ისევ ეგინებინა, ეშენებინა, ჩავარდნისაგან როგორმე თავი დაეძვრინა, დროზე და ვადაზე ადრე ჩაებარებინა ობიექტი. ერთი სიტყვით, ემუშავა, ემუშავა და ამ მუშაობაში მოეაზრებინა, როგორ მოქცეულიყო შემდეგ.

საზონტიევის აბანოს მახლობლად, რომელიც უკვე კარგა ხანია გაეუქმებინათ, სოშნინი ლავრია-კაზაკის ქურანა ცხენს შეეჩეხა. ლავრია-კაზაკი ვერა და ვერ ელეოდა თავის მეგობრებს — ძია პაშას, ბეხრეკ არისტარხ კაპუსტინს და ლეონიდის თვალწინ დაბერებულ კიდევ რამდენიმე ყოფილ მეომარს. ლეონიდმა აღვირს ხელი ჩაავლო, ფორანი მოატრიალა, შეზარხოშებულ ბერიკაცებს ანიშნა, დაჯექითო და იქვე, ახლომახლო თავ-თავიანთ ცოლშვილში სათითაოდ ჩამოარიგა ისინი, სულ ბოლოს კი ლავრია-კაზაკი გაუყენა შინისკენ გზას.

— როგორ იყო, იმ ლაწირაკმა რო კინალამ საიქიოს გაგგზავნა? მინდოდა, საავადმყოფოში, შენთან მოვსულიყავი და მენახე, მაგრამ ე ცხენი ვერ მივატოვე, ხო იცი, ცოლი ვერ იტანს, ნაბიჯის გადადგმის უფლებას არ მაძლევს, განსაკუთრებით, საღამოობით არსად არ მიშვებს. ეეე, ფრონტიდან რომ დავბრუნდი, მას შემდეგ სულ ასეთ კაზაკურ ცხოვრებას ვეწევი ამ ვეისკში, ვკაზაკობ და ვკაზაკობ! ხოდა, ნდობა დავკარგე! ჰა, რას იტყოდი, ლიოშა, ხომ არ გადაგვეკრა ერთი-ორი სირჩა! იცი, რა სახუხავი მაქვს? აი! — აღმართა ცერი ლავრია-კაზაკმა და უბიდან შავზე, შავი, ყურყუმა ბოთლი დააძვრინა, რომლის იარლიყზე ეწერა: „ბორბლის კუპრი“.

— არ მესმება, ძია ლავრია, არც ერთი გრამუნია.

— ოჰ, ის ძაღლი, რავა წაუხთენია კაცი! ლიოშ, რა იქნება ჩემს ქურანას მოახტე? მე, შვილოსან, ძალიან დავმძიმდი...

— სიამოვნებით, ძია ლავრია! მაგრამ დამაცა, ჯერ შინ მიგიყვანო, კარგი?

— კარგი, ლიოშა, კარგი, არა უშავს, ქორწინებამდე მოგიშუშდება იარა! ხო იცი, მე როგორ ვარ ტყვიებისგან დაცხრილული, მაგრამ არაფერი! არაფრისგან არა-რა-ფე-რი! კიდეცა ვსვამ, ჩემ დედაკაცსაც ზოგჯერ მივუჩოჩდები ხოლმე. ხე-ხე-ხე, ბოდიში, თუ კაცი ხარ, აპატიე მოხუცს. ლიოშ! ისე ღვინის ბრალია, ხო იცი, ყველაფერი, ღვინო ტრაბახობს, ღვინო ლაზღანდარობს, ღვინო იკვეხნის. ეხლა ჩემი დედაკაცი ისეთ ომს გამიმართავს, რომ ფრონტი მოგონილი იქნება!..

როცა ლავრია-კაზაკი თავისი ბინის კარებამდე მიიყვანა, სოშნინი სწრაფად დაეშვა ქვემოთ და ცხენი გააჭენა, რადგან ნაფრონტალი კაზაკის მეორე ნახევარი, თითქოს, საბრძოლო საყვირის ხმაზეო, თვალის დახამხამებაში ესხმოდა თავს ყველას, ვინც მის ქმარს მიაცილებდა. მარტო ლანძღვა-გინებას თუ გაკმარებდა, კიდევ რა უშავდა, მაგრამ მომცილებელი ხშირად ცოცხის გემოსაც იწვნევდა ხოლმე.

ქვემოთა ბინის სპეცტანსაცმლით სქლად გადაკრული კარი გამოღებული დახვდა და როგორც კი ორფუთიანი საწოლი, ჯერ კიდევ ადამამდე საწყობიდან რომ წამოეღოთ მაშინ ჯერ კიდევ ახალაშენებულ ნომერ მეშვიდე სახლში, ისეთი ძალით დაენარცხა ნახევრად გადაქლესილ წირთხზე შემომდგარი ლეონიდის ზურგს უკან, რომ ხის შენობა შეაზანზარა, ამ ჩვეულებრივ დარტყმაზე ბებია ტუტიშიხამ თავი გამოყო და სოშნინს თითით უხმო.

— ლიოშ, ლიოშ, მოი, მოი! დატკბი! ნახე ერთი, რა ხდება! — და გადაიკისკისა ბედნიერი სიცილ-კიკინით.

წინა ოთახში, სარკის წინ ტრიალებდა, კოხტაობდა და ბზრიალებდა ბებია ტუტიშიხას შვილიშვილი იულკა და ისიც სულ კისკისებდა და კისკისებდა, გამაბრუებელი ბედნიერებით სავსე. იულკას ოცნება აუსრულდა: მუქი ბინდდაკრული ლურჯი თუ შავმოიისფრო ხავერდის კოსტიუმი ეცვა, რომელსაც დიდ ჯიბესა და ბორტებზე ოქროსფერი ზოლი გასდევდა, მაგრამ მთავარი გარდერობში იყო — შარვალი, რომელსაც გვერდებზე მწკრივად ჩასდევდა სპილენძის კნოპები და აქაც, ჰოი, საკვირველებავ, ოი, სიხარულო და აღტაცებავ, მწკრივებად, სამ-სამი ზანზალაკი. მერედა არ იკითხავთ, რა ხმატკბილად ეღარუნობენ ეს ზანზალაკები, საყვარლები! სიმფონიაა! ჯაზი! როკი! პოპი! — ყველაფერი ერთად არის შერწყმული ამ წკარუნა ზანზალაკებში, მასში ჩაქსოვილია მთელი სამყაროს მუსიკა, ხელოვნება, ცხოვრების მთელი არსი და აზრი, მისი წარმტაცი იდუმალებანი! მუქად მოლივლივე კოსტიუმი და ზედ თეთრი, ქათქათა, ფაფუკი პულავერი, იტალიური წვრილქუსლა, ოქროსფრად შეღებილი ტუფლები, მერე რა ვუყოთ, თუნდაც ჯიღჯიღა ოქროვარაყით მოვლებული შარვალი; მუხლებზე თითქოს განგებ გახუნებული.

— ოი, ძია ლიოშა, — კისერზე ჩამოეპონწიალა ლიონიას იულკა, — რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე! ასეთი სიხარული! დედიკომ და მამიკომ ჩამომიტანეს. რიგაში უყიდიათ, მეზღვაურებისაგან. ძაან ძვირი მიუციათ, სამაგიეროდ, აი!..

„თავი გამოისყიდეს ღვიძლი შვილისგან!“ — სოშნინმა შუბლი შეიკრა. კისრიდან ნელა მოიშორა იულკას წვრილი თითები.

— კარგი ახლა, ნუკი დამახრჩობ მაგ შენი აღტაცების გრძნობით!

— დაგახრჩობ, დაგახრჩობ! — გონდაკარგულივით წიოდა იულკა.

მაგიდაზე ბოთლით რიგის „ბალზამი“ იდგა, იქვე ეწყო ვერცხლით დაფერილი სირჩები, სინზე დახვავებული შებოლილი ჭაპალა, ნაჩქარევად, დაუდევრად გახსნილი შპროტის ქილა, ვაშლები, ქაღალდში შეფუთული რიგის ჭვავის პურის ნატეხი, ნაფხვენები და ნაფხვენები,

და კიდევ რაღაც-რაღაცები, ფაციფუცით აქა-იქ მიყრილ-მოყრილი. „ბებიასგანაც თავი გამოუსყიდიათ!“ — გულგრილად ამოიოხრა სოშნინმა და რაც შეეძლო, სცადა, სახეზე ბედნიერი თანაგრძნობა გამოეხატა.

— გილოცავ, იულკა, გილოცავ! ბედნიერებაში და სიხარულში! ძალიან გშვენის, გხატავს. — რაც შეიძლება, სიხარულით ამბობდა ლეონიდი, — რკინიგზელთა დასახლების სასიძოები და არა მხოლოდ რკინიგზელთა, არამედ, საერთოდ, ყველა დასახლების სასიძოები! ყველა ქუჩის და ქალაქ ვეისკის ყველა რაიონის სასიძოები, ჩათვალე, რომ შამფურს წამოეგებიან! სამწვადედ!

— კარგი, რა, ძია ლიოშა! შენ სუ ეგრე მაშაყირებ. არა, მართლა, ხომ ლამაზია, თქვი ხომ მიხდება, ძია ლიოშ! მართალი მითხარი, მართალი! — თან, უკან-უკან სვლით იხევდა, თითქოს, ხუმრობით, იპრანჭებოდა, იკვანწებოდა, შარვალს ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე იგრეხდა, ისე, რომ ზანზალაკები განგებ აეჟღარუნებინა. ბებია ტუტიშიხას აღტაცებასაც საზღვარი არ ჰქონდა, ტაშისკვრით წაიცეკვებდა ხოლმე.

— რაც იყოს, იყოს! მოდი ერთი ჩვენც გადავკრათ, ლიოშ! აბა, ასეთ სიხარულს ხომ უნდა აღნიშვნა? — შესთავაზა ბებია ტუტიშიხამ და თავისი გულუხვობით გახარებულმა „ბალზამით“ შეავსო ვერცხლით მოვარაყებული სირჩები. — შესვი, გაამოს, სასარგებლო სასმელია, ხომ იცი! შენ კი არ მოგცემ, არა და არა, შენ არ დაგალევინებ! — თვალები გადმოუკრკლა და დაუცაცხანა შვილიშვილს.

— არც მინდა. — ტუჩი აიბზუა იულკამ, — მე უკვე გავსინჯე. შხანკოლასავით მწარეა. აი, შამპანური რომ იყოს, სხვა საქმეა! აი, ეს მესმის!

ლეონიდმა სირჩაში ჩასხმული „ბალზამი“ არაყს შეურია. მეტი აღარ დალიოო, უბრძანა ბებიას და შინ წასასვლელად გაემზადა.

— ლიოშ, იქნებ, რითმე გინდა მოგემსახურო, იატაკი მოგირეცხო ან სადილი გაგიკეთო. მოვალთ. ნუ მოგვერიდები. უჰ, შე ქვეშაფსია! — დაუცაცხანა ბებია ტუტიშიხამ შვილიშვილს, — გაიხადე ახლავე ეს კოსტუმი!

— კარქი, რა, ბებო, გეხვეწები! საერთო საცხოვრებელში გოგონებს მინდა ვაჩვენო, გამიშვი, რა, გემუდარები!

— კარქი, ოღონდ, ფრთხილად იყავი, იცოდე! წასული რომ არ მეგონო, მოდი! — ნება დართო ბებიამ.

ლეონიდმა ოხვრა შეიკავა. წამოდგა, დრო გაფრენილიყო. სულ ცოტა ღამის ორი საათი იქნებოდა. ნორჩი მოდისმიმდევარი გაიქცევა ახლა თავისი მორთულობის საჩვენებლად, ამასობაში ბებია ერთ-ორს

კიდევ გადაჰკრავს და ჩაეძინება. იულკა დილით გამოეცხადება და ვინ იცის, იქნებ, სულაც არ მოვიდეს. ბებია წაიწუწუნებს, შვილიშვილს დატუქსავს, ერთხანს იბუზღუნებს და პირსახოცით სახეს მოინიავებს.

მეცხრე თავი

რკინიგზის დასახლების ნომერ მეშვიდე სახლში, თავის პირმშოს, იგორ ადამიჩს ბებო-ტუტიშიხამ ჩამოაკითხა ამ თვრამეტი-ოცი წლის წინათ და ისე შეერწყა აქაურობას, თითქოს ოდითგანვე აქ უცხოვრია და მისდღეში არსად წასულიყოს აქედან. საკმაოდ მრავალფეროვანი ბიოგრაფიის მქონე ბებო-ტუტიშიხას ერთობ მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრება გამოევლო. ფანჯრისკენ ხელს გაიშვერდა და იტყოდა ხოლმე: მე წარმოშობით „დასავლეთ ოტელიდან“ ვარ. რკინიგზის სადგურის მებუფეტე იყო. ადრეულ ასაკში ეზიარა ღვინოსა და მამაკაცთა სქესს — ეს გზა კი, მოგეხსენებათ. უმოკლესი გზა არის დამნაშავეობისაკენ: სახელმწიფო ქონება გაანიავა, გაასამართლეს და ბაიკალს იქით ქალთა შრომაგასწორების კოლონიაში უკრეს თავი. იქ სარკინიგზო მშენებლობა მიმდინარეობდა. დიდი, გრძელი რკინიგზის მშენებლობა. ყელამდე სამუშაო იყო. განსაკუთრებით, მიწის სამუშაო. ზოიკა-მებუფეტეს ხელში ვეება ბარი დააჭერინეს და ლიანდაგზე ქვიშის დასაყრელად გაიყვანეს. ის კი არ გახლდათ მუშაობას მიჩვეული. დედამისი, სადგურის სასადილოს მზარეული, უზრუნველად ზრდიდა გოგონას. გაგეგონებათ: მეეტლეს ცხენი ჰყავს გახედნილი, ქვრივს კი ქალიშვილი — განაზებულიო.

ჰოდა, იმუშავა ზოიკამ ბარით ხელში დღე ერთი, დღე მეორე, მესამე... გაუჭირდა. ჭკუაში არ მოსდიოდა ეს საქმე. შემთხვევით, გზადმიმავალი ბადრაგის უფროსი „წამოედო“. ზოიკამ ღიმილიანი საყვედურით მიაძახა: „რას მეჯახები,შავთვალავ, კინაღამ გამიტანე!“ გაეღიმა ბადრაგის უფროსს, რაც არ უნდა ხეპრე და მოუქნელი ყოფილიყო, მიუხვდა გადაკრულს. კოცონთან მიიპატიჟა ზოიკა, თამბაქო შესთავაზა, გამოელაპარაკა. არ გასულა ერთი თვე, რომ ზოიკა-მებუფეტე საერთო სამუშაოდან სასადილოში, ჭურჭლის მრეცხავად გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ უმაღლეს ოცნებასაც ეწია — ხელმძღვანელ მუშაკთათვის განსაკუთრებულ სასაუზმეში დაიწყო მუშაობა. სიმართლე რომ ითქვას, კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. არავის დაუნახავს, უფროსებთან მოღლაბუცე, არ ეტმასნებოდა ცოლიან კაცებს.

ჰოდა, მოსწონდათ ეს ქერა, თვალმახარა, ფუნთუშა, ენადათაფლული და მოკისკისე ქალი, რომელმაც უდრტვინველად გაატარა პატი-

მრობის სამი წელი და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ დასავლეთისკენ გაისტუმრეს, სათანადო საბუთით ჯიბეში. და გაუყვა ზოიკა გზას დასავლეთისაკენ. იარა, იარა. გზას ბოლო არ უჩანდა. ტკბებოდა ქალი დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებით, რომელიც იზიდავდა, თავისკენ უხმობდა. მოდის ზოიკა მატარებლით და ხედავს: იქვე, სკვერში, ყვითელი ფოთლებით დაფენილ მერხზე ორი მამაკაცი ზის. წინ გაზეთი გაუშლიათ. გაზეთზე აწყვია: ერთი ვეებერთელა კიტრი, აგურა პური და ნახევარლიტრიანი ბოთლით არაყი. ქალი მექანიკურად ჩამოდის მატარებლიდან. უახლოვდება მათ. მეც დამალევინეთ, რა იქნებაო, — სთხოვს. დაუსხეს. დალია. გამოელაპარაკნენ. ზოიკამ უცებ თავში იტაცა ხელი — წასულა მატარებელი... მაგრამ იცის ზოიკამ: სულ დასავლეთის მიმართულებით უნდა იაროს, ან კი სად ეჩქარება, ვის დაჰკარგვია, ვინ ეძებს! და მოსდევს გზას დასავლეთისკენ, საითაც მზე ჩადის. სკოლიდან დაამახსოვრდა: მზე რომელ მხარესაც ჩადის, დასავლეთიც ის არისო... მიდის და მიდის, დაღალა სიარულმა. უცებ რას ხედავს: მის წინ ყვითლად შეღებილი ჯიხური დგას, ირგვლივ სამშენებლო მასალა ყრია. იქით მესერი. აქეთ ჭა — ზედ დამაგრებული ვედროთი. იქვე, ჯაჭვით დაბმული ნაგაზი დაყინებით გზას გასცქერის: ჩანს, ვიღაცას ელოდება.

ზოიკამ გზას გადაუხვია. ჯაჭვზე დაბმულმა ნაგაზმა გააფთრებით დაუყეფა, კინაღამ აიწყვიტა. „არ შემჭამო, ძაღლო, გეხვეწები, — დაუყვავა ზოიკამ. — თუ შემჭამ და, ჯანდაბას მაშინ ჩემი თავი, ჩემ გარდა ესესერში ორასი მილიონი ადამიანია და ყველას ხომ ვერ დაკბენ და შეჭამ, თქვი!“... არ გასულა დიდი დრო, რომ ძაღლმა ზოიკას, ბადრაგის უფროსივით, თავი კალთაში ჩაუყო, ენით ლოკავდა, შიგ ტუჩებში კოცნიდა, ერთგული წკმუტუნითა და კუდისქიცინით გარშემო ურბენდა.

მესერს გადაღმა ქათმების კრიახი ისმოდა. კარს სქელი სხეული აწვებოდა უკანალით და ღორის ხმით მარტოობას უჩიოდა: „ღრუტ-ღრუტ ღრუტ!..“ ბოსტანში კომბოსტოებს შუა ძროხა დადიოდა და რაღაცას ღეჭავდა. ზოიკას მიაბღავლა: „მ-მ-მ-მუუუ!“

—მე ვარ, მე! — მიეფერა ზოიკა. კისერზე ხელები მოხვია. ცრემლი ყელში აწვებოდა, დამჭკნარ ფოთლისფერ, ალერსს მონატრულ ძროხას შუბლზე თეთრი ნიშანი აჩნდა. ნამგალამთვარისებური ცალი რქა შუათავზე ამოსვლოდა, ხოლო მეორე ზედ თვალთან წამოზრდოდა. თავის ნამთვრალევ პატრონივით იღეჭებოდა.

კარს კლიტე არ ედო. შეაღო, შევიდა. მიმოიხედა. ცალ მხარეს რუსული ფეჩი იდგა, იქვე ეწყო დაპობილი შეშა, ქოხის ერთი ნაწილი

სამზარეულოდ იყო განკუთვნილი. უფრო იქით, ვაგონის კედლებიდან ჩამონახევი ქაღალდითა და გაზეთ „გუდოკით“ აწებებულ კუთხეში, სახაზინო საწოლი იდგა. იქვე — ხის მაგიდა. სკამებით. შუა კედელზე ჩარჩოში ჩასმული სურათებია, მარჯვნივ ჭურჭლის, ხოლო მარცხნივ — ტანსაცმლის კარადები. კედლის გაყოლებით ვაგონის სავარძელი იყო მიდგმული. ყველა ამ ნივთზე ტვიფრი იყო დაწებებული: „მპს“, „მპს“. . .

არა უშავს რა, გვარიანი ქოხია. შეიძლება ცხოვრება, — გულში გაივლო ქალმა... — მაგრამ რატომღაც ყველაფერს ნავთის სუნი უდის და მამაკაცის ტლანქი ხელი ამჩნევია.

ნავთის სუნზე უფრო ქოხში ხორცის ნახარშის სუნი ტრიალებდა. ზოიკამ ღუმელი გამოაღო და ჰოი, საკვირველებავ! შიდა თაროზე, თუჯის ქვაბით, ხორცის ნახარში დგას. იქვე, ტაფაზე — მოხრაკული კარტოფილი.ზოიკას ძალიან შიოდა, მაგრამ ნაპოვნი არ აკმაყოფილებდა, გაფაციცებული კიდევ ეძებდა რაღაცას. განჯინაში კიტრით სავსე ვედრო აღმოაჩინა. ღუმელზე, მოწნულ კალათში, პამიდვრები ეწყო —

— ზოგი მსხვილი და საღი, ზოგიც — ცოტა შელახული. ქალმა სუფრა. გაიწყო და მერე, რაღაცაზე ჩაფიქრებული, ერთხანს შუა ოთახში შედგა... კუთხეში ხატი ასვენია რომელიღაც წმიდა ქალწულის გამოსახულებით... ქალწულს სირჩისებური, ლურჯად შებოლილი, ჩამქრალი ლამპა უჭირავს ხელში... ზოიკამ ტიხართან მიდგმულ სკივრს თავი აჰხადა. არა, აქ არ არის, რასაც ეძებს. ცოტა ხანს კიდევ იდგა დაფიქრებული და მერე ყიჟინით გაექანა ისევ განჯინისაკენ, სადაც კიდევ ერთი კიდობანი ეგულებოდა. კიდობანთან მიდგმული იყო სილით სავსე ტომარა. კიდობანში ინახებოდა ნავთის ბიდონი, ფანრები, ბარი, ნიჩაბი, საგზაო ფეხსაცმელები, ნაირ-ნაირი ზომის მათარები, პეტარდები და სხვა სარკინიგზო ინვენტარი. კიდობანს ზემოთ, კედელზე პატარა სააფთიაქო კარადა ეკიდა, ხოლო აფთიაქში, — აბა, სხვაგან სად, თუ არა აფთიაქში!? — „მპს“-ით დაღდასმულ მათარაში სპირტუნია იყო შენახული ზოიკამ სპირტუნია სირჩაში ჩაისხა და ერთხანს შეიცადა, სანამ ეს ქიმიური პროდუქცია დაწდებოდა. მერე გადაჰკრა და მადიანად ისაღილა. ხორცის დიდი ნაჭერი პატიოსნად შუაში გაჰყო. ნახევარი ოჯახის პატრონს დაუტოვა. მერე ისევ სირჩაში დაასხა სპირტუნია და ზედ ქაღალდი დააფარა, არ აქროლდესო. ცოტა ხანს კიდევ იფიქრა და საჭმლის ნარჩენები გარეთ, ნაგაზს გაუტანა. ნაგაზს პოლკანი დაარქვა. ძაღლს, რა თქმა უნდა, სხვა სახელი ერქვა, მაგრამ იმწუთშივე სამუდამოდ დაივიწყა ის ძველი სახელი და აღიარა ახალი სახელი, როგორც ჯილდო, როგორც წოდება, ბოძებული ახალი სტუმარი ქალისაგან რომელსაც ამიერიდან დიდხანს ეწერა აქ ცხოვრება.

სუფრა რომ აალაგა, ზოიკას ძილი მოუნდა. გაიზმორა. ლოგინს მიაშურა. ქვეშაგებს მამაკაცის სუნი უდიოდა. ჭუჭყიანი ბალიშისპიოი, საბანი... ზანდუკიდან სუფთა თეთრეული ამოალაგა და პირსახოცით ხელში ჭასთან მიირბინა. ფეხები დაიბანა. მერე დაფეთებულმა ტყისკენ თვალი ჭყიტა და უფრო ზემოთაც მიიბან-მოიბანა. ყინულივით ცივი წყლით დასუსხული სახე ხელისგულებით მოისრისა, თმა გადაივარცხნა და კედელზე დაკიდებულ სარკეში თავისთავს თვალი ჩაუპაჭუნა — ამას ვერ წაართმევდით: რაც მართალია მართალია, გემრიელი თვალის ჩაპაჭუნება იცოდა.

ადამ არტემის ძე ზუდინი — გზის შემომვლელი, უცოლო იყო, როგორც თვით ის ძველი ადამი. ჯერ კიდევ არ ეპოვნა თავისი ევა. აქედან თორმეტი კილომეტრით დაშორებულ საგზაო ყაზარმიდან, მართალია, ზოგჯერ მოაკითხავდნენ ევანი, მაგრამ სწყინდებოდათ ერთფეროვანი ყოფა ამ მიქვათყურებულ ტაიგაში და მალევე გარბოონენ აქედან. და აი, დაბრუნდა ადამი სამსახურიდან, მოიარა მისთვის განკუთვნილი სალიანდაგო დისტანცია. ძლივს მოლასლასდა შინ და ჰოი, საოსწაულო: მის ქოხში, სარკინიგზო სამსახურის მიერ მისთვის ბოძებულ სასაზინო ჯიხურში, მის საწოლზე ქალია: თეთრყირმიზი და ღაღანა, წმინდა, უმანკო ასული! სასწაულია, აბა, რა არის! თავისი ფეხით მოვიდა აქ, მის ქოხში, მიიხედ-მოიხედა. თავიც დაიპურა, და როგორც ღვთის წესი ითხოვს, ლუკმა შუაში გაუყო, მისთვისაც იზრუნა, მასაც არგუნა თავისი წილი. დიახ, ღმერთს ასე დაუწესებია: მარტო შენ კი არ უნდა მიირთვა ლუკმა, სხვასაც უნდა გაუნაწილოო! აი, მაშინ დამყარდება ამქვეყნად სამართლიანობა და იმქვეყნადაც, სხვათა შორის. ასე მსჯელობდა თავისთვის ადამი და გამალებული მიირთმევდა კერძს. წვენი გულზე მალამოდ ეცხებოდა, თან, თვალი ევასკენ გაურბოდა და რაც უფრო მეტს და მადიანად ჭამდა, მით უფრო ჩქარობდა და მოუთმენლობა იპყრობდა. დიახ, ღმერთმა, მამაზეციერმა, ყველას პატრონმა და მომხედავმა. შეიბრალა მარტოხელა მამაკაცი და ქალი გამოუგზავნა. იგია მაღალი ღმერთი, შემოქმედი, ყოვლისმხილველი და გამკითხავი! უფალმა იცის ყოველი და განაგებს ყოველს! საგზაო დისტანციის სამმართველოში იოლად როდი გაღირსებენ საქონელს. ეს ნავთიო, ეს ფანარის პატრუქიო, იმასაც ცოტას მოგიჭრიან, სამუშაო სტრუმენტს ვინ მოგაქვავებს აგრე იოლად, ხელოსანი კაცი ხარ და შენ საქმეს შენ თვითონ მიხედე, საზრდოს საკითხიც თვითონვე მოიგვარეო! ქალზეც იზრუნეო! ჰმ, ქალები! ეგრე კი არ ყრიან ლიანდაგზე. თუ ქალი გინდა, სამსახურს მერე, დაღლილ-და-

ქანცული ქარში. ავდარში, სეტყვაში და ქარხუქში საგზაო ყაზარმის გზაა უნდა დაადგე. იქაც, ვინ იცის, ვითარებას გაიჩხია, კიბერი არ წაიტეხო სადმე.

ადამი ნერვიულობამ აიტანა. ამბობენ, ბერიკაცს სამი დღის ფაფაც გაახარებსო. ის კი?!. „არ გადავუვევი ამ ჭამას? ჯანდაბას ეს საღილი!“ კოვზი მაგიდაზე დაანარცხა. ფაცხაფუცხით ტანთ იხდიდა. მერე ფეხსაწმენდზე შეიხოცა ფეხი, საპანი ფრთხილად გადაწია და ქვეშაგების მყუდრო, თბილ წიაღში შეცურდა. ერთხანს ვატვრენილი იწვა. — არავინ აგდებს! მაშინ უფრო მკვრივად მიეკრო ევას და ქალის ხმაც მოესმა: „უჰ, რა ხართ, ეს მამაკაცები! მხეცები ხართ, მხეცები! შუა გზიდან და ყინვიდან... წაყინული თათებით პირდაპირ ცოცხალ სხეულს დაეძგერებით!..“

ასე დაოჯახდა ადამი და თვითონაც გაკვირვებას იყო. ცხოვრობდნენ ევა და ადამი მხიარულად, არათუ მხიარულად, მე ვიტყოდი, მღელვარედ. არა ერთხელ და ორჯერ გამოჰკიდებია ევას ადამი ხელში ძალაყინით თუ სალიანდაგო ჩაქუჩით. ინსტრუმენტშემართული დასდევდა მოსაკლავად, მაგრამ ქალი სხარტი იყო და გაურბოდა: ჭინკას რას დაეწევი! თოფიც ესროლა, მაგრამ დააცილა. ერთხელ, თავისი ქობის ფანჯრების წინ, ღერძზეც ჩამოეკონწიალა, მაგრამ გაუწყდა თოკი-ტიალი! ეჰ, სულ ვნებათაღელვის გამოა ყველაფერი, კაცს ტვინს რომ უბნევს და მოფიქრების უნარს რომ ართმევს. დაუთმოს უნდა. ბედს შეურიგდეს, სხვა გზა არ აქვს. უყვარდა ევას ხალხი და ხალხსაც უყვარდა იგი.

ქმართან ხელი არ მოუწერია ზოიკას, სანამ არ შეეძინა ვაჟი, რომელსაც მოდური სახელი — იგორი დაარქვა. ვაჟი ლაღად და სწრაფად იზრდებოდა ბუნების წიაღში. დედა შვილს ზედ დაჰფოფინებდა, ერთობ მოსიყვარულე მშობელი იყო. ოჯახს ბული დაუდო. გარე-გარე აღარ მიიწევდა, სადღურის ბუფეტისაკენ. ადამმა გეგმა შეიმუშავა: კიდევ ორი შვილი გამიჩინე — გოგო და ბიჭიო. იფიქრა: შვილებს რომ დავასევ, ოჯახიდან ფეხს აღარ გაადგამსო, მაგრამ ნურას უკაცრავად: ევას სრულებითაც არ უნდოდა შებმულიყო მრავალშვილიანობის უღელში. იგორი რომ წამოიზარდა და სარკინიგზო სასწავლებელში გაგზავნეს ელმავლის მემანქანეობის სპეციალობის შესასწავლად, ევამ ისევ ძველებურად აიწყვიტა.

იგორ ადამოვიჩმა სასწავლებელი დაამთავრა. სამსახურში მოეწყო. დაოჯახდა. ერთ მშვენიერ დღეს, ვეისკის რკინიგზელთა დასახლების ნომერ მეშვიდე სახლში დედამ ჩამოაკითხა: ჩემი ქმარი უკვე

ხანშიშესული იყო, ჩვენ რომ დავოჯახდითო. ქანცი გაუწყდა, თქვენი პირი წაიღოო და ამიერიდან შვილთან უნდა ვიცხოვრო, სხვაგან არ-სად წასასვლელი მე არ გამაჩნიაო.

იყო. ცხოვრობდა. დიდხანს ცოცხლობდა. და რვაბინიანი ნომერ მე-შვიდე სახლის მცხოვრებლებმა წესად გაიხადეს: როცა საქმეზე, კინო-ში ან სადმე მიეჩქარებოდათ, თავიანთი ბავშვები ბებო-ტუტიშიხას-თვის შეეჩეჩებინათ და ზუდინების ოთახიდან განუწყვეტლივ ისმოდა: „ა-ტუ-ტი-ტუ-ტი-ტუ-ტი, ა-ტუ-ტი-ტუ-ტი-ტუ-ტი“... ეს — ბებო-ტუ-ტიშიხა უნანავებდა ბავშვებს. ან კალთაში ჩაიგორებდა რომელიმე მეზობლის მიერ დატოვებულ ბალღს, ზოგჯერაც, რამდენიმეს ერთად.

საშინელი ბილწსიტყვა გახლდათ ბებო-ტუტიშიხა, თან, გადაკ-ვრაც უყვარდა და გადაკრავდა თუ არა, შემოსძახებდა ხოლმე ზრდი-ლობიანი სიმღერების ყაიდაზე გადაკეთებულ უწმაწურ შაირებს. ასე, მაგალითად: „მამიკო და დედიკო იატაკზე აგუნდავებენ კუპრსა და ფისს, მე კი, საცოდავი, მილს იქით ვიკუნტები“... გაბოროტების ჟამს ბებო-ტუტიშიხა ეძლეოდა მოგონებებს, თუ როგორ აწვებოდნენ „ლივერს“ კოლონიაში, რაც ადამიანურ ენაზე ნიშნავდა, თუ როგორ ეარშიყებოდნენ „თავიანთი წრის ქალებს“ ბანდიტები და ნაძი-რალები.

ბავშვები, მოგეხსენებათ, შემოქმედებითი არსებებია. მათ სიტყვა-სიტყვით ამახსოვრდებოდათ ბებო-ტუტიშიხას შაირები და მთელი უბნის გასაგონად გაჰყვიროდნენ. ვალოდია გორიაჩევი ჩუმად მიიპა-რებოდა ხოლმე ნომერ მეშვიდე სახლთან, ბებო-ტუტიშიხას ფოლ-კლორის შესასწავლად, რომელიც თანდათან კარგავდა შემოქმედი ავ-ტორის სახელს, რადგან ამასობაში მოდიოდა ახალი თაობა, იბადე-ბოდნენ და იზრდებოდნენ ახალი ადამიანები და ბებიას „ტუ-ტი-ტუ-ტი“ არც დღისით, არც ღამით წუთით აღარ ცხრებოდა და ვისაც რო-გორ მოეპრიანებოდა, ისე გადააკეთებდა და ატრიალებდა ამ სიტყვას: „ა-ტუ-ტი-ტუ-ტი-ტუ-ტი... გზა* დაებნა ყაძახს... იბოდიალა, იბოდია-ლა, ვერ იპოვა, იბღავლა და წავიდა...“ მაგრამ ნომერ მეშვიდე სახ-ლსა და მის შემოგარენში ბავშვებმა არ იცოდნენ, რას ნიშნავდა „პუ-ტი“... ბებიამ სცადა ჩაერთო სიტყვა „უდი“, მაგრამ ამ ვარიანტშიც რაღაც არ აკმაყოფილებდა მას. ამასობაში ბებიას ჭკუა ისე დაუახ-ლოვდა ბავშვის ჭკუას, რომ ჭეშმარიტ ნოვატორობას მიაღწია, რის წყალობითაც რუსული ფოლკლორი კიდევ ერთი უტიფარი სიახლით

* „ტუ-ტი“ შაირებში ერითმება რუსულ „გზას“ („პუტი“).

გაამდიდრა: „ა-ტუ-ტი-ტუ-ტილ, ყაძახს ღაკარგვია „ბუტილ“, დარბის, ეძებს, ვერ პოულობს, გზას მიყვება ტირილ-ტირილ“ და ა. შ.

ეს ოლო რედაქცია ყველას ჭკუაში დაუჯდა, რადგან ტექსტში შეიცავდა აირდაპირ ძინიშნებას საძაგიეროს ზღვევასა და საძაღლ-ბელზე. ამიერიდან დახმარების მთელი იმედი ხორციელდებოდა სიტყვით „ბუტილ“* — ამ ძოკლე და ყოვლად ასატანი სიტყვის წყალ-ბით. მას შემდეგ, რაც ქვეყანას მისი შვილიშვილი იულკა მოევლინა, ბებო-ტუტიმიხამ ვაჟს უბრძანა, არ შემოფლანგვოდა მისი პენსია და იგი, კვირაში ერთხელ, პატარასათვის მიეცა. ბებიას არ ჰქონდა დიდი პენსია: როგორც გზის შემომვლელის თანაშემწეს, ძველი კურსით ორასორმოცდაათი მანეთი. დაუხიშნეს.

რაც ღმერთმა ძვილიშვილი უბოძა, ბებიას ხასიათი დაურბილდა, ჩვევები უფრო დაეხვეწა, შავბნელი მოგონებანი, თუმც გაუაზრ-ბელძა, ძაგოამ იულკასადმი ნათელმა, სიყვარულის გრძნობამ შეანელა თუ გააფერმკრთალა... გოგონა ბუნებით სუსტი, უსუსური დაიბადა, ხშირად ავადმყოფობდა, ცხვირი სულ სველი ჰქონდა, თუ ბავშვი კარგად იყო, ბებია თვალს დახუჭავდა და მაშინ მის ხსოვნაში ამოტივტივდებოდნენ უწინდელი ცხოვრების გარემოებათა და წლებით მივიწყებული, თითქმის წაშლილი სიტყვები... „ბალმა ნაპირზე ძოთხვის ტოტებს ვამტვრევდი, გამოღმა ნაპირზე გამოველ- შეყვარებულთან საალერსოდ...“ „ხიდზე ნუ დგახარ, ლამაზო, ფაფანაკს ნუ მიქნევ, მე ახლა შენი აღარ ვარ, ტყუილად მეძახი „ძვირფასს“.. ერთხელაც, წყნარი, უცრემლო ნაღველით აღიდგინა ხსოვნაში ჩაფერფლილი შემდეგი სტრიქონები: „საყვარელო, მშვენიერო, ჩაუქრობო სანთელო! მინათებდი და ჩამიქრი, გიყვარდი და ბადამიყვარე... „წამოიმღერა. აღელდა. გარშემო მიმოიხედა, ხომ არავინ მისმენსო? — მერე, დაღარული შუბლით ფანჯრის მინას მიეყრდნო, რომელიც იმ მხარეს იყო გამოჭრილი, დასავლეთისკენ, დიდი, დიდი ხნის წინათ რომ მიეტოვებინა.

იულკას დედა — კანტორის თანამშრომელი, ერთი ავადმყოფი ქალი იყო. პირველი შვილოსნობის მერე ექიმებმა მშობიარობა აუკრძალეს; მას მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორედ ფეხმძიმობა და შობადობა გამოაჯანსაღებდა. ხელი მიჰყო მკურნალობას და კიდეც გამოკეთდა; ისე, რომ ყოველ წელიწადს უფასო რკინიგზის ბილეთით კურორტებზე დაფრინავდა, ხან, ქმართან ერთად, ხანაც მარტო. და აი, ერთხელ წავიდა და აღარ დაბრუნებულა კურორტიდან, ამბობდნენ, შავ ზღვაში ჩაიძირაო.

იგორ ადამის ძე, რომელსაც ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი ეთქ-

* ბუტილ — ბოთლი (მთარგმ.).

მოდა, მაგრამ საკმაოდ დარბაისლური იერი, ამასთან, კარგი სამსახურებრივი მდგომარეობა და ხელფასი ჰქონდა, დიდხანს არ დარჩენილა ქვრივად. მუშა-ახალგაზრდობის სკოლის — სადაც ის ზოგადი საშუალო განათლების მიღებას ესწრაფვოდა — პედაგოგმა, ვიქტორინა მირონის ასულმა ცარიცინამ, რომელსაც, თავის მხრივ, უმაწვილქალობაში, ჯერ კიდევ პედინსტიტუტის სტუდენტობის ჟამს, ტყუპი გოგონები — კლარა და ლარა შესძენოდა, სწრაფად მოაკვარახჭინა თავისი მოწაფის როგორც სწავლა-განათლების, ისე საოჯახო და სხვა საქმეები.

ვიქტორინა მირონოვნას სამმართველოს საუწყებო სახლში ჰქონდა ბინა. იგორ ადამოვიჩი საცხოვრებლად მასთან გადავიდა და დარჩა იულკა ასე, თითქოს, მშობლების პატრონი. მაგრამ ფაქტიურად უპატრონო, დიდი პედაგოგის — ბებო ტუტიშიხას ამარა, რომელიც სწავლაში ჩამორჩენის გამო სულ დედისულს უგინებდა ბაღანას და ხელში პირსასოცით, გასალახავად დასდევდა, როცა გოგონა არ უგონებდა.

მეთექვსმეტე წელში რომ გადადგა, იულკა უფრო დამშვენდა, თვალი ბიჭებისკენ გაურბოდა, ღამით ძილში, შფოთავდა, და ბებიამისმა შვილიშვილი ვიღაც ლოთსა და მატრაბაზს გადაჰკიდა. და ეს ფეხებგაფიჩხული, ლურჯად გათოშილი, ზრდადაუსრულებელი და ჭკუასუსტი გოგო, რომელსაც ერთობ უჭირდა პედინსტიტუტში სწავლა, ვიქტორინა მირონოვნამ სკოლამდელი აღზრდის პედინსტიტუტში მოაწყო და მას მერე აგერ რამდენი წელია წვალობს თვითონ და აწვალებს პედაგოგიურ მეცნიერებას. იულკას მშობლებს კი, რომლებმაც სამმართველოს საუწყებო სახლში ორი ქალიშვილი აღზარდეს და ფეხზე დააყენეს, ერთობ შეჰყვარებოდათ მოგზაურობა და სანატორიუმებში დასვენება. თავის გუნებაზე ატარებდნენ დროებას: ევროპის გარშემო დაჯლიგინობდნენ. არც უფრო ახლო მყოფი ქვეყნები დარჩენიათ მოუნახულებელი, საგარაკო ნაკვეთიც მიიღეს და ახლა მეყვავილეობით იყვნენ გატაცებულნი. ამასობაში კი კავალრებმოძალებული იულკა ინადგურებდა ჯანმრთელობას. სხვათა შორის, იმ კავალრებს შორის, მოაგონდა ლეონიდს. არა ერთხელ უნახავს ორნამენტებით კალთებშემოქარგულჯუბიანი ჯეელიც, თავზე ხელაღებულ ძმაკაცებთან ერთად კიბის ქვეშ რომ უძუძგურებდა იულკას.

ბებო-ტუტიშიხა უიულკოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა, ზოგჯერ, ფეხოსანი ასეულის ფელდფებელივით, ჭკუას არიგებდა შვილიშვილს, თან, ცდილობდა, საკადრისი სიტყვები შეერჩია:

— შენ, ხო იცი, ყველა გამვლელსა და ვიგინდარას კი არ უნდა აუწიო ფეხი, — ამუნათებდა ომახიანი ხმით, — შენ, ან დღეები ზუსტად უნდა გამოიანგარიშო, ანდა, ანპულა უნდა გადაყლაპო, გამიგე?

— კაპსულა, ბებო, ამპულა შუშიანია!

— რა შუაშია შუშიანი! შუშა არ ვიცი მე. მაშინ ადექი და შეიზილე. სამაგიეროდ, მერე თავისუფალი იქნები, თორემ სად გაგონილა ასეთი ამბავი! ეს რა მოდად გაიხადე — ხუთი თუმანი! სად აქვს მამაშენს ამდენი ხუთი თუმანი? მაინც ვისში გამოხვედი ასეთი დოყლაპია? მე თუ მიყურებ, მე, შენხელობას, ნეკში მქონდა შენდენი ჭკუა. ცარიცას შვილები მასწავლებლები გამოვიდნენ. მიმსვლელ-მომსვლელიც უფრო მხიარულები ჰყავთ.

სძინავს ბებიას. ბოლომდე გამოუცლია საამური „ბალზამითი" სავსე ჭინჭილა. იულკას მორთულობის დანახვაზე ლამის გააფრინეს სკოლამდელი აღზრდის სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის გოგონებმა — დაახლოებით იმავე ჭკუისა და სულიერი მოთხოვნილებების არსებებმა.

აღარ ათავებს ბერიკაც არისტარხ კაპუსტინის საყვედურებს ძია პაშა: ვერ იქნა და სინდისი ვერ გაუღვიძა, სწორ გზასე ვერ დააყენა ეს ოინბაზი, სვავი-მეთევზე, ადრიან გაზაფხულიდანვე თევზის სინსილას რომ გასწყვეტავს ხოლმე ტბებსა და გუბურებში. დღედაღამ „ტელევიზორს" რომ უზის და „თავსაფრით" ერთობა... ასე, ხომ შეიძლება დინამიტამდეც დაეშვას და მერე შეიძლება ვირის აბანოშიც ამოაყოფინონ თავი. ლავრია-კაზაკი, რომელმაც ეულკანის ამოფრქვევას ვაუძლო, მომენტს ელოდება, როცა გამდნარი ქანები გალღვება, გაცივდება და თავთავის ადგილზე დალაგდება მოთუხთუხე კრატერის სიღრმეში. თითის წვერებზე შეიპარება ხოლმე ტუალეტში, იქ. სადაც, მოჩუხჩუხე უნიტაზთან, საღებავებით სავსე ბოთლებსა და ნაირ-ნაირი ფხვნილით სავსე პაკეტებს შორის იმყოფება მისი სანუკვარი ჭურჭელი, „ბორბლის კუპრი" რომ აწერია — სადაც გადახუხული ყლუპები არ აძლევენ მოდუნების საშუალებას. ბავშვთა სახლში დეიდა ფრანია თვლემს. ფხიზლად დარაჯობს გალოთებული დედიკოებისა და მამიკოების მიერ მიტოვებული, უბედურებაში ჩავარდნილი, ობოლი. პატარა ადამიანების ძილს.

ღამღამობით კეტავენ კლუბებს, სტადიონებს, რესტორნებს, ბიბლიოთეკებს, კულტურის სახლებს, მაგრამ ცაში გუგუნებენ თვითმფრინავები, დაგრიალებენ მატარებლები, თავიანთ პოსტებზე დგანან გუშაგები და ყარაულები. სადღაც, საპატიმრო ვაგონში, თავისივე მსგავს ნაძირალათა შორის მიჭუჭკულ ტუგოჟილინელ ვენკა ფომინს ძინავს და აზრზე არ არის, საით მიჰყავთ. მიჰყავთ ძალიან შორს და ძალიან დიდი ხნით — ვინ იცის, ეყოფა კია, უკან დასაბრუნებლად, ასე უმოწყალოდ

და უდარდელად გაფლანგული სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი! ხის ურდულებითა და რკინის რაზებით მაგრად ჩაკეტილ, გახურებულ ოთახში, ცალცალკე სძინავთ მოხუც ჩაშჩინებს. მალულად ოხრავს მარკელ ტიხონის ძე, რათა ძილი არ გაუფრთხოს მის უდიდებულესობა მეუღლეს და როგორმე უძილობას თავი დააღწიოს. ენატრება შვილიშვილი, ფიქრობს სიძესა და ქალიშვილზე... ვინ იცის, იქნებ, ზოგჯერ, ფრონტიც აგონდება — ხალხის გასაგონად, რატომღაც იშვიათადღა იხსენებს ომს, ზოგჯერ თუ ამოიხვნეშებს: „ღმერთო, ნუ მოგვასწრებ, მსგავსი რამ გამეორდესო...“

ვუნდერკინდების ლანძღვა-გინებით გულნაჯერები, ძილმორეული, შუაღამემდე ფურცლავს თრევა-თრევით შელანძღულ ვინმე სოშნინის ხელნაწერს — მოაზროვნე და ადგილობრივი კულტურის მიმწოლი ოქტიაბრინა პერფილიევნა სიროკვასოვა.

დიდი გაერთიანების უფროსი ვალოდია გორიაჩევი დასაძინებლად ემზადება და როგორც ეჩვენება, გულში დედისულს აგინებს დროდადრო ჩამოხეტებულ სტუმარსა და იმ წეს-კანონებს, მას რომ არ შემოუღია, მაგრამ უწონობის ორბიტაში ჩაუთრევიათ ის. ალევტინა ივანეს ასული, რომელსაც ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია განსვენებული ქმრისა და ღვთით ბოძებული ვაჟის ბუხუნა ხმა, საბანში მჭიდროდ ჰხვევს შვილიშვილ იურიჩკას და განზე გასწევს ღამის ლურჯ ნათურას, რათა ბიჭს თვალებში არ შეაჭყიტოს. ფანჯრებს მიღმა შუქს მიჩერებული ფიქრობს მისდამი რწმუნებული საბავშვო სახლის აღსაზრდელებზე. თითქოს, თავისი უშვილობა სურს გამოისყიდოს, ცდილობს, ცხოვრებიდან და ბავშვთა მეხსიერებიდან ამოშალოს შეუბრალებელი, გზაარეული დამნაშავე ქალები, გამოასწოროს მათი შეცდომა.

ახალი დროის შესატყვისად, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელ სახლად წოდებული ხალხმრავალი ქვის ბარაკის პაწაწკუნა ოთახის ვიწრო ტახტზე ერთმანეთს გადახვეულებს სძინავთ დამაშვრალ ლერკასა და სვეტკას. „ვახ, დრონი, დრონი...“ ფიქრობს სოშნინი.

სამორიგეოში ვიღაც ენაცვლება ფედია ლებედას. ნომერ მეშვიდე სახლში ამალამ ვიღაცას გასალახად თავს დააცხრება შურისძიებას ატანილი, თავმოყვარეობაგაკენწლილი სამი ჯეელი.

ფანჯრის მიღმა ქანაობს ფანარი. ქარი ლეწავს ყინულის ლოლუებს. წყვდიადს ბურღავს პროექტორის გამჭოლი შუქი. თავისი ბანით ღამეულ მგზავრთ უნანავებს ელმავალი, რომელსაც, ვინ იცის, შიაქროლებს ბალტიისპირეთის მოდური კურორტიდან ახალდაბრუ-

ნებული იულკას გულუხვი მამა, შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, იქნებ, სულაც ახლა შედგა მისი პირველი რეისი. სულ უფრო მცირდება ქუჩაში მიმომავალთა რიცხვი. სულ უფრო ნელა ბრუნავს დედამიწა. ლერკას და სვეტკას ძინავთ, ძინავთ... „მე ვიცი, თქვენ ცბიერობთ ჩემთან. ეს უკვე მერამდენედ გადავწყვიტე, თავი დავაღწიო თქვენს მარწუხებს, წავიდე, გაგეცალოთ, ცრუსა და ღალატიანს, მაგრამ სად, სად წავიდე, ვის მივაკითხო, როგორ გადავდგა ასეთი საბედისწერო ნაბიჯი?..“ „ო, ღმერთო, ეს რა უბედური ზნე სჭირს ზოგიერთს: დაიხსომოს ათასი სისულელე, დაინახოს ის, რაც დასანახი არ არის, იცხოვროს არა ისე, როგორც კეთილი ხალხი ცხოვრობს, ყოველკვარი თავსატეხის, ზედმეტი ფიქრისა და ზრუნვის გარეშე, იცხოვროს თავისთვის, ჩუმად, შეუმჩნეველად, უბრალო, ჩვეულებრივი ცხოვრებით...“ — ამის გაფიქრებაღა მოასწრო ლეონიდმა და ის იყო ჩასთვლიმა, რომ უეცრად საშინელმა ცივმა კივილმა შესძრა, კინაღამ გადმოაგდო სკამ-ლოგინიდან: „აწვალებენ, კლავენ ვიღაცას, ან იქნებ, სულაც, ღამით, ჩუმად შინ დაბრუნებულ იულკას დაეტაკა ვიღაც ლოთი-ოხერი და ლამობს კიბის ქვეშ შეითრიოს“.

სასწრაფოდ ზეწამოიჭრა სოშნინი, შარვალი ჩაიცვა, ფანჯარას ეცა. დიდმუცლიანი „გარდეროპის“ მიღმა ყინვით გათანგული ალონის ცივი სუსხი უბერავდა. უცებ კარი, რომლის ჩაკეტვაც, ჩანს, დავიწყნოდა, გლიჯინით გაიღო, ზღურბლს ფეხი წამოკრა და ძირს გაიშხლართა მისკენ ხელებგამოწვდილი იულკა:

— ძია ლე!.. ძია ლიოშ! ბებია...

სოშნინი გადაახტა წაქცეულ იულკას, ელვის სისწრაფით დაეშვა კიბეზე, ფეთა ქვემო სართულის კარი.

ბებო-ტუტიშიხას გულს დაეკრიფა პაწია, გამხმარი ხელები, მიმნდობი, ალერსიანი, ჩუმი ღიმილით, ტანთგაუხდელად, გაცვეთილი ფაჩუჩებით მიწოლილიყო საწოლზე საბანზემოთ, და ნახევრადგახელილი თვალები მიეპყრო მისკენ. ლეონიდმა დაუხუჭა გაყინული ქუთუთოები. „ძაან მარგებელი“ რიგის „ბალზამის“ თიხის ჭინჭილა შეანჯღრია — „ჰმ, არ დაუჯერა!.. სულ დაუცლია!“

უნდა წაერთმია ეს „ბოთლა“ ბებოსთვის, მაგრამ ყველას და ყველაფერს როგორ გაწვდება ეს ერთი კაცი. ათასი სხვა საკუთარი საზრუნავი გააჩნია. დიახ, ასეა: დღეს ყველას თავისი საქმე აქვს და შორს არ არის ის დრო, როცა არავინ არავისთვის თავს აღარ შეიწუხებს.

— გეყოფა! — მიაძახა კარებში შემობუზულ იულკას. — გუნდრუკი უკმიე ახლა მამაშენს, ვიქტორინა მირონოვნას, ცხვირმოუხოცავო ლაწირაკო! რა გეშველება ახლა, როგორ იქნები უბებიოდ?

— არ დამტოვო, ბიძია ლიოშ! არ წახვიდე, გემუდარები! მე-ში-ნი-ა, არ წახ-ვი-დე, რა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა იულკა და აცახცახებული თითებით, ცდილობდა ახალშემოცმული ჯუბის საღილე მარყუჟი მიეგნო, — მე ახ-ლავე... ამ წუ-თას...

ბებო-ტუტიშიხა დიდის ამბით გააცილეს იმქვეყნად, ხალხმრავალი პროცესია იყო. საყვარელ შვილიკოს, იგორ აღამის ძეს, ხარჯი არ დაუზოგავს, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო აწ განსვენებული ძვირფასი დედიკოსათვის. დაკრძალეს იგი ძველ სასაფლაოსთან ახალშემოერთებულ ბორცვზე. ძველი სასაფლაოც არ იყო დიდი ხნისა, ათას ცხრაას ორმოცდახუთიდან დაიწყეს იქ დაკრძალვა, მოტიტვლებულ ქვოვან-თიხოვან ბორცვზე; ახლა იქ უკვე სეების ტევრი იდგა: ზოგი ხე საგანგებოდ დაერგათ, ზოგიც მომრავლებულიყო თესლით, რომელიც მდინარის გაღმა ნაპირიდან ქარს გამოჰყოლოდა, ამას მიემატა ქალაქ ვეისკის ქარსაფარი ზონა და რკინიგზის ხაზის ნარგავები... ემატებოდა და ემატებოდა ფეხსაცმლის ლანჩებზე აწებებული მიწა, ფორნების, საბარგო მანქანების, კატაფალკების ბორბლებზე აკრული მიწა და შიგ გარეული თესლი... ერთი სიტყვით, მიწაზე სიცოცხლე გრძელდებოდა და სხვადასხვა სახის სასუქი სულ უფრო და უფრო აფხვიერებდა ნიადაგს. მოკლედ, ყველაფერი თავის გზით მიდიოდა.

ლეონიდმა ფარჩაგადაკრულ ბებო-ტუტიშიხას კუბოს ერთი პეშვი მიწა მიაყარა და პირდაპირ გაუკვალავ თოვლში, დათბობის შემდგომ უხვად რომ დაჰფენოდა მიწას, რაღაც უცნაური ხალისითა და დაუოკებელი ენერგიით აღტყინებული გაემართა ძველი სასაფლაოსკენ... თვალი შეავლო შემთხვევითი თესლისგან ამოზრდილ ვერხვს, რომელიც დედისა და დეიდა ლინას საფლავებისკენ მიმავალ ბილიკზე ორიენტირად იდგა.

ახალშეღებილ, კარგად მოვლილ ღობესთან, ლურჯად მოციაგე თოვლში თვალი მოჰკრა რკინიგზელის მოკლე ფარაჯასა და პატარა ბერეტში გამოწყობილ მოქანავე, კისერმოგრეხილ ჩრდილს... გადაწყვიტა ხელი არ შეეშალა დეიდა გრანიასათვის, რომელიც ლოცულობდა... ქალს შეუმჩნევლად გვერდით ჩაუარა და გაუკვირდა მხოლოდ, რომ დეიდა გრანია, ერთ დროს ზორბა, ჯანმაგარი დედაკაცი ისე დაჩიავებულიყო, რომ შორიდან გაჩხიკულ მოწაფე გოგონას ჰგავდა. ჩიჩას ფოტოსურათი, რომელიც პირამიდაში ჩაეტანებინათ, წვიმასა და თოვლს ისე ჩამოერეცხა ან მზეს ისე გაეხუნებინა, რომ ლაქასღა დამსგავსებოდა, მაგრამ დეიდა გრანია, ეტყობა, ამ ლაქაშიც სცნობდა

თავის ქმარს და უფალს შესთხოვდა, მიეტევებინა მისთვის ცოდვანი მისნი... და, თავის მხრივ, არ დავიწყნოდა არც ის, ცოდვის შვილი, და სული მისი მიეღო წიაღსა საუფლოსა მშვიდად, ტანჯვისა და წამების გარეშე. ქალაქის საბჭოს შეეძლო საზოგადოებისათვის გაწეული შრომისა და მსხვერპლისათვის დაეშვა გამონაკლისი და დაეკრძალათ იგი ძველ, დახურულ სასაფლაოზე, ცხოვრების იმ თანამგზავრის გვერდით, რომელიც ამქვეყნად მისთვის ღმერთს ერგუნებინა.

დედისა და დეიდა ლინას საფლავებს, საფლავის მესრებს ეფინა სქელი თოვლის საფარი, რომელსაც ზედ დასდებოდა ქალაქის საკვამურებიდან გამონაბოლქვი ჭვარტლი. ლეონიდს არ შეუხსნია მესრის კარზე დახვეული მავთული, არ შეუტანია ბალავანს შიგნით... იდგა. ელექტროშედუღებებულ მესრის კუთხის წვეტს ხელი ერდნობილი. და შეჰყურებდა ამ მყუდრო სამყოფელს... უნდოდა თუნდ ერთის წუთით წარმოესახა, რას შვრებიან ისინი იქ, ეს მისთვის ძვირფასი ქალები... როგორ არიან თოვლქვეშ, მიწაში. ასეთ სიცივეში? მაგრამ არაფრით არ შეეძლო მიშველებოდა მათ, შეემსუბუქებინა მათი ხვედრი, მოფერებოდა. გაეთბო ისინი. ან, თუნდაც, რას ნიშნავს ეს დღევანდელი დღე. მაღალი ცა ნათელი და მკაფიო თოვლის ანაშუქსე ან დროდადრო მზის გამონათება მაღალი ციდან... და აი, ეს მეჩიდროდ დასახლებული სასაფლაო, რომლის სივიწროვეში თოვლქვეშ წევს და ხმას არ იღებს სოშნინის გარდა ყველასათვის უცნობი ეს ორი ადამიანი! სად, სად არიან, სად გაქრნენ ისინი? ხომ იყვნენ ერთ დროს, ხომ არსებობდნენ? დიახ, იყვნენ! არსებობდნენ! ყველა ესენიც, გარშემო რომ წვანან ახლა, ხომ იყვნენ, შრომობდნენ, იღვწოდნენ, ფიქრობდნენ, ფუსფუსებდნენ, მრავლდებოდნენ, ქონებას იხვეჭდნენ, ცეკვავდნენ. მღეროდნენ, ჩხუბობდნენ, კინკლაობდნენ, მერე რიგდებოდნენ, სადღაც მიდიოდნენ ან წასასვლელად ემზადებოდნენ... უყვარდათ... სძულდათ... ხარობდნენ... იტანჯებოდნენ... და აი, აწ სამუდამოდ დამცხრალნი და დადუმებულნი, აღარავის უხმობენ. მათთვის სულერთია ყველაფერი და როგორც არ უნდა თავი იტეხონ ცოცხლებმა, ვერა და ვერ ჩასწვდებიან სიკვდილის იდუმალებას, ამქვეყნიდან წასულთა წინაშე მარად თავს დამნაშავედ იგრძნობენ ისინი.

გაზაფხულობით სასაფლაოზე ნაგავს წვავდნენ და თუ ამ დროს ქარიც ამოიშრებოდა, ცეცხლის ენები მოედებოდა ჯვრებსა და საფლავებს. ინაცრებოდა ყველაფერი, რაც ხისა იყო, ბევრი სამარე ივარქმნილი ეკვებებოდა ზამთარს, თოვლქვეშ იჟანგებოდა რკინის მესერი, ძეგლები. თოვლის სუდარა გადაჰფენოდა გაცამტვერებულ საძვალეთ — სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვთქვათ, მართლაც რომ ძეგლთა სუდარას, ადამიანურ წუხილსა და სევდას დაესადგურნა აქ.

ხანძარს არ გამორჩენია არც სოშნინების ძვალთშესალაგი: გადაუ-

დნია მესერზე საღებავი, ამოუწვავს ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული ფოტოები. ლეონიდმა ამ ზაფხულს ხელახლა ცისფრად შეღება მესერი და სადა ძეგლები, იქვე მიწაში ჩაასო სკამი, მაგრამ ახალი ფოტოები აღარ ჩაუსვამს ჩარჩოებში, ან კი რა საჭირო იყო? უწინდელ ფოტოებზე გამოსახული ახალგაზრდა ქალები ნაკლებად ჰგავდნენ იმას, რაც სოშნინს ხსოვნაში ჩარჩენოდა. ომის დროს დედას ფოტოსურათებისთვის არ ეცალა! ხოლო კოლონიიდან დაბრუნების შემდეგ დეიდა ლინა ფოტოგრაფებისკენ კი არა, ლეონიდის მალულად, ეკლესიისაკენ მიიჩქაროდა ყოველდღე. ჰოდა, რაში აინტერესებთ მათი ფოტოსურათები სრულიად უცხო ადამიანებს, სასაფლაოს გარეშეც ბევრნი არიან თავის თავის გამოჩენით გატაცებული მეტიჩრები. მას ახსოვს დედა, კიდევ უფრო კარგად ახსოვს დეიდა ლინა, უყვარს ორივე, გულში სევდას ინახავს მათ გამო. წვალობს, როგორც წვალობენ ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ გული შერჩენიათ, წუხს, რომ თვითონ ცოცხალია და ისინი. მისთვის ეგოდენ ახლობელი ადამიანები, აი აქ, მის წინ წვანან, სულ ახლოს, ერთ ხელის გაწვდენაზე, მაგრამ ამავე დროს, რა შორს არიან მისგან, რა მიუწვდომელ სიშორეზე იმყოფებიან. არავის, არავითარ ძალას არ ძალუძს მათი კვლავ ამქვეყნად გამოხმობა, მათი დანახვა. ეანაწყენება ან გამხიარულება, ხელისკვრა და გამოლანძღვა. და ამ განყენებული მზით გაბრწყინებულ ზეცას არავითარი შეხება, არ აქვს მათთან, ისინი ღრმად, ღრმად ჩაფლულან მიწაში, მათ ქვეშ მიწაა, ზემოთაც მიწა, მიწამვე, ალბათ, უკვე შეიწოვა მათი სხეულები, როგორც აქამდეც შეუწოვია მილიონობით ადამიანი, ჩვეულებრივი მოკვდავნი და გენიოსები, შავკანიანები თუ თეთრკანიანები, ყვითელკანიანები თუ წითელკანიანები, ცხოველები და მცენარეები, ხეები, ყვავილები. მთელი ერები და მატერიკები, — დიახ, ასეთია, ჩანს, დედამიწა — წუთისოფელი; უგულო, მუნჯი, მძიმე და ბნელი. აბა, მას რომ გრძნობა ჰქონდეს და გააჩნდეს ტანჯვის უნარი, აქამდე ნაცარტუტად იქცეოდა იგი. სწორედ მასზეა თქმული: ერთი დედა ჰყავს შვილებსა, დიდსა, პატარას, ყველასა... დაზრდის და თვითონვე შეჭამს, ისევ ილესავს კბილებსა...

„მაპატიეთ, დედა, დეიდა ლინა“, — ქუდი მოიხადა და თავი დახარა ლეონიდმა და ასე იდგა დიდხანს, ძალა არ შესწევდა წელში გამართულიყო და ზამთრის მოკაშკაშე მზისთვის შეეხედა. შემდეგ როცა თავზე სიცივე იგრძნო, ქუდი ჩამოიფხატა; ყელში ნაღველი მობჯენოდა და თვალცრემლიანი სწრაფად გაემართა სასაფლაოს ჭიშკრისკენ, ეშინოდა, სასაფლაოს წმინდა თოვლზე არ ამოეფურთხებინა გულს მოწოლილი ნახველი.

ძველი სასაფლაოდან რომ გამოდიოდა, თვალში მოხვდა ორი ფიგურა: ერთს ტანზე გამოყვანილი პალტო ეცვა, მელიის ბეწვის ქუდი ეხურა, ადგილზე ხტუნვას მოჰყოლოდა და მოდურ ჩექმიან ფეხებს ერთმანეთს უბაკუნებდა. მეორე, მრგვალფუმფულაქუდიან პატარა ფიგურას, — მადლობა ღმერთს, მოუსაზრებია, — მხრებზე დეიდა ლინასეული ფუმფულა შარფი ჰქონდა მოხვეული. ფეხთ თექის ჩექმა და ზედ კალოში ემოსა. სოფლური წარმოების მოუხეშავ ცხვრის ტყავის ქურქში გახვეულს შინნაქსოვი მატყლის ხელთათმნიანი თითები უხერხულად და სასაცილოდ განზე გაეშვირა. წინასწარი ლაილაის გარეშე შემოეხმა: „ავტობუსზე დაგვაგვიანდა. ერთი მანქანაც აღარ ჩანს. ყოველ შემთხვევისათვის, ახალი სასაფლაოდან აქ შემოვიარეთ“... სოშნინი არ შეჩერებულა მათთან. ეგრევე გზადმიმავალმა ხელში აიტაცა სვეტკა. ბავშვი უსიტყვოდ და მაგრად მიეხუტა, ყელზე მოეხვია მამას, ტუჩებით ყურზე მიეკრო. ბალღის არსებაში ფრთხილი, ღუღუნა სითბო ფათქუნობდა.

სოშნინს რაღაც გაგულისება ეტყობოდა. ყოველ შემთხვევაში, ქალს ასე მოეჩვენა. ჩვეულებრივზე მეტად კოჭლობდა. თოვლით სავსე მისი მაღალყელიანი ფეხსაცმელები ჭრაჭუნობდნენ მოლიპულ გზაზე. ცოტათი შეცბუნებული ლერკა, რომელმაც არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო, რატომღაც ულმობელი ბალღური გამოჭავრების სურვილმა აიტაცა: „თუთი მანეთი მინდა. მომე, ლა, თუთი მანეთი“.... „იმუშავე და გექნება“. „მელე ვინ მომცემს თუთ მანეთს? მე თუთი მანეთი მინდა“... „რა მომდის? — გაუელვა ლერკას. — გავსულელდი, მგონია... ეტყობა, ძაან აწუხებს ფეხი. ფეხსაცმელი ჩაუცვამს. ჩანს, ვეღარ უძლებს მოუხეშავ მილიციურ ჩექმას“...

„შენ საით?“ — უნდოდა შეეძახნა, სოშნინმა რომ სასაფლაოდან რკინიგზელთა დაბისკენ გადაუხვია, მაგრამ ხმა აღარ დაუძრავს, ვაითუ დამიღრიალოს: სად და შინ! გეყოფა ამდენი კუთხე-კუთხე წანწალი. ან, იქნებ, ნომერ მეშვიდე სახლში მიცვალებულის აღაპი აქვთ, დეიდა გრანიას და ვიქტორინა მირონოვნას მიხმარება სჭირდებათ. ან, სულაც, იქნებ, რაღაც თავსატეხი დაავალა სიროკვასოვამ... იქ კიდევ ვიღაც ხულიგნები თავს დასხმიან... საერთოდ, მძიმე, დაძაბული ცხოვრება აქვს ამ კაცს! ეჰ, რატომ ხდება ასე? რამდენი ახალი სამარე გაუთხრიათ! მერედა, განა ამ შემოდგომით არ გახსნეს ეს სასაფლაო?! მძიმეა, მძიმე წუთისოფელი! ნეტავ ერთმანეთს დღეებს რად უმოკლებენ ადამიანები? სამარეში რად მიერეკებიან ერთმანეთს? პირიქით კი უნდა იყოს! უნდა გავუძლოთ გაჭირვებას, მივეშველოთ ერთმანეთს, დავძლიოთ სიძნელეები.

— ნეტა სად დაეხეტები? — შეუღრინა ლეონიდს დეიდა გრანიამ, როგორც კი ნომერ მეშვიდე სახლში ფეხი შედგა. — მეორე წყებას ვსვამთ მაგიდასთან, ვეტერანები შემოეხეტენ, ღამის სიმღერა წამოიწყონ.

— მერე ჩემთან რა გინდა, დეიდა გრანია?

— მოხვეტე და წაათრიე ისინი, რომ ხალხს ხელი არ შეუშალონ.

— მე მილიციაში არ ვმსახურობ, დეიდა გრანია.

— მერე რა? ვილაცამ ხომ ყური უნდა უგდოს წესრიგს. სახლის პატრონი გაბოსკდა და არავის დანახვა და მოსმენა აღარ უნდა, თავის დედიკოს მისტირის.

დეიდა გრანია რაღაც მიზეზით უჩვეულოდ გაბრაზებული, შეიძლება ითქვას, გაბოროტებული იყო. უიუოდ, ბავშვთა სახლში მუშაობას გაეღიზიანებინა. ბავშვთა ბედი და ცხოვრება, რომელიც დაბადებიდანვე დაუმახინჯებიათ საყვარელ დედიკოებსა და მამიკოებს, ეტყობა, მალამოდ როდი ეცხება ადამიანის გულს. ის კი არა. ისეთი ღვთაებრივი მოთმინების ადამიანთა ეულებსაც კი ამკაცრებენ. როგორიც დეიდა გრანიაა. ერთ დედიკოს ფრიად ეშმაკური ფანდი მოუგონია საკუთარი ძუძუმწოვარა ბალღის მოსაშორებლად: რკინიგზის სადგურზე ბარგის შესანახ ავტომატურ საკანში ჩაკვეხებული ჩვილი მიუტოვებია. კიდევ კარგი, რომ ვეისკელი მილიციელები ზედმიწევნით კარგად ფლობენ ყოველგვარი საკეტის გაღების ხელოვნებას და ერთმა თავგამოდებულმა სპეციალისტმა, რომელიც იქვე, სადგურის მახლობლად ცხოვრობდა, სწრაფად გააღო შესანახი უჯრა, გადმოიღო იქიდან ვარდისფერი ბაფთით თავწაკრული პატარა ფუთა და აღშფოთებული ბრბოს თავსზემოთ ასწია. „გოგო! პატარა ცუგრუმელა! უნდა იცოცხლოს! ვაჩუქოთ სიცოცხლე! — გამოაცხადა საკეტების სპეციალისტმა. — უნდა იარსებოს... ოჰ, ეს ძუკნები! პატარა ცუგრუმელა! როგორ გაიმეტა!..“ ამ მრავალგზის ნასამართლევ, მრავალგზის გაქცეულ და მრავალგზის დანაჭერ, ტანჯულ, ნაწამებ კაცს სხვა ველარაფერი ეთქვა. ქვითინი ახრჩობდა. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მან მართლაც მიუძღვნა თავისი სიცოცხლე ამ უპატრონო გოგონას. დურგლობა შეისწავლა, ბეჯითად შრომობდა ფირმა „პროგრესში“, საღაც გამოარჩია თავისავით გულმოწყალე მეუღლე და ორივე ერთად ისე თრთიან გოგონას ბედისთვის, ისე დაჰკანკალებენ მას, ისე რთავენ და ანებივრებენ, ისე ახარებენ და უხარიათ თვითონ, რომ შეგიძლიათ მათ ბედნიერებაზე საგაზეთო წერილიც დაწეროთ და გამოაქვეყნოთ სათაურით: „კეთილშობილური ქმედება“.

სოშნინმა სვეტკას ჩასაცმელ-შესაფუთავი შემოაცალა. გაზქურაზე ქვაბით სუფთა წყალი შემოდგა. ღუმელში შეშის ნაჭრები შეაყა-

რა და ანთებული ქაღალდი წაუკიდა. სვეტკა ერთხანს გაზქურის კარ-თან, დაბალ ტაბურეტზე იჯდა, მერე ცოცხი აიღო და იატაკის დაგვას შეუდგა.

ზურგით კარის წირთხლს მიყრდნობილი ლერკა შუა ოთახის ღია კარს გაჰყურებდა, სადაც იმ ავადსახსენებელი „გარდეროპის“ კუთხე მოჩანდა. ოჯახის პატრონს არ შეუთავაზებია მისთვის, პალტო გაეხა-ღა, დამჯდარიყო. შეშის ნაჭრებს გაუაზრებლად ტენიდა ღუმელში. იგი, მისი „პრიმადონა“, რომელიც არც ერთ მამაკაცთან მას შემდეგ აღარ ყოფილა, შიშობდა პალტო გაესადა, გაშინაურებულიყო. დრო უნდა გასულიყო, რომ ხელახლა მისჩვეოდა მას, ოჯახს, დაეძლია თავისი სი-მორცხვე, და კიდევ რაღაც ამის მსგავსი, რომელსაც ყველა ხეპრე ვერ მიხვდება.

— წავალ იქ, — კარზე ანიშნა ლეონიდმა. — აუცილებელია. სვე-ტა. შენ წვნიანი მოხვრიპე, თუ გინდა, წაიკითხე რამე, გინდა, ითამაშე, გინდა — ტელევიზორი ჩართე. აღარც კი მახსოვს, როდის გამოვთიშე უკანასკნელად...

სვეტკამ იატაკის დაგვას თავი ანება. წარბქვეშოდან გამოხედა მა-მას. მერმე მზერა დედაზე გადაიტანა. ლერკა უსიტყვოდ მოცილდა წირთხლს, სოშნინს გზა უტია.

კიბისქვეშ, გუბურაში, რაღაც ფერფლისფერი საგანი მოჩანდა. „ეს-ნა“. — მიხვდა სოშნინი. ქორწილებსა და საზეიმო წვეულებებზე მას დიდი ხანია აღარ უშვებდნენ, მაგრამ ქელეხიდან გაგდება აუგია — ასეთია ჩვეულება. ჩვენიანია, მაინც რუსია.

„შენ, ეი! — აუღელდა გული სოშნინს. — ეი, არ გესმის, მეუღლევ! მოდი, დატკბი ჩემი საყვარლის ცქერით“. — უნდოდა ძველი სკანდა-ლის გახსენებით გაეკენწლა ლერკა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, ლავ-რია-კაზაკის სიტყვამ გამოაფხიზლა. „ეჰ, ლეონიდ ბიკენტის ძევ, სულ დაკარგე მოთმინება, ხო იცი, შენ! მალე ბოროტება გამოგხრავს, თავი შეიკავე, მირჩევია შენთვის, თავი!“

არდენი სამშობლომ ტყვილა არ გვიბოძა,
ეს იცის ყველა ჩვენმა მებრძოლმა...
მზად ვართ ბრძოლისთვის, ამხანაგო ეოროშილოვ,
მზად ვართ ბრძოლისთვის, სტალინ, მამავ. ძვირფასო!..

მაგიდაზე ხელდაყრდნობილი მოგუდული ხმით მღეროდნენ ლავ-რია-კაზაკი, ძია პაშა, მოხუცი არისტარხ კაპუსტინი, მათი მეზობლები. ბებო-ტუტიშიხას აურაცხელი „აღზრდილი“ და უბრალოდ, ყველა ნა-ცნობი ადამიანები, ბანს აძლევდნენ ვეტერანებს, თან, დაჭმუჭნული ცხვირსახოცით თვალებს ისრესდნენ.

იგორ ადამის ძე დედისეულ ტახტზე უმოძრაოდ, უხმოდ გაშხლართულიყო. პიჯაკი და გაპრიალებული ფეხსაცმელი ზედვე ეცვა. ვიქტორინა მირონოვნა, ცოტა არ იყოს, დაბნეული და გაკვირვებული იყურებოდა მისკენ და თავაზიანად უძღვებოდა სტუმრებს. მაგიდის კუთხეში ბრჭყვიალა უცხოურ პულოვერში გამოწყობილი და აბრეშუმის პარიკით თავდამშვენებული, უაზროდ დაბორიალობდა ყველასათვის უცხო, უმაქნისი და გამოუსადეგარი იულკა. ის იყო შემოსულ ლეონიდს ჰკიდა თვალი, დაბნეულად გაუღიმა.

— აქ მოდი, ძია ლიოშ, გთხოვთ, აი, აქ!

ლეონიდის დანახვაზე მომღერლები შეცბნენ, მაგრამ იგი მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე, რასაც მისგან მოელოდნენ, რბილად წარმოთქვა:

— იმღერეთ, იმღერეთ, არა უშავს. ბებია ზოია მსუბუქი ხასიათის ქალი იყო და უყვარდა წაღიღინება.

— ვაიმე, ვაიმე, ჩემო ბებია, ჩემო ბებო! — ბარბაროსული ხმით შესძახა იულკამ და ლეონიდს მხრებზე გადმოემხო.

ლეონიდმა ყვრიმალზე ხელი მოუთათუნა, მაგრამ პარიკით დაფარული მისი ერთი ციცქნა სულელი თავის შეხებამ უცებ შეზარა. ყელში ხველა მოაწვა და საჩქაროდ ხელი უშვა. შემოვიდა ლერკა. სოშნინმა ჩაიჩოჩა და თავის გვერდით, კუნძზე, რომელიც სკამის მაგივრობას სწევდა და ვიქტორინა მირონოვნას მიერ მოტანილი გაქექილი ნოხებით იყო გადაფენილი, ადგილი გაუნთავისუფლა.

— საუკუნო სასუფეველი ჩვენს კეთილ ბებიკოს. — მოჯღუნვით წარმოსთქვა ლერკამ, ფრიალა თეფშიდან კოვზით კოლიო ჯადმოიღო, თან ხელის გული შეაშველა, ფრთხილად მიიტანა პირთან და თვალდახუჭული დიდხანს ღეჭავდა.

დეიდა გრანიამ პირჯვარი გამოისახა და ხმამაღლა წამოიტირა. მეზობლის ქალებმა წაიქსუტუნეს, ცხვირზე ხელი მიისვ-მოისვეს, ვიღაცამ წარმოთქვა ჩვეულებრივი სიტყვები, რომელსაც ვერასდროს ვერავინ ვერ შეეგუება: „ესეც — შენი სიცოცხლე! იყო და აღარ არის!“ მისი ნათქვამი არავის გაუგრძელებია. არავინ ისურვა მწუხარე ლაპარაკის გაგრძელება. აღარც სიმღერა უცდიათ: არ გამოდიოდა, აღარც გრძელი, სულის სალხინებელი ლაპარაკი გამოდიოდა, არც გულის ამაჩუყებელი სიმღერები, რომლებიც ადამიანებს მეგობრობისა და თანაძმობისკენ უხმობენ.

ღამით სოშნინი გაუნძრევლად იწვა ახალგასწორებულ, გაქუჩქუჩებულ ლოგინში. იქვე ახლოს, ვიწრო ტიხარს მიღმა სვეტკა ქსუტუნებდა, სასაფლაოზე გაციებულიყო. გვერდით მასთან ფრთხილად

მიხუტებულ ლერკას ეძინა. ზუსტად, ისრების ტაკატუკით განაგრძობდა მუშაობას ხის ყუთში ჩასმული ძველი საათი — სვეტკას უყვარდა გასაღებით მისი მომართვა. ლეონიდს ავიწყდებოდა ხოლმე მისი მომართვა და ოჯახური კავშირიდან ერთი დღე-ღამეც არ გასულიყო, რომ ხის იატაკამდე დაშვებულ გირებზე დაყრდნობილი საათის ისრებმა დუგდუგი შეწყვიტეს და ისეთი მყუდროება დასადგურდა, თითქოს ნომერ მეშვიდე ბინაში დროს შეეწყვიტოს არსებობა.

ის თავს ვეღარ ართმევდა იმაზე ფიქრს, თუ რა გზით უნდა მოხვედრილიყო ამ პროლეტარულ უბანში ასეთი უცნაური საათი, რომელიც კვლავ მოდაში შემოსულიყო, სხვა პეწი და ფასი დასდებოდა. ახლა ხომ სიძველე მოდად იქცა! მაგრამ ამის თაობაზე ვერც ვერაფერი მოეგონებინა და ვერ მოესაზრებინა. საერთოდ, არაფერზე ფიქრი აღარ უნდოდა, რათა არ დარღვეულიყო მის ბინასა და გულში დავანებული იშვიათი, თუმც დაძაბული მყუდროება. მას ესმოდა, რომ როგორღაც უნდა მოეგვარებინა თავისი ცხოვრება, გარკვეულიყო მასში და სანამ მთელი არსებით საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, ახლებურად. უფრო მოფიქრებულად და ფართოდ გაეაზრებინა ყველაფერი, რაც მოხდა და ხდებოდა მასში და მის ცხოვრებაში, გარშემო, ესწავლა ადამიანთა ამოცნობა და გაეგო არა ისე, როგორც აქამდე ხედავდა — ფხიზელი და ულმობელი ოპერრწმუნებულის თვალით, არამედ სრულიად სხვა დანიშნულების ადამიანის თვალით. სამსახურში ძნელი არ იყო ხელიდან წასული ადამიანების „დახარისხება“ ცოლგაშვებულ ქალმანებად, ცუღლუტებად და ყალთაბანდებად, წვრილმან და მსხვილმან ქურდებად, „პახანებად“ და „დედოფლებად“, სუტენერებად და წამგლეჯებად, ვაგზლის და სხვენის ბინადრებად, მოუშორებელ ჭირად და ოხრებად, დაქირავებულ ქარქვეტებად. მაგრამ ეს ხომ ზემოფენაა მხოლოდ... ან, იქნებ, ქვემო?.. ფანჯრის რაფაზე შემორჩენილი მტვერი... იქ, კი, ფანჯრებს მიღმა, მინებს იქით დუღს, ჩქეფს, მიჰქრის. ცხოვრობს, ცეკვავს, მხიარულობს, ქვითინებს, იპარავს, უკანასკნელ ლუკმას აწვდის, მსხვერპლად სწირავს საოჯახო განძეულობას, თავის თავს, იბადება და კვდება ათასი ჯურის ადამიანი, უთვალავი ხალხი, უკიდეგანო დედამიწა, თვალუწვდენელი ტყეები...

„ბევრი ტყე... ბევრი ტყე... ბევრი მანანის ბუჩქი...“ ისე ჩაეძინა, რომ ვერ მოასწრო ოდესღაც სოფელ პოლევკაში გაგონილი ლექსის გახსენება. კარგი ლექსია, მწყობრი ლექსია, ხალხის შემოქმედებაა!

ერთხანს მშვიდად და მაგრად ეძინა, მერმე სიზმარში გაეხვია, გააწამა საშინელმა კოშმარმა... გაზაფხულის მიერ გალღობილ-გამოსრუტულ ყინულებში, მეთევზეთა მიერ გაჭუჭყიანებულ, ხვრელებით დალაქავებულ ყინულებში ცეკვა-ცეკვით მოხტუნავდა წითელქუდა გო-

ბონა. ყინული. როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მოწყვეტოდა, დაშორებოდა, საცაა უნდა ჩამსხვრეულიყო...

ყინულზე სულიერის ჭაჭანება არაა, არავინ ჩანს, გოგონას გარდა. ლეონიდი მიჩერებია გოგოხას და უცბად, სვეტკას შეიცნობს მასში. უნდა იღრიალოს, მაგრამ ამ დროს ნაპირებს მდინარე მოასკდება, ყინულებს ფშვნის და ფანტავს. სოშნინი ნაპირ-ნაპირ მისდევს, უფრო სწორად, უნდა, რომ გაიქცეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულა, ფეხი არ ემორჩილება. სვეტკას უხმობს, მაგრამ ხმამაღალი ძახილისათვის ჰაერი არ ყოფნის, მკერდი დახუთვია, ხმა არ ემორჩილება. მაინ მდინარეში შეტოპავს. გაშმაგებით მუშტებს უშენს ყინულის ლოდებს, ყინული არ იმსხვრევა. „ფიცარი დასცხე, ფიცარი". — ესმის ფეხდია ლებედას ხმა. უცებ, საიდანღაც, ფიცარი გაჩნდა. ლეონიდმა გამეტებით დასცხო ფიცარი ყინულს. ყინული იმსხვრევა. სოშნინი სვეტკასკენ მიიწევს, მკერდს უკაწრავს ყინულის წვეტები. ლეონიდი სულ უცბად ღრიალ მიტოპავს მდუღარე, აქაფებულ, მღვრიე ტალღებში. „კიდევ კარგი, წყალი ცივი არაა, საბურავების ქარხნის ცხელი წყლის ჩამონადენია, ამიტომაც არაა ცივი"... როგორც იქნა, მიაღწია შვილთან, ხელი გაუწოდა პატარას, მაგრამ უცებ ვებერთელა ყინულის ლოდი რამდენიმე ნაწილად გასკდა, უხრწნელად მოკალი ისე გოგონა დააბზრიალა და გაიტაცა, მაგრამ გაიტაცა არა ყინულის ნამსხვრევზე, არამედ რვეულის ფურცელზე, რომლის კუთხეშიც წითელი ლერანი ეწერა... გააქანა გოგონა ზეცაში. წყვდიადში. ვარსკვლავებით დაჩხვლეტილ სამყაროში. „ეს ხომ საიქიოა!" — ამოიცნო ლეონიდმა და როგორც ძას მოეჩვენა, მთელი ხმით დაიბღავლა: „ااااا!.." — სინანდვილეში კი ყრუდ ამოიგმინა, ლოგინიდან ჩამოხტა და გამოეღვიძა.

— რა მოგივიდა? — გაურკვევლად წაიჩურჩულა ლერკამ.

— იძინე, იძინე, არაფერია! — შემსუბუქებით ამოიხვნეშა ქმარმა. ლერკას ხელისგული დააჭირა და მანამ არ გაუშვა, სანამ უმოძრაობისაგან ხელი არ დაუბუჟდა, შემდეგ წამოდგა, რათა შვილისთვის დაეხედნა, ხომ არაფერი მოხდაო, დაეხუსტებინა. გოგონას საბანი გადახდომოდა, ბალიში გადავარდნოდა, ხელები და ფეხები გაეშალა, დანდობით ჩახუტებოდა ერთ დროს ვიატკელი ოსტატების ნახელავ დეიდა ლინასეულ სკივრს, რომელსაც მისი პატარა სხეული ბავშვობიდანვე შესჩვეოდა და მანამდეც კიდევ ბევრ ვისმე უგრძვნია ამ ზანდუკის სითბო; უვლიდნენ, მასში ინახავდნენ საქორწინო კაბებს, უბრალო სოფლურ მზითვებს, მურგებს, თავსაფრებს, ვერცხლეულით და საყინულშაქრე კოლოფებით სავსე ფუთებს, სუფრებს, შორეული ნათესავების მიერ მოქსოვილ მაქმანებს. სვეტკა ვერასოდეს შეხვდება იმ ადამიანებს — არ იცნობდა მათ, ვერც ნახავს და ვერც ვერაფერს გაიგებს მათ

შესახებ... „რა სისულელეა დროთა კავშირზე ლაყბობა. დიდი ხანია გაწყდა ის, ნამდვილად გაწყდა. თვით ამ გამოთქმამაც დაკარგა პოეტური მეტაფორის მნიშვნელობა, რაღაც ავბედითი აზრი შეიძინა, რომლის მნიშვნელობასა და სიღრმესაც ჩვენ მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით, რაც დიდი, დიდი დრო გაივლის. ვინ იცის, იქნებ, ჩვენ ეს არც გვერგოს წილად. სვეტკამ და მისმა თაობამ, იქნებ, გაიგოს ის, ყველაზე ტრაგიკულმა თაობამ დედამიწის არსებობის მთელს მანძილზე...“

სვეტკას ფრთხილად გაუსწორა ბალიში. საბანი წააფარა, სკივრთან ჩაიჩოქა, ფრთხილად, ფრთხილად მიეყრდნო შვილის ლოყას და რაღაც ტკბილმა, საამური მწუხარების გარინდებამ მოიცვა და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა სახეზე სისველე შეიგრძნო. არ შერცხვენია თავის ცრემლისა, არ უსაყვედურია თავის თავისთვის ეს სისუსტე. ამჯერად არც თავისი მგრძნობიარობის მიმართ ჩვეული თვითირონია გამოუჩენია.

ლოგინში შეწვა. ხელები თავქვეშ ამოიდო და ცერად გახედა ლერკას, რომელსაც იღლიაში თავი ამოედო მისთვის. ქმარი და ცოლი, მამაკაცი და ქალი. შეერთდნენ. არიან. ცხოვრობენ ერთად. პურს ლოღნიან, გაჭირვებას იტანენ, ავადმყოფობას, სნეულებას ებრძვიან. ბავშვებს ზრდიან. აი, ახლაც, ბალღს უვლიან. ერთ ბავშვს, მაგრამ დიდი გაჭირვებით, და სანამ გაზრდიან, მათაც და ბავშვსაც ქანცი გამოელევათ...

არა მაშრი და მდედრი, ბუნების ძახილით რომ შეერთებულან, რათა გააგრძელონ ბუნებაში თავიანთი მოდგმის არსებობა, არამედ ადამიანი ადამიანს შეუღლებია, რათა მხარში ამოუდგნენ ერთმანეთსა და საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობენ, ერთად გასწიონ ცხოვრების ჭაპანი, სრულჰყონ ცხოვრება, გულიდან გულში საკუთარი სისხლი უწილადონ ერთმანეთს და ამასთან ერთად, ერთმანეთს გაუნაწილონ ყველაფერი, რაც მათში ჯანსაღია, მისაღებია, კარგია; რაც მშობლებისაგან გადმოეცათ თავისი სიცოცხლით, ჩვევებით, ხასიათით და აი, ამ განსხვავებული ნედლეულისგან უნდა გამოძერწონ უჯრედი მრავალ და მრავალსაუკუნოვანი ტაძრისა, რომელსაც ოჯახი ჰქვია. გამოჰედონ ისე, თითქოს, ახლადგაჩენილანო ამქვეყნად. დედამიწაზე, მათ მსგავს აურაცხელ არსებათა შორის მოხეტიალენი — ქალი და მამაკაცი, ბედის წყალობით ან სიცოცხლის უზენაესი კანონის ნებით შეერთებულან, ქმარი და ცოლი, ქალი და მამაკაცი, უწინ რომ სრულებით არ იცნობდნენ ერთმანეთს, წარმოდგენაც რომ არ ჰქონიათ ურთიერთარსებობის შესახებ, როგორც ცოცხალ მტვრის ნაწილაკებს თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი დედამიწის გონებამიუწვდომელ სამყაროს უსასრულობაში, შეერთებულან, რათა გამხდარიყვნენ ერთმანეთისთვის ყველა ახლობელზე უფრო ახლობელი, თვისტომი

და მშობლიური, სამუდამოდ დამშვიდობებოდნენ საკუთარ მშობლებს, რათა თვითონ ეტვირთათ მშობლის ვალი, გაეგრძელებინათ თავიანთი და მათი სიცოცხლე, ერთად ეევლოთ სამარის კარამდე, გამხდარიყვნენ მეუღლენი, თანამეცხედრენი და სხვისთვის გაუმხელელად, ერთ ჭერქვეშ შეერთებულებს, ერთად ეტარებინათ საკუთარი ჭირი და ლხინი.

რა დიადი, რა საოცარი გამოცანაა! მის შესაცნობად „ასეულ წლებს ჩაუვლია, მაგრამ როგორც სიკვდილის, ისე ოჯახის საიდუმლოების ამოცანა დღემდე ვერავის ამოუხსნია. დინასტიები, იმპერიები, საზოგადოებანი იავარქმნილან, ნაცარტუტად ქცეულან, როდესაც იქ ოჯახი შერყეულა, ოჯახური კერა დაქცეულა, ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი დაჰკარგვიათ, ცალ-ცალკე ხეტიალი დაუწყიათ და ერთმანეთისკენ მიმავალი ბილიკი ვერ უპოვნიათ. დინასტიები, იმპერიები, საზოგადოებები, რომლებსაც ოჯახი არ შეუქმნიათ ან იმისი ფესვები ამოუძირკვავთ, დაუწყიათ ბრექი და თავგამოდება, ტრაბახი ოავიანთი პროგრესით, იარაღის ჟღარუნით, დასაღუპად განწირულნი ყოფილან — თავი დიდხანს ვერ გაუტანიათ. ოჯახის ნგრევასთან ერთად ირღვეოდა თანხმობა, თანადგომა, თანაზიარობა, ბოროტება სთრგუნავდა სიკეთეს, მათ ფეხქვეშ ირყეოდა და სკდებოდა მიწა, რათა შთაენთქა პირუტყვად ქცეული ბრბო. ყოვლად უსაფუძვლოდ თავისთავს ადამიანებს რომ უწოდებდა

თანამედროვე აჩქარებულ სამყაროში ქმარს გადაუწყვეტია, მზა სახით მიიღოს ცოლი. ასევე, ცოლის ნატვრაა კარგი, სასურველია, ძალიან კარგი, იდეალური ქმარი. თანამედროვე ენაკვიმატებს ქილიკობის საგნად გაუხდიათ ის, რაც ყველაზე სანუკვარია ამქვეყნად — ოჯახური კავშირი, შეუბილწავთ ძველთაძველი სიბრძნე ცუდ ქალზე —სალაზღანდაროდ გაუხდიათ ის თვისებები, რაც, რაღაც ნაწილაკით ყოველ კარგ ქალშიც შეიძლება აღმოაჩინოს კაცმა; უნდა ვიგულისხმოთ, იციან, რომ კარგი ქმარიც ყველა ცუდ მამაკაცშიც არის რაღაც ნიშნით წარმოდგენილი. შენც, აიღე, და ცუდი მამაკაციცა და ცუდი ქალიც ტომარაში ჩააგდე და ზღვის ფსკერზე გადაუძახე, ამაზე იოლი რაღა იქნება! საქმე ის არის, რომ ამ დანჯღრეული, ძველისძველი ოჯახური ხომალდით, ყოველდღიური ყოფიერების ქარიშხლებით გამოფიტული ხომალდით, რომელსაც საიმედო ნაოსნობის უნარი დაუკარგავს, როგორმე მიაღწიო სანატრელ ნაპირს.

„ერთი სატანაა — ქმარი და ცოლი“, „ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურაო და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო“, „ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო“, „მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტეევაო“, „ქალმა თქვა, ნეტავი იმას, ვისაც ჩემი ქმრის შიში არ აქვსო“, „ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამსაეს ახვედრებდაო“, „ქმარს ცოლი კუბოს კარა-

მდე ჰყავს ნაბოძებიო.“ — აი, მთელი სიბრძნე, რაც ლეონიდმა ამ რთულ საქმეზე იცოდა.

„აბა, ერთი გავსინჯოთ, რას ამბობს ამის თაობაზე ამხანაგი დალი?..“ წამოდგა, რათა ფრთხილად გადაებიჯებინა ლერკასთვის, რომელიც სვეტკასთან ძილს მისჩვეოდა, მის თითოეულ მოძრაობასა და რხევას გრძნობდა, თავისი ერთადერთი ბალღის სუნთქვაც კი ესმოდა. ლერკას არ გამოუღვიძნია, მოსაგერიებლად ისე გააფათურა ხელები.

— რა გემართება? — ძილში ყრუდ იკითხა ქალმა.

— დაიძინე, დაიძინე, არაფერია. — ისევ ხმადაბლა შეეხმიანა ლეონიდი და ქალს ზეწარი წააფარა. — ღუმელს დავანთებ. სვეტკას სცივა.

ღუმელი დაანთო, თუმცა ოთახში არც ისე ციოდა. ცოტა ხანს ღია კართან იჯდა. მშრალ, თბილ ჰაერს ისუნთქავდა. უხმოდ შეჰყურებდა ძშვენიერ, მხნედ მოცეკვავე ალს... მერმე მაგიდისკენ გაემართა, ნაზად შეეხო გაშლილ თმაში ლაღად გახვეულ ლერკას.

საწერ მაგიდაზე, სიძველის გამო სადგურ ვეისკის კანტორაში ოდესღაც რომ ჩამოეწერათ და დეიდა ლინასთვის უსასყიდლოდ მიეცათ, რამდენიმე ლარტყა აეჭედებიათ სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სასკოლო მოწყობილობის მოსათავსებლად, ახლა ამ თაროზე, რომელიც ფანჯრისკენ გადაქანებულიყო, აწყვია ლექსიკონები, ცნობარები, რამდენიმე საყვარელი წიგნი, ლექსებისა და სიმღერების კრებულები. მათ შუა მწვანე სემაფორის შუქივით ელავს წიგნის „რუსი ხალხის ანდაზების“ ყდა. საოჯახო საქმეებში ნაცადმა ქმარმა, ახალგაზრდა ლიტერატორმა ეს ხქელი წიგნი შუაზე გადახსნა, სადაც თორმეტი ფართო გვერდი უკავია განყოფილებას: „ქმარი — ცოლი“, საიდანაც ჩანს, გასულ საუკუნეს, ახალგაზრდა რუს ერს, ოჯახური ურთიერთობების საკითხზე რა საფუძვლიანი გამოცდილება დაუგროვებია და აუსახავს თავის ზეპირსიტყვიერებაში.

„ქაი ცოლი და მსუყე ბორშჩი — სხვა სიკეთე ნული გინდა“... „ვერაფერს იტყვი, გონივრული ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა, ერთობ გონივრული და საქმიანი ნათქვამი“, — ჩაეცინა რკინიგზის დაბის მოაზროვნე ლიტერატორს, მაგრამ ამას ისეთი აღმოჩენები მოჰყვა, რომ მას ყოველგვარი ლაზღანდარობის სურვილი დაეკარგა: „სიკვდილი და ცოლი — ორთავე ღვთის ნებით ხდება“, „ქორწინება — ჰო, განქორწინება — არა!“, „ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო“, „ვისთანაც იქორწინე, მასთანვე მოკვდიო“, „ავია, თუ კარგია, ქალო, შენი ქმარიაო“, „ქალი ქმარსა სწუნობდა, იყო მისი ამარა“, „ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებსო“, „ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო“, კარგმა ქალმა ამოღებული ხმალი ჩააგებინა ქმარს, ავმა ქალმა შენახული ამოაღებინაო“,

„ჩიტი ფრთ.ითაო, ქალი — ქმრითაო“, „ქალმა თქვა, ქმარს რომ მოვეფარები, აღარავის მეშინიაო“...

„იფ, კიდევ რას იტყვი? — არ დაეთანხმა ამჯერად ლეონიდი ხალხურ სიბრძნეს. — აბა, ერთი, თანამედროვე ქალი გცნობოდათ, რას იტყოდით!“ — უნებლიეთ დაბღვერით გადახედა ლერკას. „ცოლი ჩექმა როდია, ფეხიდან რომ წაიძრო...“, „რაც მართალია, მართალია“,— ღრმად ამოიოხრა სოშნინმა და წიგნი თავის ადგილზე დადო.

ეს წიგნი რომ არა, აწ განსვენებული ბებიას დარიგებებიც იკმარებდა გონივრული ცხოვრებისათვის, გაიფიქრა მან. „რისთვის ინგრევენ ოჯახები, რად სცილდებიან ცოლები ქმრებს? — იკითხავდა ხოლმე ბებო-ტუტიშიხა და თვითონვე უპასუხებდა, — იმიტომ, რომ ცალ-ცალკე წვანან, ერთმანეთსა და შვილებს კვირაობით არ ხვდებიან — რამ უნდა შეადუღაბოს ისინი? ხდებოდა, რომ მე და ადამი წავიჩხუბებდით, მერე ვრიგდებოდით და ვეფერებოდით ერთმანეთს — ნათქვამია: ცოლ-ქმარი წაიჩხუბნენ, ბოლოს მაინც ერთ საბანში ძინავთო... ღამით ადამუშკა უნებლიეთ ხელს გადმომიყოფდა, მეც მოვეხვეოდი. როცა დამცხებოდა, ფეხს ავიშვერდი ხოლმე და ვიყავით ასე, გარინდებაში. ოჯახში სიმშვიდე და თანხმობა უნდა სუფევდეს...“

„ხედავ, — ამოიოხრა სოშნინმა, — რა რთულ ამოცანებს წყვეტდა იოლად და ალღოიანად ბებია, ყოვლად რთულ საკითხებს, ბევრი ტვინის ჭყლეტისა და დიდი ჩაღრმავების გარეშე“.

ლეონიდი ერთხანს შუა ოთახში იდგა, თავზე ხელს ისვამდა, დაფიქრებული. „გარდეროპის“ მხრიდან ოთახში მკრთალი შუქი მოჟონავდა. „რაც გინდა თქვი და ეს აჩონჩხილი კუბო ახლავე შეშად უნდა ვაქციო, — ხელით შეეხო ამ საოცრად გაქუცულ ნაგებობას. იგი, თითქოს ბებერი ნაგაზიაო, ხაოიანი ენით ეხორკლებოდა თითებზე, მოყვრულად უჩხაპნიდა ხელისგულებს. — რას იზამ, მეგობარო, სხვა გზა არ არის, თანამედროვე ყოფა მსხვერპლს ითხოვს! ხომ იცი, ჩვენთან უმსხვერპლოდ არაფერი ახალი არ კეთდება და არ გვარდება“. — დამნაშავესავით ჩაეცინა ნომერ მეოთხე ბინის მცხოვრებს.

გარიჟრაჟი ნესტით, თოვლის ვეება მორგვივით მოგორავდა უკვე სამზარეულოს სარკმელში, როცა ჯერ ისევ ძილში მყოფი ოჯახის მყუდროებით დავანებულმა, თავის ძალასა და შესაძლებლობაში დიდი ხანია დაჯერებულმა სოშნინმა, ყოველგვარი გაღიზიანებისა და გულში ნაღველის გარეშე ხელი მოხვია დანჯღრეულ მაგიდას, რათა მისი ჭრიჭინ-ჭრიახი არ გამოეწვია. მერმე ხელი გაიწვდინა ძველი, აგრეთვე კანტორისეული ლამპისკენ, ცქვიტად გადმოუღუნა კისერი, რომლის ბოლოში მიმაგრებული რკინის თასიდან გადმოღვრილი სინათლის ლაქა სუფთა ქაღალდზე დაასკუპა და დიდხანს უხმოდ დაჰყურებდა მას.

სარჩევი

პირველი თავი	5
მეორე თავი	27
მესამე თავი	34
მეოთხე თავი	46
მეხუთე თავი	64
მეექვსე თავი	83
მეშვიდე თავი	97
მერვე თავი	114
მეცხრე თავი	125

რედაქტორი ნ. მ ა ძ ა ღ უ ა
მხატვარი თ. კ ო ხ რ ე ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ნ. ნ ა რ ი მ ა ნ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ო. კ ა პ ა ნ ა ძ ე
კორექტორები: ნ. ლ ო მ ა ძ ე, რ. გ ო ც ი რ ი ძ ე
გამომშვები ნ. კ ვ ა ტ ა შ ი ძ ე

ს. ბ. 3612.

ჩაბარდა წარმოებას 10.02.88 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 13.06.88 წ. ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,84. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 8,28. პირობითი საღებავგატარება 9,18.
ტირაჟი 20.000 შეკვეთა № 338.

ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42, თბილისი, 1988.

АСТАФЬЕВ ВИКТОР ПЕТРОВИЧ

ПЕЧАЛЬНЫЙ ДЕТЕКТИВ

Роман

(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси 1988